

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
01სტრუქტურული და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№4

2013

ჩ(უაქ) 902(479.22)(066)

5-846

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი
რედაქტორია:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ოთარ ჯანელიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

გივი ღამბაშიძე

ნოდარ შენგელია

პორტეტურა: მარიკა შერაზადიშვილი

პორტეტურული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Alekisdze

Otar Janelidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Givi Ghambashidze

Nodar Shengelia

Reviewer: Marika Sherazadishvili

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

შ06აარს0 სტატიები
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია
History of Georgia

დავით ახლოური - ფშაველი გაბიდაურები და მათი შთამომავლები ქსნის ხეობაში	7
<i>David Akhlouri - THE GABIDAURIS FROM PSHAVI AND THEIR DESCENDANTS IN KSANI GORGE</i>	
აოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი - ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის თავდაცვაში	
<i>Ioseb (Soso) Alimbarashvili - THE ROLE OF GEORGIAN CHURCH IN DEFENSE OF THE COUNTRY</i>	15
ლელა თოვოშვილი - ბათუმის პორტო-ფრანკოს ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხისათვის	25
<i>Lela Togoshvili - FOR BATUMI'S PORTO-FRANCO'S ECONOMIC ROLE</i>	
გურამ კუტალია - კიდევ ერთი ცნობა „ძლევაი საკვირველის“ შესახებ (ეძღვნება აკად. შ. მესხიას ხსოვნას)	
<i>Guram Kutalia - ONE MORE INFORMATION ABOUT "DZLEVAI SAKVIRVELI" ("SURPRISING VICTORY") (IS DEVOTED TO THE MEMORY OF ACADEMICIAN SH. MESKHIA)</i>	33
გიორგი სოსიაშვილი - არბოს წმინდა გიორგის ხატის ისტორიიდან	
<i>Giorgi Sosiashvili - ON THE HISTORY OF THE ICON OF ST GEORGE OF ARBO</i>	46

ექლესიის ისტორია History of church

თამარ გოგოლაძე - გ. საბაგლიშვილი – ივერიელის წერილი ქრისტეს ჯვრის ლურსმნისა და წმინდა ნაწილების თავგადასავალზე

58

Tamar Gogoladze - ARCHIVE OF SPIRIDON KEDIA – A SIGNIFICANT ORIGINAL SOURCE OF GEORGIAN HISTORY

ეკა დუგაშვილი - საუფლო დღესასწაულების საგალობელთა თარგმანები X ს-ის ქართულ ხელნაწერებში

63

Eka Dughashvili - TRANSLATIONS OF THE HOLY FESTIVAL CANTICLES IN THE GEORGIAN MANUSCRIPTS OF THE X CENTURY

ელდარ მამისთვალიშვილი - სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკეთა მრწამსის აღიარებისათვის

74

Eldar Mamistvalishvili - THE CONVERSION OF SULKHAN SABA ORBELIANI TO CATHOLICISM

ნესტან სულავა - საღვთისმეტყველო ტერმინთა არსისათვის და მათი ტრანსფორმაცია საერო მწერლობაში

87

Nestan Sulava - ABOUT THE MEANING OF THEOLOGICAL TERMS AND THEIR TRANSFORMATION IN SECULAR WRITING

მაია შაორშაძე - XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის

102

Maia Shaorshadze - TOWARDS MAKING THE CHRONOLOGICAL ROW OF 17TH CENTURY BISHOPS OF SAMTAVISI MORE EXACT

ისტორიოგრაფია Historiography

მერაბ კალანდაძე - დიმიტრი უზნაძე იაკობიანთა დიქტატურაზე

119

Merab Kalandadze - PROFESSOR KARLO MESHVELIANI

მერაბ კალანდაძე - პროფესორი კარლო მეშველიანი
Merab Kalandadze - DIMITRI UZNADZE REGARDING THE 142
DICTATORSHIP OF THE JACOBINS

წყაროთმცოდნეობა
Source Studies

ოოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი - რამდენიმე საარქივო
დოკუმენტი კრწანისის ბრძოლის შემდეგ ქართლ-კახეთში
შექმნილი ვითარების შესახებ

Ioseb (Soso) Alimbarashvili - SOME DOCUMENT ABOUT THE
SITUATION IN KARTLI-KAKHETI AFTER THE KRTSANISI WAR

ელდარ მამისოვალიშვილი - გორის გარეგნული სახე
ოსმალობის პერიოდის ოსმალურ წყაროებში (XVIII ს. 20-30-
იანი წლები)

Eldar Mamistvalishvili - THE EXTERIOR OF GORI ACCORD-
ING TO THE OTTOMAN REFERENCES (THE 20-30S OF THE
XVIII CENTURY)

მანანა მიჩიტაშვილი - საციციანოს დაარსების ისტორიიდან
Manana Michitashvili - FROM THE HISTORY OF ESTABLISH- 197
ING SATSITSIANO

გიორგი სოსიაშვილი - აუგუსტ პაქსტაუზები რუსეთ-
საქართველოს ურთიერთობის შესახებ (XIX ს. I ნახევარი) 219

Giorgi Sosiašvili - AUGUST HAKSTHAUZEN ABOUT THE
RELATIONS BETWEEN RUSSIA AND GEORGIA IN THE FIRST
HALF OF THE XIX CENTURY

დავით ჩოჩიაშვილი - სკრის ხეობა ქართულ წერილობით
წყაროებში 232

David Chochishvili - SKRA GORGE IN GEORGIAN WRITTEN
SOURCES

თოარ ჯანელიძე - სპირიდონ კედიას არქივი - საქართველოს
ისტორიის მნიშვნელოვანი პირველწყარო 248
Otar Janelidze - ARCHIVE OF SPIRIDON KEDIA – A SIGNIFICANT ORIGINAL SOURCE OF GEORGIAN HISTORY

რუსთველოლოგია Rustvelology

ნანა გონილაშვილი - რუსთველური „მოყვრობის“ სამი
უმთავრესი წესის ასახვა გმირთა ურთიერთობაში 267
Nana Gonjilashvili - REPRESENTATION OF THREE MOST PRINCIPLE RULES OF “FRIENDSHIP” AT RUSTAVELI IN RELATIONSHIP OF THE HEROES

ეთნოლოგია Ethnology

ლელა თოგოშვილი - ტრადიცია - საზოგადოების კულტურის მნიშვნელოვანი მხარე 300
Lela Togoshvili - TRADITION – IMPORTANT PART OF THE SOCIETY CULTURE

თამილა კოშჩირიძე - „შვიდმაისობა“ ქართლში 314
Tamila Koshchiridze - THE SEVENTH OF MAY DAY IN KARTLI

ჩვენი მომავალი Our Future

რეზო მარნაძე - დე ბუს ეპისტოლე ქართველთა ხლათის ქვეყანასა და იერუსალიმში შესაძლო ლაშქრობის შესახებ 327
Rezo Marnadze - THE EPISTLE OF DE BOIS IN THE SULTATE OF KHLATI AND THE PROBABLE INVASION IN JERUSALEM

თინათინ მახათაძე - ქვიშეთის ისტორიიდან 343
Tinatin Makhatadze - FROM THE HISTORY OF KVISHKHETI

დავით ახლოური

კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესიონალი

ფშაველი გაბიდაურები და მათი შთამომავლები ქსნის ხეობაში

გაბიდაურები ფშავლები არიან, ანუ ფხოველები - ასე მოიხსენიებიან ფშავლები და ხევსურები ქართული მატიანის უძველეს ცნობებში: „გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოველთა მთებზე არის ფხოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავს“ (12: 301). თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, დაახლოებით 1212 წელს, განდგომილი ფხოველებისა და დიდოელების დასასჯელად ათაბაგის მიერ ფხოვის აოხრების შემდგომ, ამ მხარეს სახელი ეცვლება და ფშავად იხსენიება (6: 19-20).

ფშავლები ორ თემად იყვნენ დაყოფილნი - უკანაფშავისა და მაღაროს თემებად. უძველეს კუთხედ უკანფშავის თემი ითვლება, რომელსაც ფშავლები „ფშავისხვეს“ უწოდებენ. ფშავისხვეში მცხოვრები ფშავლების წინაპრები 11 თემად ყოფილან დაყოფილნი: **გაბიდაური**, (ხაზგასმა ყველგან ჩვენია - დ. ა.) გოგოლაური, უკანფშაველები, ცაბაური, ჭიჩოელი, გოდერძაული, ქისტაური, მათურელი, წოწკურაული, უძილაური და წითელაური. მოგვიანებით მათ ჩარგლელების თემიც მიმატებია და 12 თემი გახდა. „თითოეული ამ თემთაგანი რითიმე იყო ცნობილი და სახელოვანი: გოგოლაურების თემი ნაქები იყო შაირობით და მოსწრებული სიტყვით, ჭიჩოელები - ხვნა-თესვით, წოწკურაულები - სიბოროტით (მუცელგველი-ანებს უწოდებდნენ, უკანფშაველები - სიცეტით, **გაბიდაურები** - გულგრილობით, მათურლები - სიმამაცით, ქისტაურები -

სილამაზით, უძილაურნი – სისასტიკით და ჩარგლელები - ნადირობით“ (6: 971). ვახუშტის დახასიათებით, ფშაველი შუა ტანისაა, თხელი და სწორი აგებულების. სახით კი შავ-გვრემანია და ლამაზი მოყვანილობის... ხასიათით ფშაველი თავაზიანია და ხათრიანი. საზოგადოებაში ფშაველი ქალი და კაცი თამამია და უადგილო მორცხვობა და პირის არიდება ფშავში სიმდაბლის ნიშანია. ფშაველი, ამასთანავე, ალერსიან-ია და არშიყი. ფშაველი გულჩათხრობილი არ არის. მას უყ-ვარს მხიარულება, შაირობა და დროსტარება. სტუმრის დახ-ვეღრა, მისი პატივისცემა და გართობა მათში მიღებულია. ქურდობა-აგაზაკობას ფშაველი არ ჩაიდენს და ეს სამარცხვი-ნოდ მიაჩნია... ფშაველი გონებამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მოლექსე (3: 533).

ფშავის თითოეული თემი გარკვეულ ტერიტორიაზე სახლობდა, ერთ თემს ერთი სოფელი ეკავა. გაბიდაურების თემის ფუძე სოფელი ხოშარაა, რომელიც დუშეთის რაიონში, უკანაფშავში მდებარეობს, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ფშავის არაგვის მარცხენა ნაპი-რას, ზღვის დონიდან 1520 მეტრზე, დუშეთიდან 68 კმ-ის მოშორებით. გაბიდაურთა მთავარი სალოცავი - წმინდა გი-ორგის სახელობის სათხუთმეტო ძელის ანგელოზია - ხოშა-რის ხატი (ყველა თემის საერთო სალოცავი კი ლაშარი და თამარის ხატი იყო, რომელსაც ფშავლები და-ძმად მოიხსენი-ებენ, თითოეული თემი ამ ხატების ყმებად ითვლებოდა).

გვარის ფუძე საკუთარი სახელი გაბიდაა (იხ. 9: 73). გაბიდაური მოიხსენიება 1796 წელს სოფელ კოლოთაში, ერ-ეპლე II-ის ოქმით შედგენილ ყმების ნუსხაში. 1873 წელს სოფელ ნამტვრევანში მოხსენიებულია მახარობლიშვილი გა-ბიდაური (7).

2005 წელს ი. ახუაშვილის მიერ გამოცემული ქართუ-ლი გვარ-სახელების მიხედვით, საქართველოში 383 გაბიდაუ-რი ცხოვრობდა, ძირითადად, თბილისში – 132, თეთრი წყა-

როში – 93 და თიანეთში - 31... (2: 326) სახლობენ აგრეთვე შარახევში, კუჭეჭაში, სხლოვანში, ხაშავარდნეში... გაბიდაურთა შთამომავლები, ანუ ძმათაშვილები – როგორც ფშავში უწოდებენ, არიან აფშინაშვილები, ბერიძიაშვილები, ბექიშვილები, ბოძაშვილები, გელუაშვილები, გვრიტიშვილები, დადალაურები, ზეზვაშვილები, კობრეშვილები, მახინცაურები, მისრიაშვილები, ნადიბაძეები, ნაკვეთაურები, რუსულაშვილები, ტეტიაშვილები, ყველაიძეები, ჩოხელაშვილები, ძებნიაურები, ჭიჭოშვილები, ხარანაულები, ხახაშვილები, ჯალაბაურები, ჯიმშიტაშვილები.

გაბიდაურთა თემიდან გახლდათ ვაჟა-ფშაველას დედა გულქან ფხიკელაშვილი. „დედაჩემი იყო ივრელი ქალი, – წერს ვაჟა ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში „ჩემი წუთისოფელი“ – სოფელ სხლოენდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლეობენ დღესაც მისი ნათესავნი, სათემო გვარი ფხიკელაშვილებისა არის გაბიდაური“ (4: 386)

თემებში შემავალ ძმათაშვილებში მტკიცედ იყო დაცული სისხლით ნათესაობის შეგნება და ერთი ხატის ყმობის რწმენა, აკრძალული იყო ქორწინება და ერთმანეთის შეყვარება. ქალის გათხოვება თავისივე ხატის ყმაზე არგავონილ დანაშაულად ითვლებოდა (6: 73)

არაერთი საინტერესო ისტორიული ცნობაა შემონახული გაბიდაურების შესახებ. საყურადღებოა ერეკლე II-ის დროს, 1795 წელს მიღებული განჩინება, სადაც გაბიდაურთა თემია მოხსენიებული. გაბიდაურებს შუშანის ველის და მთა გრძელის გაყოფაზე დაგა ჰქონიათ ჭიჩოელებთან. სადაც ტერიტორია გაბიდაურებს დაუკავებიათ, მაგრამ ერეკლემ ჭიჩოელებს არგუნა. „რომელიც ამ წიჩოელთ ფიცით მამული გაუტანიათ, ის მამული ამათ უნდა დანებდეთ“ (6: 89)

...დავის დროს ჭიჩოელებს მეფის სამართლისათვის მიუმართავთ. ერეკლეს ბრძანებით, სიმართლის გამოსარკვევად ორივე თემს არა მხოლოდ ფშაური ადათის მიხედვით -

ხელში თასითა და დროშით, არამედ ქრისტიანული ეკლესი-ის წესისამებრ, სახარებითა და ხატითაც უნდა დაეფიცა. ჭი-ჩოლებმა ბრძანება აღასრულეს. გაბიდაურები კი თემურ ად-ათს არ გადავიდნენ და შერისხეს ისინი, ვინც ჭიჩოლებივით სამართალს ლაშარის გორს იქით ეძიებდა... მეფის წინააღმ-დეგ მიმართულ გაბიდაურთა ეს ნაბიჯი სადავო მამულის ჭი-ჩოლებისათვის მიკუთვნების საბაბი გახდა, განაჩენი 1819 წლამდე დარჩენილა ძალაში (6: 91). ბ. ხოლეგაშვილის მო-საზრებით, სავარაუდოდ, მეფის ამ ბრძანების შემდეგ უნდა დაძრულიყვნენ განაწყენებული გაბიდაურები ბარისკენ. გაბი-დაურთა ძირითადი მიგრაცია კუჭეჭა-შარახევში განხორცი-ელდა. 1794 წელს, ქუდზე კაცის გამოსვლის დროს, გაბიდა-ურნი 84 კაცი იყო. მეთაურობდა ხახა გაბიდაური, ხოშარის სათხუთმეტოს ხევისბერი, იმ დროს ყველაზე ძლიერი ხევის-ბერი ფშავეში.

XVIII საუკუნეში, ერეკლე მეფის 1795 წლის ზემოთ ნახსენებ განჩინებამდე უნდა მომხდარიყო ქსნის ხეობაში მცხოვრები ფშაველი გაბიდაურების გადმოსვლა ლომისის ქედს აქვთ. ცნობილია, რომ ახალგორის რაიონში მცხოვრები ახლოურების, თინიკაშვილების, ხოკრიშვილებისა და ბალაშ-ვილების საერთო წინაპარი ფშაველი გაბიდაური იყო. ამ სა-კითხთან დაკავშირებით, საინტერესოა თ. შველიძის სტატია „ისტორია – ერთგული წინაპარი“, რომლის მიხედვით, სის-ხლის აღებას გამორიდებულ, ქსნის ხეობაში გადმოსახლე-ბულ გაბიდაურს შესძენია უბადლო მეომარი და ძალოვნი ვაჟკაცი, სახელად ბალა, ღირსეულად უცხოვრია, უშრომია, უომია... მისი სახელი რომ არ დაკარგულიყო, მისმა შტომ მის სახელზე გააგრძელა გვარი, „ბალაშვილები“... კიდევ დაბადებულა ამ გვარში ქალი - სახელოვანი მეომარი - თი-ნა... მის პატივსაცემად მისი შტო თინიკაშვილად იწოდება.

...ჩვენი წინაპარის სისხლში კვლავ აღზევებულა ძველი ჩვევა. კაცი შემოჰკდომია, გაუპარებიათ და იქვე ახლოს,

მთის გადაღმა დასახლებულა. მისი ვინაობა რომ უკითხავთ, საიდუმლოს მცოდნეს ასე უთქვამს: „აქვე ახლო ახლოურებ-შიაო“. იმ დასახლებას დღესაც ახლოურები ეწოდება, რომე-ლიც ქსნისა და ცხრაზმულას შესაყართანაა გაშენებული...

დღემდე შემონახულია ტრადიციული ნათესაობა, დღე-საც ბალაშვილები, თინიკაშვილები და ახლოურები (ავტორი არაფერს ამბობს ხოკრიშვილებზე, რომელიც გაბიდაურების განაყარია - დ.ა.) არც ქალს ათხოვებენ და არც ქალს თხო-ულობენ ერთომეორის გვარში... ბალაშვილებს ახლად მოყვა-ნილი პატარძალი ლაშარის ჯვარში მიჰყავდათ სალოცავად, წინაპართა სალოცავში (10: 50). აღნიშნულ საკითხს შეეხო ისტორიკოსი ვ. ქეჩქაძე წერილში „დიდი ოჯახი ქსნის ხეობ-იდან“. „სოფელ თინიკანში მცხოვრები სამი ძმიდან ერთი ძმა, რომელსაც ბალა რქმევია, გადმოსახლებულა ახალდაბა-ში (ბალაანი - დ.ა.), მეორე ძმა – ხოკერა, მეზობლად, ხო-ფელ კარელთყარში დასახლებულა, ხოლო მესამე ძმა – ხო-ფელ ყველდაბას, სადაც მას კაცი მოუკლავს, გვარად ლარი-ბაშვილი. ამ მიზეზით აყრილა, იქვე ქედზე, ახლოს დასახ-ლებულა და ახლოურად დაწერილა. ახალდაბაში დასახლე-ბული ბალას შთამომავლები გამრავლებულან და ბალაშვილე-ბად დაწერილან... ამ გადმოცემის სინამდვილეს აღასტურებს ის ეგზოგამია, რომელსაც დღევანდელი თინიკაშვილები, ბა-ლაშვილები, ხოკრიშვილები და ახლოურები იცავენ. აგრეთვე ბალაშვილებს სახნავი მიწები ჰქონიათ სოფელ თინიკანში და კოლექტივიზაციამდე ამჟავებდნენ“ (8: 44).

ახალდაბაში ანუ დღევანდელ ბალაანში ადრე მარტიაშ-ვილებს უცხოვრიათ, მაგრამ ვერ გამრავლებულან და მათი ადგილი ბალხამიშვილების გვარს დაუკავებია. ბალაანში ერთ-ერთი დიდი ტყე „ბალხამთ მზვარის“ სახელწოდებითაა ცნო-ბილი, მათი აქ დასახლება საფლავის ქვებითაც დასტურდება. ბალხამიშვილების რამდენიმე კომლი ბოლო წლებშიც ცხოვ-

რობდა ბალაანში. მათი ძირითადი საცხოვრებელი კი, ამჯერად, სოფელი ჭორჭოხია.

ახლოურების, ხოკრიაშვილების, ბალაშვილებისა და თინიკაშვილების რამდენიმე კომლი ქსნის ხეობაში მცხოვრებთა შორის პირველად 1774 და 1781 წლების აღწერებში მოიხსენიება. სავარაუდოდ, ფშავიდან მათი წინაპარი გაბიდაურის გადმოსახლება XVIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. გადმოცემის მიხედვით, ფშაველი გაბიდაური მესისხლეობის გავრცელებულ ტრადიციას უნდა გამორიდებოდა ქსნის ხეობაში. სოფელ ახლოურთში ერთ-ერთ შტოს გაბიდაანი ეწოდებოდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ წინაპარი გაბიდაურის ხსოვნა ახლოურთის მოსახლეობაში შემორჩენილი იყო.

საკუთარი სახელი გაბიდა ქსნის ხეობაში მცხოვრებ გაბიდაურთა შთამომავალ სხვა გვარებშიც იყო გავრცელებული...

ქსნის ხეობაში გაბიდაურის შთამომავალთა დამკვიდრება ეჭვს არ იწვევს, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ მთიულეთში (მათ შორის არაგვის ხეობიდან ქსნის ხეობაში) მიგრაციის მაგალითები ხშირი იყო. მთიულთა მიგრაციას გარკვეულ ეტაპზე გარკვეული მიზეზებიც ჰქონდა; მესისხლეობის შიში კაცის მოკვლის თუ შემოკვდომის შემდეგ (5: 80), უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის სურვილი და სხვა (1: 6).

დღესაც ქსნის ხეობაში მცხოვრები გაბიდაურების შთამომავალი ახლოურები, ბალაშვილები, თინიკაშვილები და ხოკრიშვილები ერთმანეთს სახლიკაცებად - ძმათაშვილებად მოიხსენიებენ და მტკიცედ იცავენ ფშავში ოდითგანვე დამკვიდრებულ ეგზოგამიის ცნობილ ტრადიციას.

დამოწმებანი:

1. ახლოური დ., სოფელი მიდელაანი, თბ., 2006.
2. აზუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, I, თბ., 2005.

3. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.
4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ლექსები, მოთხრობები, პოემები, პუბლიცისტიკა, წერილები, თბ., 1987.
5. მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930.
6. მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1985.
7. სცსა, ფ. 254, №13, საქმე №265, 1973.
8. ქენქაძე ვ., დიდი ოჯახი ქსნის ხეობიდან, გორის სახწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №5, 2011.
9. ღლონტი ა., ქიზიყის ტოპონიმია, 1982.
10. შველიძე თ., ისტორია - ერთგული წინაპარი, „ჩვენი უნივერსიტეტი“, №4, 2011.
11. ხოშარა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987.
12. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965.

David Akhlouri

Gori State Teaching University, Assistant Professor
**THE GABIDAURIS FROM PSHAVI AND THEIR DESCENDANTS IN KSANI GORDGE
 RESUME**

The present work deals with Gabidauri names from Pshavi. The attention in this work is mostly paid to their living place in village Khoshara, Pshavi which was their community base village, and those communities who lived in Pshavi together with Gabidauri .

According to certain sources important episodes from the name history and the name branches are given in this work.

The second part of this work is about the settling history of the Gabidauris' descendants – the Akhlouris, the Balashvilis, the Khokrishvilis and the Tinikashvilis in Ksani Gorge.

**თოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესიონალი**

ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის თავდაცვაში

ქართული ეკლესიის როლი განუზომლად დიდია ერის ფიზიკური გადარჩენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საქმეში.

სასულიერო წოდება არა მარტო ჯვრით ხელში აკეთებდა საქვეყნო საქმეს, არამედ კრიტიკულ მომენტებში მახვილის აღებასა და ისსხლის დათხევასაც არ ერიდებოდა. როგორც ვაზუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „რაეამს უწყეს მოჰქმადიანთა შემდგომად დავით მეფისა (იგულისხმება ქართლის მეფე დავით X – 1505–1525 წ.წ.) დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება და იხილეს ღაფლობა-უღონობა ქვეყნისა ერთა ეპისკოპოზთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოზნი: „ნუ მოღაფლებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა რჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა, და ჩგენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქვენნი“, და ჰყოფდენცა ეგრეთ“ (1: 38).

როდესაც მარაბდის ომში მროველ ეპისკოპოსს – ავალიშვილს მახვილით ხელში ბრძოლა გადაუწყვეტია, მის-თვის მოკრძალებით მიუმართავთ: „თუ ბრძოლას აპირებთ, უბრძანეთ სხვამ გვაზიაროს“, რაზედაც მროველს უთქვამს: „დღეს ბრძოლა არის სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა: ამისთვის არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქვენსა არა დავთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან“ (1: 38).

ავალიშვილთან ერთად მარაბდის ომში იბრძოდნენ და შეეწირნენ რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები.

1752 წლის 10 თებერვალს ჭარში აჯიჩალაბის წინა-აღმდეგ ბრძოლის ველზე დაეცნენ ბოდბელი, ხარჭაშნელი და სამებელი ეპისკოპოსები (9: 218).

ქვეშევრდომთაგან შევიწროებული და რამდენიმეჯერ დამარცხებული ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე – გიორგი VIII (1446–1466), რომელსაც მხოლოდ კახეთის სამეფოლა შერჩა სამართავად, დიდებულებს აღარ ენდობა და კახეთში ოთხ სადროშოს აყალიბებს, რომელთა სათავეში ეპისკოპოსები (ბოდბელი, ალავერდელი, რუსთაველი და ნინოწმინდელი) დგანან.

უმაღლესი საეკლესიო ფენა აქტიურად მონაწილეობს ჯარის შეკრებისა და სადროშოში წესრიგის დამყარების თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ქართული ჯარის საომარი წყობა შემდევნაირი იყო: მეწინავე სადროშოს შეადგენდა სომხით–საორცხელოს სათავადოები, მემარჯვენეს – საამილახვრო, მემარცხენეს – სამუხრანბატონო, ქსნისა და არაგვის საერისთავოები, ხოლო მეუკანავოში – მეფის სადროშო, რომელშიც კათალიკოსის ლაშქარიც შედიოდა.

საკათალიკოსო ლაშქრის მეფის სადროშოში გაერთიანებას სხვა მიზეზიც ჰქონდა. კათალიკოსს და სვეტიცხოველს ყმები სამეფოს ყველა კუთხეში ჰყავდა, ამდენად, ერთ რომელიმე კონკრეტულ სათავადოზე მათი მიკუთვნება არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

კახეთში სადროშოების საზღვრები ძველი ტრადიციით, ეპარქიების მიხედვით იყო განსაზღვრული. მეწინავე სადროშოს შეადგენდა ბოდბელის სასარდლო – ქიზიყი, კონდოლამდე და მანავამდე. მემარჯვენეს – ნეკრესელის სასარდლო – გაღმა მხარი; მემარცხენეს – რუსთველის სასარდლო – გარე კახეთი, ქიზიყამდე და მარტყოფ–საგურამომდე; მეუკანავეს – ალავერდის სასარდლო.

მართალია, სადროშოების სარდლებად ეპისკოპოსები ითვლებოდნენ, მაგრამ ბუნებრივია, ლაშქარს ბრძოლებში ყოველთვის თვითონ ვერ წაუძღვებოდნენ, ამიტომ ამ მოვალეობას მოურავები ასრულებდნენ: ბოდბელის სადროშოში – ქიზიფის მოურავი, ნეკრესელის სასარდლოში – ენისელის მოურავი, რუსთველის სასარდლოში – მარტყოფის მოურავი. თუმცა, გამონაკლისებიც იყო, როდესაც ეპისკოპოსებს თავიანთი სადროშოს ლაშქარი ბრძოლის ველამდე თვითონ მიჰყავდათ (3: 124).

1769 წლის 11 აგვისტოს ერეკლე ანტონ I-ს მცხეთის სასარდლოსადმი განწესების სიგელს უახლებს და უფლებამოსილებას უსაზღვრავს: „ქ. რადგან ძველათ ნეტარ-ხსენებულს ჩვენის ჩამომავლობისაგან სვეტის-ცხოვლის ყმისა ასე განწესება ყოფილა, რომ რაც სვეტიცხოვლის ყმა ქართლისა, იმერეთს, კახეთს, საათაბაგოს, სომხითს, თუ საცა იყოს, მის უწმინდესობას კათალიკოზს უნდა ახლდეს და თავისი ყმით ჩვენს დროშა[ზე] ბძანდებოდეს, ჩვენც ასე განგვიწესებია:

რაც კახეთში საკუთარი სოფელი, სვეტის ცხოვლის ყმა არის, იმათი ჯარი მისს უწმინდესობას ჩვენს ძმას, კათალიკოზს უფალს ანტონს, იახლებოდნენ და თავისი ჯარით ჩვენს დროშაზე ბძანდებოდეს.

და თუ უწმინდესობა იმ ჯარში არ ბძანდებოდეს, რომელიც მათი სარდალი არის, იმათი ყმა ყოველივე იმას ებაროს, ჩვენს დროშაზე იმყოფებოდნენ და ჩვენის ბძანებით ყოველსავე მათ საქმეს შიოშა სარდალი არიგებდეს; სხვას კელი ნურავისა აქვს“. (8: 418-419; დოკ. 118) ამავე წლის სხვა ბრძანებით, ქართლ-კახეთის მეფე ნეკრესელ ეპისკოპოსს პასუხისმგებლობას აკისრებდა კახეთის გალმა მხარში წესრიგის დაცვასა და დადგენილი რაოდენობის ჯარის გამოყვანაზე: „როცა ჯარი დავიბაროთ უნაკლოთ უნდა გამოიყვანოთ“ (3: 126).

კათალიკოსებს ჰყავდათ თავიანთი სარდლები. XVIII ს-ის 70-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მყოფი – დე გრაი დე ფუას ცნობით, ქართლის ლაშქარი შვიდ სადროშოდ იყოფოდა. პატრიარქის სადროშო მეორე იყო და მასში ერთიანდებოდნენ ეკლესია-მონასტრების ყმა-გლეხები, რომლის მეთაურს ერეკლე ნიშნავდა (2: 53).

საეკლესიო ლაშქრის სარდლებად XVIII ს-ის II ნახევარში ჩანან გაბრიელ, შიომა და ოვანე გელევანიშვილები, დავით მაღალაშვილი და ა. შ. (4: 109-110)

1783 წელს ერეკლე II-ს იოანე გელევანიშვილისათვის სარდლობასთან ერთად, ძეგვის მოურავობაც უწყალობებია. მასვე ევალებოდა საჭიროების შემთხვევაში ქართლსა და კახეთში საეკლესიო ყმების შეკრება და კათალიკოსისადმი ხლება: „...ეს სახელო, ეგრეთვე ძეგვის მოურავობა, როგორც სარდლობაზე სდებია, ისიც შენთვისვე გვიბოძებია და როდე-საც მისი უდიდებულესობის ჩვენის ძმის (იგულისხმება ანტონ II კათალიკოსი – ი. ა.) ბძანება იყოს ხოლმე ჯარის დაძახებისა, რომელიც სვეტიცხოვლის ყმანი არიან ქართლში, კახეთში და რომელსაც ადგილს საქართველოში, შემოიყრიდე და სადაც იმისი ნება იყოს, იქ იახლებოდე. და რომელიც იმისის უდიდებულესობის სამსახური იყოს, როგორც თანამდები ხარ, ისე ერთგულად აღასრულებდეო“ (4: 110-111).

ერთი უთარილო საბუთით, ერეკლე მერაბ მთავარების-კოპოსს საბარათიანოს ჯარის სასწრაფოდ შეკრებას სთხოვს: „ქ. ჩვენო სასოებავ მერაბ მთავარებისკოპოსო, მერმე კაცი მოგვიდენ დღეს სამშაბათს, ამბავი მოგვივიდა ენეოდამ დღეს ლექნი გამოვლენ, ახლავე ჩამოიარე ბარათიანი, შემოიყარე კაცი ცხენით და იარაღით წამოიყვანე ამაღამ აქ მტკვარზედ არ მოხვიდე არ იქნების. შენებურად ეცადე ამაღამ აქ შემოეყარე ნუ დასდგები, ჩქარად წამობდანდი“ (11: ფ. HD – საბ. 7872). სხვა წერილში მეფე მცხეთის კათალიკოსის სახლ-თუხუცესს – ამილბარ მაღალაძეს დაქირავებულ ლექთა შე-

სანახად თხუთმეტი წარვალი¹ მაჭრის მიცემას ავალებს (10: ფ. AD – საბ. 1760) და ა. შ.

ქვეყნის თავდაცვის საქმეში ასევე აქტიურად იყო ჩამული სასულიერო წოდების დაბალი ფენა. ამ მხრივ მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს ერეკლე II-ს მიერ 1764 წლის 8 ივნისს მღვდელ იესე მაჭავარიანისადმი გაცემული წყალობის სიგელი: „...ასე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნაშასზურსა მღვდელს იესეს, შვლსა შენსა ლევანს, სფირიდონს, დიმიტ-რისა და მომავალთა შენთა, ასე რომე: პაპას ჩვენს მეფეს ერეკლეს (საუბარია ერეკლე I-ზე – ი. ა.), მამა შენი მაჭავა-რიანი იმერელ მეფეს აზნაურიშვილი ყულად ხლებოდათ და მასუკან კურთხეულს ბებიაჩვენს ანნა დედუფალს მღვდლად გაეზრდევინებინათ და მსახურებდა სანატრელს მეფეს პატ-რონს მამა ჩვენს ერთგულებით და კეთილად და ვითაც მამა შენმა, შენც იწყევ ერთგულებით სამსახური ჩვენი და გვემსა-ხურე მთასა თუ ბარში, თუშეთს, ფშავს, ქართლსა და კა-ხეთში. ბრძოლასა თუ მშვიდობაში მოუშორებლად გვახლდი. ქისიყს რომ დაღესტნელნი და სრულიად ჭარელნი მოგვხდნენ და მადლითა ღოთსათა ვძლიერ და ვიდრე ყარა-ღავამდე სრვით მივყეთ და კვალად აღაზნის და ივრის შე-საყარში მივახლოვდით, არხი დაგპხვდა დიდად ღრმა და კა-ცისა და ცხენისაგან ძნელად გასავლელი. მოხვედ შენ მღვდელო მაჭავარიანო იესე და იზახე კადნიერად მეფენო ღოთვი განძლიერებულნო, რასათვს არ უტევბოთ მჯედართა ჭურვთა სრვად ქრისტეს მტერთა ზედანო. და რა განიცადე სიღრმე და განსასვლელად ძნელი გზა რუისა მის ღიდისა, წარხვედ ფიცხლად და მიიღე ბარი და იწყევ ფიცხლად კვე-თა მიწისა სიღრმედ და განავაკენ გზა იგი მაღალი. გაუძელ ლაშქართა – ვეწიენით და მოგვრენით ლეგნი მახვლთა და

¹ ერთი წარვალი = დაახლ. 5,436 კგ.

უმრავლესნი დაინთქნენ ჭელითა ღთისათა კლდეთა შინა და წყალთა და ამა ბრძოლასა შინა მჯნედ იყავ და ძლიერად, და კვალად აზათ ხანისა დიდსა ომსა შინა გვახლდი და მჯნედ იყავ და გაუყრელად ჩვენგან. ვძლიერ ძალითა ჯვარისათა და მუნცა კარგად გაისარჯე: აგრეთვე მჭადისჯვარს დაღესტნის ჯარსა და მუცალზედ რომ გაგვემარჯვა კარგად იყავ, აგრეთვე ატოცს, როდესაც ძმა ჩვენი იმერთ მეფე სოლომონ და ჩვენ რომ ვეწყვენით გულკადართა და შეწევნით წმინდის მოწამისა გიორგისათა ვძლიერ და ამოვწყვიტეთ და შეწც იქ თან გვახლდი და მჯნედ იყავ, სამღვდელოს მსახურებითაც გვმსახურებდი და იარაღის მოქმარებითაც და ფრიადისა ერთგულებისა შენთან ვიტყოდით ამათ სამუქფოთ (საპასუხოდ, სამავიეროდ – ს. ა.) შენისა მსახურებისა წყალობა გიქმნით: ამოწყვეტილის თავადის სვიმონიშვილის ნაქონი მამული მთით, ბარითა, წყლითა, გლეხებითა და სალამათითა და ყოვლის მისის შემოსავლითა, რისაც სვიმონიშვლი ყოფილიყოს ყოველივე შენთვის და შვილთა შენთათვის გვიბოძებია. გქონდეს ჩვენსა ერთგულად ნამსახურსა შიგან, არ მოგეშალოს წყალობა ესე არა ჩვენგან და არა შემდგომთა ჩვენთა მეფეთაგან...“. (6: ფ. 1448; ს. 5602)

როგორც ვხედავთ, საბუთი მრავალმხრივაა საინტერესო იმ თვალსაზრისით, რომ:

1. გარკეულ ონფორმაციას გვაწვდის XVIII ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთის მიერ წარმოებული ბრძოლების დეტალებზე;

2. გვატყობინებს, რომ მაჭავარიანების გვარის რამდენიმე თაობა იყო სამეფო ოჯახის კარის მოძღვარი;

3. გვამცნობს, რომ მეფის მოძღვრის მოვალეობას შეადგენდა არა მარტო სამეფო ოჯახის ეკლესიაში სამსახური, არამედ „მთასა და ბარში, ბრძოლასა და მშვიდობაში მოუშორებლად“ მეფისადმი ხლება;

4. გადმოგვცემს, რომ ქართულ ჯარში სასულიერო ფენის მონაწილეობა სპეციულიკურ ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ ისინი წამყვან, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლსაც კისრულობდნენ, ანუ „სამღვდელოს მსახურებითაც მსახურობენ“ და „იარაღის მოხმარებითაც“;

5. აკონკრეტებს სამეფო კარის მიერ ერთგულ პირთათვის „წყალობის“ ერთ-ერთ ფორმას – ბეითალმანის (ამოწყვეტილი თავადის ქონების) გადაცემის ფაქტს.

1791 წლის სექტემბერში დავით გარეჯის მონასტერს 30 ლეკი მიხდომია. ამ დროს მონასტრის მცველი ყარაულები სოფელში ყოფილან წასულები. იქ მყოფ ბერებს მომხდურები დროულად შეუნიშნავთ, კოშკებიდან თოვები დაუშენიათ და ლეკები უკუუქცევიათ (8: 119-120; დოკ. 105).

სასულიერო დაბალი ფენა მეფისადმი დიდი ერთგულებითაც გამოირჩეოდა. 1748 წელს ერეკლე-აბდულა ბეგის დაპირისპირებისას მღვდელი გიორგი ლარაძე¹ თავის მრევლთან ერთად ქვემო ქართლში, ქვეშის ციხეში გამაგრდა და აბდულა ბეგს გამოუცხადა: „სანამ ბატონი ერეკლე ცოცხალი ბრძანდება, მე სხვა ვერავის ვეყმობიო“. თვის ანდერძში ლარაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „...აბდულა ბეგმა რომ სომხით-საბარათიანო გაიერთგულა, იმ უამაღ ქვეშის ციხეში დავრჩიოთხმოცის კაცით, მოურავიც ვიყავი ქვეშისა; იმ უამაღ აბ-

¹ საერთოდ, ძალზე დიდია ლარაძების ოჯახის დამსახურება ქართლ-კახეთის სამეფო კარის წინაშე. გიორგის შვილები: იოანე, პეტრე, დავით და იოსებ ლარაძეები ცნობილი მწიგნობრები გახდნენ და ასევე ერთგულებით აგრძელებდნენ ქვეყნისა და ტახტის სამსახურს. მეფისადმი თავდადებით ასევე გამოირჩეოდნენ ძმები დავით და პაატა ლარაძეები. დავითი ჯერ ნურსალ-ბეგის მიერ ალყაშემორტყმულ ყვარლის ციხიდან გამოიჭრა, დაღესტნელი მოალყები დახოცა და უწყლოობით შეწუხებულ ციხეში წყალი მოუგდო, ხოლო შემდეგ არადის შემტან 206 ვაჟაცს უწინამდლოლა. პაატა ლარაძე 1751 წლის ობერგალში აჯი ჩალაბის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა (12: 50, სქოლით 23; გვ. 56, სქოლით II).

დულა ბეგმა ხანჯარის გარმოდგომით მოინდომა ქვეშის ცინის წართმევა და ხან მრავალის დიდებისა და პატივის აღთქმით, მაგრამ მე მინდოდა სანატრელის ცხებულის მეფის თეიმურაზისათვის ჩემი ერთგულება გამომცხადებინა და ჩემი თავი იმისის სიყვარულისთვის დაგსდევ ჭეშმარიტადო“ (5: 85).

საყოველთაოდ ცნობილია თევდორე კველთელის გმირობა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ცხირეთის ციხეში მყოფი ლუარსაბ ძეორე.

ნურსალ-ბეგის შემოსევისას (1755 წ.) ყვარლის ციხეში იარაღის შემტან 206 ვაჟკაცში ერთი ხუცესიც ერია¹ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემაში საეკლესიო წოდება თავის მოვალეობად მხოლოდ სულიერ და ზნეობრივ სამსახურს კი არ მიიჩნევდა, არამედ ისინი ფიზიკურ საფრთხესაც არ გაურბოდნენ და ხშირად გმირობის კონკრეტულ მაგალითებს იძლეოდნენ.

დამოწმებანი:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსაა“. ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973.
2. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985.
3. კლიმაშვილი აკაკი, მასალები XV-XVIII ს.ს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრებულში: XIV-XVIII ს.ს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

¹ „ქრონიკების“ ერთი ცნობით, ეს ბერი ჩვენთვის ნაცნობი იასე მაჭავარიანია (5: 105).

4. კლიმიაშვილი ა. საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფე-ოდალურ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკად-ემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე III, თბ., 1961.
5. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურ-თო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.
6. სახელმწიფო საისტორიო არქივი.
7. ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ, ტ. II, თბ., 1965
8. ქართული სამართლის ძეგლები. ის. დოლიძის რედ. ტ. VIII. თბ., 1985.
9. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD – საბ. 1760.
11. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 7872.
12. ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გა-მოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ღერძიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქაშვილმა. თბ., 1989.

Ioseb (Soso) Alimbarashvili

Gori State Teaching University, Assistant Professor

THE ROLE OF GEORGIAN CHURCH IN DEFENSE OF THE COUNTRY RESUME

The article deals with The Georgian Church's participation in defense of the country. Despite the fact that spiritual

leaders' duty is not participating in fighting processes, they sometimes had to take a sword and shed blood. The precondition of this act of heroism was saving the country as it is cited by one of the characters of the article: "This struggle is for Christianity and not only for me".

Unfortunately such hard times took place time and again in Georgian history and the considerable number of spirituals sacrificed their own lives to the motherland. The author of the article brings concrete examples of spiritual leaders' heroism in defense of the country and also reviews their active role in taxation policy, gathering and organizing troops, etc.

ლელა თოვოშვილი
კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

**ბათუმის პორტო-ფრანგულის ეკონომიკური მნიშვნელობის
საკითხისათვის**

დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით რუსეთი გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ყირიმის ომში (1853-1856 წწ.) რუსეთის იმპერიის მარცხმა აშკარად გამოავლინა ბატონყმური სისტემის დრომოჭმულობა, რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენილობა ეპროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით. ცხადი იყო, რომ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა იყო ქვეყნის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი (1: 55).

ბატონყმობის გაუქმებამ და XIX ს. 60-70-იანი წლების რეფორმებმა დიდად შეუწყო ხელი ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებას. ეს პროცესი სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობდა, მაგრამ ძველი ბატონყმური სოციალური და ეკონომიკური სისტემების ნგრევა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრება მაინც წარმოადგენდა ამ ეპოქის განმსაზღვრულ მოვლენას (2: 60).

XIX ს. 70-იან წლებში რუსეთისა და დასავლეთ ეპროპის სახელმწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია) ბრძოლა თურქეთის ტერიტორიის გადანაწილებისათვის ახალ სტადიაში შევიდა (3: 75). რუსეთის მისწრაფებას – ხელთ ეგდო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები და ქალაქი სტამბული-ტრადიციულად ეწინააღმდეგებოდა ინგლისი და საფრანგეთი (4: 77). დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მიზანი იყო, როგორმე

დაესუსტებინათ რუსეთი. რუსეთი კი, პირიქით, ცდილობდა, ევროპული ტექნიკა და ნაწარმი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა, თუნდაც იგი ძვირადლირებული და სარისკო ყოფილიყო. რუსეთის ამ ახალი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებული ჯერ კიდევ იმპერატორი პეტრე I იყო. მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა პეტრეს გეგმის შესრულება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში შემუშავებული ახალი კურსის შესახებ თავის დროზე, თურმე, თვით პეტრე I განუცხადებია, რომ მათ ესაჭიროებოდათ რამდენიმე ათეული წელი, ხოლო შემდეგ ზურგით უნდა შემობრუნებულიყვნენ (8: 142).

რუსული გეგმის საწინააღმდეგოდ, ევროპელებმა შეიმუშავეს კონტრგეგმა, რომელიც, პირიქით, გულისხმობდა რუსეთის გადაქცევას დასავლეთ ევროპის სასოფლო-სამეურნეო დანამატად. ევროპელთა ამ გეგმის განხორციელება გულისხმობდა რუსეთში პორტო-ფრანკოს დაწესებას. იგი გათვალისწინებული ჰქონდათ საამისოდ ისეთ მოხერხებულ ადგილებში, როგორიცაა: ოდესა, ბათუმი და სხვ. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ოდესაში პორტო-ფრანკოს შექმნის იდეა პირველად წამოუყენებია ევროპელ კაპიტალისტებთან დაკავშირებულ ფრანგ ემიგრანტს ჰერცოგ რიშელიეს, რომელიც მეტად მოხერხებული ადამიანი ყოფილა (9: 114).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად (დასრულდა 1878 წლის 3 მარტის სან-სტეფანოს საზავო ხელ-შეკრულებით) თურქეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს ბულგარეთმა, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორია. სან-სტეფანოს ზავის მიმართ დიდ უკმაყოფილებას არ მაღავდა ინგლისი. მისი ინიციატივით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მიაღწიეს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას. ხელ-შეკრულების გადასინჯვის საკითხი განიხილა ბერლინის სა-

ერთაშორისო კონგრესზე რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, ზოგი რამ დაეთმო. 1878 წლის ივლისში ბერლინში ხელმოწერილი ტრაქტატით რუსეთს გადაეცა თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტანი და ოლთისი. ბერლინის ტრაქტატით, ბათუმი რუსეთს პორტო-ფრანკოს (ლია ნავსადგური) სტატუსით გადაეცა. პორტო-ფრანკოს დაწესება ბათუმში რუსეთის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ მოვლენად უნდა ქცეულიყო. ბათუმში პორტო-ფრანკოს გამოცხადებისთანავე, ქართულმა პერიოდულმა პრესამ, კერძოდ, „დროებაშ“ და „ივერიაშ“ სასტიკად ამხილა „თავისუფალი“ ქალაქის შექმნის გეგმები. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. ძესხი, ი. გოგებაშვილი და სხვ. თავიანთ წერილებში სასტიკად ილაშრებდნენ ბათუმში პორტო-ფრანკოს დაწესების წინააღმდეგ.

პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლაში მაღლე ჩაება რუსული პერიოდული პრესა. გაზეთ „კავკაზში“ 1881 წელს ზედიზედ სამი ვრცელი წერილი მოათავსეს. წერილების ავტორი იყო ცნობილი რუსი ინჟინერ-ეკონომისტი ნ. შავროვი. 1884 წელს პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ კვლავ გამოვიდა ნ. შავროვი. ახლა უკვე საგანგებოდ შედგენილ წერილში იგი ამტკიცებდა, რომ ბათუმის განვითარებისა და მთელი ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი და გადაუდებელი იყო მისი განთავისუფლება ინგლისელთა ტყვეობისაგან, ეკონომიკური ბლოკადისაგან (10: 34). რუსეთის ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს იცავდნენ და ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებას მოითხოვდნენ გაზეთები: „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, „რუსკი ვესტნიკი“, „ნოვოროსიისკი ტელეგრაფი“, „გოლოს“ და სხვ. როგორც რუსული პერიოდული პრესა იუწყებოდა, პორტო-ფრანკო ბათუმში საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიისა და თვით რუსეთის

მრეწველობის განვითარებას. იგი აბრკოლებდა ბათუმის ეკონომიკურ წინსვლას, ხელს უშლიდა ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გახსნას. პორტო-ფრანკო რომ არ ყოფილიყო, როგორც ფაქტობრივი მასალებით აღასტურებს მაშინდელი ცნობილი რუსი ეკონომისტი პოკოტილო,-ბათუმს ექნებოდა ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები და იგი ამ მხრივ, თუ მეტს არა, ბაქოს მსგავს როლს მაინც შეასრულებდა.

პორტო-ფრანკოს წყალობით კონტრაბანდულ ვაჭრობას დღიდი გასაქანი ეძლეოდა. ეს კი რუსეთის მრეწველობას აზიანებდა, რადგან მისი წარმოებული საქონელი არ სალდებოდა. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ მოითხოვდა პორტო-ფრანკოს გაუქმებას. იგი შენიშნავდა, რომ პორტო-ფრანკოს პირობებში ბათუმი სავაჭრო კონტრაბანდის ცენტრი იყო და წარმოადგენდა სავაჭრო საწყობს ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, რომლებიც რუსული მარკით აგზავნიდნენ რუსეთში ეპროპულ საქონელს. რუსი ეკონომისტების აზრით, ეს იყო აშკარა კონტრაბანდა; ასეთი გზით ევროპული საქონელი უბაჟოდ გადიოდა რუსეთის ბაზარზე. მაგალითად, ბათუმმა 1883 წელს მიიღო 600 ათასი ფუთი „ქართული“ ხილი. თუ ამ რაოდენობას ბათუმის ყოველ მცხოვრებზე (3500 სულზე) გავანაწილებთ, მაშინ გამოდის, რომ ყოველ ბათუმელზე წელიწადში 150 ფუთი ხილი მოდიოდა. ცხადია, ეს ასე არ იყო. ბათუმში ქართულის ნაცვლად თურქული ხილი შემოზიდეს, ბათუმიდან კი ის რუსული მარკით გაიყიდა ყოველგვარი ბაჟის გარეშე (11: 237).

ბათუმის პორტო-ფრანკოს გამოცხადებასთან დაკავშირებით ცარიზმის მიერ შექმნილმა საბაჟო რეჟიმმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ოლქის მოსახლეობა. ისინი ქ. ბათუმს მოწყვეტილები აღმოჩნდნენ. პორტო-ფრანკომ, სხვა მრავალ შემავიწროვებელ მოვლენასთან ერთად, განსაკუთრებით შეუწყო ხელი ე.წ. მუჰაჯირობას-მაჰმადიანი მოსახლეობის

მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა (6: 103). პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ აჭარაში, ართვინსა და იმერ-ხევში დიდი სახალხო მოძრაობა წარმოიშვა, თითქოს მთა და ბარის მოსახლეობა გაერთიანდა, მთელი ხალხი ფეხზე დადგა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სახელზე დაწერილ საჩივარ-განცხადებას ოლქის სრულწლოვანი მოსახლეობის უმრავლესობა აწერდა ხელს, უმაღლეს მთავრობას სოხოვ-დნენ უბედურების მომტანი პორტო-ფრანკოს გაუქმებას. განცხადებაში გადმოცემული იყო ოლქის მცხოვრებთა მძიმე მდგომარეობის საქმაოდ ნათელი სურათი, რაც პორტო-ფრანკომ მოუტანა მათ (7: 379). მეფესთან წარსაღვენად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სახელზე განცხადება შეიტანა ბათუმის ოლქის ართვინის, გონიოს, ზემო აჭარის, კინტრიშის, ქვემო აჭარის, არტანუჯის, შავშეთ-იმერხევის უბნების მოსახლეობამ. ხელის მომწერნი (ზოგ განცხადებაში 400-500 ხელის მოწერაა) თავიანთ თხოვნას ამთავრებდნენ პორტო-ფრანკოს გაუქმების მოთხოვნით (5: 60). მართლაც შემაძრწუნებელი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს გამო შექმნილი მდგომარეობა. ბათუმში ჩამოსული მოქალაქენი შეურაცხყოფილნი ტოვებდნენ ამ ახლად შემოერთებულ ქალაქს. მაგალითისათვის მოვიყვანთ ცნობილი რუსი კლასიკოსი მწერლის გლებ უსპენსკის შთაბეჭდილებებს ბათუმსა და პორტო-ფრანკოზე. იგი 1882 წელს ჩამოსულა ბათუმში, დაწვრილებით გასცნობია შექმნილ ვითარებას და საშინლად აღელვებულა იქ დაწესებული პორტო-ფრანკოს მძიმე შედეგებით. გლებ უსპენსკი თავის ცნობილ „მგზავრის შენიშვნებში“ სვამს კითხვას, თუ რა არის ბათუმი? და იქვე პასუხობს, რომ რა არის პორტო-ფრანკო-ამას ვერავინ ვერ გებულობს (11: 238). გლებ უსპენსკის ფრიად ამაღლვებელი და მძიმე შთაბეჭდილება დარჩა საბაჟოს მოხელეთა განუკითხავი მოქმედებით. მეფის ერთგული ჩინოვნიკები უმაღლესი მთავრობის მიერ ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შედგენილი

წესდების საფუძველზე მოქმედებდნენ, ქალაქის ფარგლებში ადამიანებს ყოველ ნაბიჯზე ჩხრეკდნენ, არავის არ ენდობოდნენ. ასეთ პირობებში, გლებ უსპენსკის აზრით, ბათუმში ადამიანი თავს გრძნობდა ისე, როგორც ქურდი დამნაშავე სახელმწიფოს წინაშე (11: 238).

პორტო-ფრანკოს დაწესებამ ახლად შემოერთებულ მხარეში ერთიორად გაამწვავა ისედაც მძიმე პირობები. ფრიად კრიტიკული მდგომარეობის გამო კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი იძულებული გახდა, სპეციალური მოხსენებით წარმდგარიყო მეფისა და ფინანსთა მინისტრის წინაშე. დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებაში ნაჩვენებია ბათუმის პორტო-ფრანკოს დამლუპველი როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელმა თავის ოფიციალურ წარმდგრინება-მოხსენებაში აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმება, მით უფრო, რომ დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებას მეფემ საკუთარი ხელით გვერდზე მიაწერა, რომ მთლიანად იზიარებდა მის მოსაზრებას. ამის მიუხედავად, პორტო-ფრანკოს საკითხი უმაღლეს ინსტანციებში ერთხანს კიდევ ირჩეოდა.

ბათუმში პორტო-ფრანკო არსებობდა 1878-1886 წლებში. ის დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი, მისი საერთაშორისო ზედირითი წონა და განვითარების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა მე-19 ს. 80-იან წლებში. ამიტომ რუსეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ძალებმა შედარებით ადრე და ადგილად შეძლეს პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება და მისი ლიკვიდაცია. 1886 წლის 23 ივლისს იმპერატორ ალექსანდრე III ბრძანებულებით ბათუმის პორტო-ფრანკომ არსებობა შეწყვიტა. პორტო-ფრანკოს გაუქმებით რუსეთმა დაიცვა საკუთარი სა-

მრეწველო-ეკონომიკური ინტერესები, რამაც იმთავითვე და-დებითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

დამოწმებანი:

1. ანთელავა ი., საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 1971.
2. ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს ისტორია 1801-1921 წლებში, თბ., 1999.
3. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., თბ., 1949.
4. საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. V, თბ., 1970.
5. უურნალი „მაცნე“, №3, თბ., 1976.
6. ბრუსნიკინი ე., ისტორიის საკითხები 1965.
7. საიმპერატორო რუსული საისტორიო საზოგადოების კრებული, ტ. 78, 1897.
8. ზოლოტოვი ვ., სამხრეთ რუსეთის საშინაო ვაჭრობა XIX ს. პირველ ნახევარში, როსტოვი, 1963.
9. ცავოლოვი ნ., რუსეთის ეკონომიკური აზრის აღწერა ბატონყმობის გაუქმების პერიოდში, 1956.
10. შაროვი ნ., შავი და კასპიის ზღვების შედარებითი მნიშვნელობის შესახებ, 1884.
11. უსპენსკი გ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, 1949.

Lela Togoshvili

Gori State Teaching University, Associate Professor
**FOR BATUMI'S PORTO-FRANCO'S ECONOMIC
ROLE
RESUME**

In some western European countries surveyed, Russia embarked on Capitalist road of development late. In the sec-

ond half of the XIX Century, the establishment of bourgeois relations, despite the slow Pace of this process, it was the defining event of this era.

1878 The Treaty of Berlin , Batumi was given to Russia as the Porto-Franco status, that damaged the national income.

Large quantities of smuggled goods were reached from Batumi To Russia's inner regions ,which complicated the sale of Russian Goods and industrial development.

According to Russia's industry-economic interests of the government Abolished the Porto-Franco which was immediately positive impact.

On the country's economic development.

გურამ კუტალია

გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

კიდევ ერთი ცნობა „ძლევაი საკვირველის“ შესახებ
(ეძღვნება აკად. შ. მესხიას ხსოვნას)

დიდგორის ბრძოლას, ანუ, როგორც ქართულ წყაროებშია მოხსენიებული, „ძლევაი საკვირველს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. დიდია ის ინტერესი, რასაც მის მიმართ იჩნდნენ და იჩნენ სხვადასხვა თაობის ისტორიკოსებით თუ სხვა დარგის წარმომადგენლები; დაიწერა არაერთი წიგნი და სტატია, გამოვლენილ იქნა მეტად მნიშვნელოვანი წყაროები. ინტერესმოკლებული არც ქემალ ად-დინის „ალეპოს ისტორიაა“, რომელიც ამ უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი ქართველი ფართო საზოგადოებისათვის. მასში ვეცნობით ადრე გამოყენებული წყაროებისაგან რამდენადმე განსხვავებულ და რამდენიმე ფრაზაში გადმოცემულ ცნობას დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობისა და მნიშვნელობის შესახებ (5: 501-504).

ვერ ვიტყვით, რომ ეს წყარო ჩვენი ინიციატივით მოვიძეთ, ამიტომ ჯერ იმაზე ვისაუბრებთ, თუ როგორ მივაგენით მას.

1972 წლის იანვარი იდგა. ჩემთან მოვიდა ბატონი შოთა მესხიას (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, აკადემიკოსი და დახვეწილი ინტელიგენტი), საოცრად თბილი ადამიანი, რომელიც სტუდენტების, კოლეგების და მეგობრების დიდი სიყვარულით სარგებლობდა) უახლოესი ნათესავი და საქართველოს ისტორიის კათედრის

თანამშრომელი გივი შენგელაია, იგი ჩემი მეგობარიც იყო. მან მითხრა: ბატონი შოთა სახლში გიბარებსო. ეს ის დროა, როდესაც განუკურნებელი სენით დაავადებული ბატონი შოთა სახლიდან ვერ გამოდიოდა. იმავე დღეს ვეახლე მას. იგი შინაურულად ჩატმული და ლოგინზე წამომჯდარი დამხვდა. იქვე გადაშლილი წიგნებითა და ნაწერებით სავსე მაგიდა იდგა, ჩანდა, იგი კვლავ აგრძელებდა მუშაობას, ხელახალი გამოცემისათვის ამზადებდა წიგნს – „დიდგორის ბრძოლას“, რომელიც შემდეგში (მისი გარდაცვალების შემდეგ) „ძლევაი საკვირველის“ (7) სახელწოდებით გამოვიდა.

ურთიერთმოკითხვის შემდეგ ბატონი შოთა მეუბნება: ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში ვარ, გარეთ ვერ გამოვდივარ, იქნებ დამეხმარო და დამიზუსტო ეს ცნობა, რომელსაც მ. ზაბაროვი იხსენებსო, თანაც მომაწოდა კრებული “Византийский временник” (1965 წ. №26), სადაც დაბეჭდილი იყო ჯვაროსნული ლაშქრობების ამ ცნობილი სპეციალისტის სტატია; სტატიაში მოყვანილი იყო ფრაზა ჯვაროსნული ლაშქრობების თანამედროვე ფრანგი ქრონისტის, გიიომ ტირელის თხზულებიდან, რომელშიც ერთ კონტექსტში სხვა ქვეყნებს შორის საქართველოც მოიხსენიებოდა (11: 12). იქნებ ამ ქრონისტს ჩვენთვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი ცნობაც გააჩნდესო, - დასმინა ბატონმა შოთამ. ამოგწერე გამოცემის სახელწოდება - „Recueil des Historiens des Croisades“ (კრებული ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიიდან) (t.1, Paris, 1884), რომლიდანაც მოყვანილი იყო ქრონისტის ცნობა. შევპირდი ბატონ შოთას, რომ ყველაფერს ვიღონებდი, რათა მომექებნა ეს ცნობა. მაშინვე საჯარო (ამჟამად ეროვნულ) ბიბლიოთეკაში წავედი, მაგრამ იქ მხოლოდ ის ტომი აღმოჩნდა, რომელშიც მოთავსებულია სომეხი ისტორიკოსის მათე ურპაელის (ედესელის) თხზულება – „უამთაღმწერლობა“. მოვძებნე აკადემიის ბიბლიოთეკაშიც, მაგრამ ამ „კრებულის“ არც ერთი ტომი არ აღმოჩნდა იქ. დავბრუნ-

დი თსუ-ს ბიბლიოთეკაში (იმუქამად I კორპუსში მდებარეობდა) და მის კატალოგებში დავიწყე ამ გამოცემის ძებნა. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას „კრებულის“ ყველა ტომი გააჩნდა. გამოვიწერე ის ტომი, რომელიც ბატონ შოთას აინტერესებდა, მაგრამ ორი საათის ლოდინის შემდეგ ამომივიდა პასუხი: „არ იძებნება“. შეწუხებულმა ბიბლიოთეკის სამეცნიერო განყოფილების გამგეს, ქალატონ მარგო ოქიტაშვილს ვუამბე საქმის ვითარება და ვთხოვე, რომ უფლება მოეცა, თვითონ მომებებნა ეს წიგნი. ჩამაცვეს თეთრი ხალათი და შემიყვანეს უზარმაზარ დარბაზში, სადაც წიგნების მთა იდგა. მირჩიეს, იქ მეძებნა. საქმაოდ დიდხანს ვიმუშავე – წიგნები ერთი ადგილიდან მეორეზე გადამქონდა, დავიღალე კიდეც, თუმცა ეს დაღლა მაშინვე გამიქრა, როცა ვიპოვე და გადმოვალაგე აღნიშული „კრებულის“ ოცდაათივე ტომი, რომლებიც გამოცემულია პარიზში XIX საუკუნეში. ესაა დიდი ფორმატის სქელი წიგნები, ფოლიანტებს რომ ეძახიან, თითოეული ტომი 1200-1500 გვერდისა-გან შედგება. აქ შესულია ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ არსებული ყველა დოკუმენტი არაბულ, ბერძნულ, სომხურ და ლათინურ ენებზე, იმ ენებზე, რომლებზეც თავდაპირველად დაიწერა ეს დოკუმენტები, ოღონდ თითოეულ მათვანს (ლათინურ ენაზე დაწერილი დოკუმენტების გარდა) ახლავს ფრანგული თარგმანი, აქვს შენიშვნებიც.

ამ ტომებთან დაკავშირებით ქალატონმა მარგო ოქიტაშვილმა, რომელიც დარბაზში თან ჩამომყვა, ერთი საგულის-ხმო ფაქტიც მიამბო: 35 წელზე მეტია, რაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე ბატონი შოთა მეორე კაცია, ვინც ამ გამოცემით დაინტერესდა. პირველი კი, რომელმაც ეს წიგნები წაიკითხა, ჩვენი სასიქადულო კონსტანტინე გამსახურდია იყოო. იგი თავის ტრილოგიაზე – დავით აღმაშენებელზე მუშაობის დროს ამ ტომებს სისტემა-

ტურად ეზიდებოდა სახლში და კრებდა მასალებს საქართველოსა და დავით აღმაშენებელზე.

გაწბილება მაინც არ ამცდა: ტომი, რომელიც ბატონ შოთას აინტერესებდა, თურმე სამი წიგნისაგან შედგება, პირველი და მესამე წიგნები იყო, მეორე კი, სადაც ცნობა იყო საქართველოს შესახებ, საცავში არ აღმოჩნდა. იმ დღესვე წერილი ვაფრინე მოსკოვში, სადაც ამ დროს ჩვენი კათედრის ასპირანტი – ეთერ ჯაჭვამე იმყოფებოდა, ვთხოვდი, რომ მოენახა, ამოეწერა და სასწრაფოდ გამოეგზავნა აღნიშნული წყარო.

ვიდრე პასუხს ველოდებოდი, დავიწყე აღნიშნული ტომების კითხვა-გადათვალიერება. მათდამი ჩემი ინტერესი ქალბატონ მარგოს ინფორმაციამ უფრო გააძლიერა. მხოლოდ პირველი ხუთი ტომის გადათვალიერება მოვასწარი, თუმცა ამ ზერელე გადათვალიერებითაც მესამე ტომში მივაგენი სწორედ იმ ცნობას, რომელიც დაცულია ქემალ ად-დინის „აღეპოს ისტორიაში“.

ვიდრე ამ ტომებს ვათვალიერებდი და ქემალ ად-დინის ცნობას ვამუშავებდი, მოსკოვიდანაც ჩამომივიდა ის წყარო, რომელიც ბატონ შოთას აინტერესებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, მასში არაფერი იყო ისეთი, რაც ბატონ შოთას დააინტერესებდა. ბატონ შოთას ბევრად გაახარებდა ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ, მაგრამ ამ წყაროს გადაცემა ვერ მოვასწარი. მისი ჯანმრთელობა გაუარესდა და იგი ჯერ მოსკოვში წაიყვანეს სამკურნალოდ, მოსკოვიდან ჩამოყვანის შემდეგ კი თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში (ლეჩკომბინატს რომ ეძაბლნენ) იწვა და აქ 1972 წლის მაისის თვეში 56 წლის ასაკში, მეცნიერული გაფურჩქნის პერიოდში, გარდაიცვალა.

ასე შემრჩა ხელში ქემალ ად-დინის ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„...სელჯუქთა სულთანმა ტოღრულმა ქართველების და მათი მეფის დავითის წინააღმდეგ დახმარება თხოვა ილ-ლაზი ორთოვის ძეს და ისინი, მსოფლიოში უძლიერესნი, გაემართნენ მისკენ მრავალრიცხოვანი არმიით; მათ თან ახლდა დუბეის სადაკას ძე. **მუსლიმებმა, რომლებმაც თავდაპირულად დაამარცხეს ქართველები, მოსდიეს მტერს ბილიკით და მოუქცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე.** შემდეგ ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ და ეკვეთნენ მათ და დამარცხდნენ მუსლიმები. მისდევდნენ რა, ქართველები ხოცავდნენ და ტყველ იგდებდნენ მათ. დუბეისი, რომლისგანაც წართმეული ნადავლის ღირებულება შეადგენდა 300 000 დინარს, ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზისთან ერთად გაემართა მარდინში უკნებლად...“

ამ ტექსტის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს სირიაში მომხდარ იმ არეულობაზე, რომელიც მოჰყვა დიდგორთან ილ-ლაზის მარცხს, მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით, სხვაგვარ კავშირში ვისაუბრებთ.

ჯერ შევეხებით ამ ცნობის ავტორის ვინაობას: ქემალ ად-დინი თვითონ არ ყოფილა დიდგორის ბრძოლის თანამედროვე. იგი დაიბადა 1192 წელს ალეპოში, გარდაიცვალა 1262 წელს ეგვიპტეში (12: 573-574).

ჩანს, რომ მას თავისი დროისათვის კარგი განათლება მიუღია და აღვილობრივი (ალეპოს) მთავრობის ნდობაც დაუმსახურებია: ჯერ იყო და ათ წელზე მეტ ზანს (1230-1242) ასრულებდა სხვადასხვა დიპლომატიურ მოვალეობებს, ხოლო 1243 წლიდან უკვე ალეპოს გამგებლის მრჩეველია (12: 574).

ირკვევა ისიც, რომ დიპლომატიური მოღვაწეობის დროს და უფრო ადრეც ქემალ ად-დინი ბევრს მოგზაურობდა და დაუტოვებდა არაერთი ნაშრომი ამ მოგზაურობების შესახებ. მოგზაურობის დროს და თვით ალეპოშიც იგი ისტორიულ მასალებს აგროვებდა. სწორედ ამ მასალების საფუძველ-

ზეა შედგენილი მისი „ალეპოს ისტორია“, სადაც მოთხოვნილია ამბები, მოყოლებული 1097 წლიდან, ვიდრე 1146 წლამდე (12: 575).

ქემალ ად-დინი უმთავრესად იმეორებს მის წინამორბედ არაბ ავტორთა ცნობებს, თუმცა განსხვავებული მასალაც მოაქვს. ეს ითქმის მის იმ ცნობაზეც, რომელიც დიდგორის ბრძოლას ეხება. როგორც ვთქვით, ქემალ ად-დინის ცნობების დიდი ნაწილი უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის; გამოყენებული იყო მხოლოდ ის ნაწილი, სადაც საუბარია სირიაში მომხდარ დიდ არეულობაზე, სულეიმანის მამის (ილ-ლაზის) საწინააღმდეგო აჯანყებაზე, რომელიც მოჰყავა დიდგორთან მარცხს. ეს მასალა ქველი ჩხატარაიშვილს მოაქვს 1973 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - „დიდგორის ბრძოლა“. ამ შემთხვევაში მას უსარგებლია ფრანგი ავტორის რ. გრუსეს ნაშრომით - „ჯვაროსნული ომებისა და იერუსალიმის ფრანგთა სამეფოს ისტორია“ (3).

მაინც რით იპყრობს ყურადღებას ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ?

უპირველესად იმით, რომ იგი ერთხელ კიდევ თვალსაჩინოს ხდის ქართველ ავტორთა იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც დავით აღმაშენებელს ბრძოლა მოუხდა მუსულმანთა არა ცალკეულ რაზმთან, როგორც ამას ინგლისელი ავტორი მონორსკი ფიქრობს (13), არამედ კოალიციურ ლაშქართან, რომელსაც მოუძღვნენ აღმოსავლეთის ისეთი ცნობილი და გავლენიანი მფლობელები, როგორებიც იყვნენ: ილ-ლაზი ორთოკის ძე, დუბეის სადაკას ძე და ტოლრული. ჩანს, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც იყო არანისა და განძის გამგებელი, თავის ძმა მაპმუდთან (სელჯუკთა სულთანთან) ერთად ამ ლაშქრობის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო. ისინი არაერთხელ შეუვიწროებია დავით აღმაშენებელს (7, I, 337). მარტოდმარტო შებრძოლება გაუჭირდებოდათ და ამიტომ ერთობლივი ლაშქრობა შეუთავაზებიათ მუსულმანი გამ-

გებლებისათვის, ჯარის გაძლოლა კი უთხოვიათ იღ-ღაზი-სათვის, რომელიც გამოჩენილი სარდალი იყო, არაერთ ბრძოლაში დაუმარცხებია ჯვაროსნები (6: 96).

იღ-ღაზი ორთოკის ძე მალე გამოხმაურებია მუსულმანი გამგებლების თხოვნას და საქართველოსკენ წამოსულა „მრავალრიცხოვანი არმიით“ (12: 628).

ქემალ აღ-დინის ცნობა, როგორც ვთქვით, სიახლის შემცველიცაა. ეს ეხება დავით აღმაშენებლის მიერ გამოყენებულ ტაქტიკურ ხერხს, მაგრამ, ვიდრე ამაზე ვისაუბრებდით, ჯერ გავიხსენოთ იბნ აღ-ასირიისეული ცნობა, რომლის მიხედვით, შეხვდნენ რა ერთმანეთს, მუსულმანთა და ქართველთა არმიები მოეწყვნენ საბრძოლველად. ქართველთა ლაშქარს გამოეყო 200 ყივჩაღი და მტრის განლაგებისაკენ გაემართა. მუსლიმებმა ისინი დანებების მოსურნებად მიიჩნიეს და ამიტომ არ მიიღეს უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ზომები. ყივჩაღებმა მიახლოებისთანავე მათ ისრები დააყარეს, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა მუსულმანებისათვის, ისინი დაიბნენ, მათი ჯარის წინა რიგები აირია, უკან მდგომ რაზმებს ეგონათ – დავმარცხდითო და გაიქცნენ. გაქცეულები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ერთმანეთს თელავდნენ. რა თქმა უნდა, ქართველებიც ხოცავდნენ მათ (8: 104). მაშასადამე, იბნ აღ-ასირის მიერ მოთხოვნილი ტაქტიკური ხერხი, რომელიც დავით აღმაშენებელმა გამოიყენა, ემყარებოდა მტერზე უეცარი თავდასხმის პრინციპს და ამ გზით მოწინააღმდეგის განადგურებას, რაც სიახლე იყო სამხედრო ხელოვნებაში. ეს აზრია გაზიარებული ჩვენს ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში, ამ უკანასკნელ დრომდე ამ აზრს გამოთქვამდნენ არა მარტო ქართველი ისტორიკოსები, არამედ სამხედრო ხელოვნების ისტორიის ისეთი მკვლევარიც კი, როგორიც იყო სტროკოვი.

რაც შეეხება ქემალ აღ-დინის ცნობას, მას იბნ აღ-ასირიისეული ცნობისაგან ის განასხვავებს, რომ მასში სულ არაფერია ნათქვამი დავითის მიერ გამოყენებულ უეცარი თავ-

დასხმის პრინციპზე. პირიქით კი არის: ქემალ ად-დინი იმაში გვარწმუნებს, რომ თავდაპირველი იერიში მუსლიმებმა მიიტანეს ქართველებზე. „მუსლიმებმა, – წერს იგი, – თავდაპირველად დაამარცხეს ქართველები და მისდეის რა მტერს ბილიკებით, მოქქენებ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე“ (12: 628). ეს შეტევა მუსლიმებისა მართლაც მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფსიქოლოგიურ მომენტს, რომელზეც ვალტერ გოტი და მათე ურპაელი მიუთითებენ. გოტის ცნობით, დიდგორთან მისული თურქები ხეობაში შევიდნენ „ძლიერი ყიჯინით, ცხენითა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით“..., ზარდამცემ ბაირალებით...“ „ამ ხმურობებს მთა და ბარი ბანს აძლევდა: (1: 46). „ლაშქართა საშინელ ყიუინს მთები ბანს აძლევდნენ“ (4: 246), – წერს მათე ურპაელიც.

ამ ფსიქოლოგიური მომენტის ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო შეტევა და ქართველების ის „მარცხიც“, რომელზეც მიუთითებს ქემალ ად-დინი. მხოლოდ „მარცხისა“ და გაქცევის შემდეგ შემოუბრუნდნენ ქართველები მუსლიმებს, რომლებსაც „ხოცავდნენ და ატყვევებდნენ“. ამგვარად, „თავდაპირველი დამარცხება“ და „დევნა“ ქართველებისა, რომელზედაც მიუთითებს ქემალ ად-დინი, დავითის გეგმაში შედიოდა და ითვალისწინებდა მტრის რაზმების შეტყუბას ქართველთა განლაგების სიღრმეში, სადაც მოულოდნელი დარტყმის მიყენებას როგორც „გაქცეულების“ მხრიდან, ისე ფლანგებიდან მეტი ეფექტი ექნებოდა – მას შეეძლო მტრის რაზმების დაბნევა და მოსალოდნელი კატასტროფისაგან თავის დაღწევის მიზნით უკუქცევის დაჩქარებაც.

ქართველთა „თავდაპირველი დამარცხებისა“ და დევნის ამ საინტერესო დეტალს ალ-კალანისის ცნობაც ადასტურებს, რომელიც, ს. მარგიშვილის თქმით, ქემალ ად-დინის ცნობის იდენტურია (6: 135). ეს ცნობა სამეცნიერო ბრუნვაში პირველად გ. ჯაფარიძემ შემოიტანა. სხვათა შორის, ეს საინტერესო დეტალი არა აქვს აღნიშნული არც დავითის

ისტორიკოსს, არც მათე ურპაელს, არც გოტიესა და არც ალ-ფარიკს, თუმცა არც ერთი მათგანის ცნობა არ გამორიცხავს ქართველთა ზემოაღნიშნული „დამარცხებისა“ და „დევნის“ შესაძლებლობას. თვით დავითის ისტორიკოსი მიგვანიშნებს: „ყველაფურ იმის აღწერა, რაც დავითმა გააკეთა, ყოველთა ბრძნთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხოვოდ ზედმიწევნით ყოველსავე“ (8, I :341).

ამგვარად, ქემალ ად-დინის და ალ-კალანისის ცნობებიდან ის ირკვევა, რომ დავით აღმაშენებელმა გამოიყენა მტერზე არა უეცარი თავდასხმის ტაქტიკა, რომელსაც მოჰყვა მუსლიმების გაქცევა და განადგურება, არამედ ის ტაქტიკური ხერხი (ჰუნური ანუ მონღოლური ტაქტიკა), რომელიც უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ზელოვნებაში“. (10: 49). დამარცხების იმიტაციით მან მტერი იქ შეიტყუა, სადაც მისთვის ბრძოლა უფრო მოსახერხებელი იყო. ამდენად, მართალია ზ. ავალიშვილი, როცა წერს: თურქებმა ბრძოლა „ქართველთა მიერ შერჩეულ ადგილზე“ გამართეს და კიდეც დამარცხდნენ (1: 39). ილ-ღაზმა დაუშვა უდიდესი შეცდომა; მან დაარღვია სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი წესი, რომლის მიხედვით „მთებზე იერიში არ მიაქვთ“ (ნაპოლეონ ბონაპარტე), რადგან აქ შეუძლებელია ჯარის საბრძოლო წყობად გაშლა (9: 17).

* * *

სხვათა შორის, 1979 წლის მაისში ჟურნალ „ცისკარში“ (№5) გამოქვეყნდა გიორგი გვინჩიძის სტატია „დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობის საკითხისათვის“ (2: 142) - 147), რომელიც ემყარება ჩვენ მიერ მოპოვებულ ქემალ ადდინის ცნობებს (ამ ცნობებს მარგიშვილიც იყენებს). ამ ცნობაზე დაყრდნობით ავტორი შეეცადა დიდგორის ბრძოლის ზოგიერთი დეტალის, განსაკუთრებით კი ამ ბრძოლაში დავითის მიერ გამოყენებული ტაქტიკური ხერხის ახლებურად

გააზრებას. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იბნ ალ-ასირისა და ქემალ ად-დინის ცნობებს არათუ არა აქვს ერთმანეთთან საერთო, არამედ ისინი ურთიერთს ავსებენ. მისი აზრით, 200 კაციანი ყივჩაღთა რაზმის მაპმადიანთა წინა რიგებში გამოჩენას, ე.ი. მოულოდნელ თავდასხმას, რომელმაც ერთხანს მტრის რიგებში არეულობა გამოიწვია, უნდა მოჰყოლოდა მათი გონზე მოსვლა და იერიშზე გადასვლა, ყივჩაღების უკან „გაქცევა“. ეს „გაქცევა“ დავითის გეგმაში შედიოდა და მიზნად ისახავდა მტრის შეტყუებას ქართველთა განლაგების სიღრმეში. შეტყუების ეს პროცესი უნდა გაეგრძელებინა ქართველთა უფრო მსხვილ განაყოფს. მაშასადამე, გ. გვინჩიძის აზრით, ყივჩაღებმა წამოიწყეს შეტყუების პროცესი, რომელიც შემდეგ გააგრძელა ქართველთა უფრო მსხვილმა განაყოფმა. ამის შემდეგ გ. გვინჩიძეს ბუნებრივად მიაჩნია ის, რომ უკან „გაქცეულება“ შემოუბრუნდნენ მტერს, ქართველებმა ფლანგებიდანაც შეუტიეს მას და სასურველ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ამ ორი ტაქტიკური ხერხის ერთმანეთთან შეთავსების ამდაგვარ მოსაზრებას დღეს არც ჩვენ უარვყოფთ, მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ, თუ დავუმვებთ ასეთი „შეთავსების“ შესაძლებლობას, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს არა ორ ტაქტიკასთან, არამედ ერთთან – შეტყუების იმ კომპლექსურ ხერხთან, რომელიც ცნობილია ჰუნური, ანუ მონლოლური ტაქტიკის სახელწოდებით, ე.ი, არ გამოვრიცხავთ რა, 200 – კაციანი ყივჩაღთა რაზმის (თუ ქართველთა უფრო მსხვილი შენაერთის) მაპმადიანთა წინა რიგებში გამოჩენას, ამაში ვხედავთ სხვას არაფერს, თუ არა მოწინააღმდეგის პროვოცირებას, შეტევის ერთგვარ იმიტაციას, რომელსაც ჩასაფრებაში შეტყუება უნდა მოჰყოლოდა.

* * *

ჩვენი თხრობის დასასრულს იმასაც ვიტყვით, რომ ქე-
მალ ად-დინი დაუფარავად წერს იმ კატასტროფულ შედე-
გებზეც, რომელიც მოჰყვა მაპმადიანთა ლაშქრობას საქარ-
თველოში. მართალია, იგი არ ასახელებს ზუსტ რიცხვს, თუ
რამდენი მუსლიმი დაიხოცა და რამდენი ტყვედ იქნა წაყვა-
ნილი ბრძოლის ველიდან, მაგრამ მისი თხრობიდან აშკარად
ჩანს, რომ ეს რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. დიდგორის ბრძო-
ლაში მაპმადიანებმა არა მარტო ადამიანების მხრივ განიცა-
დეს დანაკარგი, არამედ მატერიალურადაც. ქემალ ად-დინის
ცნობით, მარტო დუბეის სადაკას ძისაგან წართმეული ნადავ-
ლის ღირებულება შეადგენდა 300 000 დინარს (12: 628).
აღსანიშნავია, რომ დუბეის სადაკას ძის კისრისაგან „მოძარ-
ცული“ ძვირფასი თვლებით შემკულ ოქროს მანიაკს“ თამა-
რის ისტორიკოსიც იხსენიებს (5, II).

ქემალ ად-დინისგან იმასაც ვიგებთ, რომ დიდგორის
მარცხს დიდი არეულობა მოჰყვა მუსულმანთა სამყაროში.
ილ-ღაზის სამშობლოში სიურპრიზიც ელოდა, მას განუდგა
უფროსი ვაჟიშვილი სულეიმანი, „დუბეისთან მამის საეჭვო
გარიგების გამო“. მამის რჩევასა და მუდარას, რომ ეჭვები
უსაფუძვლო იყო, სულეიმანმა ყური არ უგდო, მიატოვა მამა
და დაატყვევა მისი მსახურები, სასტიკად მოეპყრო მამის
ხალხს, „სილები გააწინა და თან წვერებიც მოპარსა“, დაეპ-
ატრონა მათს ქონებას (12: 628). ფაქტობრივად, ეს ურჩობა
იყო, რომელსაც ქაოსი მოჰყვა ქვეყანაში. თანაც შვილი
„ფრანგებთან (ე.ი. ჯვაროსნებთან) „დაახლოების მოსურნეც
აღმოჩნდა, დაიახლოვა ფრანგები“ (12: 628). შექმნილი ვითა-
რებით კარგად ისარგებლეს ჯვაროსნებმა და მრავალ წარმა-
ტებასაც მიაღწიეს. ამგვარად, როგორც მართებულად შენიშ-
ნავს ქ. ჩხატარაიშვილი, დიდგორის ბრძოლას საერთაშორი-
სო მნიშვნელობაც ჰქონდა – ბოლო მოედო (დროებით მა-
ინც) მუსლიმების ერთიანობას და უზრუნველყო ჯვაროსნე-
ბის წარმატება.

დამოწმებანი:

1. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929.
2. გვინჩიძე გ., დიდგორის ბრძოლის მიმღინარეობის საკითხისათვის – უკრნალი „ცისკარი“, თბ., 1979, №5.
3. გრუსე რ., ჯვაროსნული ომებისა და იერუსალიმის ფრანგთა სამეფოს ისტორია, ტ I, პარიზი, 1948 (ფრანგულ ენაზე).
4. დავლიანიძე ლ., მათე ურპაელის ცნობები დავით აღმაშენებლის ეპოქაში. – საქართველო რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1966.
5. კუტალია გ., ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ. – საქართველოს აკადემიის „მოამბე“, 1974, №2.
6. მარგიშვილი ს., მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბ., 2006.
7. მესხია შ., „ძლევაი საკვირველი“, თბ., 1972.
8. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ I, თბ., 1955; ტ II, თბ., 1959.
9. ჩხატარაიშვილი ქ., შაიშმელაშვილი ი., დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.
10. ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ., 1995.
11. Византийский временник, М., 1965, №26.
12. Camel ad-Din. Histories Aleppo. - Recueil des Historiens des Crusades. Historiens orientaux, T. III, Paris, 1884.
13. Minorsky V., Studies in Caucasian History, London, 1953.
14. Qalanisi - the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronik of Al Qalanisi, 2002.

Guram Kutalia

Gori State Teaching University, Professor by contract,

Doctor of Historical Science

ONE MORE INFORMATION ABOUT

“DZLEVAI SAKVIRVELI” (“SURPRISING VICTORY”)

(is devoted to the memory of Academician Sh. Meskhia)

SUMMARY

Contemporaries treated with great interest to Didgori Battle (1121), or, as it is mentioned in Georgian sources “Dzlevai Sakvirveli” (“Surprising Victory”), which is connected to the King Davit Agmashenebeli. Camal Ad-Din’s “Histories of Alepo” is not either an exception, but it was not known to Georgian reader up to this last period of time. We get acquainted with information set out in a few phrases and somehow different from early used sources about the process of Didgori Battle and its significance. We learned from Camal Ad-Din’s work, that Davit Agmashenebeli had to fight not against single units of Muslims, as by an English author - Minorsky is thought, but against a coalition Army. News, which we learnt from Camal Ad-Din is, that in Didgori Battle Davit Agmashenebeli used not an immediate attack tactics, as it was thought early, but some tactical methods (of Hune’s or Mongols’ tactics), which “Had not been unknown to the Military Art of Easterns” (K. Chkhatarashvili).

Imitating defeating, the King David deceiving the enemy lead them to the places, where it was more easy to him to destroy the enemy and he was a success, he won .

Victory at Didgori Battle brought relief not only to Georgia, it was followed by a big mess in the world of Muslims and Crusaders fight became easier. All in all, from Camal Ad-Din we also learnt, that the Didgori Battle had the International importance as it terminated (at least temporary) Muslims unity and ensured success of the Crusaders.

გიორგი სოსიაშვილი
კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

არბოს წმინდა გიორგის ხატის ისტორიიდან

სოფელი არბო ერთ-ერთი უძველესია პატარა ლიახვის ხეობაში. არბოს სახელს უკავშირდება წმინდა გიორგის ქართლში განთქმული საღლოცავი და, აგრეთვე, წმინდა გიორგის ნაწილებიანი სასწაულომოქმედი ხატი. არბოს შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ვარიანს ზეით ერთვის ლიახუს აღმოსავლეთიდამ პატარა ლიახვ. ამის გამო ეწოდა დაბასა შერთული. ვანათამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეითისა, მეჯუდის მდინარისა და პატარას ლიახუს შუათა, გუერდის-ძირამდე. შერთულს ზეით არს ეკლესია არბო-წმიდისა, სასწაულომოქმედი, პატარა ლიახვს კიდეზე, დასავლით.“ ვახუშტი სქოლიოში დასძენს: „ვგონებ აქა ტფილელის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა მისია აღშენებულსა და სასწაულსაც მის მიერ“ (1: 369). თუმცა, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ვახუშტი აქ უფრო გადმოცემას ეყრდნობა, რაც სავარაუდოა, რომ მისი სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩაიწერეს. ვახუშტიც სწორედ ვარაუდის დონეზე წერს, მას მყარი საფუძველი რომ ჰქონიდა, ცხადია მიუთითებდა. საინტერესოა, რომ სოფელ არბოს ის არბო-წმიდის სახელით იხსენიებს. როდესაც ვახუშტი არბოს ეკლესიაზე საუბარს ამთავრებს, იქვე წერს, რომ „ამ არბო-წმიდის ზეით ერთვის პატარა ლიახვს აღმოსავლიდამ მერის ხევი“ (1: 369). არბო-წმიდის მსგავსად ქართლში არსებობდა და დღესაც არსებობს სოფლები საბაწმიდა (დიდი ლიახვის ხეობაში), ასევე თედოწმინდა. ასე რომ, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით რომ არბოს თავდაპირველი სახელ-

წოდება არბო-წმინდა უნდა ყოფილიყო. საქართველოში, კერძოდ კი ქიზიყში, არსებობდა სოფელი არბოშიკი, რომელსაც XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური იოპან ანტონ გიულ-ლენშტედტიც იხსენიებს (2: 257). წარმოშობით არბოელმა ისტორიკოსმა ნ. ლომოურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ არბო, სავარაუდოდ, სწორედ ქიზიყში არსებულ სოფელ არბოშიკიდან გადმოსახლებულმა ლომოურებმა დააფუძნეს და ეს სახელიც იქიდან უნდა გადმოუტანათ. სამეცნიერო ლიტერატურაში არბოს დაკავშირება წმ. მოწამე აბოსთან გაზიარებული არ არის (5: 20). საინტერესოა, რომ ძველი დროიდან არბოს წმინდა გიორგის ტაძრის გერის ტაძრის უმცროს ძმად თვლილენ (5: 17). როდესაც გერის სალოცავიდან ბრუნდებოდნენ მლოცველები, ისინი უსათუოდ უნდა შეჩერებილიყვნენ არბოში და აქაც უნდა მოელოცათ. ანდა როცა მლოცველს გერში ოჯახური მდგომარეობის ან უამინდობის გამო ვერ უხერხდებოდა ასევე, მას შეეძლო, გერის სალოცავის ნაცვლად შესაწირი არბოში მიეყვანა და არბოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისათვის შეეწირა. გერის წმინდა გიორგის ტაძრის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებია დაცული „გერის მონასტრის ქრონიკაში“. ქრონიკის ავტორი, გერში მოღვაწე სასულიერო პირი, იაკობ ლომოური წერს: „უამთა უკუე საქართველოს მეფე ფარსმან მეოთხის ბაგურ მეფის შემდეგისათა რომელმანცა ცოლად მოიყვანა აფხაზეთის დიდის თავადის თაქთორის ასული ხვარამზე, რომელსაცა ჰყვა პირველისთანა ქმრის წული, წოდებული ვარამისად. და ამას ხვარამზედა რა იქორწინა ხსენებულმან ფარსმან მეფემან, მისისა მდიდრულისა მზითვებისა გარდა ის ჰყვაცა შეჭედილი ხატი საღმონისა გიორგისა რომელი მიუბომა ახალთა რომის კეისარსა საბერძნეთისასა ნიჭად ერთგულობისა, ესე ვარამი გერი მისი ჰყვა ვითარცა მემკვიდრე თვისი მეფისა ვინათაგან თვით იყო უძეო, და სიცოცხლესა თვისსა, ხატი ესე ნაწილები დიდის გიორგისსა მოუბომა მეფემან გერსა

თვისსა და მიზეზისა გამო სპარსთა მიერ აოხრებასა ესე მეორედ ქართლისა ვერდარა ეძლო ფეხზედ დგომაი, არამედ აღმოუჩინა გერსა თვისსა, და მისცა ხეობაი ესე და მთა იგი, სადაცა ზდეურნი დიგალნი ოვსნი შემოასხნა და დააშენა ვაკესა მას ზედა, ხოლო წევრსა მისსა მთისასა ეკლესიაი, მისსავე სახელსა ზედა აღაშენა შუენიერი და არა დიდი, დიდისა მას სოფელსა უწოდა დიდი გერისა, ხოლო ზდება მისსა სახელსა ზედა ეკლესიასა დიდისა გერისთავი და შემდგომად აღშენებისა ამისა დიდისა სოფლის და მისისა ეკლესიისა, დედოფალი მიიცვალნეს და მერმედა მეფეცა, დაშთა სახელითა ამით ადგილი იგი შემდგომად მეფეთგან საუფლისწულოდ იწოდებოდა, ვიდრე სახელოვანის მეფის თამარისადმე, ხოლო ამის რა ქართლსა შინა ჰყო სასურველი მშვიდობაი თვით ამისა დედოფლის წარსაგებელი აღშენებულს ვაკეზე ეკლესიისა შინა ბრძანა შთამოყვანება დიდის პატივით სასწაულმოქმედისა მის ნაწილსა და ვიდრე აქამომდე განისვენებს მას შინა, მცველი მეფეთა და ერთა“ (7: 65).

გერის მონასტრის ქრონიკაში დაცულ ცნობებს იმეორებს ასევე ალექსანდრე გარსევანოვი ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში: „არბოს ანუ გერით ხევის წმინდა გიორგის ეკალესიის აღშენებისათვის“, იგი ქრონიკაში არსებულ ცნობებს ოდნავ განსხვავებული ვარიაციით გადმოგვცემს: „ხოლო ადგილი იგი (გერი – გ.ს.) დაპშთა სახელითა ამით დღევანდლად დღემდე, რომელიცა შემდგომად მეფეთაგან საუფლისწულოდ იწოდებოდა. ვიდრე სახელოვნისა და დიდებულისა და ძლევამოსილისა მეფისა თამარისადმდე. განაჩინა რა თამარმან სასურველი მშვიდობა ქართლსა შინა აღაშენა სოფელი არბო, წელსა თრპვსა (1186) და მუნ თვისითა წარსაგებელითა აღშენებულსა ვაკეზედ, ეკლესიასა შინა, პბრძანა დიდის პატივითა პშთამოყვანებაი საკვირველმოქმედისა და ძლევამოსილისა გიორგის ნაწილსა, თუესა აგვისტოსა. ხატი იგი აქამომდე განისვენებს

მას ეკლესიასა შინა... მცველი და დიდი შემწე მეფეთა და ერთა მათთა. ამის მიზეზისათვის განწესებულ არს, იმ დღი-დან ქართველ ერისაგან დღეობა 28-სა მარიამობისთვისასა კვირა დღეს, რომელსაცა უწოდებენ გერისთობასა არბორბა-სა, სადაც შეიკრიბებინ სალოცავად მრავალნი ხალხნი, ქარ-თლიდამ, იმერეთიდამ, ტფილისიდამ და კახეთიდამ“ (8). თუ იაკობ ლომოურის მიერ შექმნილ ქრონიკაში თამარ მეფის მიერ გერში დაპრძანებული წმინდა გიორგის ნაწილებიანი შეჭედილი ხატი იმ დროისთვის გერში ყოფილა (ქრონიკა, საგარაუდოდ, უნდა იყოს დაწერილი XIX საუკუნის I მეოთ-ხედში), გარსევანოვის ცნობის მიხედვით, წმინდა ნაწილები-ანი ხატი თამარ მეფეს ახლად აშენებულ არბოს ეკლესიაში გადმოუბრძანებია და ეს სიწმინდე XIX საუკუნის 60-იან წლებამდე არბოს ტაძარში ინახებოდა. ამას ადასტურებს ალ. გარსევანოვის სიტყვები: „იგი აქამომდე განისვენებს მას ეკ-ლესიასა შინა“. განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ამის შესა-ხებ ნ. ლომოური. მისი გადმოცემით, თავდაპირველად გერში წმინდა გიორგის თავის სარქველი ესვენა (4: 72). თამარ მე-ფის ხსენება გარსევანოვის ცნობაში გერთან და არბოსთან დაკავშირებით შემთხვევითი არ არის. ხალხური გადმოცემა გერის ტაძრის აღმშენებლად სწორედ თამარ მეფეს თვლის. გერში მცხოვრები ოსები გერის სალოცავს „თამარ წყნარს“ იმავე თამარ მეფეს უკავშირებდნენ (10: 130). ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ასეთი დიდი სიწმინდე, როგორიც იყო გერის წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი, ვაჟუშტის თავის აღწე-რაში ნახსენები არ აქვს. თუმცა გერის მთის მიდამოებზე სა-უბრისას იგი იხსენიებს სპარსის წმინდა გიორგის: „კეხვის აღმოსავლეთიდამ ლიახვს ერთვის ხევი სვერსა და ქემერტს შუა ჩამოვარდების ჩრდილოდამ გამოსდის ამასა და გერის შორის მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის წმინ-დის გიორგისა და არს ხატი დიდი ოქროსი. სპარსთაგან ქმნული, სასწაულისათვის მის მიერ ქმნულისა, აწცა არს

სასწაულიანი. კუალად სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩრდილოთ, და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესეცა წარივლის აღმოსავლით და მიადგების გერის მთასა“ (1: 371). ვახუშტის მიერ მოხსენიებული სპარსის წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში, სოფ. ძარწემის ჩრდილოეთით 3-4 კმ-ის დაშორებით, რომელიც ასევე განთქმული სალოცავია მთელს ქართლში (9: 78-80). საინტერესოა, რატომ გამორჩა ვახუშტის ექსპედიციას გერის წმინდა გიორგის სალოცავი და წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი? ხომ არ გააიგივა მან სპარსის და გერის წმინდა გიორგის ხატები?

წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატის არბოში გადმობრანებამ არბოს ტაძარს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა. საქართველოს სამეფო კარი არბოს ტაძრის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა. „მწყემსის“ არბოელი კორესპონდენტი, ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური არბოს ტაძარში იხსენიებს ხატს, რომელიც ლუარსაბ II შეუწირავს. მისი ინფორმაციით: „არის აქვე ხატი წმ. გიორგისა ვერცხლის ფურცელზე გამოხატული ცხენზე მჯდომარე წმიდა მოწამე და ეს ხატი მიკრულია პატარა ორ მტკაველიან ფიცარზე. სახე წმ. გიორგისა და მოყვანილობა ცხენისა ვერ არიან ხელოვნურად გაკეთებულნი; ფიცარი დაფუტუროებული და კუთხეებ შემოცვეთილია. ეს გარემოებანი ვგონებ ცხადათ აჩვენებენ ხატის სიძველეს. ბოლოში ამ ხატს აქვს ხუცურ-ასომთავრულით ვრცელი წარწერა, რომლიდამ ამოვიყითხეთ, სამწუხაროდ, მხოლოდ შემდეგი: „ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ლუარსაბ ვახტანგის ძემან“... დანარჩენი სიტყვებიც სჩანანა, მაგრამ ვერცხლის ფურცელი ზოგან ჩაჭყლებულია, ზოგან გაცვეთილი და ამის გამო მნელი გამოსარკვევი არიან. თუ ოდესმე ან მე თვით და ან სხვის შემწეობით მოვახერხე ამოკითხვა ამ წარწერილისა „მწყემსის“ შუამავლობით ვაცნობებ მის შინაარსს მკითხველ საზოგადო-

ებას.“ (3: 139). როგორც მკვლევარი ო. მეგრელიძე ასკვნის, ამ წარწერის სრული და უფრო ზუსტი ვარიანტი მარი ბროსემ შემოგვინახა, რომელსაც ეს ხატი უფრო ადრე უნახავს: „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსნის მეფედ მეფისა და მოწამისა ლუარსაბის ძემან ლევან გამოვაჭელინე ხატი ესე, სალოცველად და მოსახსენებლად სულისა ჩემისა და ძმისა სადღევრძელოდ“ (6: 21). თუმცა ძალზე საინტერესოა ერთი რამ – ნ. ლომოურის მიხედვით, წარწერა იწყება შემდეგნაირად: „ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ლუარსაბ ვახტანგის ძემან“, ხოლო მარი ბროსეს მიხედვით: „ჩვენ ღვთივ გვრგვნოსნის მეფეთ მეფისა და მოწამისა ლუარსაბის ძემან...“ ჩვენი აზრით, აქ ორი ვერსიაა დასაშვები:

- 1) ეს ორი წარწერა არასწორადაა ამოკითხული თავის დროზე და, სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მარი ბროსესულ ვერსიას, რადგან ნ. ლომოური თავის კორესპონდენციაში მიუთითებს, რომ მან წარწერის სრულყოფილი ამოკითხვა დაზიანების გამო ვერ შეძლო.
- 2) ო. მეგრელიძემ ეს წარწერები არასწორად გააიგივა, სინამდვილეში საქმე გვაქვს განსხვავებული წარწერების ქონეორ სხვადასხვა ხატთან. „მწყემსის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, არბოს წმინდა გიორგისათვის ვერცხლის ბარბიმ-ფეშხუმი შეუწირავს ერეკლე II. „ქ. ჩვენ საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ შემოგწირეთ შენ ჩვენს სასო წმიდა გიორგის არბოსას, ეს ვერცხლის ბარბიმ-ფეშხუმ-კამარა ჩვენი სულისა და ხორცის მტერზე გასამარჯვებლად. მისხალი რვა, ქნსა უოვ... (1786)“ (6: 21). როგორც აღვნიშნეთ, არბოს წმინდა გიორგის ტაძარს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა გერიდან გადმობრძანებულმა წმინდა გიორგის ნაწილებიანმა ხატმა, რომელიც თავის დროზე ბიზანტიიდან იყო ჩამოტანილი. სამწუხაროდ, ამ ხატის აღწერილობა შემორჩენილი არ გვაქვს. თუმცა ძალზე საინტერესოა, რომ ნიკო ლომოური წმინდა გიორგის ნაწილებიან ხატად იხსენიებს

ზემოთ ნახსენებ ხატს, რომელზეც თავად მას ამოუკითხავს ხუცური წარწერის ფრაგმენტი და სადაც ლუარსაბ მეფეც იხსენიებოდა. იგი აღნიშნავს: „როგორცა სჩანს მთელს ამ ძველს ეპილესიაში ყველაზედ ღირსშესანიშნავი ეს ხატი უნდა იყვეს, რადგან წმ. ნაწილები მთავარ-მოწამე გიორგისა ძველად ამ ხატში წყობილან. ხატის ზემოთა ნაპირთან, წმ. გიორგის თავის ახლო ვერცხლის ფურცელი ერთი გოჯის სიგრძე-სიგანეზე ამოჭრილია და ცხადათა სჩანს ოთხ-კუთხეთ ჩაღრმავებული ფიცარი, სადაც სვენებულან მოხსენიებული ნაწილები. ეხლა სულ მცირე რიცხვი ამ ნაწილებისა ასვენია პატარა ვერცხლის ჯვარში, რომლის სიგრძე არ იქნება სამ გოჯზე მეტი. რათ მომხდარა ეს საქმე? ვის წაუღია დანარჩენი ნაწილები ქართველთა ერის სათაყვანებელი წმინდანისა? ანუ ვისი უკუღმართი მარჯვენა შეხებია ასეთის ჯოჯოხეთურის გაბედულობით სასწაულთმოქმედ ხატსა? ამ საკითხავების პასუხი არაერთხელ გამიგონია ჩემს პატარაობისას მაშინდელ მოხუცებულთაგან და დღესაც არაერთი ხნიანი და დარბაისელი კაცი ემოწმება მათ თავიანთი სინიდისიან ლაპარაკით.“ (3: 139). ნიკო ლომოურს თანასოფლელებისგან ჩაუწერია არბოს წმინდა გიორგის ხატიდან წმინდა ნაწილების დაკარგვის, უფრო სწორად, გატაცების ამბავი. ეს ფაქტი, მისი ინფორმაციით, უკავშირდება არბოელ დეკანოზს ანდრია უურულს, რომელიც ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან, გიორგი XII ფრიად დახსელოებული ყოფილა. მეფი-საგან მას ჩაბარებული ჰქონია საეკლესიო ყმის და მამულის მოვლა-პატრონობა. ანდრია უურული ყოფილა ასევე სოფელ ბელოთში არსებული მაცხოვრის სახელობის ტაძრის წინამდლვარი, მას ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი XII დაპირისპირებულ იულონ ბატონიშვილთან. როგორც ნიკო ლომოური გადმოგვცემს, დეკანოზი ხშირად ჩადიოდა დარეჯან დედოფალთან, როგორც ჩანს, იგი ამ ორი დაპირისპირებული მხარის ინტრიგებში მონაწილებდა. საბოლოოდ, ან-

დრია ჟურული იძულებული გახდა, საქართველოდან გადახვეწილიყო. ნიკო ლომოური ამის ნამდვილ მიზეზს ვერ ასახელებს, მან ან დარეჯანი და იულონი დაასმინა გიორგი XII ან პირიქით, რაც მისი სამშობლოდან გადახვეწის საფუძველი გახდა. ანდრიამ მოზღვებული შეაფარა თავი და იქ დაბინავდა. გადმოცემის მიხედვით, მან წასვლის წინ გარკვეული სულიერი მფარველობის მიზნით არბოს წმინდა გიორგის ხატიდან (როგორც ნიკო ლომოური გადმოგვცემს, ეს ის ვერცხლით შეჭედილი ხატია, რომელზეც ხუცური წარწერა ამოიკითხა), წმინდა გიორგის ნაწილები ამოიღო და თან წაიღო. მაგრამ სულ მალე დეკანოზმა ეს ნაწილები ვიღაც რუს ვაჭრებს მიჰყიდა. ავტორის ცნობით, ანდრია ჟურული მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი გარდაცვალების მიზეზი, სწორედ ამ წმინდა ნაწილების გაყიდვა იყო. ასეთივე ბედი ეწიათ იმ ვაჭრებს, ვინც წმინდა გიორგის ნაწილები შეიძინეს. საბოლოოდ, წმინდა ნაწილები საქართველოში დააბრუნეს, სწორედ იმ ვერცხლის ჯვარში ჩასვენებული, რომელსაც ნიკო ლომოური იხსენიებს იმავე ხატთან ერთად. თუმცა არბოში ჩამოსვენებისას, როდესაც ვერცხლის ჯვარი გახსნეს, სიწმინდის დიდი ნაწილი დაკარგული აღმოჩნდა (3: 141-143).

ზემოთ წარმოდგენილი სხვადასხვა წყაროების გაცნობის შემდეგ იბადება კითხვა, იყო თუ არა ნიკო ლომოურის მიერ აღწერილი ხატი ის სიწმინდე, სადაც ერთ დროს წმინდა გიორგის ნაწილები ესვენა. გერის მონასტრის ქრონიკის ავტორი, იაკობ ლომოური, რომელიც XIX საუკუნის I მეოთხედში მოღვაწეობდა, სოფ. არბოდან იყო, ის ერთ დროს არბოს წმინდა გიორგის ტაძარშიც მსახურობდა და წმინდა გიორგის სალოცავის აგებაში დიდი წვლილი შეიტანა. იგი გერის მონასტრის ქრონიკაში წმინდა გიორგის ნაწილებიან ხატს საბერძნეთიდან ჩამოტანილ სიწმინდედ იხსენიებს, რომელიც კეისარმა ფარსმან მეფეს გადასცა, მეფემ კი თავის გერს უწყალობა. ალ. გარსევანოვის ცნობით კი წმინდა გი-

ორგის ნაწილებიანი ხატი არბოში გადმოაბრძანა. ჩვენი აზრით, ეს ხატი არ უნდა იყოს ნიკო ლომოურის მიერ მოხსენიებული და აღწერილი წმინდა გიორგის ხატი, რადგან ხალხოსანი მწერლის მიერ აღწერილ ხატს ხუცური წარწერა ჰქონდა და მასში ლუარსაბ მეფე იხსენიებოდა, რაც მის ბერძნულ წარმოშობას გამორიცხავს. ჩვენი აზრით, შესაძლებელია დავუშვათ ორი ვერსია:

- 1) არბოს წმინდა გიორგის ტაძარში თამარ მეფის მიერ გადმობრძანებული წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატის გარდა, რომელიც გერის მონასტრის ქრონიკის მიხედვით, საბერძნეთიდან იყო ჩამოტანილი, არსებობდა წმინდა ნაწილებიანი მეორე ხატიც, რომელსაც ხუცური წარწერა ჰქონდა, ამ წარწერაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლუარსაბ მეფე იხსენიებოდა;
- 2) ნიკო ლომოურს ადგილობრივი მოსახლეობისგან ჰქონდა მოსმენილი გადმოცემა არბოდან სიწმინდეების დაკარგვის შესახებ და ვარაუდით (თუმცა შეცდომით), სწორედ წმინდა გიორგის ნაწილებიან ხატად ხუცურწარწერიანი ვერცხლის დაზიანებული ხატი მიიჩნია. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ ხატი სწორედ იმიტომ დააზიანეს, რომ თავის დროზე მასში წმინდა გიორგის ნაწილებს ეძებდნენ.

მოზღვიდან ჩამობრძანებული წმინდა გიორგის ნაწილები არბოს ტაძარში დიდხანს იყო დაბრძანებული. ნიკო ლომოური „არბოობის“ აღწერის დროს წერს: „სოფელი არბო განთქმულია მთელ ქართლში თავისი „გერისთობით“, „არბოობით“, ეს დღეობა ყოველ წლივ ავგისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოდის ხოლმე. თავგერისთობას აგრერიგად არავინ არა სწყალობს, მაგრამ მეორე და

მესამე სწორზედ კი დიდძალი მღლოცავი მოაწყდება ხოლმე აქაურს წმიდის გიორგის ეკლესიას, სადაც აქამომდე ინახებიან ნაწილები მოხსენიებულის მთავარ-მოწამისა.“ წმინდა გიორგის ნაწილები, როგორც ჩანს, არბოში XIX საუკუნის ბოლომდე ინახებოდა, ხოლო შემდეგ რა ბედი ეწია, ეს უკვე აღარ არის ცნობილი. ასევე უცნობია იმ ხატის ბედიც, რომელიც თამარ მეფემ არბოს ტაძარში გერიდან გადმოიტანა. არბოს ეკლესიის მთავარი სიწმინდე არც 1923 წელს ბოლშევკიკების მიერ შედგენილ არბოს ეკლესიის ქონების აღწერაში იხსენიება. ნუსხაში ვკითხულობთ: „არბოს წმ. გიორგის ეკლესიის: 1. ბარძიმი ვერცხლისა – 3, ბარძიმი ოპლევისა გატეხილი – 1, ფეშუმი ვერცხლისა – 2, კამარა ვერცხლისა – 2, კოვზი დიდი ვერცხლისა – 1, კოვზი პატარა ვერცხლისა – 2, კოვზი ოპლევისა – 2, ლახვარი ფოლადისა – 1, სასებისკვრე თეფში სპილენძისა – 1, თასი ვერცხლისა პატარები – 7, აზარფეში პატარა ვერცხლისა – 2, შანდლები პატარა თითბრისა და ოპლევისა – 27, შანდალი დიდი – 4, შანდალი საშუალო – 8, სანაწილე ტრაპეზისა ვარშავისა – 1, კანდელი ვარშავისა – 1, საიაზმე სახურავით და უსუბით – 1, საწიგნობელი ხისა – 1, ანალოგ... (გარკვევით ვერ იკითხება) გადაკრული – 2, ემბაზი – 1, სამირვნე ხისა შუბებით და მაკრატლით – 1, საცეცხლური ოპლევისა – 2, კანკელი სამატაჟიანი – 1, ოდიკი ატლასზედ – 1, ტრაპეზის ჯვარი ოპლევისა – 2, არხიმანდრიტის ჯვარი ოპლევითა და ვერცხლით – 1, წმ. გიორგის ჯვარი ვარშავით – 1, წმ. გიორგის

ხატი ვარშავით – 3, წმ. გიორგის ხატი ვარშავით – 16, მაცხოვრის ხატი – 2, ღვთისმშობლის ხატი უბრალო – 8, ღვთისმშობლის ხატი ვერცხლით მოჭედილი – 1, ტრაპეზის ჩასაცმელი – 2, ფილონი მხიარული დიბისა – 3, ფილონი შავიდიბისა – 1, ოლარი მხიარული დიბისა – 3, ოლარი შავი დიბისა 1, სტიხრები – 2, სამაჯურები – 4, სარტყელი – 3, ფარნები – 2“ (9: 33). როგორც ჩანს, ამ დროისათვის არბოს წმინდა გიორგის ხატი და წმინდა ნაწილები უკვე დაკარგული იყო.

დამოწმებანი:

1. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I თბ., 1962.
3. ლომოური ნ., პუბლიცისტური წერილები, შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბ., 2002.
4. ლომოური ნ., მოთხრობები, თბ., 1955.
5. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1986.
6. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997.
7. სიდამონიძე ვ., გერის მონასტრის ქრონიკა, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 17 ნოემბერი, 1962.
8. სოსიაშვილი გ., ნარგვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011.

9. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №2.
10. „დროება“, 1883, №74.
11. „ზუგდიდი“, №18.

Giorgi Sosiashvili

Gori State Teaching University, Full Professor

**ON THE HISTORY OF THE ICON OF ST GEORGE OF
ARBO
RESUME**

Arbo is one of the oldest villages in the Patara Liakhvi Gorge. Its name is related to the famous church of St George in Kartli and the miracle-maker icon with holy relics of St George which was kept at Arbo church long ago. Though this holiness got lost at the beginning of the XIXth century. This fact deals with the priest Andrea Ghuruli who activated at Arbo church and was against George XII. He escaped in Mozdoki and took the holy relics with him there which were brought back to Arbo again after his death. In spite of this, the icon of St George of Arbo got still lost at the second half of the XIX century.

თამარ გოგოლაძე

კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

გ. საძაგლიშვილი – ივერიელის წერილი ქრისტეს ჯვრის
ლურსმნისა და წმინდა ნაწილების თავგადასავალზე

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებას თან მოჰყვა მაცხოვრის, ღვთისმშობლის რეალიების, წმინდანთა ნაწილების შემოტანა-დამკვიდრება. IV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში ინახებოდა: „ქრისტეს კვართი, მაცხოვრის თმები და წვერი (ჯვარცმის დროინდელი), სამსჭალნი ფეხისანი და ფეხთა ფიცარი ქრისტეს ჯვრისა, ძელიცხოვლის ნაწილი, მაცხოვრის ხის თეფში, საიდუმლო სერობიდან,... მაცხოვრის ეკლის გვირგვინის ნაწილი, ღვთისმშობლის კვართი“ (1: 256-257), 80-მდე წმინდა ნაწილი დაცულია ოქონას ჯვარცმის (მეფეთა წინასასვენი ჯვარცმის) სანაწილები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწორედ ქრისტეს ჯვრის ლურსმნების ისტორია საქართველოში. „ქრისტიანული“ სიწმინდების ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე სიწმინდე რამდენიმე ქვეყნაში ფიქსირდება, ამიტომ მაცხოვრის ლურსმნების რაოდენობამ (სამსჭალმა) რამდენიმე ათეულს გადაჭარბა“ (1: 261).

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, კონსტანტინე დიდს გაქრისტიანებული მირიან მეფისათვის გაუგზავნია „ნაწილი ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაემსჭვალნეს უფალსა, და სამსჭუალნი ხელთანი.“

აშკარაა, ჭეშმარიტების დადგენა და საჭირო მასალის მოძიება აუცილებელი გამზდარა, განსაკუთრებით XIX საუნეში. ამ თვალსაზრისით ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ავ-

ტოკეფალიის აღდგენის დროისათვის პირველი კათალიკოს-პატრიარქი, წმინდანად შერაცხული კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), რომელიც ხშირად აქვეყნებს წერილებს ქართულ პრესაში, ინტერესდება ქრისტეს ჯვრის ლურსმნის ისტორიითაც. 1892 წელს გაზეთ „მწყემსის“ №1, №3-4 ქვეყნდება მისი წერილი „მოთხოვთ ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჰედილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე“ (ფსევდონიმით „გ. საძაგლოვ-ივერიელი“).

წერილი უნდა ემყარებოდეს „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვადასხვა ბრძანებებს, გამოცემულს რუსეთის იმპერიაში (ე.წ. „უკაზებს“) XVIII საუკუნეში. ამდენად, იგი უფრო ახლოს უნდა იდგეს ქრისტეს ლურსმნის ჭეშმარიტ ისტორიასთან.

წერილის შესავალში გ. საძაგლიშვილი იხსენებს იმ ფაქტს, რომ კონსტანტინე დიდს წმ. ლურსმნები და ჯვრის საფეხურები გადაუცია ერუშეთში IV საუკუნეში აგებული ეკლესიისათვს. ასე ყოფილა ისინი იქ ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის დრომდე (529 წლამდე), მას უნებებია საქართველოში ლაშქრობის დროს უკან დაებრუნებინა ისინი და, როდესაც ტფილისი დაიკავა, მოკლეს სტეფანოზი და საქართველოში მამასახლისად დაუნიშნავს ადარნასე „ბიზანტიის იმპერატორს ირაკლის კრეატურა.“ იმპერატორ ირაკლის საქართველოდან წაუღია სასწაულმოქმედი ხატები, წმ. ნაწილები და წმ. ლურსმნები. მაგრამ გავიდა დრო და უკვე XI საუკუნეში, ბაგრატ IV დროს (1028-1072 წ.წ.), რომელმაც შეირთო ცოლად საბერძნეთის იმპერატორის რომან არგირის ძმისწული ელენე და სხვა-და-სხვა ძვირფას ნივთთა შორის მიიღო: „წმინდა ნაწილები, სასწაულმოქმედნი ხატები და ერთი იმ ლურსმანთაგანი, რომლითაც მიმსჭვალული იყო მაცხოვარი ჯვარზე.“ (2: 14). ეს წმინდა ლურსმანი მეფე ბაგრატს დაუსვენებია ქუთაისში, საკათედრო სობოროში. „ამ წმ. ლურმანს დიდ პატივს სცემდნენ საქართველოს მეფეები

და ერი. მეფე დავითს (1243-1293 წ.წ.) წმ. ლურსმნისათვის გაუკეთებია ძვირფასი გვირგვინი, რომელშიც იგი ინახებოდა არჩილ მეფის დრომდე (1664-1706 წ.წ.), როგორც ისტორი-იდანაა ცნობილი, არჩილი რამდენჯერმე ავიდა იმერეთის სა-მეფო ტახტზე და რამდენჯერმე ჩამოაგდეს. 1686 წელს, ქუ-თაისიდან წასვლის წინ, მას თან წაუღია ლურსმანი, მაგრამ აქ ხდება საოცარი ამბავი. უცნობია, საიდან აქვს ინფორმა-ცია გ. საძაგლიშვილს ამის შესახებ, მაგრამ მიტროპოლიტი იმერეთისა დავითი დაეწია თურმე მეფეს ქალაქის ციხის კა-რებთან და სთხოვა, „რომ ამ წმინდა ლურსმნისაგან ცოტა-ოდენი ნაწილი მაინც მოეტეხა და დაეტოვებინა სანახევროდ, რომ იგი დიდი ხანი ინახებოდა ბაგრატის ტაძარში. არჩილმა შეისმინა მოხუცებული მწყემსმთავრის ვედრება, აღასრულა მისი თხოვნა და მოსტეხა ამ წმ. ლურსმნის წვერი და და-უტოვა მას“ (2: 22). ეს წმინდა ნაშთი მოთავსებული ყოფი-ლა ვერცხლის პატარა კიდობანში და დაცული ქუთაისის საკრებულოს ტაძართან მიშენებული ეკლესიის „ბაგრატის დიდებული ტაძრის შესავალთან.“ აქ უნახავს იგი მურავიოვს 1848 წელს. ამ წლიდან თითქმის 40 წლის მანძილზე უცნო-ბია ლურსმნის ადგილსამყოფელი, თვით გიორგი საძაგლიშ-ვილისთვისაც კი.

რაც შეეხება არჩილის მიერ წალებულ ნაწილს, მის მე-უღლეს, ეკატერინეს გაუგზავნია იგი ყაზანში ორი მღვდელ-მონაზონის – პაგკრატისა და არსენის ხელით და იქ ჩატა-რებულა წირვა 1716 წელს. ამ დროს მოსული „უკაზით“, იგი ყაზანის ღვთისმობლის საკრებულოს ტაძარში უნდა ყოფილიყო დაბრძანებული, მაგრამ მოვიდა ახალი „უკაზი“ და იგი მოსკოვის მიძინების ტაძარში დაუბრძანებიათ. აღნიშ-ნული ლურსმანი მოთავსებულია ვერცხლის პატარა კიდობან-ში და ზედ ამშვენებს ქართული წარწერა.

გ. საძაგლიშვილის წერილში არაფერია ნათქვამი არც ქუთაისში დარჩენილ ნაწილზე და არც იმაზე, უნახავს თუ

არა საკუთარი თვალით მოსკოვში დაბრძანებული ლურსმანი. აშკარაა, ავტორი მხოლოდ მოძიებულ მასალებს ეყრდნობოდა (იქნებ ლეგენდად ქცეულ მონათხოვბსაც) და არა რეალურ ფაქტს. მაგრამ თავისთავად ამ ლურსმნის ისტორია საინტერესო და საყურადღებოა, საკვლევია ქართული სიწმინდეების ისტორიისა თუ, საერთოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში მივიწყებული ფაქტების აღსადგენად.

დამოწმებანი:

1. აფსანძე გ., თეზელიშვილი ს., ქართული სულიერების და სახელმწიფო ეპიკომისის საფუძვლები, თბილისი, 2006.
2. საძაგლოვ-ივერიელი გ., მოთხრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჰედილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე, გაზეოში „მწყემსი“, 1892, №1, 3, 4.

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University, Full Professor

**G. SADZAGLISHVILI - A LETTER OF IVERIELI
ABOUT THE ADVENTURE OF THE NAIL FROM
CHRIST'S CROSS AND THE SACRED PARTS
RESUME**

Establishing Christianity in Georgia was followed by bringing in and presenting the parts of Our Savior's, the virgin's things and the parts of the saints but, unfortunately the exact history and what is more important their present condition-the place where they are kept is unknown. The ecclesiastic and secular figures of the XIX century were interested in these problems. A famous ecclesiastic figure, the catholicos-patriarch, imputed to a saint Kirion II (Giorgi Sadzaglishvili-in secular life) often published letters in the press of that period

about the history of the sacred things. He used “The Life of Kartli” and Greek-Russian documents as a main source. Our speech is about one case from the history of the nail from the Christ’s cross which was published in the newspaper “The Mtskemsi” (The Shepherd) #3/4, 1892 under the name “A Story about the Nail by which Christ was Nailed on the Cross”. According to the letter it is cleared out that a part of the nail taken to Russia by the King Archil was last seen in 1848 by Muralov in the Church of Assumption existed with the Temple of Kutaisi. This letter is of great importance even nowadays for the history of the sacred things of the Georgian Orthodox Church.

ქა დუღაშვილი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ფილოლოგის დოქტორი

**საუფლო დღესასწაულების საგალობელთა თარგმანები X ს-ის
ქართულ ხელნაწერებში**

საგალობელი ელემენტის ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დამკვიდრების შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს. ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევართა (გ. ბეკი, პ. კრუბბახერი, ე. ველეში, ნ. ტომადაკისი და სხვ.) სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით, ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში საგალობელი ადრეული ეტაპიდანვე ჩნდება. იერუსალიმური ღვთისმსახურება თავდაპირველად ეყრდნობოდა ძველი აღთქმის საგალობლებს, ფსალმუნებს, შემდგომ ჩამოყალიბდა მცირე ფორმის მონოსტროფები (ანტიფონები), რომლებიც ფსალმუნთა რეფრენებად სრულდებოდა (6: 23). VI-VII სს-ში უფრო ღრმად იკვლევს გზას საგალობელი და ყალიბდება ახლი ფორმის საგალობელი კონტაკიონი, შემდევ – რამდენიმესტროფიანი სტიქარონი და საგალობლის სრულყოფილი ფორმა საბოლოოდ გაფორმდა ჰიმნოგრაფიული კანონის სახით. ეს პროცესი, მონოსტროფული საგალობლიდან ცხრაოდიან კანონამდე, თანმიმდევრობით არის ასახული ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში. საგალობლის მარტივი ფორმის არსებობის ფაქტები ჩნდება ჯერ კიდევ VII ს-ის იერუსალიმურ ლექციონარში, მოგვიანო მრავალსტროფიანი სტიქარონებისა და კანონთა უძველესი თარგმანები დადასტურებულია უძველეს იადგარში. ამრიგად, ქართულ თარგმნილ ლიტურგიკულ კრებულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიისთვის, რადგან იერუსალიმურ ლექციონარსა და უძველეს იადგარში დადასტურებული თარგმანების

ბერძნული დედნები შემორჩენილი არ არის. IX-X სს-ის მიჯნაზე ლიტურგიკული ხმარებიდან გადის უძველესი იადგარი და მის ადგილს იკავებს ახალი, საბაწმიდური რეფორმის ამსახველი ძეგლი, დიდი იადგარი. ბუნებრივია, ამ ეპოქის უმდიდრესი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ქართულად ერთდროულად ვერ ითარგმნებოდა. ქართული იადგარის ნუსხები თარგმანებით თანდათან ივსებოდა.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმნისას აუცილებელი იქნებოდა, პირველ რიგში, საუფლო დღასასწაულებისადმი მიძღვნილი, შემდეგ კი წმინდანების სახელზე დაწერილ საგალობელთა თარგმნა. სწორედ ამგვარ სურათს გვიჩვენებს მეათე საუკუნის ქართული იადგარები.

პ. ინგოროვას გამოკვლევისა და იადგარების შემდგომი შესწავლის (ე. მეტრეველი, ლ. ხევსურიანი, ც. ჭანკივი, ლ. ჯლამაა) საფუძველზე გამოჩნდა, რომ ქართული იადგარების განვითარება წარიმართა ორი მიმართულებით, ერთი მიმართულების ამსახველია პალესტინური ტრადიციის კრებულები, რომელთაც განეცემუნება სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში გადაწერილი ნუსხები და წვირმისა და იელის ხელნაწერები, მეორე მიმართულების მაჩვენებელია ტაო კლარჯეთში, შატბერდის კერაში გადაწერილი მიქაელ მოდრეკილის იადგარი და A190. ბოლო დროის გამოკვლევების მიხედვით, ქართული დიდი იადგარები რედაქციულობის თვალსაზრისით შემდეგნაირად ლაგდება: ყველაზე ადრეული ფენა იადგარის კალენდარული დღესასწაულებისა ასასულია იოანე ზოსიმეს გადაწერილ sin 34-ში და თარიღდება X ს-ის 40-50-იანი წლებით. სწორედ ამ კრებულში ვხვდებით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის უდიდესი ავტორების – იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ქრისტესშობის, განცხადების, მიგებებისა და ფერისცვალების კანონთა უძველეს ქართულ თარგმანებს. დიდი იადგარის ვრცელი რედაქციის ერთ-

ერთ ადრეულ ნუსხას წარმოადგენს sin 1, სადაც საგალობელი რეპერტუარი უფრო გავრცობილია, ამავე რედაქციის ხელნაწერია sin14. Sin1-ში ჩნდება ღვთისმშობლის მიძინებისა და ღვთისმშობლის შობის საგალობლები. სინური იადგარების შემაჯამებელი ეტაპის გამოშხატველი კრებულია sin 64-65, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ადრეული იადგარის თარგმანი. რაც შეეხება ქართულ კერებში დაცულ ნუსხებს, წვირმისა და იელის იადგარებს, მართალია, ეს კრებულები სვანეთშია დაცული, მაგრამ ისინი ჰალესტინური წარმომავლობის ხელნაწერებია (ლ. ხევსურიანი). წვირმის იადგარშიც გვხვდება ოთხე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების კანონთა თარგმანები (შობის, განცხადების და ფერისცვალების), დანარჩენი თარგმანები, ნუსხის ნაკლულობის გამო, შემორჩენილი არ არის. იელის იადგარშიც მეორდება ზემოთ დასახელებულ კანონთა თარგმანები, მხოლოდ კოზმა იერუსალიმელის შობის კანონი რატომდაც არ არის შესული. ქართულ კერაში შექმნილი მეათე საუკუნის ვრცელი კრებულის ნიმუშია მიქაელ მოდრეკილის იადგარის (978-988 წწ.). ნუსხა. იადგარის ეს ნუსხა ნაკლულია, სათვეო ნაწილიდან შემორჩენილია საგალობლები მხოლოდ 21 დეკემბრიდან 29 იანვრამდე და 7 ოქტომბრიდან 20 დეკემბრამდე. შესაბამისად, შემორჩენილია მხოლოდ შობის და განცხადების კანონთა თარგმანები. მიქაელ მოდრეკილის იადგარი მეათე საუკუნის იადგარების განვითარების შემაჯამებელი ძეგლია და სავარაუდოა, რომ მასში ყველა საუფლო დღესასწაულის საგალობლის თარგმანი იყო შესული, ნუსხის ნაკლულობის გამო არ შემორჩა მივებების, ფერისცვალების და ღვთისმშობლის მიძინების კანონების თარგმანები. ამრიგად, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულთა საგალობლების თარგმანები განხორციელდა მეათე საუკუნის პირველ ნახევარში და აისახა მეათე საუკუნის პირველი ნახევრის

ვრცელ რედაქციებში, შემდგომ კი გაერთიანდა 70-80-იან წლებში გადაწერილ მიქაელ მოღვაცილის იაღვარში.

საუფლო დღესასწაულების კანონთა ქართულ თარგმანებს sin 34-დან ვიდრე მიქაელ მოღრეკილის კრებულამდე მნიშვნელოვანი ტექსტობრივი ცვლილებები არ განუცდია. სხვაობა შემოიფარგლება მხოლოდ ვარიანტული იყოთხვისებით. მაგ., ერთ ნუსხაშია – „შეიმოსე“, სხვაგან შეცმოსე“, „ქრისტე“ და ქრისტი, ან ქრისტევ“ და სხვ.

თარგმანს და მასთან დაკავშირებულ თავისებურებებს შესწავლის ხანგრძლივი ისტორია აქვს. თარგმანის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზები განსხვავებულ პრობლემათა ფონზე განიხილება. სხვადასხვა ნიშნით ხასიათდება პროზაული და პოეტური თარგმანები. თარგმანის ხასიათი ხშირად ეპოქის სულის გამომხატველია და მის მოთხოვნებს პასუხობს. თარგმანის ადაპტაცია ორიგინალთან ხორციელდება გრამატიკულ და ლექსიკურ სფეროში. კერძოდ, ორიგინალის სპეციფიკური გრამატიკული კონსტრუქციები იცვლება თარგმანის ენის ბუნებრივი ფორმებით. თარგმანის ცნობილი თეორეტიკოსის, ე. ნაიდას მიხედვით, არსებობს ფორმალურ-ეკვივალენტური თარგმანი, რომელიც ორიენტირებულია წყაროზე და ცდილობს, შეძლებისდაგვარად ზუსტად გამოსახოს დედნის ფორმაც და შინაარსიც. ამ პროცესში მთარგმნელი ქმნის ორიგინალის ადეკვატურ გრამატიკულ ერთეულებს, დედნის ანალოგიურ ტერმინებს, სახელდობრ, სახელები გადმოაქვს სახელებით, ზმნა-ზმნით და ა.შ. არ ცვლის ორიგინალის წინადაღებათა წყობას. მოკლედ, ინარჩუნებს დედნის ფორმალურ ნიშნებს. ფორმის ამგვარი სიზუსტის დაცვისას ტექსტის შინაარსობრივი მხარე, უმრავლეს შემთხვევაში, ბუნებრიობას კარგავს და ასეთი თარგმანი საშუალო დონის მკითხველისთვის გაუგებარია. სრულიად განსხვავებულია დინამიკურ-ეკვივალენტური თარგმანი სტილი. მისთვის ამოსავალია მშობლიური ენის ეკვივალენტი და მისი ბუნებრივი თვისებები, თუმცა ეს არ გამო-

რიცხავს დედანზე ორიენტაციას. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია თავად წყაროს მიზანი და მნიშვნელობა. ე. ნაიდა დინამიკურ-ეკვივალენტურ თარგმანს ასე განსაზღვრავს: „დედანთან დაახლოებული ბუნებრივი ადეკვატი“. არსებობს კიდევ თარგმანის სხვაგვარი განსაზღვრება: *Sensus de sensu* (თავისუფალი) da Verbum ad verbum (სიტყვასიტყვითი), რომელთაც ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ავტორები განარჩევდნენ (ს. ბროკი).

თარგმანის ზემოთ მოყვანილ დეფინიციათა მიხედვით საინტერესოა, როგორ შეიძლება შევაფასოთ და განვსაზღვროთ საუფლო დღესასწაულების ჰიმნოგრაფიულ კანონთა მეათე საუკუნის ქართული თარგმანები.

1) სათარგმნი მასალა არის ბიზანტიური საგალობელი, სპეციფიკურ პრინციპზე (ძლისპირ-ტროპართა თანაფარდობაზე) აგებული. ბუნებრივია, ქართული თარგმანი უნდა ითვალისწინებდეს ამ თავისებურებას და ეს ასეც არის; 2) ავტორი არის პოეტი, რომელიც ქმნის საგალობელს. მისთვის ამოსავალია წმინდა წერილი და ჰიმნილეტიკა. ავტორმა მკაცრად უნდა დაიცვას საეკლესიო დოგმის შინაარსი და ამავე დროს, პოეტურად გადმოსცეს ეს დოგმა. ჰიმნოგრაფი ბიბლიურ მხატვრულ სახეებს მიმართავს და მისი ინდივიდუალობა გამოიხატება იმაში, თუ როგორ გაიაზრებს ამ ბიბლიურ სახეს. ამის მიხედვით შეიძლება ჰიმნოგრაფიის მხატვრულ-პოეტურ სახეებზე – შედარებაზე, მეტაფორასა თუ ეპითეტზე მსჯელობა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართველი მთარგმნელის მიზანია დედნის არსის ადეკვატური ასახვა თარგმანში. თუ როგორ თარგმნის ქართველი მთარგმნელი საუფლო დღესასწაულების კანონებს, ვნახოთ ცალკეული მაგალითების მიხედვით:

კოზმა იერუსალიმელის ქრისტესშობის კანონი
თარგმანი ზუსტად მისდევს დედანს ფორმითაც და შინაარ-სითაც

Βεθλεέμι ესφραίνου

ήγεμόνων Ἰούδα ἡ βασιλέλεια τόν Ἰσραήλ γάρ ὁ ποιμαίνων,

Χερουβίμ ὁ ἐπ' ὄμων, ἐκ σοῦ προελθών Χριστός ἐμφανῶς,

καὶ ἀνυψώσας τό κέρας ἡμῶν, πάντων ἐβασίλευσεν
μῆτρας μταργαρτα οὐραίσταο,

ῥαμέτου μῆτράσι οἰστραολλίσαο, ἔρωτοντα

θερα μζολομάρτι, θεργαν γαμογόρθρημονδα ἔροιστρι,

ῥωμέλθαν αραμαλλα ῥέαο θεργονο,

θεργονογέλητα μῆτρας“

δερμένηλοις „προελθών Χριστός ἐμφανῶς, ναταρ-
γμοια: „γαμογόρθρημονδα ἔροιστρι“,

προελθών „γαμοσηλοί“ αρ αροις ναταργμον. Τρεξτορδρογ
σιθήτεσταν ερταδ δαργηλοια δερδονισ μαργραλητα ραορδεροδα.
δερδη. 61 Εαρτουλο 63.

გვაქვს სხვაგვარი შემთხვევაც, ρωφα ქარτულ თარგმანში
გვაქვს აზრობრივი ეკვივალენტი.

Οργανα παρέκλινε τό πένθος ὠδῆς,
ού γάρ ἥδοι ἐν νόθοις οἱ παῖδες Σιών,
Βαβυλώνος λύει δέ πλάνην πᾶσαν καὶ μουσικῶν ἀρμο-
νίαν,

Βεθλεέμ ἐξανατείλας Χριστός

ნესტვისა და ებნისა ზმანი ოხრიდეს,

და შესხმისა ზარი განაფრთხობდა

გულსა მგლოვარეთასა,

ზოლო სიონის ძეთა

შეურაცხყვნეს განცხრომანი ბაბილვნელთანი.

პირველ ῥიგში, αρსანიშნავია δερδοნιს სიტ-
ყვის Οργανα-ს τარგმანი, ρωμέლშიც δაკονεργέტებულია შინა-
αρσი „ნესტვისა და ებნისა“. δερδοნის შინაარსის მიხედვით, δეτ-
ლემში გამοბრήμინებული ქრისτე განაქარვებს ბაბილვნელთა
ცდომილებას და მუსიკალურ ჰარმοნიას, ქართველი მთაρგმნე-

ლი ინტერპრეტაციას იძლევა – „სიონის ძეთა შეურაცხყვნეს განცხრომანი ბაბილოვნელთანი.

კიდევ საინტერესო ნიმუშია ტექსტობრივი ინტერპრეტაციის ანუ დინამიკური ეკვივალენტის შემდევი თარგმანი.

კოზმა იეρუსალიმელის განცხადების კანონი

Ως ἐν οὐρανῷ συν τρόμῳ καὶ θαύματι παρίσταντο
ἐν' Ιορδάνῃ αἱ δυνάμεις τῶν Ἀγγέλων,

σκοπουμέναι τοσαύτην Θεοῦ την συγκατάβασιν

δαλნი ცათანი,

განკვირვებულნი, შიშით მდგომარენი

ჰედვიდეს მოუწვდომელსა სიმდაბლესა შენსა.

ქართული თარგმანი შემოკლებულია. არ არის ნათარგმნი
ἐν' Ιορδάνῃ

ასევე დედნის ფრაზა Θεοῦ την συγκατάβασιν (ღვთიური სიმდაბლე), მას ქართველი მთარგმნელი აზრობრივი ეკვივალენტით თარგმნის – „მოუწვდომელსა სიმდაბლესა“ . ღვთიური სიმდაბლე არის მიუწვდომელი სიმდაბლე.

მიგებების კანონი

Γενός χοϊκός ῥსσάμενος Θεός ἔως τοῦ ἄδου ήξει
αἱ χμαλώτοις δε παρέξει πάσαν ἀφεσιν

καὶ ἀναβλέψιν πηροῖς ὡς ἀλάλοις βοήσαι

მიწისა ნათესავთა მხსნელი

შთახდა ჯოჯონეთასა, რაითა

წარტყუენულნი გამოიხსნეს მხდომისაგან

და მწუხარეთა მოსცეს ნათელი და ღაღადებენ

ბერძნული სტროფის ბოლო ტაეპი
καὶ ἀναβλέψιν πηροῖς ὡς ἀλάλοις βοήσαι (დაუბრუნებს
ბრძებს მხედველობას და როგორც მუნჯებს მეტყველებას) ქარ-
თულად სრულიად განსხვავებული ეკვივალენტი გვხვდება: და
მწუხარეთა მოსცეს ნათელი. ამგვარი ტექსტობრივი ცვლილება
დედნის ფორმის დასაცავად ხორციელდება. ბერძნულ ტროპარში
44 მარცვალია, ქართულშიც 44.

ფერისცვალების კანონი

Νόμου ἐν Σινᾶ τῷ γράμματι διατυπουμένος, Χριστέ
ό Θεός

ἐν τῇ νεφέλῃ καὶ πυρί καὶ γνόφῳ
καὶ ἐν φυέλῃ ὀφθησ ἐποχούμενος
რაჟამს იგავად ჰქმენ შენ

წერილი იგი შჯულისაი მთასა სინასა,
მაცხოვარ, ღრუბლითა ნათლისაითა
მჯდომარე ეჩუენს ნისლსა და ნიავქარსა შინა.

ქართულ თარგმანში საინტერესო დედ-
ნის ხრιსτე օ თეός ეკვივალენტი „მაცხოვარ“ და
ἐν τῇ νεφέλῃ - გავრცობილი თარგმანი „ღრუბლითა ნათლისა-
ითა“, Νόμου ἐν Σινᾶ τῷ γράμματι διατυπουμένος (სინას
მთაზე ამოკვეთე სჯული წერილად). ბერძნული დედნის
(τῷ γράμματι διაτυπουμέნος) ნათარგმნია, როგორც „იგავ-
ად ჰქმენ“ დინამიკური ეკვივალენტია.

ტექსტობრივი ინტერპრეტაცია გვხვდება აგრეთვე შემდეგი
მაგალითშიც:

Ρήματα ζωής τοῖς φίλοις Χριστός
καὶ περὶ τῆς Θείας δημητγορῶν Βασιλείας.

პრქუა ქრისტემან საყუარელთა თუისთა სიტყუად ცხორე-
ბისავ

რაჟამს დაუწინდა მათ თაბორს სასუფეველი საღმრთო
περὶ τῆς Θείας δημητγορῶν Βασιλείας-⁷ (ღვთიური
სასუფევლის შესახებ უთხრა) ქართულ თარგმანში გგაქს ინ-
ტერპრეტირებული თარგმანი – „რაჟამს დაუწინდა მათ თაბორს
სასუფეველი საღმრთო“.

ქართული თარგმანების შესწავლისას დგება კიდევ ერთი
საინტერესო საკითხი – წმინდა წერილისა და ჰიმნოგრაფიის
ურთიერთმიმართების საკითხი. ცხადია, საუფლო დღესასწაულ-
ების საგალობლებში უხვად გვხვდება ბიბლიური სახესიმბოლოე-

ბი და ციტატები. საინტერესოა, როგორ არის ასახული ეს მიმართებები.

მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

მოვლაკრებული ერისაი ნათლისძებად

იორდანესა, რაჟამს დგა იგი შორის,

და უღალადებდა: ნაშობნო იქედნეთანო,

ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაი მომავლისაგან,

აწ უკუნ ჰყავთ ნაყოფი,

ღირსი უფლისა ჩუენისა, რომელსა თაყუანის - ვსცემთ.

ამ სტროფში მათეს სახარების შემდეგი მუხლის გამოძახილია:

და ვითრცა იხილა ფარისეველნი და სადუპეველნი, მომავლნი ნათლისლბად მისგან, პრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო,
ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაი მერმისა მისგან მომავლისა რის-ხვისა? საგალობლის ბერძნულ ტექსტში სახარების ციტატის პარაფრაზი გვაქვს;

Τις ἔδειξεν , ἀπείθεις, την οργήν ὑμιν ἐκκλῖναι την μέλλουσαν

(განცხადების კანონი)

Γεννήματα ἔχιδνῶν, τις ὑποδέξεν ὕμῶν φυγεῖν από τῆς μελλούσης οργῆς (მათ. 3,7)

ცხადად ჩანს, რომ საგალობლის ქართული თარგმანი ტექსტობრივად უფრო ზუსტად იმეორებს სახარების მუხლს, ვიდრე ბერძნული დედანი. საგალობლის ბერძნულ დედანში გვაქვს ἀπείθεις (ურწმუნონი), როცა სახარების მუხლში არის Γεννήματα ἔχιδνῶν. ძნელია ვთქვათ, რომ ქართველი მთარგმნელი საგალობლის თარგმნისას მიმართავდა წმინდა წერილის თარგმანს, უფრო სავარაუდოა იმის დაშვება, რომ მთარგმნელმა ზეპირად იცოდა სახარებისეული ციტატები და ლოგიკურად ურთავდა თარგმანში. თანაც ამით არ არღვევდა დედანთან შინაარსობრივ სიახლოვეს.

ჩვენი კვლევის შემაჯამებლად შეიძლება ვთქვათ, რომ საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ბერძნული საგალობლების უძველესი ქართული თარგმანები თავისებურებებით გამოირჩევა. ქართველი მთარგმნელი ძირითადად ცდოლობს არ დაშორდეს დედნის შინაარსს და შეძლებისდაგგარად დაიცვას მისი ფორმაც (მარცვალთა რაოდენობა). თარგმანის თეორიის თვალსაზრისით, ქართული თარგმანები შეიძლება ჩათვალოს *Sensus de sensu* ანუ თავისუფალ დინამიკურ-ეკვივალენტურ თარგმანებად. ბერძნული დედნისადმი ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულების მიუხედავად, ჩვენი აზრით, ქართველი მთარგმნელი ახერხებს, ბერძნული საგალობლის შინაარსობრივად ადეკვატური ქართული თარგმანის შექმნას, სადაც არ არის დაკარგული არც დედნისეული თეოლოგიური სიღრმე და, უმრავლეს შემთხვევაში, არც პოეტურ-მეტაფორული სახე.

დამოწმებანი:

1. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, თხზულებათა კრებული, თბ., III, 1966.
2. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა, ც. ჭანკიევმა, თბ., 1980.
3. ხევსურიანი ლ., ჯლამაია ლ., იადგარის ახალი ნუსხის შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1997.
4. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხ. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971.
5. Ловягин Е., Богослужебные Каноны, СПБ, 1875.
6. Wellesz E. A., History of Byzantine Music and Hymnography, 1971.
7. Eugene Albert Nida, Towards a science of Translation, 2003.

8. Ευστρατιάδης Σ. Νεα Σιών, 1933.
9. Τρεμπέλα Π. Εκλογή Ελληνικής Ορθοδόξου Υμνογραφίας, 1949.
10. Τωμαδάκης Ν.1965:
Τωμαδάκης Ν. Βυζαντινή Υμνογραφία και Ποιησις, 1965.

Eka Dughashvili

National Centre of Manuscripts, Doctor of Philology

**TRANSLATIONS OF THE HOLY FESTIVAL
CANTICLES IN THE GEORGIAN MANUSCRIPTS OF
THE X CENTURY
SUMMARY**

In the present article old Georgian translations of Greek hymns dedicated to the Twleve Great Feasts are discussed according to some peculiarities of the translation. The Georgian translator mostly tries not to deviate from the contents of the original and also retain its form (number of syllables) as far as possible. From the viewpoint of the theory of translation, Georgian translations can be regarded as *Sensus de sensu* i.e. free dynamic-equivalent translations. Despite such a free attitude towards the Greek original, the Georgian translator manages to create a Georgian translation adequate to the contents of the Greek hymn, in which the theological depth of the original is not lost, and in most cases the poetic-metaphorical image is also retained.

ელდარ მამისთვალიშვილი
კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკეთა მრწამსის აღიარებისათვის

სულხან-საბა ორბელიანი, ერთ-ერთი უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და დიპლომატი, მიღებული მოსაზრების მიხედვით, ევროპაში გამგზავრებამდე კარგა წნით ადრე გახდა კათოლიკე. მისი პროტელიტობის თარიღად მ. თამარაშვილი ჯერ 1687 წელს თვლიდა და საბუთად მოჰყავდა ლივორნოელი პატრის, იოსების იმავე წლით დათარიღებული წერილი, რომელშიც ახლად გაკათოლიკებულ ქართველთა შორის დასახელებულია მინისტრის შვილი სულხანი. მ. თამარაშვილმა იგი სულხან-საბა ორბელიანად მიიჩნია (2: 262). შემდეგში მან შეიცვალა აზრი და უპირატესობა მიანიჭა 1701 წელს. მკვლევარმა სულხან-საბას მიერ კათოლიკობის მიღებით ახსნა ის, რომ მან თავისი „უზარმაზარი ადგილ-მამულები დაუტოვა ძმებს, ცოლსაც კი გაშორდა და ბერათ შედგა წმინდა ბასილის წესით, რომელიც მაშინ გავრცელებული იყო საქართველოში“ (3: 646). მართალია, მ. თამარაშვილმა არ მიუთითა, თუ რას ეყრდნობოდა, როცა საბას გაკათოლიკების დროდ 1701 წელს ასახელებდა, მაგრამ უდავოა, მას მხედველობაში ჰქონდა დიპლომატის მიერ 1714 წლის 24 ივნისს „პროპაგანდა ფილეს“ კარდინალ-პრეფექტის, საკრიპანტისადმი წარდგენილი მოხსენება, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, მ. თამარაშვილის პირად არქივში. მან საფუძველი გააჩინა იმის თქმისა,

ვითომ „უტყუარი დოკუმენტით მტკიცდება“, რომ საბა გაკა-
თოლიკიდა 1701 წელს (10: 30).

1701 წელს სულხან-საბას გაკათოლიკების საკითხს მ.
პაპაშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა. ეკამათება რა
მათ (მათ შორის მეც), ვინც 1713 წელს მიიჩნევნ საბას გა-
კათოლიკების დროდ, წერს: „ვფიქრობთ, ეს არ არის საფუძ-
ვლიანი არგუმენტი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, საბამ 1713
წელს მიიღო კათოლიკობა. უფრო მეტიც: საფრანგეთსა და
რომში დიპლომატიური მისით გამგზავრაბის წინ სულხან-
საბა კათოლიკობას ოფიციალურად ვერ აღიარებდა, რადგან
საქართველოში ირანოფილურ პარტიას, ესე იგი ვახტანგ VI-
ის მოწინააღმდეგებს მისი პოლიტიკური მოსაზრებით აღ-
ჭურვილ ელჩობაში ეჭვი არ შეეტანათ“ (10: 30). იბადება
კითხვა, სულხან-საბამ თუ 1713 წელსაც კი ოფიციალურად
ვერ აღიარა კათოლიკობა, მაშინ 1701 წელს როგორ მიიღო
მან ეს აღმსარებლობა? სხვათა შორის, ამავე მკვლევარმა
ადრე ასეთივე წარმატებით გაიზიარა, სულხან-საბას მიერ
ნათქვამის მიხედვით, იმავე რომში დაწერილ მოხსენებაში
დასახელებული მისი გაკათოლიკების თარიღი – 1692 წელი
(9: 247).

იმაზე, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი საიდ-
უმლოდ, ყველასგან დათარულად აღიარებდა კათოლიკობას
და რას ნიშნავდა ამგვარი მოქმედება, ვრცლად ითქმევა ქვე-
მოთ.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ მ. თამარაშ-
ვილმა ყურადღება არ მიაქცია თავის მიერ გამოქვეყნებულ
ერთ მოხსენებით ბარათში მითითებულ თარიღს, რომელიც
შედგენილია საბას ნალაპარაკევის მიხედვით. მასში ნათქვა-
მია: „როგორც ჩანს, სულხან-საბას საქართველოში გავლენა
აქვს ხალხსა და მეფის სასახლეზე. ეგრეთვე ეტყობა, რომ
დიდი სასოება აქვს კათოლიკე სარწმუნოებისა და უნდა მი-
აღებინოს ეს სარწმუნოება თავისი ქვეყნის მთელ ერს, რომე-

ლიც რომისაგან განყრილიაო. თვითონ 22 წელიწადია, რაც კათოლიკობა მიიღო და შემდგომ გახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად იღვაწოს შეერთებისათვის, ამიტომაც იმ სიშორიდან მოვიდა საფრანგეთს...“ (2: 323¹) ამ „მოხსენებაზე“ დაყრდნობით გ. ლეონიძემ შესაძლებლად ჩათვალა ეთქვა, რომ სულხან-საბამ 1687 წელს მხოლოდ სიმპათია გამოამჟღავნა კათოლიკიზმის მიმართ და აღნიშნა, რომ „მისიონერმა ეს ამბავი გადაჭარბებით აჩვენა რომს, როგორც ნაყოფი მისი გულმოდგინებისა. ასეთ ხერხს თბილისელი მისიონერები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად საქართველოში“ (12: XIX; 13: 390)². გ. ლეონიძეს მიაჩნდა, რომ სულხან-საბა ევროპაში გამგზავრებამდე, 1692 წლიდან, მხოლოდ „ნომინალური კათოლიკე“ იყო და მხოლოდ ფარულად აღიარებდა კათოლიკიზმს (7: 390). იბადება კითხვა: რა მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკური ეკლესიის მესვეურთათვის სულხან-საბას მიერ კათოლიკობის აღიარებას ჩუმად, საიდუმლოდ, თუ ამ საქვეყნოდ პატივცემული ადამიანის ამგვარი ნაბიჯი საყოველთაოდ ცნობილი და მართლმადიდებელი ქართველებისათვის მისაბაძი არ გახდებოდა? რა თქმა უნდა, სულხან-საბამ ყველაზე კარგად იცოდა, მის მიერ კათოლიკიზმის აღიარებას როგორი რეაქცია მოჰყევოდა როგორც საეკლესიო იერარქების, ისე საერო ხელისუფალთა მხრიდან, მით უმეტეს, გაუგებარი არ დარჩებოდა მის მიერ თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავების

¹ ეს დოკუმენტი ი. ტაბაღუას უნახავს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (14: 139), მაგრამ არ უთითებს მის პირველ გამომქვეყნებელს მ. თამარაშვილს და არც გ. ლეონიძეს, რომელმაც სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით გამოაცხადა სულხან-საბას გაკათოლიკების დრო 1692 წელი (7: 390).

² გ. ლეონიძის მოსაზრება საბას მიერ 1687 წელს კათოლიკიზმის მიმართ მხოლოდ სიმპათიის გამოხატვის შესახებ გაიზიარეს კ. კეპელიძემ, ალ. ბარამიძემ, ივ. ლოლაშვილმა, რ. ბარამიძემ, მ. პაპაშვილმა.

გაკათოლიკება, რაც მისი მხრიდან უაღრესად დაუფიქრებელი მოქმედება იქნებოდა.

სულხან-საბას რელიგიურ ორიენტაციაზე მის ევროპაში გამგზავრებამდე სწორ წარმოდგენას გვიქმნის მისი თხზულების – „სამოთხის კარის“ ორი რედაქცია (სულ არსებობს ოთხი რედაქცია). პირველი რედაქცია დაწერილია 1701 წელს და ჰქვია „საქრისტიანო მოძღვრება პირველი სასწავლო ყრმათათვის“ ანუ „სამოთხის კარი“. პირველ რედაქციაში არ შეიმჩნევა სულხან-საბას კათოლიკიზმისაკენ გადახრა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თხზულება დაწერილია საბას ბერობაში ყოფნის დროს დავით გარეჯის ოთხე ნათლისმცემლის მონასტერში.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია, რომელიც, როგორც ივ. ლოლაშვილი აღნიშნავდა, წარმოადგენს სხვადასხვა დროს დაწერილ თხზულებათა კრებულს. მასში შეტანილია ისეთი მასალა, რომელიც სულხან-საბას დასჭირდებოდა ევროპაში მოგზაურობის დროს კათოლიკური საეკლესიო ცერემონიალის შესრულებისას და იგი გადაწერილი უნდა იყოს საქართველოში ყოფნის დროს, ევროპაში გამგზავრების წინ, 1713 წელს. მასში საბა ამჟღავნებს კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულებას: აღიარებს რომის პაპის პრიმატსა და მართლმადიდებლებისათვის ასევე მიუღებელ დოგმას – „მამა უშობელ არს, ხოლო ძე მამისაგან შობილ და სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოსული“ (8: 146-147). ალბათ, საჭიროა იმის გახსენება, რომ „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია მოთავსებულია უბის წიგნაკში, რომელშიც ასევე თავმოყრილია ისეთი მასალა, რომელიც სულხან-საბას გამოადგებოდა ევროპაში მოგზაურობის დროს (8: 146). იგი ემზადებოდა მკაცრი გამოცდისათვის.

„სამოთხის კარის“, როგორც ორიგინალური თხზულების მიმართ, ეჭვი გამოთქვა პ. უმიკაშვილმა ჯერ კიდევ

1887 წელს. მან „სამოთხის კარის“ ხელნაწერზე მიაწერა: „ეს სამოთხის კარი არის რომის კათოლიკეთა კატეხიზმი, რომელსაც უწოდებენ საქრისტიანო მოძღვრებას (ხალხში „ვინ დაგბადას“). იქნება, ეს იყოს ნათარგმნი ანუ გადმოკეთებული იტალიანურ ან სომხურ კათოლიკეთა კატეხიზმისი? 1887 წ. პეტრე უმიკაშვილი“. სხვათა შორის, პეტრე უმიკაშვილმა უფრო ადრე, 1875 წელს, ხელნაწერიდან ამოხეული ფურცლების გამო იმავე ხელნაწერზე გაკეთებულ სხვა შენიშვნაში ასევე ეჭვი გამოთქვა, რომ აქ მრწამსის განმარტება ისეთი იყო, როგორიც რომის კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა და ამიტომ ამოუხევიათო (13: 341).

„სამოთხის კარის“, როგორც საბას ორიგინალური თხზულებისადმი სკეპტიციზმს აძლიერებს პატრი ჯუსტინო ლივორნელის მიერ 1687 წელს თბილისიდან რომში გაგზავნილ წერილში ნათქვამი, რომ მას ქართულად უთარგმნია „საქრისტიანო მოძღვრება“, რომლის რედაქტირება მოუხდენია სულხანს (2: 262) (შემდეგში საბა-სულხანი). რადგან დასახელებული თხზულება მიკვლეული არ არის, „არაა გამორიცხული, რომ „სამოთხის კარის“ სახით საქმე გვქონდეს რომელიმე ჩვეულებრივი დასავლურქრისტიანული კატექიზმოს... ქართულ თარგმანთან“, – შენიშვნავს მ. ლალანიძე (15: 145).

საეჭვოდ მეჩვენება, რომ საბას 1709 წლის 15 აგვისტოს პაპთან გაგზნილი წერილით (2: 312) თითქოს დგინდება, რომ იგი XVII ს. 80-90-იან წლებში უკვე კათოლიკობის აღმსარებელი იყო. ივ. ლოლაშვილის თქმით, „ამ წერილიდან ირკვევა, რომ საბა ობელიანი მიიჩნევდა რომის პაპს, როგორც ამქვეყნად ქრისტეს მიერ დადგენილ მწყემსს, პეტრე მოციქულის მოსაყდრესა და „წმიდათა უაღრესსა“, რომელსაც სთხოვს თავისი და მეუღლის ცოდვათათვის ლოცვასა და შენდობას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საბა უკვე კათოლიკი იყო (8: 147-148).

ზემოთ განხილული მასალებიდან და მათზე სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას: გვაქვს არცთუ დამაჯერებლობას მოკლებული საბას მიერ კათოლიკობის აღიარების ოთხი სხვადასხვა თარიღი (1687, 1692, 1701, 1713 წლები). პირველი სამი თარიღის მოწმობა საბას გაკათოლიკების შესახებ, ვფიქრობ, გვიჩვენებს ქართველი მოღვაწის დიპლომატიურ სვლებს (დღეს რომ იტყვიან, დიპლომატიურ თამაშს) ქვეყნის შიგნით და, იმავე დროს, სატყეურას საქართველოში მოღვაწე პატრი-ბისა, ამ უკანასკნელთა საშუალებით კი, მათი პატრიონები-სათვის რომში. საბა ცდილობს დაარწმუნოს ისინი კათოლი-ციზმის მიმართ თავის არა მხოლოდ ლოიალობაში, უფრო მეტი, მის მიერ ამ სარწმუნოების საიდუმლოდ აღიარებაშიც. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კათოლიკე მისიონერებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ, თავიანთ დამსა-ხურებად გამოეცხადებინათ დიდი ქართველი მოღვაწის კათო-ლიციზმზე მოქცევა და ამით თავიანთი საქმიანობისათვის მე-ტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ. რაც შეეხება მეოთხე თარიღს – 1713 წელს, ეს არის სულხან-საბას მკაცრი რეალობის წინაშე დადგომის დრო, როდესაც რაიმე ორჟოფობის გამომ-ჟღავნება კათოლიციზმთან მიმართებაში დიპლომატისათვის მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. ამიტომ, ჩემი აზრით, ყვე-ლა დასახელებულ თარიღთან შედარებით, უპირატესობა უნ-და მიენიჭოს 1713 წელს – როგორც სულხან-საბა ორბელი-ანის მიერ კათოლიკობის ოფიციალურად აღიარების წელს.

სულხან-საბა ძალიან კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის საგალალო პოლიტიკურ მდგომარეობას, მის გამომწვევ მიზე-ზებს. მას გარევეული წარმოდგენა ჰქონდა ევროპის ცენტრა-ლიზებულ კათოლიკურ ქვეყნებზე, რომელთა სულიერ მეთა-ურად რომის პაპი გამოდიოდა. ამიტომ „იმ ქვეყნის შვილი, სადაც ეკლესიის სახე პოლიტიკურ ვითარებას ასახავს, სა-დაც საეკლესიო იერარქია ვერ აკონტროლებს მდგომარეობას,

სადაც არც ერობაში, არც ეკლესიაში არ არსებობს ძლიერი ხელი, რა გასაკვირია, რომ გადაიხაროს პაპობის შეუვალი და შეუმცდარი ავტორიტეტის აღიარებამდე... საბას გადახრა, შესაძლებელია, ისევ და ისევ ტრადიციული პოლიტიკური მიზეზით აგხსნათ. შესაძლოა, ამ სფეროში და ამ აზრით ხედავდა საბა ჭეშმარიტებას რომის ეკლესიაში. და რაკი და-ინახა, მისდამი რწმენაც გულწრფელი იქნებოდა“, — აღნიშ-ნავს ზ. კიკნაძე (5: 18).

ჩემთვის ფრიად საპატივისცემო ზ. კიკნაძის საპასუხოდ მინდა ვთქვა, რომ სულხან-საბა თავის დიპლომატიურ თამაშ-ში სრულიადაც არ იყო ორიგინალური. ქართველმა პოლი-ტიკოსებმა და დიპლომატებმა დიდი წნის წინათ (განსაკუ-რებით მკვეთრად გამოჩნდა ნიკიფორე ირბახის ევროპაში მოგზაურობის დროიდან) შეიმუშავეს რომის პაპებთან საურ-თიერთობო ენა, რომელიც უფრო პოლიტიკური იყო, ვიდ-რე კათოლიციზმისა და რომის პაპისადმი ნამდვილი დამოკი-დებულების გამომხატველი. მაგრამ, წინამორბედი ქართველი პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, მხოლოდ სულხან-საბა აღმოჩნდა მყავრი რეალობის წინაშე, როდესაც მას უკანდა-ხევა აღარ შეეძლო და კათოლიციზმი სამშობლოში საიდუმ-ლოდ უნდა ეღიარებინა.

1716 წლის მაისში სულხან-საბა ორბელიანი ევროპი-დან სამშობლოში დაბრუნდა თორმეტ კაპუჩინ მისიონერთან ერთად. მის შემდგომ საქმიანობაზე ერთმანეთის საპირისპირო ცნობები გაგვაჩნია. ესენია მისიონერების და თვით საბას მო-ნათხობი იმაზე, რაც მას გადახდა სამშობლოში ახლად და-ბრუნებულს. მისიონერების ცნობებით, საბას ქადაგება და კა-თოლიკობის გავრცელება დაუწყია და ბევრი მომხრეც გასჩე-ნია. მაგრამ საბას საქმიანობას საპირისპირო რეაქციაც მოჰ-ყოლია. სომხებმა ქართველების მხარდაჭერით დაიწყეს კათო-ლიკებისა და პატრების დევნა, რომლის მსგავსი მანამდე სა-ქართველოში არ მომხდარა. პატრი ანჯელო პოპიელი თავრი-

ზიდან რომში გაგზავნილ წერილში (1718 წ. 8 აპრილი) მოგვითხროს, თბილისში როგორ დაარბიეს მისიონი. „ახლა ჩვენი საბრალო პატრიატი დარჩნენ უმონასტროდ და უეპკლე-სიოდ, დგანან ერთ პატარა სახლში. მანდეთ და რომში ნამ-ყოფ ბატონ საბაზე განრისხებულ ქართველებს, თუმცა ასეთი მკრეხელობა და უღმრთო დეენულობა არ ჩაუდენიათ, მაგრამ კი წაქეზეს სომხები და ჩაადენინეს...“ (2: 334-336).

ევროპიდან ახლად დაბრუნებული და ვალებში ჩავარ-დნილი სულხან-საბა არაფერს ამბობს აღმფოთებული თბი-ლისელების მიერ მისიონის და ეკლესიის აკლებაზე. ის მხო-ლოდ თავის თავს დატეხილ უბედურებასა და დაუფარავი ვა-ლების შესახებ გადმოგვცემს: „ივლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმ-ტერდენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია, ვალის მიცემაც გამიჭირდა... მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე (იასე – ე. მ.) ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე ბაქარ დასჯდა მეფედ. ვისოდენ ჰირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი, თხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს. მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დააგიწეუეს. კრება მიყეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს. მე მარ-თლმადიდებლობა (კათოლიკობა – ე. მ.) ვერ უარვყავ. და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგ-ვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპრა და მათი ვერაგობაც გა-ცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყო-ველნი დაეტუქსა“ (13: 245).

ამონარიდიდან გაუგებრობას იწვევს ერთი წინადადება: „კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს“. „მომიდ-ვეს“ ისე იგებენ, თითქოს საბა-სულხანი ამბობს, რომ „მას პაპის შეურაცხყოფა დასწამეს“ და ამის გამო მცხეთაში სა-ეკლესიო კრებაზე გაკიცხეს (10: 35; 11:119; 5:18). კონტექს-

ტიდან გამომდინარე, ვფიქრობ, „მომიდვეს“ – „მომთხოვეს“ უნდა ნიშნავდეს, ე. ი. საბა ამბობს, რომ მას რომის პაპის გალანძღვა მოსთხოვეს, რაც, მისი გაგებით, კათოლიკობის უარყოფის ტოლფასი იქნებოდა. კათოლიკობა და მართლმადიდებლობა საბასთვის ერთი და იგივე იყო. ავის მდომებმა მაინც შეძლეს ვახტანგ VI-ის აყოლიება. საბა „ქილილა და დამანას“ ანდერძში ამბობს, რომ ვახტანგი პირადად მისი და მისი ძმების წინააღმდეგ განაწყეს. საბამ მეფესთან თავისი ურთიერთობა ალექორიულად ასახა სამ იგავ-არაკში („მზე და ვარდი“, „ზღვა და დელფინი“ და „მეფე და მეძებარი“). საბოლოოდ, მეფისა და საბას შერიგება მოხდა, მაგრამ სამღვდელოება მას სიკვდილის შემდეგაც არ პატიობდა „სამოთხის კარში“ კათოლიკობის მართლმადიდებლობაზე მაღლა დაყენებას. ამიტომაც იყო, რომ მისმა მმამ, ნიკოლოზმა, საბას ეს თხზულება გაწმინდა მართლმადიდებლობისათვის მიუღებელი აზრებისაგან, მაგრამ ძმებმა დედანი (მეორე ნუსხა) გადაარჩინეს და მისი არსებობა ცნობილი გახდა.

სწორედ ამ მეორე ნუსხის მიხედვით მსჯელობდა ანტონ კათალიკოსი საბა-სულხანის რელიგიურ რწმენაზე და ამიტომაც მის „სამოთხის კარს“ „ჯოჯოხეთის ბჭე“ უწოდა. გ. ლეონიძემ ანტონ კათალიკოსის მიერ საბა-სულხანისგან მართლმადიდებლობის უარყოფა და კათოლიკობის მიღების, როგორც ფაქტის, კრიტიკული შეფასება იმის საბუთად ჩათვალა, რომ საბა-სულხანი კათოლიკედ გარდაიცვალა. მაგრამ კათალიკოსის ლექსად გამოათქმაში, ვფიქრობ, საბას მიერ კათოლიკობის მიღების ფაქტია დაგმობილი და არაფრიდან ჩანს, რომ იგი ამ რწმენის ერთგულად დარჩენილად მიაჩნია: „საბას არ ვაქებ, ამად ვითარმედ ესე // ეკლესიასა წმიდასა მტერ-განუდგა, // წინააღმდეგომ-მბრძოლ ექმნა ჭეშმარიტებას; // „სამოთხის კარი“, გარნა ჯოჯოხეთის ბჭე // აღწერა სულთა წარწევედად, თკთკა წარწემდა“. სამაგიეროდ, ანტონ კათალიკოსი მაღალ შეფასებას აძლევდა საბა-სულხანის საე-

რო შემოქმედებას: „მაგრა შაირნი მისნი საქებელობენ: // შაირთა ვაქებ, სადაც არა ლათინთა // განხეთქილება ან შეკრია წვალება; // უცხო არს იგი საქებელ პიიტიკა, // რაცა სოფლიოთ გამოთქუა სულხან-საბა“ (1: 282, სტრ. 805-806).

სულხან-საბა ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში გადასახლდა. მ. თამარაშვილი, სულხან-საბას რუსეთში ცხოვრების და მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდის შესახებ გავრცელებული (პლატონ იოსელიანის, ალექსანდრე ცაგარელის) აზრის საწინააღმდეგოდ, რაიმე საბუთის დამოწმების გარეშე აღნიშნავდა: „სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია საბა ორბელიანის შესახებ ის აზრი, ვითომ მას რუსეთში კათოლიკობა უარეყოს. საბამ თითქმის 40 წელიწადი აღიარა კათოლიკობა და მისთვის ბევრი შეწუხებაც დაითმინა; ეგრეთვე თავისი მეცადინეობით ბევრი გააკათოლიკა და რომთან უკანასკნელ დრომდე ერთგული განწყობილება იქნია. სრულებით არ არის შესაწყნარებელი, რომ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წელს, ვახტანგთან წასულს, რუსეთში უარეყოს ეს სარწმუნოება, როდესაც მისი სიკვდილის შემდგომ, თვით ვახტანგმა მტკიცედ დაიცვა კათოლიკობა“ (2: 341).

საბას მიერ კათოლიკობის მიღების ფაქტთან დაკავშირებით გ. ლეონიძე საგსებით სწორად ფიქრობდა, რომ იგი განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივებით, მაგრამ მკვლევარი შემდეგში ამ მოსაზრებასთან წინააღმდეგობაში მოდის. თუკი საბას მიერ კათოლიკობის მიღება მხოლოდ პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რუსეთში გადახვეწილ მეფესა და მის ერთგულ მსახურს – საბა-სულხანს რაღად სჭირდებოდა ან რა სარგებელს მოუტანდა პოლიტიკური მოტივით მიღებული კათოლიკობა. მაშასადამე, იგი, ამგვარი ლოგიკიდან გამომდინარე, ადვილად შეელეოდა კათოლიკურ ქვეყნებთან საურთიერთობო რელიგიას და სიცოც-

ხლის ბოლოს დაუბრუნდებოდა მამა-პაპათა რწმენას, რასაც კატეგორიულად უარყოფდა გ. ლეონიძე (6: 84).

პეტერბურგს მიმავალი ვახტანგ მეფის ამაღლაში მყოფი საბა მოსკოვში ავად გახდა და უკანასკნელი დღეები არჩილ II-ის სასახლეში, სოფ. ვსესვიატსკოეში გაატარა. საბა იქვე გარდაიცვალა და არჩილის ასულმა, დარეჯანმა თავის კარის ეკლესიაში დაკრძალა. „საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ, ჩრკე (1725) იანვარსა, კს (26), მწუხრს დიდს მოსკოვს, სესენწყას, ბატონის არჩილის სასახლეში და იმავე საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯით და თანაწაყოლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანისათა“ (6: 104).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია კ. კეკელიძის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, რადგან 1725 წ. 26 იანვარს სოფელ ვსესვიატსკოეში გარდაცვლილი სულხან-საბა იქვე, არჩილ მეფის კარის ეკლესიაში დაკრძალეს, „საფიქრებელია, რომ ის კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში ის ვერ დაიმარხებოდა“ (4: 453).

რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, მისიონერების საეჭვო ცნობების გარდა მისი კათოლიკობისადმი დამოკიდებულების შესახებ, სხვა არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის პირობებში, როდესაც ვახტანგ მეფე მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ და ხელმწიფის მოწყალებით ცხოვრობდა, კათოლიკიზმისადმი მისი მიღრეკა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და ხელისუფლების მხრიდან მისთვის არასასურველი რეაქციაც მოჰყვებოდა.

დამოწმებანი:

1. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980.

2. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902.
3. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
4. გეგელიძე პ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.
5. კიკნაძე ზ., კვლავ დაბრუნების თუ გადასვლის თაობაზე. პასუხი მერაბ ლალანიძეს. „დიალოგი“. აღმოსავლურ-დასავ-ლური ქრისტიანული ჟურნალი, №1 (2), თბ., 2005.
6. ლეონიძე გ., ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორი-იდან, ტ. 1, XVII-XVIII სს., თბ., 1949.
7. ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი. სულხან-საბა ორ-ბელიანი, თხზულებანი, I. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანე-იშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.
8. ლოლაშვილი ივ., სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ და „სამოთხის კარი“. სულხან-საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო კრებული, თბ., 1959.
9. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა (VI-XXს.), თბ., 1995.
10. პაპაშვილი მ., კიდევ ერთხელ თუ რატომ მიიღო სულ-ხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა, „საისტორიო ვერტიკა-ლები“, თბ., 2009, №18.
11. პაპაშვილი მ., ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში XVIII საუკუნეში. „საისტორიო ვერტიკალები“, დამატება, თბ., 2009, №18.
12. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1972.
13. სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1957.
14. ღაღანიძე მ., „სამოთხის კარის“ რედაქციათა გამო, II სა-ერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურული კონფერენცია. სულ-

ხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატუ-
რა, კულტურა, ცნობიერება (მასალები), თბ., 2009.

15. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გამოსაცემად
მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University, Full Professor

THE CONVERSION OF SULKHAN SABA ORBELIANI

TO CATHOLICISM

RESUME

According to the widely accepted viewpoint, one of the greatest Georgian public figures, a scientist and a diplomat Sulkhan Saba Orbeliani had converted to Catholicism long before he left for Europe.

The article aims to prove that only with the political purpose Sulkhan Saba Orbeliani converted to Catholicism right before traveling to Europe though he denied the faith later while living in Russia as a refugee and died as a Christian Orthodox.

ნესტან სულავა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საღვთისმეტყველო ტერმინთა არსისათვის და მათი ტრანსფორმაცია საერო მწერლობაში

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამოწმებულ საღვ-
თო სახელთა საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური
წიგნები, ბიბლიური სწავლება და მათგან მომდინარე საღვ-
თისმეტყველო მოძღვრებაა. ღვთისმეტყველმა წმიდა მამებმა
საღვთო სახელები არსობრივი თვალსაზრისით ორი რიგისად
წარმოადგინეს – „შეერთებულისა და განყოფილისა“ (არსობ-
რივი და ჰიპოსტასური) – და მათი შინაარსი ახსნეს. მოხსე-
ნებაში განხილულია აპოფატიკური საღვთო სახელები, რაც
ღვთის არსობრივი რაობის გარკვევას უკავშირდება, და მათი
ტრანსფორმაცია საერო ლიტერატურაში, კერძოდ, „ვეფხის-
ტყაოსანში“.

ნეტარი ავგუსტინე ღვთისადმი დამოკიდებულებისა და
მისი არსის სიტყვიერად გამოხატვის შესაძლებლობის შესა-
ხებ „აღსარებებში“ ამბობს: „მეტი რა შეიძლება ითქვას შენ-
ზე საუბრისას? მაგრამ ვაი მათ, ვინც დუმილით გილიან
გვერდს, რადგან თვით შენზე მეტყველნიც კი მუნჯნი არიან“
(1: 5); მსგავსი თვალსაზრისია გამოთქმული ნეტარი ავგუს-
ტინესავე ეგზეგეტიკურ თხზულებაში „იოანეს სახარებისათ-
ვის“: „ღმერთზე შეიძლება ყველაფერი ითქვას, მაგრამ ვერა-
ფერს ვიტყვით ისეთს, მისი ღირსი რომ იყოს“ (1: 311). ეფ-
რემ მცირემ საღვთო სახელთა არსის განმარტების შესახებ

აღნიშნა, რომ ეს ურთულესი საქმეა: „განმარტებად არა ხოლო შესაძლებელ არს, არამედ საცოტურებადცა“ (4: 83), რომლის მიხედვით, ღვთის არსის წვდომა ადამიანის დასაზღვრულ გონებას, როგორი ღრმაზროვანიც არ უნდა იყოს, არ ძალუქს. შეუ საუკუნეების მწერალი ორ რამეს აღიარებს:

1. იგი არაა ღირსი და შემძლება, გადმოსცეს არჩეული თქმა სიტყვებით, რომ მას ღვთისადმი პატივის მიგება მხოლოდ დუმილით შეუძლია (შდრ.: გიორგი მერჩულის თხზულებაში დამოწმებული თვალსაზრისი: „ბრძნად მეტყუელებად ვეცხლი არს, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეულ“); 2. იგი გრძნობს ღვთისაგან მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, რომ აუცილებელია სიტყვის თქმა, რათა არ დაიკარგოს აზრი. ამიტომ მწერალმა უნდა მიმართოს ღმერთს და მოიხმოს მისი სახელები, რომლებიც სხვადასხვაგვარია, ეფრემ მცირის ტერმინოლოგით, არის „წართქმითი“ და „უკუთქმითი“. ამგვარი სახელების განმარტება, რაც შესაძლებელიცაა და შეუძლებელიც, უთუოდ საჭიროებს რელიგიური და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გათვალისწინებას. ფილოსოფიის ცნების გააზრებაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იგი გულისხმობდა და მოიცავდა არა უკვე არსებული, უცვლელი ცოდნის პასიურ დალაგებას, არამედ ცოდნის შესაძნად მარადიულ სწრაფვას, უმაღლესი სიბრძნის წვდომის აუცილებლობას, როგორც მოიაზრებოდა იგი ანტიკურ სამყაროში, აქედანვე წამოვიდა ეს სახელწოდება, დაუსრულებელ სკლას სიბრძნისაკენ, რაც იმასაც გამოხატავდა, რომ უმაღლესი სიბრძნის საბოლოო წვდომა შეუძლებელია. ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებიდან – „ფილოსოფია თავად სიბრძნე კი არაა, არამედ სიბრძნის სიყვარულია“ – შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ არსი მიუწვდომელია, ამიტომ ფილოსოფიიდან არ უნდა ველოდეთ არსის წვდომას, ან პირიქით – ფილოსოფიიდან, ანუ სიბრძნის სიყვარულიდან შეუძლებელია არსის წვდომა, რადგან არსი მიუწვდომელია, მიუხედავად იმი-

სა, რომ ფილოსოფია გონებითი ჭვრეტისაკენ, განყენებული მეცნიერული აზროვნებისაკენ, სამყაროსაგან განცალკევებისაკენ, მონაზვნური ცხოვრებისაკენ იხრებოდა, რის გამოც მონაზვნები ზოგჯერ ქრისტიან ფილოსოფოსებად იწოდებიან. იგი გულისხმობდა არა უკვე არსებული, უცვლელი ცოდნის უბრალო დალაგებას, არამედ ცოდნის შესაძენად მარადიულ სწრაფვას, უმაღლესი სიბრძნის წვდომის აუცილებლობას, დაუსრულებელ სვლას სიბრძნისაკენ, რაც იმას გამოხატავდა, რომ უმაღლესი სიბრძნის წვდომა შეუძლებელია. სიბრძნის-მოყვარეობა, ანუ „სოფიის“ სიყვარული ქრისტიანული აზროვნებისათვის უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარებისა თუ წვდომის უმთავრესი გზაა. წმ. იოანე დამასკელმა ფილოსოფოსობა საღმრთო და ადამიანურ საქმეთა მეცნიერებად განმარტა: „ფილოსოფოსობად არს მეცნიერებად საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთად“ (3: 52,2).

ამ თვალთახედვითაა განსახილველი აპოფატიკური საღვთო ტერმინები.

უცნაური, უთქმელი, უცვლელი, არაარსი, განუსაზღვრელი, დაუბადებელი, უკვდავი, დაუსაზღვრელი, მოუხელ-თებელი, გამოუსახველი, დაუსახველი, შეუხებელი, უსხეულო – ამ ტიპის, ე. ი. აპოფატიკური საღვთო სახელები პირველად საღვთისტეტყველო-პატრისტიკულ ლიტერატურაში ებრაელმა ფილოსოფოსმა ფილონ ალექსანდრიელმა გამოიყენა. მის შემდგომ კი ნეოპლატონიკოსთა ნააზრევში, ისრაელურ და, მოგვანებით, ისლამურ ფილოსოფიაში შეინიშნება მათი არსობრივი რაობის შესახებ საუბარი. ქრისტიანულ ლიტერატურაში ეს სახელები მკვიდრდება პავლე მოციქულის ეპისტოლების შექმნის დროიდან. შეიძლება დავიძოწმოთ პავლეს სიტყვები, როდესაც იგი არეოპაგში წარდგა ათენელთა წინაშე და ქრისტეს მოვლინება ახარა, როგორც ადამიანთათვის უცნობისა, შეუცნობლისა, რომლის საიდუმლო ადამიანის და-საზღვრული გონებისათვის შეუცნობადია და რომელსაც ად-

ამიანები არ იცნობენ: „რამეთუ, მიმო-რავ-ვიქცეოდე და მოვი-ნილევდ სამსახურებელთა თქუნთა, ვპოვე ბომონიცა, რო-მელსა ზედა წერილ იყო: უცნაურსა ღმერთსა. აწ უკუე რომლისა-იგი უმეცარ ხართ და ჰმსახურებთ მას, მე გახარებ თქუნ, ღმერთსა, რომელმან შექმნა სოფელი და ყოველი, რავ არს მას შინა. ესე ცისა და ქუეყანისავ არს უფალი, არა კელით ქმულთა ტაძართა შინა დამკადრებულ არს, არ-ცა კაცობრივთა კელთა მიერ იმსახურების, ვითარმცა მოქნე ვისამე იყო, რამეთუ იგი თავად მოსცემს ყოველთა ცხორება-სა და სულსა ყოვლით კერძო“ (საქმე, 17, 23-25). აქედან მოყოლებული, „უცნაურს“, ანუ შეუცნობელს უწოდებენ ღმერთს წმ. დიონისე არეოპაგელი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტ-ყველი, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანია წმ. დიონისე არეოპაგელის შეხედულებანი, რომელ-მაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა საღვთო სახელებს – „საღმრთოთა სახელთაოვის“ და ვრცლად განიხილა მათი არსობრივი რაობა, განსაზღვრა თითოეული კატაფატიკური და აპოფატიკური საღვთო სახელი შინაარსობრივი თვალსაზ-რისით; აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია არეოპაგიტული თხზულებების კომენტატორის, წმ. მაქსიმე აღმსარებლის განმარტებები წმ. დიონისე არეოპაგელის ცალკეულ მნელად აღსაქმელ თავთან დაკავშირებით.

საღვთო სახელებმა ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცი-ეს, როგორც ტერმინებმა, რომლებიც საერო ლიტერატურა-შიც ტრანსფორმირდებიან პერსონაჟის სახის წარმოსაჩენად. ამ ბოლო ხანებში შეიქმნა საღვთისმეტყველო ტერმინოლო-გიისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომათა მთელი რიგი, რო-მელთაგან უთუოდ უნდა აღინიშნოს 1996 წელს გამოცემუ-ლი ედიშერ ჭელიძის მონუმენტური მონოგრაფია „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია“; აგრეთვე და-მანა მელიქიშვილის, ქეთევან ბეზარაშვილის, თამარ ოთხმე-

ზურის, ნინო მელიქიშვილის, მაია რაფაგასა და სხვათა შრომები. ე. ჭელიძის წიგნში სულ განხილულია ათი ტერმინი და მათთან შინაარსობრივად დაკავშირებული სხვა სიტყვებით გამოხატული ტერმინები. დამოწმებულია უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა ძველი ქართული და უცხო ენებიდან, ძირითადად, ბერძნულიდან, ქართულად თარგმნილი თხზულებებიდან. ტერმინთა განხილვისას დავეყრდენით ხსენებულ მკვლევართა მიერ მოპოვებულ უმდიდრეს მასალას.

როგორც ცნობილია, წმ. დიონისე არეოპაგელმა საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში საღვთო სახელთა ორი რიგი გამოყო, მათი შეცნობისა თუ შეუცნობლობის ადამიანის გონების შესაძლებლობიდან, მისი დასაზღვრულობიდან გამომდინარე: კატაფატიკური და აპოფატიკური. კატაფატიკა, ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით, წართქმითი სახელი, ღვთის არსე „მსგავსებით“ გამოხატავს, იგი განეკუთვნება იმგვარ საღვთო სახელთა რიგს, რომელიც აღნიშნავს, თუ რა არის ღმერთი. აპოფატიკური, ეფრემ მცირისავე თქმით, უკუთქმითი საღვთო სახელი, „გამოუთქუმელი და საიდუმლოვ“, ღვთის არსე მისტიკური, „უმსგავსეობით“ გამოხატავს. იგი არკვევს, რა არ არის ღმერთი, დიონისე არეოპაგელის მიხედვით, „რად იგი არა არა არს“.

წმ. დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მიხედვით, აპოფატიკური საღვთო სახელი მიუთითებს ზეგრძნობად მარადიულობაზე, რომელიც თავის თავში არსებობს და რომელიც ყოველთვის თავის თავს უთანაბრდება. ამავე დროს, იგი ზეარსში მოცემული და არსებულია, იგი არაცვალებადია, უცვლელია, არაარსია, განუსაზღვრულია, დაუბადებელია, უკვდავია, დაუსაზღვრულია, მოუხელთებელია, გამოუსახველია, შეუხებელია, უსხეულოა, დაუსახველია, უაღნაგობო დაუსახველობაა. დავიძოწმებ ედიშერ ჭელიძისეულ თარგმანს: „შევეკრძალოთ ღვთის შესახებ თქმულთა ჭეშმარიტებას „არა ადამიანური სიბრძნის სარწმუნო სიტყვების მიერ“, არამედ

ღვთისმეტყველთა სულითაღძრული ძალის „გაცხადებით“ (შეად. I კორ. 2, 4), რომლის გზითაც უთქმელთ და უცოდნელთ უთქმელად და უცოდნელად შევერთვებით ჩვენეული აზრისმიერი და გონისმიერი ძალისა და მოქმედების ერთობისამებრ. ამიტომ არანაირად არ გაიძედება არც თქმა, არც რაიმეს გააზრება ზეარსი და ფარული ღმრთების შესახებ იმათ გარდა, რაც ნასიტყვობათაგან ღვთისსახოვნად თქმულა ჩვენდამი, რადგან სიტყვაზე, გონებაზე და არსებაზე უზემოეს ამ ზეარსულობას ეთვისება უცოდნელობა“... (8: 5-6; ხაზგასმა მთარგმნელისაა). ზეარსი მეცნიერება თვით ღვთისაგან მოდის, იგი „განზღუდავს განზომილებაში მყოფთაგან თავის განუზომელობას, როგორც მათთვის ვერდასატევს“ (8: 7). წმ. მაქსიმე აღმსარებლით, „განუზომელად ამბობს თვით ღვთიურობას (ტო თეიონ), და მის, შესაძლებლობისამებრ, გამობრწყინებას“ (9: 19, შენ. 13). ამასთან დაკავშირებით წმ. მაქსიმე აღმსარებელი კომენტარს აკეთებს და აღნიშნავს, როდესაც ვახსენებთ დაბადებულს, არ არის საჭირო მისი დაკავშირება ღმერთან. რადგან ეს ისედაც ნათელია, ხოლო დაუბადებელია გარკვეულ მიზეზთა გამო, ღმერთი ხომ აბსოლუტი და პირველმიზეზია. „ღმერთი თითოეულს მისი ძალისამებრ უცხადებს ჭეშმარიტებას... სამართლიანობის თვისებაა თითოეულს მიუზომოს მისი ღირსებისამებრ. ამრიგად, უსაზომოა ღვთის შესახებ ცოდნა, ჩვენ კი ზომა გვესაჭიროება, რადგან თუკი განუზომელად გამოგვეცხადებოდა, ვერ გადავრჩებოდით, ისევე როგორც ხორციელი თვალი, მთელი მზის მიმღები“ (9: 19, შენ. 12).

წმ. დიონისე არეოპაგელის მოძღვრებით: „როგორც მოუხელთებელია და ვერდასანახია გრძნობათათვის გონისულნი და ნაძერწობასა და გამოსახულებაში მყოფთათვის – მარტივნი და გამოუსახველნი, აგრეთვე, სხეულების აღნაგობათამებრ დასახულთათვის – უსხეულოთა შეუხებელი და უაღნაგობო (ასხემატისტოს) დაუსახველობა, ჭეშმარიტების იმავე

სიტყვისამებრ, არსებებზე ზემდებარეა ზეარსი უსაზღვროება და გონებებზე ზემდებარეა ზეგონისეული ერთობა“... (8: 7-8). წმ. მაქსიმე აღნიშნავს, რომ წმ. მამა აქედან „ღვთის ცოდნის შესახებ ცოდნის მიუწვდომლობას წარმოაჩენს, რადგან თუკი ვერც მარტივი და დაუსახველნი ვერ ექვემდებარებიან გრძნობას (თუმცა კი არსებები რამ არიან ისინი), როგორც კერძოდ ანგელოზები და სულები – სხეულს, რაოდენ უფრო აღმატებულია ღმერთი, რომელიც არც არსებაა, არამედ – არსებაზე უზემოესია, არც გონებაა, არამედ – გონებაზეც უზემოესია, არც ერთებაა, არამედ ერთებაზეც უზემოესია, არც რაიმე საზღვრით გარშემოწერილია, არამედ უსაზღვროებით გაშორებულია არსთავან? გესმის რა წერილისაგან ღვთის „დასახულობა“ (მორფე), „სახე“ (ეიდოს) და პირისახე (პროსოპონ), ზეამზიდველად და ზესხეულებრივად, ღვთის ღირსებისამებრ გაიაზრე ეს, ხოლო როცა „ერთობას“ გაიგონებ, ნუ იგულისხმებ განსხვავებულთა თანსვედრას ერთობაში, რადგან არათუ ამგვართა შესახებ არის ახლა მსჯელობა, არამედ ღვთის შესახებ, რომელიც არც რიცხვთა დასაბამია და შეუდგენელიცაა (ასუნთეტუ), ამასთან, შეერთებულიცაა მხოლოდარსებებზე (ტა მონოუსია) აღმატებულად“ (9: 19-20, შენ. 14).

შეუცნობელი, უცნაური, უცნობი, დაუსაზღვრელი, უსაზღვარო, როგორც საღვთო სახელები, აპოფატიკურ სახელთა რიგს განეკუთვნება და ყველაზე ვრცლად სწორედ ამ საღვთო სახელთა შესახებ გვექნება მსჯელობა. ღვთის შეუცნობლობა მისივე ბუნებიდან, მისივე არსიდან მომდინარეობს. მხოლოდ ღმერთია თავისი თავის მცოდნე, როგორიც არის იგი, ყველა დანარჩენისათვის იგი უცოდნელია, შეუცნობელია, თუ რა არის და როგორია ღმერთი. მათეს სახარების მიხედვით: „არავინ იცის მამა, თუ არა ძემ და ძე, თუ არა მამამ“ (მთ. 11, 27). ასევე ითქმის სულიწმინდის შესახებ, რადგან ისიც შეუცნობელია ადამიანის დასაზღვრული გონებისათვის.

წმ. მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებში არეოპაგიტული „უსაზღვროება“, „დაუსაზღვრელი“, რომელიც „დასაზღვრულს“, „შემოსაზღვრულს“ უპირისპირდება, შემდეგნაირად განიმარტება: „შემოსაზღვრული, ბუნებრივია, გარემოცულიც არის იმის მიერ, როთაც შემოსაზღვრა, ხოლო თუკი ღმერთი ყველაფრის ადგილია (არა სხეულებრივად, არამედ შემოქმედებითად), რადგან აღავსებს იგი ცას, მიწას და ყოველივეს, და ამათ გარეთ არის, ცხადია, რომ უსაზღვროებაა, ანუ საზღვრის არ მქონე ძალაა იგი“ (9: 21, შენ. 17).

ჰიმნოგრაფია საღვთო სახელთა ორივე რიგს წარმოადგენს ღვთის არსის გამოსახატვად, **გაძოსახატვად** და არა შესაცნობად, რადგან მისი შეცნობა ადამიანის დასაზღვრულ გონებას არ ძალუშს. ვლ. ლოსკის სიტყვით, აპოფატიზმი არის ყველაფერი ის, რაც არ არის ღმერთი: თავდაპირველად უარყოფილ უნდა იქნეს ყოველივე შექმნილი, ცათა ვარსკვლავური კოსმიური დიდებაც, გონებისათვის მისაწვდომი ანგელოსური ცათა ნათელიც კი. შემდეგ უნდა გამოირიცხოს ყველაზე ამაღლებული ატრიბუტები: სიკეთე, სიყვარული, სიბრძნე; საბოლოოდ კი, თვით ყოფაც, მყოფიც. ღმერთი ხომ არც ერთი ამათგანი არ არის. მაგრამ ღმერთი ყოველივე ამის ერთიანობაა, თუმცა, არც მხოლოდ ესაა ღმერთი. მთელი თავისი არსით იგი შეუცნობადია. ვლ. ლოსკი წერს: „ეს ის ღმერთია, რომელსაც ჩვენ მივმართავთ **შენობით**, ის გვიხმობს ჩვენ, ის საკუთარ თავს გვაცნობს, როგორც ცოცხალს“ (5: 267). ქრისტიანულ ლიტერატურაში ღმერთი სახელდებულია, როგორც სიკეთე, სიყვარული, სიბრძნე. პოზიტიური, კატაფატიკური გზა უარყოფის გზით იხსნება. ღმერთი სიწმინდეა, იგი მყოფობს ყოველგვარი საზღვრების მიღმა, იგი საკუთარ თავს ავლენს სიკეთით, სიყვარულით, სიბრძნით. ყოველივე ამის მიუხედავად, მისი ბუნება მაინც თავისი შეუცნობადობის, შეუცნობლობის, დაუსაზღვრელობის სიღრმეში რჩება.

წმიდა მამათა მოძღვრებაზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აპოფატიზმი, რომელიც აღმოსავლური ეკლესიის მისტიკური ღვთისმეტყველების წიაღში აღმოცენდა და მისთვისაა განსაკუთრებით დამახასიათებელი და განმსაზღვრელი, სულიწმიდის სისრულის დადასტურებაა. „სულიწმინდაში ყველაფერი სისრულედ გარდაისახება: სამყარო, რომელიც იმისთვისაა შექმნილი, რომ განღმრთობის შესაძლებლობა მიეცეს ყოველ ადამიანს, პიროვნებები, რომლებიც ღმერთთან შერთებისაკენ არიან მოწოდებულნი, ეკლესია, რომლებშიც ეს შერწყმა ხორციელდება. დაბოლოს, ღმერთი სულიწმიდის მეშვეობით აძლევს შესაძლებლობას ყველას, რომ შეიგრძნოს იგი, ჩასწვდეს მას, როგორც ყოვლადწმინდა სამებას. რწმენა, როგორც ღვთაებრივი სისრულის აპოფატიკური განცდა და გამოხატულება, ბრძად არ უნდა მიიღოს ადამიანმა, არამედ – ღმერთთან შერთვის შესაძლებლობის გააზრებით. სულიწმიდა ის ჰიპოსტასია, რომელიც ღვთაებრივი საგნების შემოქმედებითი აღქმის საფუძველს ქმნის“ (5: 267). საღვთო სახელები, მართალია, ღვთის არსს გამოხატავენ, მაგრამ მას ვერ ამოწურავენ. ეს ის ატრიბუტებია, რომლებითაც ღმერთი გვაცნობს საკუთარ თავს, მაგრამ მისი ბუნება, მიუხედავად ამისა, მაინც არასოდეს ამოიწურება. ისევ ვლ. ლოსკის სიტყვებს დავიმოწმებ: „ჩვენი განწმენდილი გონება და შეგნება მიგვახლებს ღმერთთან, საღვთო სახელები, გარკვეულწილად, მის არსში შესვლის საშუალებას იძლევა, მაგრამ მისი არსის წვდომა არ ძალგვიძს, არც არასოდეს იქნება შესაძლებელი მისი წვდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი თვისებების განსაზღვრაც იქნებოდა შესაძლებელი: მაგრამ ღმერთი არ განისაზღვრება, რის გამოც არის იგი პიროვნული... ღმერთი ჩვენ გვიხმობს, ჩვენც მოცულნი ვართ მისი მიხმობით, სხვაგვარად მისი წვდომის მცდელობაც კი შეუძლებელია; მიუხედავად ადამიანის დასაზღვრული გონებრივი და განცდითი მცდელო-

ბისა, თავისი ბუნებით ღმერთი ყოველთვის მიუწვდომელი დარჩება ჩვენთვის“ (5: 268).

საგალობლებში ღვთის მიუწვდომლობა, მისი არსი, კატაფატიკურთან ერთად, იმგვარივე აპოფატიკური ტერმინებით გამოიხატება, როგორიც დასტურდება საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ თხზულებებში. ამიტომაც დავიძოწმეთ წმ. დიონისე არეოპაგელის, წმ. მაქსიმე აღმსარებლის, წმ. იოანე დამასკელისა და სხვათა შეხედულებანი აპოფატიზმის არსის შესახებ. საგალობლები მდიდარია აპოფატიკური საღვთო სახელებით, რომელთა მნიშვნელობა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ თხზულებებში გამოთქმულ შეხედულებებს თანხვდება.

დავიძოწმებ ტროპარებს მიქაელ მოდრეკილის საგალობლებიდან: „გარეშეუწერელი, უხილავი, გამოუთქმელი, შობილი ზეცას უდედოდ უწინარეს ჟამთა“ (S-425, 53r); შობისადმი მიძღვნილი ტროპარ-სძლისპირიდან: „უხილავი და გამოუთქმელი ღმერთი იხილვა ხატითა ადამეანთა“ (S-425, 10v); „დაუსაბამოო ღმერთო, ყოველთა დამბადებელო, უხილავო, მხოლოდ მიუწდომელო, სამებაო ერთარსებაო, ერთღმრთებაო, გამოუთქმელო მთავრობაო“ (S-425, 64r); წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ შედგენილი „ოუნიდან“: „წარწდა სახე შენი, რომელმან სიბრძნით შეპქმენ ყოველნი, კაცთათგს. სიტყუაო დაუსაბამოო, რომელმან სულისა წმიდისა თანა ყოველნი ხილულნი და უხილავნი დაპბადენ და დაამტკიცენ...“ (2: 42-43); „ძე დაუსაბამოო უწინარეს ჟამთა შობილი მამისა ჟამთა აღსასრულსა პშევ, ქალწულო“ (2: 94);

საგულისხმო ფაქტია, რომ საგალობლებში წმიდა მამებიც მოიხსენიებიან აპოფატიკური სახელებით. მაგ., სვიმეონ მესვეტისადმი მიძღვნილი საგალობლის წმ. გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის მიხედვით, წმ. სვიმეონი არის „ვარსკულავი დაუღამებელი“ (2: 43).

საგალობლებში ზოგჯერ ღვთიური საქმეც აპოფატიზმითაა გამოხატული: „საკურველ ხარ, უფალო, ყოველთა შემოქმედო, და საკურველ არიან ყოველნივე საქმენი შენნი და გზანი შენნი გამოუკულეველ, რამეთუ შენ ხარ სიბრძნე და ძალი თანასწორი მამისად და სიტყუად თანადაუსაბამო“ (2: 46); სიტყვის თანადაუსაბამობა ნიშნავს, რომ ძე ღმერთი მარადიულად თანაარსებობს მამა ღმერთთან და სულიწმიდასთან ერთად. „რომელმან გამოუთქმელითა სიბრძნითა ყოველივე დაპბადე, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან ჟამნი და წელნი განგუწესენ ჩუენ სახიერებით“ (2: 46).

აგრეთვე, საგალობლებში აღნიშნულია ღვთის ხილვის შეუძლებლობა ადამიანის მიერ: „ღმერთო, შეუძლებელ არს ხილვად კაცთაგან, რომელსა გუნდნი ანგელოზთანი ვერ მიხედვენ“ (2: 94).

საგალობელი მიუთითებს გამოუთქმელ საიდუმლოზე, როგორც ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ საიდუმლოზე, რომელიც ნაწინასწარმეტყველები იყო: „განბრწყინვებულმან საღმრთოთა საიდუმლოთა გამოუთქმელი დიდება, ნიშნი და ძალი იგავთა და სახეთა მიერ წინაისწარვე მოასწავენ, ღმრთისმხილველო მოსე, და დასაბამი დაუსაბამო საქმეთად და არსებად არაარსისად და გამოუსახველისა გამოსახვად და უნივორისა ნივთიერებად მოსლვად“ (2: 95).

XII საუკუნის შეუწლების მოღვაწის, იეზეკიელის წმ. სვიმეონისადმი მიძღვნილ იამბიკოში ყურადღებას იქცევს ნათლის სიმბოლო-მეტაფორა, რომელიც საღვთო სახელადაა გამოყენებული. წმ. სვიმეონი „ნათელთა შორის უღამოსა“ მბრწყინავადაა მიჩნეული. ეს საღვთო სახელი რამდენიმე ფორმითაა წარმოდგენილი ჰიმნოგრაფიაში, რომელშიც იგი გადატანილია წმინდანზე, რაც წმინდანის სულიერი სისრულის, სრულყოფილების წარმოჩენას ისახავს მიზნად. „ნათელი უღამოს“ ვარიაციებია ჰიმნოგრაფიაში დამოწმებული საღვთო სახელები: „ნათელი დაუღამებელი“, „მზც დაუღამებ-

ელი“, „მზტ უღამო“. ამ ტიპის მაგალითების მოხმობა საღვთო სახელებად ჰიმნოგრაფიიდან კიდევ მრავლად შეიძლება.

აპოფატიკურ საღვთო სახელთა ფორმა კი აჩვენებს, რომ იგი უარყოფითი ნაწილაკებისა (არ, არა) და აფიქსების (უ-ურ, უ-ო, უ-ელ...) გამოყენებით წარმოაჩენს ღვთის არსს. ამ რიგის სახელებს მიეკუთვნებიან: **არაარსი, არამყოფი, უცნაური, დაუსაბაძო, განუსაზღვრელი, უმსგავსო, უცვლელი, განუზომელი, გამოუთემელი, მოუკლებელი**, ე. ი. ყოველივე ის, რაც არ არის ღმერთი. აპოფატიკურ სახელთა არსობრივი რაობის გათვალისწინებით ჰიმნოგრაფიაში, კერძოდ, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, იოანე მტბევრის, წმ. გიორგი მთაწმიდლისა და ბერძნულიდან ნათარგმნ საგალობლებში (წმ. იოანე დამასკელი, წმ. ანდრია კრიტელი, წმ. კოზმა იერუსალიმელი, წმ. იოსებ და თეოდორე სტუდიოლები...), მოგვიანებით – საერო ლიტერატურაში, უფრო მეტად კი ამ უკანასკნელში, შესაძლებელი ხდება მათი სახისმეტყველებითი, მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების განსაზღვრაც, რაც იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ საღვთის-მეტყველო ტერმინებში ერთდროულად, შერწყმულადაა არეკლილი რელიგიური, ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური თვალთაჭედვა.

საღვთო სახელები ტრანსფორმირებულია საერო მწერლობაში, ისინი მეტაფორადაა გარდასახული, რის მაგალითად შეიძლება შოთა რუსთველის პოემა დავასახელოთ. თინათინის შესახებ ნათქვამში: „**თინათინს უთხრა შერძალინ, ნათელსა მას უღამოსა**“ – ჰიმნოგრაფიული ტრადიციის ამსახველი ეს ჰიპოდიგმური აპოფატიკური საღვთო სახელი პერსონაჟება გადატანილი, მეტაფორადაა გარდაქმნილი, რითაც თვით ამ პერსონაჟის განსაკუთრებული სილამაზე და შინაგანი ბუნებაა გამოხატული (7: 134).

ამიტომ აპოფატიკურ საღვთო სახელთა არსობრივი რაობის განხილვა გვაძლევს საფუძველს, თუ რა სიღრმისაა სა-

იდუმლო ღვთისმეტყველების არსი და ენა, თუ რა მიუწვდო-
მელია იგი ადამიანის დასაზღვრული გონებისათვის; აპოფატ-
იკური საღვთო სახელების გამოყენება საჭირო ხდება იმის-
თვის, რათა უკეთ გამოვლინდეს ღვთის არსის მიუწვდომლო-
ბა.

დამოწმებანი:

1. ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, ლათინურიდან თარგმნა,
გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ.,
1995.
2. წმ. გიორგი მთაწმიდელის თვენი, გამოსცა, გამოკვლევა,
საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, თბ.,
2007.
3. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გამოსაცემად
გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ.,
1976.
4. ეფრემ მცირე, ფსალმუნთა განმარტება, გამოსაცემად
მოამზადა მზექალა შანიძემ; ძველი ქართული ენის კათედრის
შრომები, 11, თბ., 1968.
5. Лосский Вл., Очерк мистического богословия
восточной церкви, в кн. «Мистическое Богословие»,
Киев, 1991.
6. ნევმირებულნი სძლისპირნი, გამოსაცემად მოამზადა,
გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, თბ., 1982.
7. სულავა ნ., რესონაველი და ძველი ქართული
სასულიერო პოეზია, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1977
(ხელნაწერის უფლებით).
8. წმ. დიონისე არეოპაგელი, საღმრთოთა სახელთათვის, ე.
ჭელიძის თარგმანი და კომენტარები, „გზა სამეუფო“, №2,
1995.

9. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, კომენტარები წმ. დიონისე არეოპაგელის თხზულებაზე, ე. ჭელიძის თარგმანი და კომენტარები, „გზა სამეუფო“, №2, 1995.

Nestan Sulava

*Full Professor of Samtskhe-Javakheti State Teaching
University*

*Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State
University*

**ABOUT THE MEANING OF THEOLOGICAL TERMS
AND THEIR TRANSFORMATION
IN SECULAR WRITING
RESUME**

The base of the God Names in theological writings are the Bible, teaching from the Bible and preaches from the Bible. In hymnography, as in canonical sphere of theological literature, as in other mediums, we meet two different side of theological names: Kataphatic and Aphophatic. They come from Areopagitical wisdom, in which the saint father choose the two sides of the God's names and also gave us explanation of their meaning. In our work we talk about aphopatic names and about their forms which is connected with sense of the God, especially in the poem "The Noble in the Tiger's Skin".

The names of the God become our interest as terms which transform in secular writing as a description of characters. In the last time there are too many works connected to the theological terms and when we are talking about this we are making sense after such a great sources.

Dionysius Areopagit in theological terminology devide two sides of the God's names. One can be recognised by human mind and other can not be recognised by human mind: Kata-

phatic and aphophatic. By the translations of saint Efrem Mtsire is positive name and means to explain the sence of the God by similarities, it means it shows what is the God. By the saint Efrem Mtsire aphopatic is the negative nameand it means to show the name of the God by mysticism, nonsimilarities, it explains what is not the God, what can not be the God. By Dionysius Areopagit “What it is not”.

The grammatical forms of aphopatic names shows that it use positive sufix: (un-, non, less...) and shows the sence of the God. The examples of such names are: Strange, nonbirth, indefinite, indecent, unchanged, unlimited, never said, nonfinished. So everything which can not be the God. In hymnography, for example: Ioane Minchkhi's, Miqael Modrekili's, Ioane Mtbevari's, saint Giorgi Mtatsmindeli's and in hymns translated from Greece (saint Ioane of Damask, saint Andrea of Krite, saint Kozma of Jerusalem, saint Josef and Theodore of Studies...), after in secular writing, most in the last one, we can define their symbolic and aestetic meanings which gives us opportunity to sum up that, in the same time theological terminology is combined in religion, philosophy, aethic, aesthetic.

There are interesting example how the theological names transform in secular writing, they are methapor, as it is told about Tinatini: “Shermadin told to Tinatini, ***to the light without night***” this theological name from the hymnography are used for the character and it gives the sense of beauty and nature of Tinatini.

To look after the meaning of the aphopatik names of the God gives the sense how deep are the secret of theological names meaning and language, how impossible for human to reach the meaning of the names. To use the aphopatik names is real shance to show the invisible part of the God.

მათა შაორშაძე
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მუკნიერ-თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი

**XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური
რიგის დაზუსტებისათვის**

როგორი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესაბა-
მისად, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავ-
ლად საისტორიო წყაროები და დოკუმენტები მეტად მწირია
და, ბუნებრივია, ეს ასახულია კიდევ ამ დროის ეკლესიის
ისტორიაზეც. XVIII საუკუნიდან კი ეს დანაკლისი საგრ-
ძობლად ივსება.

ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენაში განსა-
კუთრებული წვლილი აქვს შეტანილი პ. კარბელაშვილის. მის
მიერ შედგენილი ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგები გა-
მოუქვეყნებელია და საქართველოს ეროვნულ არქივში, მის
პირად ფონდშია დაცული. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად
მრავალი უზუსტობისა, ხშირად მოვლენებისა თუ ქრონოლო-
გიის აღრევისა, პ. კარბელაშვილის ნაშრომი მაინც ძალზე
მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. მაგალითად, მის
ნუსხაში, ქართლის რამდენიმე მთავარეპისკოპოსი მოთავსებუ-
ლია სამთავნელ ეპისკოპოსებში, ხოლო მცხეთის მთავარეპის-
კოპოსებში მოქცეულია ქართლის მრავალი მთავარეპისკოპო-
სი. ეს გასაგები ხდება ისტორიული რეალიების გათვალისწი-
ნებით, მაგრამ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგები, ბუნებ-
რივია, საჭიროებს მეტ დაზუსტებასა და შეძლებისდაგვარად
გამართვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში პ.
კარბელაშვილი ეყრდნობა პ. იოსელიანის ცნობებს და იმეორ-

ებს კიდეც მას. ამდენად, ამ მხრივაც ზოგიერთი მოვლენა სხვა წყაროების მიხედვით ხდება გადასამოწმებელი.

XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა საეპისკოპოსოთა მღვდელმთავრების ქრონოლოგიურ რიგთან ერთად, შესწავლილი აქვს ბ-ნ გურამ ჯანდიერს, მაგრამ მას ამ რიგში დასახელებული ჰყავს მხოლოდ ორი სამთავნელი ეპისკოპოსი და ამდენად, მის მიერ დადგენილი XVII საუკუნის ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგიც შესავსები და დასაზუსტებელია. (36).

გ. ჯანდიერი მისთვის ცნობილ პირველ სამთავნელ ეპისკოპოსად ასახელებს მელიტონ სამთავნელს, რომელმაც გივი ამილახორის მითითებით აღადგინა სამთავისის ეკლესიის მხატვრობა. (37: 307). გივი ამილახორის მოღვაწეობის წლების მიხედვით, მელიტონ სამთავნელის ეპისკოპოსობის წლებად, გ. ჯანდიერი პირობითად 1638–1692 წლებს ასახელებს.

რაც შეეხება მეორე სამთავნელ ეპისკოპოსს, 1699 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, „თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნში“ (30), მოწმედ დასახელებულია კვიპრიანე სამთავნელი, რის საფუძველზეც გ. ჯანდიერი 1699 წლის სამთავნელ ეპისკოპოსად ასახელებს კვიპრიანე სამთავნელს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კვიპრიანე (კოზმა) სამთავნელი XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილი საეკლესიო პირი, მწიგნობარი და მთარგმნელია და მის შესახებ არაერთი წყაროა ცნობილი, რაზეც ქვემოთ შევჩრდებით.

პირველ რიგში კი აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებისა და დოკუმენტების მიხედვით, ცნობილია კიდევ რამდენიმე სამთავნელი ეპისკოპოსი. თუმცა, ვიდრე ამ საკითხს უშუალ-

ოდ შევეხებოდეთ, ერთ საინტერესო მოვლენაზე გვინდა შევჩერდეთ. კერძოდ, 1513 წლის ერთი სიგელის მიხედვით, თაყა ამილახვრისა და მისი ძმის, აღნიას მიერ სამთავისის ეკლესიისათვის შეწირულ სოფელ ნადარბაზევსა და ვენახებს კასპსა და რექაში, 1613 წელს სამთავისის ტაძარს თავიდან უმტკიცებს ამილახვარი ბარზი და მისი შვილი თაყა, რადგან მათვის არსენს (რომელსაც თ. ჟორდანია სამთავნელად მიიჩნევს) სიგელი მიუტანია და უთხოვია, რომ უმთავითარებისაგან დაკარგული მამული, რომლის ნახევარიც აღარ ჰქონია, დაებრუნებინა და განეახლებინა. ამილახვარი უახლებს მას სიგელს და აღნიშნავს:ჩენც, რაც დიდს სიგელშიგა სწერია, ისრე გაგითავოთ... და სხვა შენს მამულზედ ჭელი არა დავდვათ რა, რაც პირველ სიგელშიგა არა ეწეროს... და-იწერა ქ(ორონი)ქ(ონ)სა ტა (1613 წ.) მარტსა ცამეტსა“ (11: 332-333; 26; 35). პირთა ანოტირებული ლექსიკონის I ტომში შეტანილია ეს არსენი, რომელიც მიჩნეულია ზევდგინიძე-ამილახვრების სახლის მწირველად. მას ჰყავს შვილები: გედეონ, მარკოზ, ბარნაბე, გიორგი. ამილახორთაგან მისთვის ბოძებული მამული დროთა ვთარებაში განახევრებულა, რის გამოც ზევდგინიძეთა წინაპრებს ორის ნაცვლად ერთ აღაპს უხდიდა [სამთავისის საყდარში]. ბარზი ზევდგინიძემ მას განუახლა მამულის წყალობა და დააგადა მეორე აღაპის გადახდაც – აღნიშნულია „ანოტირებულ ლექსიკონში“ (3: 172).

საქმე იმაშია, რომ ფონდ **Ad-12-ის** ა და ბ სიგელი ერთმანეთს ებმება, პირველ, ძირითად და ვრცელ სიგელში კი ლაპარაკია სამთავისის ტაძრისათვის თაყა ამილახვრისა და მისი სახლის მიერ შეწირულ სოფელ ნადარბაზევზე და სხვა რამდენიმე მამულზე, რის სანაცვლოდაც ამილახვრები მღვდელს აღაპის გადახდას უწესებენ თავიანთ მიცვალებულ-თათვის. სწორედ ეს ფაქტი იწვევს ერთ გაურკვევლობას. კერძოდ, არსებობს კათოლიკოს ნიკოლოზ IX (ამილახვრის)

(1678-88, 1692-95 წწ.) დროინდელი ერთი სიგელი „ნიკოლოზ კათალიკოსის წიგნი სამთავისის ძველ შეწირულებათა შესახებ“, რომელიც უთარიღოა და პროფ. ი. დოლიძე, პირობითად, ნიკოლოზის კათალიკოსობის წლების მიხედვით, 1678-1696 წლებით ათარიღებს. საბუთში, რომელსაც ანდერძსაც უწოდებენ, ნიკოლოზ კათოლიკოსი იხსენებს, რომ ალექსანდრე მეფის (იგულისხმება ალექსანდრე I კახეთის მეფე 1476-1511 წწ.) მამამ, გიორგი მეფემ (ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII 1446-1466 წწ. კახეთში გიორგი I 1466-1476 წწ.), სამთავისის ღვთაების ხატს და მის საყდარზე მჯდომარე სამთავნელ ზოსიმეს, შესწირა სოფელი უსიტყვე, დიდი მამული, ნაქონი დიმიტრი ბაგრატიონისა. მამის კვალს გაჰყვა ალექსანდრეც, მან „შექმნა ჯვარი დროშად, წინამდვარი ცხოვრებისა და წარმართებელი მეფობისა თვისისა პატივად და წინასაძლოლად დიდისა მღუდელმთავრისა დროშად სამთავისის ეპისკოპოსისა. ამანვე მოუძღუნა კანდელაკი იოელ აზნაური და სახასო თვისი სოფელი დიდი ნადარბაზევი და ყოვლითურთ ათავისუფლნა მასს შინა მკვიდრნი ხარკისა და ყოვლისა სათხოვარისაგან“ (9: 616-617; 12; 38-40), (5; 29). ეს საბუთი ნახსენებია აგრეთვე 1800 წელს შედგენილ დოკუმენტში „წყალობის წიგნი გერვასი სამთავნელისა თანე ქარუმიძისადმი“, როცა სამთავნელი გერვასი აღადგენს ძველ სამართლიანობას, დაუბრუნებს სამთავისს კუთვნილ სოფლებს, იოანე ქარუმიძეს მისცემს ნადარბაზევის მოურაობას და მიანიჭებს სახელოს კანდელაკობისა და ჯვარისტვირთველობისა (6).

როგორც ჩანს, სამთავისისადმი კუთვნილი სოფელი ნადარბაზევი და მეფეთა სხვა შეწირულობები გარკვეული დროით დაკარგულიყო და ამილახვრების ხელში აღმოჩენილიყო. ამილახვართაგან მათი ხელახლად გადაცემა და დამტკიცება არსენისა და მისი შვილებისათვის ამის დასტურია. ამისათვის ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამთავისის ტა-

ძარში აღაპის გადახდასაც აწესებენ თავიანთ მიცვალებულ-თათვის.

მართალია, თ. უორდანია არსენს სამთავნელად მიიჩნევს (ასეა იგი შეტანილი „ქრონიკების“ II წიგნის საძიებელში), მაგრამ სიგელში მისი შვილების ჩამოთვლა ამ ფაქტს კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს, თუმცა მეფეთაგან სოფელ ნადარბაზევის სამთავნელისადმი გადაცემის ფაქტი ამდროინდელი საბუთებიდან რომ გარკვევით მოჩანს, ეს ზემოთ უკვე ვახსენეთ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გახდა საჭირო ამილახვრების მიერ შეწირულობის დამტკიცება და სოფელი ნადარბაზევი როგორ იყო სამთავისის ტაძარში ამილახვრების მწირველი მღვდლის კუთვნილი მამული, ეს გაუგებარია და ცალკე კვლევის საკითხია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, XVII საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე სამთავნელად ამ არსენის დასახელებისაგან ჩვენ თავს შევიკავებთ.

არსენ სამთავნელს პ. კარბელაშვილი არ ასახელებს, ის მოიხსენიებს ვინმე ანტონს, არსენყოფილს და კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს, რომ სპარსეთში მყოფი იგი გამოჰყოლია მეფე არჩილსო. მხოლოდ ამ ცნობაზე დაყრდნობა, ბუნებრივია, არ გამოდგება. ამასთან ერთად, არჩილი XVII საუკუნის II ნახევარში მეფობს. არსენ სამთავნელი (საყვარელიძე) ცნობილია XVIII საუკუნეში, რომელსაც პ. კარბელაშვილი არ იცნობს.

დაახლოებით 1630-40-იან წლებში უნდა მოღვაწეობდეს სამთავნელი ეპისკოპოსი მათე, რომელიც ალავერდში იმყოფებოდა 1637 წელს. ის თეიმურაზ მეფესთან (თეიმურაზ I 1606-1648 წწ.) და ზებედე ალავერდელთან ერთად მიეგება რუსეთის ელჩებს. სპარსელების შემოსევის გამო იგი სამთავისიდან განიდევნა, როგორც თეიმურაზის ერთგული ეპისკოპოსი. როგორც ჩანს, მათე სამთავნელს მფარველობა გაუწია თეიმურაზ მეფემ და კახეთში მიიღო (41. XXX-XXXII...). მათე სამთავნელს თავის ნუსხაში პ. კარბელაშვილი ასახელ-

ებს. მისი აზრით, შემდეგ ის რუსთველი ეპისკოპოსი ხდება. საბუთების მიხედვით, ცნობილია XVII საუკუნეში მოღვაწე ამავე სახელის მქონე რამდენიმე ეპისკოპოსი: მათე ჭერემელი, მათეოზ ხარჭაშნელი, მათეოზ რუსთველი და მათეოზ ბოდბელი ეპისკოპოსები. რთული გასარგვევია, აქედან სხვა-დასხვა საეპისკოპოსო კათედრებზე გადასული ერთი და იგი-ვე პირი რომელია.

სხვა მათე სამთავნელი ცნობილია აგრეთვე XV საუკუნეშიც, რომელიც 1460 წლის სიგელს ბაგრატ მეფისა და კათოლიკოს დაკითის შემდეგ ამტკიცებს, ქორონიკონ „რო“-ს (1482 წ.) ქვეშ: „ქ. ჩუენ, სამთავნელ მთავარ ებისკოპოზი მათე, ვითა მეფეთა და ქართლისა კათალიკოზთა დაუმტკიცებიათ, ეგრეთვე ჩუენცა კანონითა ვამტკიცებთ“ (11: 280). ამდენად, ეს ორი ეპისკოპოსი ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად უნდა განვასხვაოთ.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, პ. კარბელაშვილს, როგორც სხვა საუკუნეებში, ასევე XVII საუკუნის სამთავნელებადაც დასახელებული ჰყავს ქართლის მთავარებისკოპოსები: მელქისედეკ (ყანჩაველი) (XVI-XVII სს.), ნიკოლოზ ამილახვარი და ევდემოზ დიასმიძე (შემდეგ კათოლიკოსები) და ქრისტეფორე (ფალავანდიშვილი), თუმცა მათი სამთავნელობა სხვა წყაროებით არ დასტურდება და ამდენად, მათ სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში ვერც ჩვენ შევიტანთ. რაც შეეხება ქრისტეფორე ფალავანდიშვილს, ის იყო ჯერ ქვათა-ხევის მონასტრის წინამძღვარი და შემდეგ ქართლის მთავარებისკოპოსი. პ. იოსელიანის ცნობით, XVIII საუკუნის I ნახევარში (1732 წელს), იგი თან გაჰყოლია რუსეთში წასულ რომანოზ სამთავროსა და გორის მთავარებისკოპოსს და მას პ. იოსელიანი, და მასზე დაყრდნობით პ. კარბელაშვილიც, სამთავნელ ეპისკოპოსს უწოდებენ (40: 123-124). აქ, ჩვენი აზრით, სიტყვათა უბრალო არევასთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგალითისთვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთ ადგილზე რო-

მანოზ მიტროპოლიტი (არაგვის ერისთავის შვილი) სამთავ-ნელად არის მოხსენიებული და იოსელიანს იგი კითხვის ნიშნის ქვეშ ჰყავს დასმული, როცა ის სინოდის არქივის ერთ-ერთი საქმის ქართულ ვერსიას აქვეყნებს რომანოზ მიტ-როპოლიტის შესახებ (ეს ცნობები მოიპოვება აგრეთვე ხელ-ნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დ. ბაქრაძის მიერ გა-დაწერილ ძველ საბუთებშიც — ფონდი Sd). პ. კეჩელიძე რომანოზ [სამთავნელად] მოიაზრებს პოემა „ვახტანგიანში“ ერთგან ნახსენებ ქსნის ერისთავის შვილს, რომელიც რუ-სეთში წასულ ვახტანგ VI-ის 1200-კაციან ამაღას გაჰყო-ლია (იხ: 2: 536), აგრეთვე ერთ-ერთი XVIII საუკუნის ხელნაწერი რომანოზ სამთავნელის კრებულადაა ცნობილი: S-287; 13: 311-312), თუმცა მისი სამთავნელობა ამ ხელნა-წერიდან არ ჩანს, მინაწერებში ის თავს მთავარეპისკოპოსად მოიხსენიებს. ასევე სხვა ყველა ჩვენს ხელთ არსებულ საის-ტორიო წყაროსა და ღოკუმენტში იგი სამთავროსა და გო-რის მიტროპოლიტად ან ქართლის მთავარეპისკოპოსად არის მოხსენიებული და თავის თავსაც ასევე უწოდებს. ასე რომ, ასეთი შემთხვევები ისტორიაში ხშირია. რაც შეეხება ქრის-ტეფორე ქართლის მთავარეპისკოპოსის სამთავნელ ეპისკოპო-სად მოხსენიებას, სხვა წყაროებში ჩვენ ეს არ შეგვხვდ-რია.

რაც შეეხება შემდეგ სამთავნელ ეპისკოპოსს, პ. კარბე-ლაშვილი დაახლოებით 1688-1721 წლებში სამთავნელად ას-ახელებს პართენს, რომლის დროსაც დაიხურა თათე მამებე-ლის (სტეფანშვინდელის) მონასტერი წლევის მთაში და მი-სი ქონება გადატანილ იქნა სამთავისის საყდარში (7).

ამ მოვლენას პ. კარბელაშვილი პ. იოსელიანისაგან იმე-ორებს, რომელიც აღწერს თათე მამებელის მონასტრის მდე-ბარეობის ამბავს კასპის რაიონსა და სოფელ ჭალას შორის, წლევის მთაში, რაშიც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას იშ-ველიებს. შემდეგ აღწერს ერთ-ერთ გადმოცემას, რომლის მი-

ხედვითაც, ამ ადგილზე პირადი აღთქმის საფუძველზე და-
სახლებულა ერთი ქვრივი ქალი, რომელიც მეტად უცნაურად
და ფანატიკურად იქცეოდა ეკლესიისა და ხალხის თვალში.
მას, თურმე, იცავდა და მფარველობდა მისი დროისათვის გა-
ნათლებული ერთი დეკანოზი. ვერც დომენტი IV კათოლიკო-
სი და ვერც სამთავნელი პართენი ვერაფერს გამხდარან ქა-
ლის იმ ადგილიდან ჩამოსაშორებლად. საბოლოოდ ამ საქმე-
ში მეფის ხელისუფლება ჩარულა და ეს ქალიც და დეკანო-
ზიც იქიდან გამოუსახლებიათ. ამ დროიდან თათე სტეფან-
წმინდელის დაარსებული მამების მონასტერი (რომელიც
დღესაც არსებობს და გამოქვაბულებს და სვეტს წარმოად-
გენს) სამთავნელს მიბარებია და მის ქონებასა და სიწმინდე-
საც ამიერიდან ის განაგებდა. პ. იოსელიანი ამ ამბავს 1720
წლის ახლო დროით ათარიღებს (39: 4-5). რადგან ამ ამ-
ბავში დომენტი IV კათოლიკოსიც (1705-1741 წწ. ქართლში
არ იმყოფებოდა 1725-39 წლებში) ფიგურირებს, საგარაუდ-
ოდ, პართენ სამთავნელი მისი კათოლიკოსობის დროის სამ-
თავნელი უნდა იყოს, ე. ი. XVIII საუკუნის I ნახევრისა და
არა XVII საუკუნისა. საისტორიო საბუთების მიხედვით,
XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში პართენი ხარჭაშ-
ნელ ეპისკოპოსად იხსენიება.

1670-ინი წლების ერთ სიგელში გვხვდება შემდეგი
სამთავნელი ეპისკოპოსი იოსები. 1671 წელს სამთავნელ მთა-
ვარეპისკოპოს იოსებს სიონის ეკლესიის კუთვნილი გლეხის
ერთი ოჯახი გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია (38: 57).
წყაროებში სხვა ცნობები ამ ეპისკოპოსზე არ მოჩანს.

შემდეგ სამთავნელ ეპისკოპოსად კი, როგორც ამას გ.
ჯანდიერიც აღნიშნავს, ჩანს მელიტონი, რომელმაც XVII სა-
უკუნის II ნახევარში გივი ამილახვრის დავალებით, აღადგი-
ნა სამთავისის ტაძრის აფსიდის მოხატულობა, რაზეც სა-
კურთხევლის აფსიდის წარწერაც მიანიშნებს, რომლის თა-
ნახმადაც, XI საუკუნის ქართულ და არაბულ ენებზე შესრუ-

ლებულ ფრესკულ წარწერებს რესტავრირება XVII საუკუნეში, მელიტონ სამთავრელის ხელით ჩასტარებია (37: 307). შემდგომში გ. სოხაშვილმა კვლავ გამოიკვლია აღნიშნული წარწერა, რომელიც 1679 წლით დაათარიღა. ჩრდილო-აღმოსავლეთის ბურჯზე თეთრი ფერის საღებავითაა შესრულებული შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: 1. დახატვითა წმიდისა 2. საკურთხევლისა ა 3. მას კელითა 4. სამთავრელების 5. კობოზ მელიტონ 6. შეუცნდნეს ღმერთმან 7. ქორონიკონისა ტვზ, თვესა ოქტომბერსა (8: 100-103). მელიტონის სამთავრელობის წლები შეგვიძლია ახლოდროინდელი სამთავრელების მოღვაწეობის წლების მიხედვით, დაახლოებით 1670-იანი წლების ბოლოთი განვსაზღვროთ.

რაც შეეხება შემდეგი სამთავრელი ეპისკოპოსების მოღვაწეობას, აქ ზოგიერთი უზუსტობის გარკვევა ხდება საჭირო. კერძოდ, ჩვენ მოგვეპოვება ერთი საბუთი – „განჩინება ამილახორთა სახლისკაცობის შესახებ“, სადაც იხსენიება სამთავრელი იოსებ ყანჩაელი და რომლის ქორონიკონსაც პროფ. ი. დოლიძე ტუა კითხულობს და ათარიღებს 1703 წლით (10: 198). სიგელში ავთანდილ ამილახვარი აცხადებს, რომ მეფე ერეკლე I ნაზარალიხანის ბრძანებით, ის და მისი ბიძაშვილები, ამილახვართა საქმის გასარიგებლად ბიძაჩვენს, ბატონ კათალიკოზს ვეხსელითო. მათ ამ საქმეში დასწრებიათ სამთავრელი იოსებ ყანჩაელი, სახლთუხუცესი ზაალ ქარუმიძე და სხვა აზნაურისშვილები. საბუთს აქვს კათალიკოსის ხელრთვა და ხუთი სხვა ბეჭედი. ჩვენ მოვიძიეთ ამ საბუთის დედანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (32) და აღმოჩნდა, რომ ქორონიკონი უნდა იყოს „ტპა“ (1693 წ.) და რადგან ბოლო ასო „ა“ მოქცეულია ორ ხაზს შორის, შთაბეჭდილება იქმნება, რომ პ ნაცვლად წერია უ. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ საბუთში ლაპარაკი უნდა იყოს კათოლიკოს ნიკოლოზ IX (ამილახვარზე), რომელიც საკათოლიკოსო ტახტზე 1678-88 და 1692-95 წლებში იმყოფებოდა. საბუთი რომ

1703 წელს იყოს დაწერილი, ამ დროს კათოლიკოსი უკვე ევლემოზ II დიასამიძეა (1700-1705 წწ.) და ის ამიღაბვრების ბიძა (როგორც სიგელშია ნახსენები), ბუნებრივია, ვერ იქნებოდა.

იოსებ სამთავნელზე ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე სხვა სიგელიც. ზემოთ უკვე ნახსენები თექთუმან თექთუმანიძის მიერ სახლთუხუცეს ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული 1699 წლის სიგელი ზელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (30), სადაც, ჩვენდა გასაოცრად, მოწმეებში დასახელებულია არა მარტო კვიპრიანე სამთავნელი, არამედ „ყანჩიელი სამთავნელი“ იოსები. თექთუმანიძე აცხადებს, რომ მას გორის ციხის მეთოვის ვალი დასდებდა და ამის გამო სახლთუხუცეს ზაალ ქარუმიძისათვის თავისი ძველად ნახყიდი მამული რენე მიუყიდია. ამას გარდა, რენეს ნასახლები დვალისშვილი და იგორეთს მსახლობელი მისი მანამდე კუთვნილი გლეხი ახალკაცი, მისთვის მოუყიდია და ამაში შესაბამისი თანხაც აუღია. სწორედ ამ ფაქტის მოწმეებად არიან დასახლებული ზემოთ აღნიშნული ორი სამთავნელი ეპისკოპოსი. ჩვენი აზრით, რადგან პირველად დასახელებულია კვიპრიანე სამთავნელი, ამ დროს ის უნდა იყოს მოქმედი მღვდელმთავარი, ხოლო იოსებ სამთავნელი შესაძლოა ნახსენებია მხოლოდ იმის გამო, რომ კვიპრიანემდე ის განაგებდა სამთავნელის სამწყსოს და აქ მიმდინარე მოვლენების მოგვარებაც მას ევალებოდა. სხვა ახსნას ჩვენ ვერ ვუძებნით ორი სამთავნელი ეპისკოპოსის ერთ წელს და ერთდროულად მოხსენიების ფაქტს.

ჩვენ გადავამოწმეთ კიდევ სხვა ამდროინდელი ჩვენამდე მოღწეული საბუთები და მივაკვლიეთ კიდევ ორ საინტერესო სიგელს. „მორჩილებისა და ფიცის წიგნი ქართლ-კახეთის ეპიკოპოსებისა მცხეთის კათალიკოსისათვის“ (34), რომელიც დათარიღებულია 1701 წლის (ტპთ) 13 იანვრით, სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ასახელებს კვიპრიანე სამთავნელს. აგ-

რეთვე 1711 წლის 15 დეკემბერს გაცემულია „განჩინება გარ-სევანიშვილების გაყრის საქმეზე“, სადაც მოწმებში დასახე-ლებულია „სამთავნელ ეპისკოპოზი კვიპრიანე“ (10: 234-235; 33). 1711 წლითაა დათარიღებული აგრეთვე სიგელი, რომე-ლიც თვით კვიპრიანე სამთავნელის მიერ არის დაწერილი. კერძოდ, დოდოს მონასტრის წინამძღვარი ზაქარია წიგნის აძ-ლევს სვიმონ ბატონიშვილს, რომელსაც ბოლოს მინაწერი აქვს: „დაიწერა წიგნი ესე ივნისსა ერთსა, ზელითა სამთავ-ნელ ეპისკოპოზის კვიპრიანესთა“ (4: 39-40, 42; 27; 28).

არის აგრეთვე თავნაკლული და დაზიანებული, 1713 წლის (უა) მაისის დამდევს გაცემული სიგელი, რომლის ში-ნაარსიდან ვგებულობთ, რომ ამილახვარ ავთანდილს, კარის დეკანოზმა პარკაძე ბიძინამ, მისმა ძმამ და შვილებმა გორის სახლ-კარის წყალობა სთხოვეს და მანაც ეს სახლ-კარი და ასევე ნაწისქვილარი თავისი კალოთი და საბოსტნით უბობა „ყანჩელის სამთავნებლის, ბატონის ოსების შეკითხულობი-თა და ნება დართვით“. საამისოდ მათ ყოველ წელიწადს, დიდ მარხვაში ევალებოდათ ნახევარი ლიტრა სანთელი, ერ-თი ლიტრა ზეთი და ნახევარი ჩარექი საგმევებლი შესაწი-რად სამთავისის ღვთაების ხატისადმი. ამ საბუთს სხვა ფე-რის მელნით და სხვა ხელით მინაწერი აქვს ათანასე სამთავ-ნელ ეპისკოპოსისა, რომელიც ამ სიგელს ბეჭდით ამტკიცებს და რომელსაც ლეგენდაც ახლავს თან (31).

აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ დაახლოებით 1680-იანი წლებიდან 1699 წლამდე სამთავისის კათედრას განაგებდა იოსებ ყანჩალი, ხოლო 1699 წლიდან 1712 წლამდე კვიპ-რიანე სამთავნელი, ხოლო 1713 წლიდან კვლავ იოსები იბ-რუნებს სამთავნელობას, ხოლო მის შემდგომ ათანასე სამ-თავნელი უნდა მოღვაწეობდეს.

რაც შეეხება კვიპრიანე (კოზმა) სამთავნელის (არაგვის ერისთავის შვილის) მოღვაწეობას, საბუთებში იგი ზოგჯერ იხსენიება „ბატონის ერისთავის შვილი სამთავნელი კოზმან“,

„კოზმა ყოფილი კიპრიანედ“ იხსენიება იგი იერუსალიმის ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერში (ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერის მოკლე აღწერილობა, გვ. 78). ცნობილია, რომ იგი იყო ბერძნული ენის უბადლო მცოდნე, რომელიც მას იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან ყოფნისას შეუსწავლია 1685 წელს. 1691-92 წლებში იგი მოსკოვშია და წერს ბერძნული ენის მოკლე გრამატიკას. XVII საუკუნეში მას ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია „კურთხევანი“ (A-11, H-875), რომელიც 1713 წელს ვახტანგ VI-ს სტამბაში დაუბეჭდავთ. ის ორი რედაქციით ვრცელდება ჩვენში – ვრცელითა და შემოკლებულით. სლავურ კურთხევანზე ის არ შეუსწორებიათ. ცნობილია, რომ მანამდე, რა თქმა უნდა, არსებობდა „კურთხევანის“ უძველესი რედაქცია სინას მთაზე, X საუკუნისა. შემდეგი ახალი რედაქცია ეპუთვნის ექვთიმე ათონელს, რომელმაც „შემოკლებული კურთხევანი“ შეადგინა. შემდგომში კი გიორგი მთაწმინდელმა „დიდი კურთხევანის“ შექმნის საჭიროება დაინახა და ამიტომ გადმოთარგმნა და გამართა კიდეც იგი. ამ ნუსხის ყველაზე ძველი ნუსხა, XIII-XIV საუკუნეებისა, ინახება სინას მთაზე. მართალია, „კურთხევანი“ დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ იგი ძირითადად უცვლელი დარჩენილა XVII საუკუნემდე, ვიდრე კვიპრიანე სამთავრელმა იგი ხელახლა არ თარგმნა XVIII საუკუნის დამდეგს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულია XVIII ს. „კურთხევანის“ სხვადასხვა ნუსხები (A-407: დაბეჭდილ კურთხევანთან შედარებით, მასში არ არის შეტანილი: „ლოცვა ანაფორისა და ქუდის შემოსისა“, „ლოცვა მცირისა სქემისა, რომელ არს ჩოხა“ და „კურთხევა დიდისა სქემისა“), (A-465, S-1352 შემოკლებული). არსებობს აგრეთვე „გამოკრებული კურთხევანი“, რომელსაც დართული აქვს „ზანდუკი“, საიდანაც ირკვევა, რომ კვიპრიანე სამთავრელის მიერ თარგმნილი და 1713 წელს თბილისში დაბეჭდილი კურთხევანი-

დან გადამწერს – სიონის დეკანოზ ნიკოლოზს, 1772 წელს, 33(ლგ) წესი და ლოცვა ამოუკრეფია (**A-1191**, **A-412**). აგრეთვე XVIII საუკუნეში შედგენილი „წესი ტელდასხმისა მღვდელმთავრობითისა“, რომელიც ანტონ კათოლიკოსის რედაქციისაა, დომენტი IV კათოლიკოსის დავალებით, ბერძნული და რუსული ეკლესიების წესის მიხედვით, კვიპრიანე სამთავნელს გაუმართავს (**A-201**, **S-252-ბ**). მასვე ეკუთვნის „კანონიკური კრებული“, რომელიც 1703 წელს ბერძნული-დან უთარგმნია. ანდერძში იგი წერს: „ღმერთო, შეიწყალე სამთავნელი კპპრიანე, რომელმანცა გადმოვსთარგმნე ბერძნულისაგან ქართულად, ღ(მრ)თითა“ ...ქრონიკონსა ტუა, ქ. ადამს აქეთ შვიდიათას ორას და ათსა, ქრისტეს აქეთ ჩლ და სამსა“ (**A-1096**, **A-1134** – „საქმენი შვიდთა სასიკუდინეთა ცოდვათანი“). 1719 წელს დომენტი კათოლიკოსის დავალებით, კვიპრიანე სამთავნელს ბერძნულიდან უთარგმნია „განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი“, რომლის ანდერძშიც კათოლიკოსი წერს: ... „გამოვიწულილე ეპკლესიისა კურთხევა, რომელიცა წმიდათა მამათა ჩუენთა მთარგმანებელთაგან ჭეშმარიტად და სწორედ გარდმოელოთ და უამთა ვითარებისაგან მწერალთაგან განრყუნილიყო და ეს კურთხევა და შემდგომნი ამისნი განწესებანი ახლად ვიძიეთ და ვპოვეთ ბერძულისაგან და აწ ქართულად გარდმოვათარგმნინეთ უნაკლულოდ სამთავნელ ეპისკოპოსს უფალსა კპპრიანეს, რამეთუ კეთილად სწავლულ იყო ბერძულთა ენისაგან, და იმას უბრძნეთ და გარდმოვაწერინეთ და დავაბეჭდვინეთ საფასითა ჩუენითა“... (**A-420**) და ა. შ. ფიქრობენ, რომ ბერძნული სამართლის წიგნი ვახტანგ VI კრებულისათვის კვიპრიანეს უნდა ეთარგმნა. ცნობილია ისიც, რომ იგი განსაკუთრებით ზრუნავდა გარეჯის დოდოს მონასტერზე.

პ. იოსელიანი მიიჩნევდა, რომ „კურთხევანი“ იოანე ბოლნელმა (X-XI სს. ზოგან, VII-IX სს.) და მისმა მოწაფემ, კვიპრიანე სამთავნელმა თარგმნეს, რაც სამართლიანად

უარყო პ. კეკელიძემ და ეს ფაქტების ჩვეულებრივ აღრევასა და გაუგებრობაზე დამყარებულად გამოაცხადა (1: 338). ეს ორი საეკლესიო მოღვაწე, ბუნებრივია, თანამედროვეები არ ყოფილან.

რაც შეეხება პ. კარბელაშვილს, მას თავის ნუსხაში ცალკე ჰყავს დასახელებული კვიპრიანე სამთავნელი, რომელ-საც ყანჩაველად მოიხსენიებს, ხოლო ცალკე ასახელებს კოზმან სამთავნელს – ერისთავის შვილს, რაც შეცდომას წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნუთ, ის ერთი და იგივე პირია – არაგვის ერისთავის შვილი, კვიპრიანე (კოზმა) სამთავნელი.

ამდენად, XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონილოგიური რიგი დაახლოებით ასე გამოიყურება:

მათე – 1630-40-იანი წლები

იოსები – 1660-1670-იანი წლები (1671 წ.)

მელიტონი – 1670-იანი წლების ბოლო (1679 წ.)

იოსებ ყანჩაველი – 1680-იანი წწ.-დან წლამდე და შემდეგ 1713 წ.

კვიპრიანე (არაგვის ერისთავის ძე) – 1699–1712 წწ.

დამოწმებანი:

1. კეკელიძე პ., ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980.
2. კეკელიძე პ., ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1981.
3. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I (XI–XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადა დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.

4. ქორდანია თ., ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი., 1903.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №252.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №817.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1461, საქმე №17.
8. სოხაშვილი გ., სამთავისი, (მასალები ტაძრის ისტორიის-ათვის) რედ. შ. ამირანაშვილი, თბ., 1973.
9. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
10. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972.
11. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, (1213 წ-დან 1700 წ-დე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ქორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897.
12. ხახანაშვილი ა., გუჯრები, ტფ., 1891.
13. ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. I, შედგენილია და დასახელდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959 წ. (S-287).
14. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-11
15. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-201
16. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-407
17. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-412

18. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-420
19. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-465
20. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-1096
21. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-1134
22. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი A-1191
23. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H-875
24. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S-252-ბ
25. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S-1352
26. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-12-ა, ბ
27. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-337
28. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-348
29. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-565
30. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-1553
31. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-2136
32. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-2142
33. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Qd-599
34. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Qd-8935
35. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Qd-9507, 9508
36. ჯანდიერი გ., XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონიკის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონიკის რიგი) „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971.
37. Ш. Амиранашвили. История Грузинского искусства, М. 1963, стр. 307.
38. Грузинские церковные гуджари (грамоты), составиль Д. П. Пурцеладзе, Тиф. 1881.
39. П. Иоселиани, Святыня Мамеба, Душеть., 1870.
40. Описание древностей города Тифлиса, сочинение Платона Иоселиани., Тиф. 1866.
41. Переписка Грузинских царей съ Российскими Государями от 1639 г. по 1770 г. СПБ. 1861.

Maia Shaorshadze

National Centre of Manuscripts, Doctor of History

**TOWARDS MAKING THE CHRONOLOGICAL ROW
OF 17TH CENTURY BISHOPS OF SAMTAVISI MORE
EXACT
SUMMARY**

The paper discusses the materials that were necessary for the determination and specification of the chronological row of 17th century Samtavisi bishops.

The entry of several archbishops of Kartli in the chronological list, believed to have been from Samtavisi by P. Karbelashvili, is rejected. The row of bishops begins with Mate Samtavneli, who flourished in *ca* 1630-40. The next is Ioseb Samtavneli, who freed a peasant's family belonging to the Sioni church in 1681 from paying his dues. Then comes the bishop Meliton who in 1679 renovated the painting of the chancel of Samtavisi church. Interesting material is preserved in the charters about Ioseb Qanchaveli of Samtavisi and the well-known figure, the translator Kvipriane Samtavneli. The years of their floruit overlap and in one document they are referred to simultaneously as bishops of Samtavisi. As a result of a serutiny of the charters and manuscripts, the years of their episcopacy at the Samtavisi cathedral have been determined: Ioseb from the 1680s to 1699 and then in 1713; Kvipriane - from 1699 to 1712.

Towards the close of the paper Kvipriane Samtavneli's translation activity is passed under review, with emphasis on his translation and editing of the priest's prayer-book from the Greek into Georgian.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი

დიმიტრი უზნაძე იაკობინთა დიქტატურაზე

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში იაკობინთა დიქტატურა, აღბათ, ერთ-ერთ რთულ და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს არ-სებული აზრთა სხვადასხვაობა თავის კულმინაციას, პიკს, სწორედ იაკობინთა დიქტატურისადმი დამოკიდებულების დროს აღწევს. გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ისინი პირობითად ორ ჯეუფად იყოფა: „იაკობინოცენტრისტები“ და „ანტიაკობინოცენტრისტები“. პირველები, ცხადია, უსაშველოდ განადიდებენ და ქებას ასხამენ იაკობინთა დიქტატურას, ხოლო მეორენი კი, პირიქით, საპირისპირო პოზიციაზე დგანან და მიწასთან ასწორებენ იაკობინთა დიქტატურას. მას მიიჩნევენ სწორი გზიდან გადახვევად, „რევოლუციის დამუხრუჭებად“. მათ შორის კონსენსუსის მიღწევა ადვილი საქმე არ იქნება და ეს დავა, აღბათ, კიდევ დიდხანს გასტანს, არ დასრულდება. „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იაკობინთა დიქტატურისადმი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქის, აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება. მან შესანიშნავად იცოდა მსოფლიო ისტორია. ის იყო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელო-

ების ავტორი. ისტორიული მეცნიერების წინაშე დიმიტრი უზნაძის დამსახურება სწორედ ამაში მდგომარეობდა.

იგი „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში, რომელიც ი. გველესიანთან ერთად დაწერა, ბუნებრივია, შეეხება საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას და განიხილავს იაკობინთა დიქტატურას (1: 101-112). საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაშუქების დროს დ. უზნაძე კვალში მიჰყვება რუსი ისტორიკოსის, პავლე ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ (2) სახელმძღვანელოს. ასეთი არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმით აისხნება, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გააზრებისას პ. ვინოგრადოვი უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ეს ძალიან კარგად მიესადაგებოდა დ. უზნაძის შეხედულებებს. ფაქტორივად, მათი შეხედულებები დაემთხვა ერთმანეთს. ამიტომ ჩვენ ამ მსჯელობას მისეულად აღვიქვამთ.

* * *

უწინარესად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ დ. უზნაძე ძალიან კარგად იცნობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის, კონკრეტულად კი იაკობინთა ეპოქის ემპირიულ, ფაქტოლოგიურ მასალას და ამ ეპოქის ისტორიაში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს. ეს სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ის არ კმაყოფილ-დება ფაქტების მშრალი გადმოცემით და დიდ ყურადღებას უთმობს მათ შორის მიზეზშედევობრივი კავშირის გამორკვევას. მასალის გადმოცემა, თხრობა ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული, რაც იაკობინთა დიქტატურის ისტორიის ფაქტობრივი მასალის ცოდნას ემყარება. ის ცდილობს შეაფასოს მოვლენები, ამიტომ ამ თემაზე მსჯელობას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია.

პირველ ყოვლისა, აუცილებლად უნდა გამოვარკვიოთ საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი დ. უზნაძის დამოკიდებულება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელში ჩაგვიდებს იაკობინთა დიქტატურის დროს დ. უზნაძის მიერ დაკავებული პოზიციის გასაღებს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს დ. უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება მისი სიმპათია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789-1792), როდესაც საფრანგეთში შეიქმნა კონსტიტუციური მონარქია. რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას, პირველ რიგში კი იაკობინთა დიქტატურას, ის სკეპტიკურად უყურებს. შეიძლება ითქვას, რომ 1793 წლის პრინციპებს დ. უზნაძე არ თანაუგრძნობდა (1: 101-112). ეს ადვილად გასაგებია. იაკობინთა ბრძოლის პლებეური მეთოდები, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ძალმომრეობა არ შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. დ. უზნაძის პოზიცია, უდავოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და კარგად გამოხატავს ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის შეხედულებებს. მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

დ. უზნაძისათვის იაკობინთა დიქტატურა მიუღებელი იყო ისტორიულად, პოლიტიკურად და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად. შეიძლება ვითიქროთ, რომ აქ დ. უზნაძის ისტორიული და ფსიქოლოგიური ძიებების კვეთა ხდება და ისინი ერთმანეთს ემთხვევა. დ. უზნაძის, როგორც სახელმძღვანელოს ავტორის წინაშე, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მოკრძალებული ამოცანა იდგა. მან ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლე ახალგაზრდობას, იაკობინთა დიქტატურაზე საერთო წარმოდგენა უნდა ჩამოუყალიბოს. ამ კულტურულტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო. დ. უზნაძის მსჯელობის მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს.

საინტერესოა დ. უზნაძის სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა, კომპოზიცია. მასში ჩადებულია იაკობინთა დიქტატურისადმი დ. უზნაძის დამოკიდებულების გასაღები. ის კვალში მიჰყვება რუსი ისტორიკოსის პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოს, რაც მათი შეხედულებების თანხვედრით აიხსნება. ორივეს ლიბერალური ღირებულებები ასაზრდოებდა. დ. უზნაძე უმთავრესად აქცენტს აკეთებს ტერორზე (1: 105-109), 1793-1794 წლების ომზე (109-111) და ტერორის დასასრულზე (111-112). როგორც ხედავთ, ის ყერადღებას ამახვილებს იაკობინთა დიქტატურის რეპრესიულ ხასიათზე, მეტისმეტ ცენტრალიზაციაზე, ძალადობრივ აქტებზე. დომინანტი ნეგატივს ენიჭება. ასეთი არჩევანი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს. „მონტანიარები ცენტრისტები იყვნენ და ამას გარდა რევოლუციურ პრაქტიკას, მოწინააღმდეგებზე ძალადობას და საზოგადოების დაშინებას აღიარებდნენ“ (1: 102). დ. უზნაძე, უჟღველად, ძალიან ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან, რაც აღნიშნულ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება, თუმცა ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.

იაკობინთა პარტია არ იყო ერთგვაროვანი. ის სხვადასხვა მიმართულებებისაგან შედგებოდა, რომელთა მიმართ აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება უარყოფითია. მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა არადამაჯერებელია და აღნიშნულ პრობლემაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. იაკობინები არ იყვნენ მხოლოდ ცენტრისტები. ეს სწორი იქნებოდა რობესპიერისტების მიმართ, მაგრამ რა ვუყოთ დანტონისტებს, მარატს, მემარცხენე იაკობინებს. ისინი ამ სქემაში ვერ თავსდებიან. ამიტომ ამგვარიმიდგომა სწორაზროვნად მიგვაჩნია.

იაკობინთა დიქტატურისადმი დ. უზნაძის დამოკიდებულების ძლიერ მხარედ ბრძოს ბატონობის, „ოხლოკრატის-

ადმი“ უარყოფითი მიღვომა გვევლინება, რომელიც იაკობინთა დიქტატურის დროს არსებული ძალმომრეობის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დ. უზნაძე სავსებით მართალი იყო (1: 101-102, 102. 105-109).

ამ ძალადობის მწვერულად, რა თქმა უნდა, ესახებოდა იაკობინთა ტერორი. მისდამი დ. უზნაძის დამოკიდებულება ნეგატიურია. „ტერორის ხანა ყოველმხრივ აღმაშფოთებელი იყო“. (2: 109). აი, ასეთი განაჩენი გამოუტანა მან ტერორს. იაკობინთა ტერორისადმი დ. უზნაძის ნეგატიური დამოკიდებულება მძლავრი ემოციური მუხტითაა გაჯერებული და უმთავრესად ჰუმანური იდეები ასაზრდოებდა. ამგვარი ემოციური მსჯელობა, უეჭველად, შეიცავს ჰეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ასეთი სწორხაზოგანი, ერთმნიშვნელოვანი შეფასება დღეს მოძველებულია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. რეალობა გაცილებით რთული და მრავალწახნაგოვანია. ეს ძალიან კარგად აქვს გაცხადებული თანამედროვე ისტორიოგრაფიას. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რაც გამოწვეული იყო ეროვნული ონტერესებით, სამშობლოს გადარჩენის მიზნით, განსაკუთრებით, 1793 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე და რის გარეშეც ადვილად შეიძლებოდა ფონს გასვლა, განსაკუთრებით 1794 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე (3: 118; 4: 81; 5: 13). რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული დ. უზნაძეს ეს მომენტი? ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ის წმინდა ონტუიტიურად, ალლოთი, რეალობასთან მეტად ახლო ტრიალებდა. ფრიად სიმპტომატურად მიგაჩნია, რომ ის თავის აღშფოთებას გამოხატავს უმთავრესად 1794 წლის ტერორის მიმართ და შედარებით ნაკლებად 1793 წლის ტერორისადმი. „მართალია ტერორის ხანა, ყოველმხრივ აღმაშფოთებელი იყო, მაგრამ ერთის მხრივ მან მაინც დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთს. ასე თუ ისე, მან ხელი შეუწყო მტკიცე

მთავრობის შექმნას და ამან საფრანგეთს საშუალება მისცა, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით ეწარმოებინა“ (1: 109). აქ ის 1793 წლის ტერორს უნდა გულისხმობდეს. ეს ამ თემაზე დ. უზნაძის მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. აქ ის ფაქტობრივად ხაზს უსვამს იაკობინთა დამსახურებას საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზების და გადარჩენის საქმეში. ეს იყო სავსებით სწორი მიღვომა. მაგრამ დ. უზნაძე მაინც ამას „უმთავრესად „გამარჯვების ორგანიზატორის“ ლაპარ კარნოს დამსახურებად მიიჩნევს და რბილად რომ ვთქვათ, დანტონის, რობესპიერის და სენ-ჟიუსტის წვლილს გულგრილად ეკიდება.

იაკობინთა დიქტატურისადმი დ. უზნაძის უარყოფითი დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ერთპიროვნული მმართველობა, დიქტატურა, ტირანია, დესპოტიზმი, თუმცა რობესპიერის გამოცხადება დიქტატორად, დესპოტად, ტირანად, მონსტრად, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ თანამედროვეები და მოგვიანებით არაერთი ისტორიკოსი, აღბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ თვალსაზრისთან, შესაძლოა, ახლოს იდგა დ. უზნაძე. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი. რა თქმა უნდა, რობესპიერი არ ყოფილა დიქტატორი, მაგრამ ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსს საქმე ერთპიროვნული მმართველობის დამყარებისკენ მიყავდა. ამ თვალსაზრისით ფრიად ნიშანდობლივა 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალება. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არც ერთი თანამედროვე დიქტატორი არ დაუშვებდა იმას, რომ მისი ბედი გადაეწყვიტა საპარლამენტო დებატებს - 9 თერმიდორს ეს სწორედ ასე მოხდა (6; 7).

რა თქმა უნდა, იაკობინთა დიქტატურა არ ემყარება მარტო ტერორს. ასეთი წარმოდგენა მეტად სწორხაზოვანი უნდა ჩანდეს. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე იაკ-

ობინებმა გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გვერდის ავლა სწორი არ იქნებოდა და იაკობინთა დიქტატურაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი შეგვიქმნის.

იაკობინთა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, 1793 წლის 24 ივნისს მიიღეს საფრანგეთის რესპუბლიკის დემოკრატიული კონსტიტუცია. დ. უზნაძე სამართლიანად აღნიშვნავს, რომ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, რომელიც საფრანგეთში შეიქმნა, ერთი მხრივ, შიდა კონტრრევოლუციის და მეორე მხრივ, ინტერვენციის შედეგად, მისი პრაქტიკული განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგრამ ეს არ აკნინებს 1793 წლის კონსტიტუციის მნიშვნელობას. მიუხედავად მისი ღირსება-ნაკლოვანებებისა, შეიძლება ითქვას, რომ 1793 წლის კონსტიტუციამ საბოლოოდ აქცია ზურგი ძველ საფრანგეთს. ამიტომ 1793 წლის კონსტიტუციისადმი დ. უზნაძის სკეპტიკური დამოკიდებულება მკაცრი ჩანს და იაკობინთა დიქტატურისადმი მისი ნეგატიური განწყობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. „მონტანიარების მიერ 1793 წელს ნაჩარევად შედგენილ კონსტიტუციაში პიროვნებისა და კავშირების თავისუფლებაზე ბევრი იყო ნალაპარაკევი, მაგრამ ეს კონსტიტუცია მხოლოდ ქალალდზე დარჩა; სინამდვილეში კი კვლავ ცენტრალიზაცია და მთავრობის თვითნებობა ბატონობდა. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ წინათ ასეთ შემთხვევებში თავის გასასამართლებლად „ძალაუფლების ღვთიურობას“ იმოწმებდნენ, ახლა კი – „ნალჩის უაღრესუფლებიანობას“ (1: 106-107).

საფიქრებელია, რომ აკად. დიმიტრი უზნაძეს იაკობინთა სოციალური ღონისძიებები გაცილებით უფრო მკრთალად, სუსტად უნდა ჰქონდა გაცნობიერებული. პირველ ყოვლისა, ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი დ. უზნაძის გულგრილი დამოკიდებულება. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ იაკობინებისადმი მისი

უარყოფითი დამოკიდებულება აქ თავის პიკს, კულმინაციას აღწევს. (8: 37).

იაკობინთა ხელისუფლების სერიოზული წარმატება იყო აგრარული კანონმდებლობა, რომლის თანახმად, ყველა ფეოდალური ვალდებულება უსასყიდლოდ უქმდებოდა. სათემო მიწები გლეხთა საკუთრებაში გადადიოდა. ემიგრანტთა მამულები და საეკლესიო ქონება განვადებით წვრილ-წვრილ ნაკვეთებად უნდა გაყიდულიყო. ასე ჩაეყარა საფუძველი წვრილ გლეხურ მეურნეობას, რომელიც დღესაც შენარჩუნებულია საფრანგეთში. ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა. (9: 225-229, 98.)

სახელმძღვანელოში გაშუქებულია 1793 – 1794 წლის რევოლუციური ომები. საზგამულია საფრანგეთის არმიის ტრიუმფალური წარმატებები. (1: 109-111). სახელმძღვანელოში ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, ვუიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მასში დემოკრატიული საქართველოს რთული საგარეო პოლიტიკური ყოფის ანარეკლი უნდა დავინახოთ. მას მოსწონდა საფრანგეთის არმიის წარმატებები გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ დ. უზნაძე ძალიან კარგად გაერკვა იმ თვისებრივ სიახლეში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხედრო საქმეში საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. „რევოლუციურ არმიაში განსაკუთრებული სტრატეგია შემუშავდა. იგი დიდს მასიურ მოქმედებას და სწრაფ გადასვლა-გადმოსვლას ემყარებოდა“ (1: 110). ის სავსებით მართალია, როდესაც ამ ახალი სტრატეგიის და ტაქტიკის მთავარ სულისჩამდგმელად ლაზარ კარნოს ასახელებს, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საფრანგეთის ჯარების დაუღალავი ორგანიზატორი იყო“ (1: 105). შესაძლოა, დ. უზნაძის მსჯელობაში შეიმჩნევა კარნოს როლის გაზვიადება, მაგრამ მისი მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მისაღებია და სწორი უნდა იყოს. სხვათა შორის, ეს ტენდენცია ძალუმად იგრძნობა

ფრანგულ ისტორიოგრაფიაში. ის თავის პიკს აღწევს მარ-სელ რეინარის წიგნში „კარნო დიდი“ (10) მას მოსწონს არ-მიაში ნიჭიერი მხედართმთავრების გამოჩენა და ასახელებს გოშს, მოროს, პიშეგრიუს (1: 110). აქ, ალბათ, საკვირველი ისაა, რომ არ ასახელებს ნაპოლეონს და კრისტს არ ძრავს ტულონის აღებაზე 1793 წლის 17-19 დეკემბერს. ჩვენი აზ-რით, დ. უზნაძემ დამაჯერებლად ვერ გვიჩვენა, თუ რით იყო გამოწვეული, როგორც თანამედროვებს უყვარდათ თქმა, საფრანგეთის არმიის „სასწაულებრივი წარმატებები“. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევით და ის, უბირველეს ყოვ-ლისა, იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი დ. უზნა-ძის გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგ-ვაჩნია.

ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა, ნაკვეთი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხობა სიხარულით დგებოდა სამ-შობლოს დამცველთა რიგებში. ის იცავდა სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს. არმიის პატრიოტული აღტყინების მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ (11; 12; 13).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონვენტის მიერ 1794 წლის 4 თებერვალს მიღებულ აქტს კოლონიებში მონობის გაუქმების შესახებ. დიმიტრი უზნაძე ამაზე ხმას არ იღებს. აქ ისახა სავსებით რეალური ვითარება და მასში იაკობინთა სოციალური ღონისძიებებისადმი დ. უზნაძის გულგრილი და-მოკიდებულების ანარეკლს ვხედავთ.

დ. უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იაკობინთა დიქ-ტატურის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი პერმანენტული ტერო-რი იყო, განსაკუთრებით 1794 წელს (1: 109). ეს მართლაც იწვევდა ბევრის უქმაყოფილებას და ამაში დ. უზნაძე სავსე-ბით მართალია. ამავე დროს იყო ამის გამოწვევი სხვა სერი-ოზული ფაქტორები, რომელთა გვერდის ავლა უმართებულო იქნებოდა და აღნიშნული საკითხების შესახებ ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

იაკობინთა მკაცრი პოლიტიკა, სახელმწიფოს ჩარევა აფერხებდა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და განაპირობებდა საფრანგეთის შეძლებული ფენის უცმაყოფილებას. ამ განწყობილების ლოგიკური დაგვირგვინება იყო 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრალება. „მავრმა გააკეთა საქმე. მავრი უნდა წავიდეს“ (14; 15; 16; 17).

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვვონია, რომ სახელმძღვანელოში იაკობინთა სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკას ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა „ვანტოზის დეკრატისადმი“ დ. უზნაძის დამოკიდებულება. სახელმძღვანელოში გაკვრით, სასხვათაშორისოდ არის მინიშნება „ვანტოზის დეკრატიბზე“ (1: 108), რომელიც 1794 წელს რობესპიერისტთა ერთ-ერთი სერიოზული სოციალური ღონისძიება იყო. (18).

დ. უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებას წარმოადგენს იაკობინთა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებების ზუსტი შეფასება. უწინარესად, ასეთია 1792 წლის 2-5 სექტემბერს ციხებში მკვლელობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება (1: 101-102). ის გმობს 1793 წლის 17 სექტემბრის კანონს „ეჭვმიტანილთა“ შესახებ (1: 107). ყოველგვარი ძალადობა მისთვის მიუღებელია. წარუმატებლად ესახება რობესპიერის მცდელობა, 1794 წლის მაისში შემოედო ახალი სარწმუნოება (1: 108).

საინტერესოა დ. უზნაძის დამოკიდებულება 1793 წლის 31 მაისი - 2 ივნისის სახელმწიფო გადატრალებისადმი, რომლის შედეგადაც იაკობინები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. დ. უზნაძე ამ მოვლენას ეხება ძალზე სასხვათაშორისოდ, გაკვრით და სულ რამდენიმე სტრიქონს უთმობს. (1: 104-105). ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და ნებსით თუ უნებლიერ, აკნინებს ამ მოვლენის ისტორიულ მნიშვნელობას. აღბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა მისი ცალკე გამოყოფა და განხილვა, მაგრამ დ. უზნაძე სხვაგვარად იქცევა და მხო-

ლოდ რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლება. საფრანგეთის დი-
დი რევოლუციის ამ მოვლენისადმი დ. უზნაძის გულგრილი
დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მას,
ეტყობა, დიდად არ სწამდა ასეთი გადატრიალების. უნდა ით-
ქვას, რომ ამ შემთხვევაში დ. უზნაძის სკეფსასი საფუძველს
მოკლებული როდია, მაგრამ ეს არ ამართლებს ამ საკითხის
მიფურჩებას.

იაკობინთა დიქტატურისადმი დ. უზნაძის მკაცრი, ხის-
ტი დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება,
რომ იგი აქცენტს აკეთებს არა იაკობინთა პოლიტიკის ანტი-
ფეოდალურ ხასიათზე, არამედ მისი განხორციელების ფორ-
მაზე, რომელიც მისთვის, როგორც ლიბერალისათვის, მიუღ-
ებელი იყო. ასეთ მიღვომას აქვს თავისი რეზონი, საფუძვე-
ლი. მას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იაკობ-
ინთა პოლიტიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები,
ცხადია, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა და განპირო-
ბებული იყო არა მათი პათოლოგიური სისასტიკით, როგორც
ამას ხშირად უსვამდნენ ხაზს, მათ შორის, შესაძლოა, დ.
უზნაძეც, არამედ მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალ-
ებით. აბსტრაქტული, უტოპიური ხასიათი, იაკობინების სა-
ზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალებისა და პროგრამისა
იაკობინიზმის დამახასიათებელ შტრიხს წარმოადგენდა (19;
20). რობესპიერისტების პოლიტიკა 1794 წლის ზამთარსა
და გაზაფხულზე „ეთიკური უტოპიის“ განხორციელების
მცდელობად გვევლინება, იგი მიზნად ისახავდა სოციალური
პრობლემების დაძლევას განათლების, ზნეობის, ახალი ტიპის
ადამიანის აღზრდის გზით. ესთეტიკურ აღზრდაში ხედავდნენ
საზოგადოების იდეალის მიღწევის საშუალებას. რობესპიერ-
ისტების ამგვარი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ
ყოფილა და ლოგიკურად გამომდინარეობდა განმანათლებელ-
თა შეზედულებებიდან. სოციალური პრობლემების გადაწყვეტა
პოლიტიკის სფეროდან გადაპქონდათ მორალისა და ეთიკის

ჭრილში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პანაცეა სოციალური წინააღმდეგობების გადაწყვეტის დროს (19). იაკობინებმა, არა იმდენად სუბიექტურად, რამდენადაც ობიექტურად, ტოტალური ომის პირობებში, ვერ მოახერხეს გამოექვებათ ის საშუალებო ხაზი, რომელიც განაპირობებდა კერძო და საერთო ინტერესების ჰარმონიას, რომელიც საფუძვლად ედო სამოქალაქო საზოგადოებას. იაკობინთა მოაზრებულ საზოგადოებაში კერძო ინტერესები ექვემდებარება საზოგადოებრივს. დაპროგრამებული აღმოჩნდა არა რევოლუციური მთავრობის კონკრეტული ღონისძიებები, არამედ მთლიანად იაკობინთა დიქტატურა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ასეთი იყო იაკობინიზმის ილუზიები და რეალობა (19; 21). ძალადობის, ძალმომრეობის ერთ-ერთ წყაროდ გვევლინებოდა ის, რომ პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა უაღრესად რთულ პირობებში, ექსტრემალურ ვითარებაში, როდესაც არ არსებობდა მისი მოპოვების ნორმალური სამართლებრივი გზა, ხოლო ახალი ხელისუფლების სტრუქტურებს აკლდა ლეგიტიმურობა და სტაბილურობა. ამ ბრძოლას უჩვეულო სიმწვავეს მატებს კიდევ ის ფაქტი, რომ საკითხი იდგა ასე - ძალაუფლება ან სიკვდილი. ამ ახალი ზნეობის დაბადება მტკივნეულ ხასიათს ატარებდა და პრაქტიკაში ხორციელდებოდა იძულების საშუალებით. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს რეპრესიები. ახალი საზოგადოების მშენებლობის პროგრამა იაკობინთა თხზულებებში ატარებდა ასსტრაქტულ მჟღრეტელობით ხასიათს. არსაიდან არ ჩანს, რომ მათ იცოდნენ ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი. იაკობინებმა ვერ გამოძებნეს ის გზა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, თავი დაეღწიათ რევოლუციური უტოპისათვის და დაბრუნდებოდნენ წესრიგს, როდესაც მოქმედებს კანონი და შეიძლება ხელისუფლების ნორმალურად ფუნქციონირება.

როგორ დავაღწიოთ თავი ტერორს? – ამ კითხვაზე პასუხი მათს ნაწერებში ლიად რჩებოდა. იაკობინთა მიერ ახალი ცხოვრების მოწყობის პროექტში ცენტრალური ადგილი ეჭირა კერძო ინტერესების დაქვემდებარებას საზოგადოებისადმი. ფრანგებს ძალიან სჩვეოდათ თავანთი კერძო მისწრაფებების საერთოეროვნულ საბურველში გახვევა, ანგლოამერიკული საზოგადოებისათვის კი პრიორიტეტული იყო კერძო ინტერესების პრიმატობა. კერძო ინტერესების დაცვის გარანტად მათ ესახებოდათ მორალი და ახალი ზნეობა, მაგრამ აქამდე ჯერ შორს იყო. რა გამოსავალი მონახეს იაკობინებმა ამ რთული ვითარებიდან? პრაქტიკაში მათი ჩანაფიქრი ხორციელდებოდა ძალდატანების საშუალებით, რომელსაც მათ ნაფიქრალ-ნააზრევში დიდი ყურადღება ექცეოდა. ფაქტობრივად, ეს იყო დომინანტი ყველგან და ყველაფერში. იქნებოდა ეს ბედნიერება, მეგობრობა, ძმობა თუ სხვა რამე (22: 217-399). ყველაზე მთავარი და ცუდი კი მაინც ის იყო, რომ იაკობინებმა შეაჩვიეს საზოგადოება სოციალური კონფლიქტების რევოლუციური გზით გადაწყვეტას და არა მშვიდობიანი ევოლუციური საშუალებით მოვარებას (23). სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საბოლოოდ პრიორიტეტი მაინც ამ მეორე გზამ მოიპოვა. ფრანგი რევოლუციონერები საქმიოდ რთული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. თეორიულად ისინი აღიარებდნენ თავისუფლებას „ადამიანის უფლებად“, მაგრამ თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ისინი სრულიად მოუშადებლები აღმოჩნდნენ, ეცნოთ ეს უფლება თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგების მიმართ (24).

ჰქონდა თუ არა გაცნობიერებული დ. უზნაძეს იაკობინთა დიქტატურის წარმატებები, მიღწევები? რა პოზიტივს ხედავდა მათს საქმიანობაში? „იაკობინელმა დამანგრეველმა“ ხომ არ დაჩრდილა სხვა ყველაფერი? „იაკობინი დამანგრეველი“ ხომ არ დომინირებს დ. უზნაძეს მსჯელობაში?

იაკობინურ-დემოკრატიული ტრადიცია არ შეიძლება დავიყვანოთ დიქტატურაზე, როგორც ამას ფიქრობდა არაერთი გამოჩენილი ისტორიკოსი, მათ შორის, შესაძლოა, დ. უზნაძეც მოვიაზროთ.

იაკობინთა პერიოდი გამოდგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ახალი ინდუსტრიული ეპოქის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ფორმირების თვალსაზრისით. თავის მთავარ ამოცანას – რევოლუციის მონაპოვრის დაცვას – შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. მათ შეძლეს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და გამორიცხეს ძველი რეჟიმისაკენ დაბრუნება. და რაც მთავარია, ფრანგმა გლეხმა მიიღო მიწა და გაღატაკებას გადაურჩა. იაკობინთა პერიოდში სამოქალაქო თანასწორობის პრაქტიკამ მყარად მოიკიდა ფეხი. იურიდიული თანასწორობა, რომელსაც მიაღწიეს ფრანგებმა, მიუხედავად მე-19 საუკუნის პოლიტიკური კატაკლიზმებისა, უცვლელი დარჩა. ლიბერალური დოქტრინა მკაცრ ზღვარს ავლებდა სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის, ხოლო დემოკრატიული დოქტრინა აქცენტს აკეთებდა მათ ერთიანობაზე. იაკობინთა ძალისხმევით ახალი დროის კულტურაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ტრადიციამ, რომლის მიხედვითაც პოლიტიკაში მონაწილეობა წარმოადგენდა მათი პოლიტიკური თავისუფლების წინაპირობას. საქმაოდ მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ საბოლოოდ ჯამში ორივე ტრადიციის – ლიბერალურის და იაკობინურ-დემოკრატიულის, მემკვიდრეობის ასახვა მოხდა მესამე რესპუბლიკის ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემაში. იაკობინებმა გამოაცხადეს: „ხალხის ხსნა არის უმაღლესი კანონი“. მათ შეიმუშავეს დოქტრინა არსებობის უფლებაზე და შეეცადნენ, რომ ღარიბების დაცვა გაეხადათ კონსტიტუციურ ნორმად. არსებობის უფლება აღიარებული იქნა მნიშვნელოვან პოლიტიკურ რეალობად და საზოგადოების ზნეობრივ მოვალეობად (23). დიდი გერმანელი პოეტის, პაინრიხ პაინეს

თქმით – „ეს იყო ყველაზე დიდი სიტყვა, რომელიც ითქვა
მთელი რევოლუციის განმავლობაში“ (25: 5).

ვფიქრობთ, საინტერესოა, იცნობდა თუ არა აკად. დ.
უზნაძე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, იპოლიტ ტენის
პამყლეტს „იაკობინების ფსიქოლოგია“ (26), სადაც იაკობ-
ინების უშვერი ლანბლვა-გინება, აუგად მოხსენება თავის ზე-
ნიტს, მწვერვალს აღწევს. მათი სიძულვილით დაბრმავებულ-
მა ი. ტენმა იმდენად მორს შეტოპა, რომ იაკობინები ფსიქო-
ლოგიურად არასრულფასოვნებად გამოაცხადა. ეს კი უკვე
მეტისმეტი იყო. იმის დამადასტურებელი დოკუმენტური მასა-
ლა, რომ დ. უზნაძე იცნობდა ი. ტენის ბროშურას, რა თქმა
უნდა, არ გაგვაჩნია და იძულებული ვართ, ჰიპოთეზის სფე-
როთი შემოვიფარგლოთ. ი. ტენის წიგნი 1906 წელს გამო-
ვიდა რუსულ ენაზე და საკმაოდ ადვილად ხელმისაწვდომი
გახლდათ, იყო უნივერსიტეტის და საჯარო ბიბლიოთეკაში. შესაძლოა, ის იცნობდა ი. ტენის ბროშურას. არ გამოვრიც-
ხავთ, რომ მან გარკვეული გავლენა მოახდინა ამ თემაზე დ.
უზნაძის შეხედულებების ფორმირებაზე. ეს მხოლოდ ჩვენი
ფრთხილი ვარაუდია და მეტი არაფერი.

დ. უზნაძეს, როგორც ფსიქოლოგს, ამ კუთხით ხომ არ
აინტერესებდა ეს თემა და აპირებდა თუ არა ამ მიმართულე-
ბით მუშაობის წარმართვას? ჩვენს ხელთ არსებული მწირი
ინფორმაციის პირობებში ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჭირს
და ისევ ვარაუდებს თუ დავჯერდებით. ადვილი შესაძლებე-
ლია, მას მართლაც პქინოდა ამგვარი ჩანაფიქრი, მაგრამ შე-
იძლება ვიფიქროთ, რომ იმ ცაიტნოტში, რომელშიც მიმდინა-
რებდა დამოუკიდებელ საქართველოში მსოფლიო ისტორიის
ახალი სახელმძღვანელოების დაწერა, მან უბრალოდ ვერ მო-
ასწრო მისი განხორციელება, ხოლო შემდგომში ამ იდეამ
შედარებით უკანა პლაზე გადაიწია და მან მისთვის ვეღარ
მოიცალა. საბჭოთა რეალობაში გაზურებული „იაკობინოცენ-
ტრიზმის“ პირობებში ამის გაკეთებამ აზრი დაკარგა.

იაკობინთა დიქტატურის შეფასების დროს, პირველ ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ ორივე უკიდურესობა: იაკობინების უშვერი ლანძღვა-გინება, მიწასთან გასწორება, განქიქება, როგორც ამას აკეთებდნენ ი. ტენი და მისი მიმღევრები და მათი მოლვაწეობის უსაზღვრო განლიდება, როგორც ამას ჩადიოდნენ ა. მატიეზი და მისი მრავალ-რიცხვანი მოწაფეები. რამდენად მოახერხა აკად. დიმიტრი უზნაძემ ამ ორი უკიდურესობისათვის თავის დაღწევა? აკად. დიმიტრი უზნაძე იაკობინების მოწინააღმდეგების ბანაკში უნდა მოვიაზროთ. ის არ თანაუგრძნობს იაკობინებს. იაკობინთა დიქტატურისადმი მისი დამოკიდებულება შეკვეთრად, გამოკვეთილად უარყოფითია. ეს იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული თვალსაზრისი. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ აკად. დიმიტრი უზნაძის მიკუთვნება „ანტიიაკობინისტული“ ბანაკისადმი, ვთვიქრობთ, სწორი არ იქნებოდა. მიუხედავად იაკობინებისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მისი მსჯელობა გაწონასწორებულია. აკადემიური ტონი არ ირლვევა და ეს არაა უბრალო ლანძღა-გინება. უახლოესი გამოკვლევები დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ იაკობინთა დიქტატურა იყო უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენა და მისი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ან დადებითად შეფასება საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას როდი გვიქმნის. საჭიროა საკითხისადმი უფრო დაბალანსებული მიღვომა. (27).

ადვილი შესაძლებელია, რომ დიმიტრი უზნაძე აპირებდა სახელმძღვანელოს შემდგომ დახვეწას, სრულყოფას, მაგრამ დროის იმ მცირე მონაკვეთში, მწვავე ცაიტნოტში, რომელშიც მიმდინარეობდა დამოუკიდებელ საქართველოში მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობა, როგორც ჩანს, მან ვერ მოასწრო ამის გაკეთე-

ბა, ხოლო შემდეგ ეს საკითხი აღარ იყო ისეთი აქტუალური და ფაქტობრივად, დღის წესრიგიდან მოიხსნა. ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, კონცეპტუალური ხასიათის არ იქნებოდა და, ძირითადად, ალბათ, მაინც დეტალებს შეეხებოდა. ვფიქრობთ, ესეც საინტერესო იქნებოდა.

* * *

ამრიგად, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იაკობინთა დიქტატურაზე აკად. დიმიტრი უზნაძის შეხედულებისადმი სწორხაზოვანი მიღომა, რომლის თანახმად, დ. უზნაძის მოსაზრება სწორი ან მცდარი იყო, საკმარისი არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომტურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. საკითხი არის რთული და საინტერესო და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება, ვფიქრობთ, ძალიან ძნელი იქნებოდა. დ. უზნაძის შეხედულებებისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს იქნება. ერთნი გაიზიარებენ მას, ხოლო მეორენი კი საკამათოდ მიიჩნევენ. მესამენი საერთოდ დაგმობენ. მათ შორის კონსენსუსის მიღწევა ადვილი საქმე არ იქნება. ეს დავა, ალბათ, დიდხანს გასტანს და არ დასრულდება. რას იზამ, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

აკად. დიმიტრი უზნაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სახელმძღვანელოში მკაფიოდ დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება იაკობინთა დიქტატურისადმი. მისი თვალსაზრისი არ იყო არც „იაკობინცენტრისტული“ და არც „ანტიიაკობინცენტრისტული“. ის აშკარად არ თანაუგრძნობდა იაკობინთა მოღვაწეობას. აკად. დ. უზნაძე შეეცადა, ქართული საზოგადოებისათვის, პირველ რიგში კი მოსწავლეებისათვის იაკობინთა დიქტატურაზე საერთო წარმოდგენა შეექმნა. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ქართულ რე-

ალობაში ამ საკითხის გაცნობიერების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

იაკობინთა დიქტატურის შეფასების დროს აკად. დიმიტრი უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. აკად. დიმიტრი უზნაძის სახით საქმე გვაქვს 1789 წლის პრინციპების მომხრესთან, ხოლო 1793 წლის პრინციპებს ის აშკარად არ თანაუგრძნობს. იაკობინთა დიქტატურისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება სავსებით მართლზომიერი უნდა ჩანდეს და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ იაკობინთა დიქტატურა აშკარად არ შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს.

აკად. დიმიტრი უზნაძის თვალსაზრისი, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ მას ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული იაკობინთა დიქტატურის სუსტი ადგილები. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია ბრძოს ბატონობის, ოხლოკრატიის, ტერორის, ძალადობის, უკანონობის დაგმობა. მან დამაჯერებლად უჩვენა იაკობინთა დიქტატურის რეპრესიული ხასიათი. ამაში ის სავსებით სწორი იყო. რამდენადაა ასეთი მიღვომა დაბალანსებული და გვიქმნის თუ არა ის იაკობინთა დიქტატურაზე ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას? რევოლუციის ისტორიულ მიღწევებს აკად. დ. უზნაძე აფასებს ზომიერი ლიბერალიზმის მიხედვით, რომელსაც მიიჩნევს დემოკრატიის სანიმუშო მოდელად. აი, ეს კრიტერიუმი ედო საფუძვლად დ. უზნაძის დამოკიდებულებას იაკობინთა დიქტატურისადმი. რევოლუცია არ წარმოადგენს მხოლოდ ლიბერალური წრეების მონოპოლიას. „იაკობინი დამანგრეველის“ წინ წაწევა საკმარისი არ უნდა იყოს და ცალმხრივია. ხედავდა თუ არა ის რაიმე პოზიტივს იაკობინთა დიქტატურა-

ში? ის არ უარყოფს იაკობინების ღვაწლს საფრანგეთის გა-დარჩენის საქმეში, მაგრამ მხოლოდ ამის თქმა არ კმარა, ძალიან ცოტაა. იაკობინთა აგრარული კანონმდებლობისადმი აკად. დიმიტრი უზნაძის გულგრილი დამოკიდებულება იაკობინთა დიქტატურაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. დ. უზნაძე, როგორც ლიბერალი, ხომ არ ამუქებს საქმის ვითარებას?

აკად. დიმიტრი უზნაძეს იაკობინთა დიქტატურის შეფასების დროს მეცნიერული გზა ჰქონდა არჩეული და უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებდა აქცენტს. ფაქტობრივად, ეს იყო XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და მიღებული თვალსაზრისი. მას ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა. შემდგომში იაკობინთა დიქტატურისადმი ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებამ საინტერესო მეტამორფოზი განიცადა, სულ სხვა გზით წარიმართა და მკვერად გამოკვეთილი „იაკობინოცენტრისტული“ ხასიათი შეიძინა. ეს თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

დამოწმებანი:

1. უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია, (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
2. П. Виноградов, Новая История, СПб, 1913.
3. В. Ревуненков, Очерки по истории великой французской революции, Якобинская Республика и его крушение, Л., 1983.
4. Е. Черняк, 1794 год: некоторые актуальные проблемы исследования великой французской революции – «Новая и новейшая история». №1. 1989.

5. А. Нарочницкий, Юбилей французской революции: поиски и проблемы – «Новая и новейшая история», №3. 1989.
6. Н. Молчанов, Монтаньяры, М., 1989.
7. J. Massin, Robespierre, Paris, 1988.
8. კალანდაძე ბ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრძარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
9. “Archives parlementaires”, 1 serie, t. 66, t. 69.
10. M. Reinahard, Le grand Carnot, t. 1-2. Paris, 1950-1952.
11. კილურაძე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963. კილურაძე გ., საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე, (1789-1792), თბ., 1982.
12. А. Дживелегов, Армия великой французской революции и его вожди, Москва-Петроград, 1923.
13. А. Матьез, Как побеждала великая французская революция, М., 1928.
14. А. Матьез, Борьба дороживизной и социальное движение в эпоху террора, М-Л., 1928.
15. Н. Лукин, Борьба классов во французской деревне и продовольственная политика конвента в период действия второго и третьего максимума – Изб. труды, т.1. М. 1960.
16. П. Добролюбский, Термидор, М., 1949.
17. აბთაძე კ., კალანდაძე ბ., საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
18. კილურაძე გ., „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან) - უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, თბ., 1958.

19. А. Гордон, Иллюзии – реалии якобинизма - წიგნში ლуи Антуан Сен-Жюст, Речи – трактаты, М., 1995.
20. Т. Черноверская, Личность и судьба - წიგნში ლуи Антуан Сен-Жюст, Речи – трактаты, М., 1995.
21. ანთაძე ო., კალაბდაძე მ., ისტორიკოსები რობერტი გრებული, მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, VI, თბ., 2007. ანთაძე ო., კალაბდაძე მ., რობერტი ქართულ ისტორიოგრაფიაში - გრებული „ხელისუფლება და საზოგადოება“, №2, თბ., 2008.
22. Луи Антуан Сен-Жюст, Речи – трактаты, М., 1995.
23. Якобинство в исторических итогах великой французской революции – «Новая и новейшая история», №5. 1996.
24. Л. Пименова, Идея свободы во французской революции XVIII в. – «Новая и новейшая история», №1. 1992.
25. Г. Гейне, Полн. собр. соч. т. 7. М.-Л. 1936.
26. И. Тен, Психология якобинца, СПб., 1906.
27. П. Генифе, Политика революционного террора 1793-1794. М., 2003. П. Генифе, Французская революция и террор - «Французский ежегодник – 2000». М., 2000. П. Генифе, Террор: случайность или неизбежный результат революций? Из уроков французской революции XVIII. Новая и Новейшая историй, №3, 2003. ეს არის ერთი თვალსაზრისი. არსებობს სხვა მიღებაც. Чудинов, На облаке утопии, жизнь и мечты Жоржа Кутона – Ж. Кутон,

Избранные произведения: 1793-1794. М., 1994, А. В. Чудинов, Утопии века просвещения, М., 2000. Д. Бовыкин, Революционный террор во Франции XVIII века: новейшие интерпретации – «Вопросы истории», №6, 2002. С. Блюменау, Французский историк о механизмах террора во время революции – «Новая и новейшая история». №3. 2006. J. C. Martin. Violence Et La Revolution: Essai sur la Naissance Dun Mythe National. Paris. 2008. იხ. ვ. სერგიებკოს რეცენზია - «Новая и новейшая история» №5. 2008. გვ. 250-251.

Merab Kalandadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

**DIMITRI UZNADZE REGARDING THE DICTATORSHIP OF THE JACOBINS
RESUME**

The differences of opinion regarding the Great Revolution in France reach their peak, culmination while evaluating the dictatorship of the Jacobins. Diametrically opposing views have been expressed in the historical scientific literature. The issue is complex and important. That is why we think that the approach taken towards the dictatorship of Jacobins by a distinguished Georgian scientist Professor Dimitri Uznadze should be interesting.

D. Uznadze did not pay special attention to the issue of the Jacobins, but in his textbook “Modern History”, which he wrote with I. Gvelesiani, he, naturally, discussed the history of the French Revolution and the dictatorship of the Jacobins.

In Professor Dimitri Uznadze, we see a person supporting the principles of 1789, while he obviously does not empathize with the principles of 1793. His negative attitude towards the dictatorship of the Jacobins is absolutely logical and stemmed from his political ideals. While discussing the dictatorship of the Jacobins, Professor Uznadze takes a progressive-liberal stance.

The point of view of D. Uznadze undoubtedly contains a rational grain of truth, which is the strong point of his discourse. As such we first of all consider the condemnation of the government by the crowds, violence, lawlessness, the rejection of terror. At the same time we consider his unambiguously negative evaluation of the dictatorship of the Jacobins linear and it requires certain correctives. A more balanced approach is necessary. Maybe D. Uznadze, as a liberal, portrayed the issue in darker tones?

Professor Dimitri Uznadze has taken a scientific point of view while evaluating the dictatorship of the Jacobins and was primarily oriented on the progressive liberal values. This point of view has a lot of supporters and has its strong and weak points. Following this, the approach of the Georgian historiography towards Jacobins took another turn and became sharply “Jacobincentric”. This is hard to consider a continuation of the initial attitude.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი

პროფესორი კარლო მეშველიანი

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატ-არებს და მიზნად ისახავს ცნობილი ისტორიკოსის, პროფესორ კარლო მეშველიანის (1927-2010) ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას, მისი შემოქმედების განხილვას. შევცდებით ვაჩვენოთ მისი წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში და განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული ნაშრომი მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

საქართველოში ევროპის ქვეყნების ისტორიის შესწავლას თავისი ტრადიცია გააჩნია. რა თქმა უნდა, ის არ გამოირჩევა ისეთი სიღრმით, როგორც ეს იყო ევროპულ-ამერიკულ, ან თუნდაც რუსულ ისტორიოგრაფიაში; ეს სავსებით ბუნებრივია და, ვფიქრობთ, არავითარ ჩრდილს არ აყნებს და სულაც არ აკინებს ამ მემკვიდრეობის მეცნიერულ მნიშვნელობას. ასეთი მიღვომა უადგილოა და ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე აღეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნის. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე გაცილებით მოკრძალებული ამოცანა იდგა. ამ კულტურ-ტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო. ამ მემკვიდრეობის შეუფასებლობა სწორი არ იქნება. ის, უეჭველად, ფასეულია. გააჩნია შემეცნებითი დატვირთვა, რაც განსაზღვრავს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები თუ არ აღემატე-

ბა, არაფრით არ ჩამოუგარდება ევროპის ნებისმიერ, პატარა ქვეყნის წვლილს.

* * *

საქართველოში ევროპის ქვეყნების შეუასეუნეების და ახალი ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში თავისი მოკრძალებული სიტყვა თქვა ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა კარლო მეშველიანმა. მისი კვალი დროთა განმავლობაში რომ არ დაიკარგოს, ამიტომ საჭიროდ ვცანით, მასზე ორიოდე სიტყვით შევჩერებულიყვანით. ეს საშუალებას მოგცემს შევავსოთ კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და ამ სფეროში თეთრი ლაქები ნაკლებად დარჩება.

კარლო მეშველიანი დაიბადა 1927 წლის 2 იანვარს. მამა, ლავრენტი მეშველიანი, მაუდ-კამვოლის კომბინატის პირველი დირექტორი იყო. გარდაიცვალა ძალიან აღრე, 1962 წელს. დედა, ნადეჟდა მელქაძე, იყო დიასახლისი, გარდაიცვალა 1985 წელს, 81 წლის. 1934 წელს შევიდა ქ. თბილისის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლაში. 1945 წელს დამთავრა სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1951-1954 წლებში მან სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ევროპის ქვეყნების ისტორიის განხრით. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ცნობილი ისტორიკოსი, პროფ. ალ. ნამორაძე. მან გამოჩენილი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო თავისი ადამიანური თვისებებით, კაცურკაცობით. ლვაწლმოსილმა მეცნიერმა თავის ასპირანტს საინტერესო თემა შეურჩია – ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინა-აღმდეგ XV-XVI საუკუნეებში. ამგვარი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა და ის აგრძელებს იმ ხაზს, რომელიც დასახა თავის ასპირანტ კუკური ლილუაშვილთან მუშაობის

დღოს. ალ. ნამორაძემ ბ-ნ კუკურის საკვალიფიკაციო ოქმად შეურჩია ჩეხი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ორივე მოწაფემ გაამართლა მოძღვრის იმედები და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ასპირანტთა მუშაობა სამი მიმართულებით წარმოებდა – საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების მომზადება და ჩაბარება; სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და საცდელი ლექციების ჩატარება. მან წარმატებით ჩააბარა მინიმუმით გათვალისწინებული საგნები. 1953 წლის 11 აპრილს ჩატარა საცდელი ლექცია ისტორიის ფაკულტეტის მე-3 კურსზე თემაზე „ბაგაუდების მოძრაობა“. მოამზადა რამდენიმე რეფერატი, რომლებმაც მიიპყრო სპეციალისტების ფურადღება. არქივში წავაწყდით ერთ საინტერესო დოკუმენტს და შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ესაა კათედრის სხდომის №10 ოქმი, დათარიღებული 1952 წლის 29 აპრილით. მომხსენებელმა განიხილა მის მიერ გამოყენებული წყაროები. „ასპირანტს გააჩნია საკვლევი მუშაობის უნარი და კარგად შეუსწავლია წყაროები“. ნელ-ნელა მიიწევს წინ დისერტაციაზე მუშაობა. ის სამ თვეს იმყოფებოდა მოსკოვში და ეცნობოდა იქაურ ბიბლიოთეკაში არსებულ წყაროებს და ლიტერატურას. ყურადღებას იპყრობს ერთი დოკუმენტი. კათედრის სხდომის №14 ოქმი 1953 წლის 10 თებერვლის, სადაც მოისმინეს კათედრის გამგის, პროფ. ალ. ნამორაძის მოხსენება ასპირანტის, ნოდარ კიკაძისა და კარლო მეშველიანის მუშაობის შესახებ. მეცნიერ-ხელმძღვანელმა დაღებითი შეფასება მისცა როგორც ერთის, ისე მეორის მუშაობას. ეს წარმატება იყო (1).

1954 წლიდან ბ-ნი კარლო მეშველიანი საათობრივი ანაზღაურების წესით იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1955 წლის 14 სექტემბერს ის გადაყვანილ იქნა შეუასება მისცა როგორც ერთის, ისე მეორის მუშაობას. ეს წარმატება იყო

ტად. 1957 წლის 20 სექტემბერს გადაყვანილ იქნა უფროს მასწავლებლად. 1957 წლის 5 ივნისს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. საინტერესოა მისი მეცნიერ-ზელ-მძღვანელის, პროფ. ალ. ნამორაძის დახასიათება, რომელსაც არქივში წავაწყდით და თარიღდება 1956 წლის 10 აპრილით. „კარლო მეშველიანმა 1950 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1951 – 1954 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე. მან ვადაზე ადრე ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები და შეასრულა ყველა ის სამუშაო, რაც ევალებოდა მას მისი მეცადინეობის ინდივიდუალური გეგმების მიხედვით“ (1).

„1956 წელს მან წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაცია – „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ XV-XVI საუკუნეებში“, რაც სათანადო დოკუმენტური მასალის ანალიზს ემყარება. კ. მეშველიანი კეთილსინდისიერად ასრულებდა კათედრის ყველა დაგალებას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში“ (2; 6).

ბ-ნ კარლოზე საუბარი სრული არ იქნებოდა, თუ არ შევეხეთ ერთ საკითხს – მის გატაცებას ფეხბურთით. ის კარგი ფეხბურთელი იყო. ისინჯებოდა თბილისის „დინამიში“, თბილისის „სპარტაკში“. მას იწვევდნენ ლენინგრადის „ზენიტში“, მაგრამ ბატონმა კარლომ უარი თქვა. დიდი ხნის განმავლობაში ის წარმატებით გამოდიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ის გახდა დოცენტი. 1960 წლის 18 ნოემბერს დაამტკიცეს შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის დოცენტად. 1965-1975 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1980 წლის მაისიდან დაინიშნა უცხოელ მოქალაქეთა მოსამზადებელი ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. აქ მან იმუშავა

1984 წლამდე. 1987 წლის 23 მარტს ის დაინიშნა ისტორიის ფაქულტეტის დეკანად. 1990 წლის 17 აპრილს საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1991 წლის 18 აპრილის დადგენილების თანახმად ის დამტკიცდა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგედ. ის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას ხელმძღვანელობდა 1998 წლის მაისამდე (1).

ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა მან მშობლიურ უნივერსიტეტში. 2006 წელს ის პენსიაზე გავიდა. ასე „უპარდონოდ“ გაშვება საკმაოდ მტკიცნეული იყო და ბ-ნ კარლოს გული ატკინა. რატომდაც უბრალო მადლობის თქმა, რასაც ბ-ნ კარლო თავისი საქმიანობით, უეჭველად, იმსახურებდა - დაენანათ. ეს იყო უმაღლერობა, რომელსაც არავთარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს.

ბოლო ზანებში უნივერსიტეტზე ძალიან ბევრი აუგი ითქვა და ამას გააჩნია თავისი საფუძველი. წლების მანძილზე ბოლშევიკებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა შეერყვნათ უნივერსიტეტის ღირსება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაღაც ღირებულის გადარჩენა მაინც მოხერხდა და ამის დაუნახობა გამართლებული არ უნდა იყოს. ამის კარგი ნიმუშია ბ-ნ კარლო მეშველიანი. ის იყო წესიერი და პატიოსანი კაცი. ეს მისი კიდევ ერთი ღირსებაა. როგორც კი ზაფხული დადგებოდა და მისაღები გამოცდების დრო მოატანდა, ბ-ნი კარლო მშვიდად დაიხურავდა ქუდს და ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად დასასვენებლად მიდიოდა.

2010 წლის 7 მარტს პროფ. კარლო მეშველიანი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

არ შეიძლება, ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ბ-ნ კარლოზე, როგორც მეოჯახეზე, ოჯახის უფროსზე. ის იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და უებრო ბაბუა, რომელიც უსაზ-

ღვროდ იყო შეყვარებული შვილიშვილებზე. მისი მეუღლე, ქნი ნათელა ფარავა, იყო ინგლისური ენის მასწავლებელი. უფროსი ვაჟი, თენგიზი, მამის გზას გაჰყვა და ისტორიკოსი გახდა. მან თავის ვიწრო სპეციალობად არქეოლოგია აირჩია. დაიცვა დისერტაცია თემაზე „ზოგიერთი ადრეზედაპალეოლითური ძეგლების რაობისათვის დასავლეთ საქართველოში“. მეორე ვაჟმა – დავითმა სულ სხვა პროფესია აირჩია, მაგრამ გენებმა მაინც თავისი ქნა და ის ერთი პერიოდი წარმატებით თამაშობდა კალათბურთს. გამოდიოდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ის ბიოლოგია, დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია. ბ-ნ კარლოს ჰყავს სამი შვილიშვილი: უფროსი – ვახტანგი – ინჟინერია, ვლადიმერი – იურისტი, ქეთევანი – ფსიქოლოგი. ბ-ნ კარლოს ჰყავს და – ქნი კლარა ექიმი. მისი მეუღლე იყო თბილისის კოლორიტი პიროვნება, ბ-ნი თემურ ჩირგაძე, ექიმი პარაზიტოლოგი, მრავალმხრივად ნიჭიერი პიროვნება, შეუდარებელი თამადა, იუმორით აღსავსე კაცი.

ცალკე უნდა ითქვას ბატონ კარლოს სამეგობრო წრეზე. ის იყო უაღრესად ფართო და პრაქტიკულად შეადგენდა ქართული ისტორიული მეცნიერების საუკეთესო ნაწილს, ნაღებს. ისინი იყვნენ: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ნოდარ ლომოური, დავით გვრიტიშვილი, შოთა მესხია, გიორგი ფუთურიძე, გივი კილურიძე, ირაკლი სურგულაძე, ვახტანგ ჯანჯლავა, გივი უორდანია, გურამ კუტალია, კოტე ანთაძე, თენგიზ ფერაძე, გიორგი (ასანა) ნადირაძე და სხვები. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ცოცხალი არაა. დარჩენილებს ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბ-ნი კარლოს თბილი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. გარეგნული სიმკაცრის უკან იმალებოდა უდიდესი სითბო, სიყვარული, მისი დიდი ადამიანობა. ამის მომსწრე მე თვითონ გახლდით. ამიტომ იყო, რომ სტუდენტებს ძალიან უყვარდათ ბატონი კარლო

და დიდ პატივს სცემდნენ მას. მათი ერთ-ერთი საყვარელი ლექტორი იყო.

* * *

საქართველოში ევროპის ქვეყნების შეუასენების და ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში თავისი წვლილი მიუძღვის პროფ. კარლო მეშველიანს. მან თავისი კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში და რამდენიმე კარგი საქმე გააკეთა. მივყვეთ თანმიმდევრულად.

ისტორიულ მეცნიერებაში პირველი სერიოზული ბარიერის დაძლევას, ბუნებრივია, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა წარმოადგენდა. „ბულგარელი ზალხის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ XV – XVI საუკუნეებში“. ეს თემა, როგორც აღვნიშნეთ, მას მეცნიერ-ზელმძღვანელმა, პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ შეურჩა. იმ დროის გადასახედიდან ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული ჩანდა. ეს პრობლემა მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად იყო შესწავლილი და დისერტაციი შეძლებისდაგვარად შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასება ფაქტით თემაა, დიდ სიფრთხილეს და ტაქტს მოითხოვს. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვნი. მარქსისტული კლიშების გამო ამ შრომების განსჯა დღეს არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს, მაგრამ ეს აღვილი გზით სიარული იქნებოდა.

უწინარესად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი კრიტერიუმის შერჩევას. რა კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ ამ ნაშრომის შეფასებას? დღევანდელი გადასახედიდან ამ ნაშრომის შეფასება სუპერკრიტიკული იქნებოდა და მართებულად არ მიგვაჩნია. წყალს ბავშვს ნუ გადავაყოლებთ. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ცხადია, ნეგატიუ-

რი აშკარად ჭარბობდა პოზიტიურს, მაგრამ რაღაც დადებითი უეჭველად იყო და ამის დაუნახაობა სწორი არ იქნება. ისტორიკოსები ცდილობენ მოძებნონ გამოსავალი ამ როული ვითარებიდან. ისინი იღებდნენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას, მაგრამ იძულებული იყვნენ, მარქსისტული პოზიციებიდან გაეშუქებინათ ეს თემა. არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი სასტიკად იღვნებოდა. ასეთი იყო მკაცრი რეალობა. მისი არც შელამაზება და არც გამუქება არ ივარგებს. უნდა შევეცადოთ გამოვნახოთ საშუალებო პოზიცია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. (3) განკითხვა ადვილია, სწორად გაგება კი ძნელია. პროფ. კარლო მეშველიანის ნაშრომი, ვფიქრობთ, კარგად თავსდება ამ კონტექსტში. ის ადვილ გზას არ ირჩევს და კონიუნქტურულ თემებს არ ამუშავებს. ის ხელს ჰქონდეს სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას, მაგრამ იძულებულია მოგვცეს მისი მარქსისტული გამუქება. ამ კომპრომისის გამო მისი განსჯა მართებული არ იქნებოდა და დღეს ის მცირე ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რაც ამ დარგში მშობლიურ ენაზე გაგვაჩნია. პროფ. კარლო მეშველიანის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი – „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ XV-XVI საუკუნეებში“ სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და ამ სფეროში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ წარმატებას წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კ. მეშველიანის სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამართული მეცნიერული პაექტობა, დისკუსია. მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია და ფაქტობრივად კ. მეშველიანის ნაშრომის შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება. ამ საინტერესო მასალის გვერდის ავლა უმართებულო იქნებოდა და ამიტომ

մոհան՛Շե՛Շօնուղագ զբանոտ մուս Տամյունոյրո մոմոյլուցամո Շյ-
մութանա.

Կարլո մշտականունու նամրոմիս – „Յուլյանայլո Նալ-
ես ծրածուա տշրյ դամկյրուղելուա Վանապահուղ ԽV – XVI
Տամյունոյլունու դադեխուա Շյոյալսենու մտացար Քոնու մոմոյլուց
Տրոյ. Գոյո շորժանու մոցալունա. Աս, Րաս Վերծա օցու:
„Նամրոմիս գապնուղագ մյուլավնուղեա, Ռոմ ք. մշտականու կար-
գագ արու դայուլուղեա Տակալու մասալաս. օցու ջլունու Վյա-
րուցն, կարգագ օւնունու Տակալու լութերաթյուրաս... Ամատան
մոմյուղեա ծուղարյուլ Ենաթյ, Ռոմյունսաց աշտորո, Եթյո-
նա, կարգագ արու դայուլուղեա Ըայուլու ամաս Տայմառա լունու
մնունցունու Ֆյոնդա դա գարկալունուղեա գանսաթլազրա ք.
մշտականու նամրոմիս Վարմաթյա. Տրոյ. Գ. Շորժանու ան-
րուտ, „Նամրոմիս Շինաարսու կարց Շտանցուղունու Քոզեն և դա
մուրուտագու Տակալու հայուն անրուտ, Տիորագ արու դասմուլու
և գարաֆրունու“ (2; 12ա)

„Երտու Տությունու, ծ-ն կարլո մշտականու նամրոմի
Տագսենուտ օմսակյուրեա օմաս, Ռոմ օցու Վարմուղցենուղու օյնաս
Հասապագ օւնուրուղ մյունոյրյատա Կանդությունու Տամյունոյ-
րո Նարունես մոսակուղեա լունուղու“ (2; 14).

Ես Շորագմենթյուն մոցանուղու գոյո Շորժանու ՎանասՎա-
րո Ռուցենթուղան կարլո մշտականու նամրոմիթյ և դատարու-
ղեա 1956 Վլու 27 օցնուտ. մաս Եղլս Վիշրս Տրոյ.
Ալյույնանդրյ նամորապ. օւ մյուգ լուրյուլուա. Շայթույրագ,
աման Տամուկալու հայուն ա. մշտականու նամրոմիս դադեխ-
տագ Շյոյալսենա.

Ես Մայությա ունոնենթյուն արտապէս. Տրոյ. Գուրցու Ցուցա-
մուս տանակմագ, „Աշտորու մոյր Շերիկյուլու ումա, Սահազուց,
Այ-
թյալուր մնունցունու մյունեա Շյոմլցու մոսակրյենու գա-
մո: մյունոյրյուլու ունուսաթրուսուտ, Շյոմլցու օտյաս, Ռոմ ալ-
նունցու Տակալու հայուն ար մոցալուց Տամյունոյրու նարկազու,
Ռոմյունու օմլունու մունուան Տիորատու ծուղարյուլու Նալես

უმწეო მდგომარეობაზე ოსმალთა ბატონობის ხანაში და ბულგარელი ხალხის იმ გმირულ ბრძოლებზე ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც წითელ ზოლად გაჰყვება ბულგარეთის ისტორიას მთელი XV–XVI საუკუნეების განმავლობაში. ამგვარი ნაწარმოებები უფრო ზოგადი ხასიათის მატარებლები არიან. ისინი თუმცა ახლოს დგანან დისერტაციის მიერ შერჩეულ თემასთან, მაგრამ მთლიანად არ ამოწურავენ ყველა იმ საკითხებს, რომელნიც განხილულია წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში... დისერტაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გულისხმიერად და მონდომებით მოჰყორისა თავის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტას. მას სპეციალურად შეუსწავლია ბულგარული ენა, რასაც მოუცია მის-თვის შესაძლებლობა მდიდარი ბულგარული ლიტერატურა და წყაროები გამოიყენებინა“ (2: 38-39).

დოც. ზორა შეფტელი (ჩიმაკაძე) ფიქრობს, რომ „დისერტაციტმა თავისი კვლევის საგნად აირჩია საქმაოდ საინტერესო და აქტუალური პრობლემა. შეისწავლის ბულგარელი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ურო რთულ და მნიშვნელოვან პერიოდს – თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას XV-XVI საუკუნეებში“ (2; 15).

ორი სიტყვით შევეხებით კ. მეშველიანის სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციას. ის საგსებით შეესატყვესება იმ-დროინდელი ისტორიოგრაფიის საერთო დონეს და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მან მდიდარ წყაროებზე და საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ბულგარეთში თურქეთის პოლიტიკის შელამაზება, გაიდეალება, რაც შეინიშნებოდა ევროპულ-ამერიკულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ეს იყო სავსებით სწორი დებულება, რომელიც მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ეს არის მედლის ერთი მხარე. თურქეთის პოზიციის უფრო სრულყოფილად, ამომწურავად წარმოჩენის მიზნით საჭირო იყო თურქული

წყაროების კიდევ უფრო ვრცლად მოხმობა. „ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს წყაროები ავტორს გამოეყენებინა თურქელი ლიტერატურიდან. თბილისში მოგვეპოვება თურქელი უურნალები, სადაც მოთავსებულია XVI საუკუნის ოსმალეთის ფირმანები და სულთნების სხვა ბრძანებულებანი, რომელნიც უშუალოდ ეხებიან იმდროინდელი ბულგარეთის ვითარებასაც“, – აღნიშნავს პროფ. გ. ტივაძე. (2: 42). ვფიქრობთ, ეს მოსაზრება ყურადსალებია და შინაარსობრივად კი-დევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს.

ავტორის პროსლავური პოზიცია, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში, უპირველეს ყოვლისა, იმ პერიოდის პოლიტიკური და იდეოლოგიური ყოფის გამოძახილი უნდა დავინახოთ. დღევანდელი პოზიციებიდან მისი განსჯა უადგილოა.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი მიზნად ისახავს საკითხზე არსებული წყაროებისა და საკვლევი ლიტერატურის გარჩევას. ის წმინდა წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ეს მონაკვეთი ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა (4: 3-6).

მეორე თავი ისტორიულ ფონს წარმოადგენს და შეეხება საკმაოდ მწვავე და აქტუალურ თემას – თურქების მიერ ბულგარეთის დაპყრობას (4: 6-7).

მესამე თავში განხილულია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი – ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ XV - XVI საუკუნეებში. ის შედგება ორი მონაკვეთისაგან. პირველ ნაწილს მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ის ცდილობს გაიაზროს თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა. მეორე მონაკვეთში კი განხილულია სამხედრო-ლენური სისტემა ოსმალთა სახელმწიფოში (4: 7-11).

სადისერტაციო ნაშრომის ყველაზე უფრო სოლიდურ, წონად ნაწილს მეოთხე თავი წარმოადგენს. აქ განხილულია ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინა-აღმდეგ XV-XVI საუკუნეებში, ხაზგასმულია ამ ბრძოლის ფორმები (4: 11-12, 13-15).

ნაშრომის არქიტექტონიკის, სტრუქტურის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა მისი დაყოფა: შესავალი, სამი თავი, დასკვნა. ეს საშუალებას მისცემდა დისერტანტს უფრო კომპაქტურად დაელაგებინა და გაღმოეცა მასალა. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შედველობაში გვაქვს ის, რომ პირველი თავი – წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა შესავალში შეიძლებოდა შესულიყო. ფაქტობრივად, ის წარმოადგენს შესავალს. „სადისერტაციო ნაშრომი უფრო მეტს მოიგებდა. რომ ძირითადი საკითხი უფრო მეტად გაფართოებულიყო, სხვა თავების შემცირების ხარჯზე“ (2: 42). ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს მეორე ოპონენტი, დოც. ზ. შეფერელი (ჩიმაკაძე) (2: 20).

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სადისერტაციო ნაშრომის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მრავალფეროვანმა და მდიდარმა პირველწყაროებმა, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა ბულგარული ენის კარგად ცოდნა. რეცეზენტები ერთსულოვნად აღნიშნავენ დისერტაციის ამ მხარეს. დოც. ზ. შეფერელი (ჩიმაკაძე) დასტენს: „უმრავლეს შემთხვევაში ნაშრომში მოცემულია გამოყენებული დოკუმენტების საკუთარი თარგმანი“ (2: 16). პროფ. გ. ჟორდანია ფიქრობს, რომ „დისერტაციის, უდავოდ, დადებით მხარეს წარმოადგენს ჯეროვნად გამოყენება უცხოელ მოგზაურთა თხზულებებისა“ (2: 12a). ავტორი ამჟღავნებს საკითხის შესახებ არსებულ წყაროებსა და საკვლევ ლიტერატურაში ჩახედულებას. აი, რას წერდა პროფ. გ. ტივაძე: „თანამედროვეთა ცნობების მიხედვით შრომის ავტორი ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ

ბულგარელი ხალხი ყოველთვის ცდილობდა ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებას, თუმცა ავტორის მიერ გამოყენებული წყაროებიდან ყველა გამოქვეყნებულია, მაგრამ დადებით მხარედ აქ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ წყაროთა ინტერპრეტაცია ახალია. თუ აქმდე ანონიმი ბულგარელი პირის ცნობებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, ამხ. კ. მეშველიანს სამართლიანად დაუთმია მისთვის ადგილი“ (2: 40). რა თქმა უნდა, უეჭველად, სასურველი იყო, რომ ნაშრომში გამოყენებული ყოფილიყო გამოუქვეყნებელი წყაროები, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. შესაძლოა, ზოგიერთი წყაროს სანდოობა, სარწმუნოობა, უფრო მეტ არგუმენტაციას, საბუთიანობას მოითხოვდა. (2: 42).

ისტორიოგრაფიული ნარკვევის დაწერა ადვილი არაა. მით უმეტეს ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კარლო მეშველიანმა ამ სირთულეებს ურიგოდ როდი გაართვა თავი. მას სწორი გზა აქვს არჩეული და ცდილობს დაუუფლოს ისტორიოგრაფიული ნარკვევის დაწერის მანერას. ეს არაა ისტორიკოსების შეხედულებების უბრალო გადმოცემა, თხრობა. ის ცდილობს გაარკვიოს ისტორიკოსის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები და ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები. ეს იყო სავსებით სწორი მიდგომა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება მთლად დამაჯერებელი როდია და საკამათო შეიძლება იყოს. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს პატ. ოპონენტების მოსაზრებები. სავსებით ვეთანხმებით პროფ. გ. ტივაძეს, რომ „შრომისადმი დართული ლიტერატურის სიის დაყოფა სათაურებად, კერძოდ, ჯერ ლიტერატურა, შემდეგ წყაროები და ბოლოს ლიტერატურა, არაფრით არაა გამართლებული. უკეთესი იქნებოდა, რომ იგი

დანაწილებულიყო სათაურებად: მარქსიზმის კლასიკოსები, წყაროები, ლიტერატურა“ (2: 42-43). შესაძლოა, ეს არგუ-მენტები დღეს ღიმილის მომგვრელია, მაგრამ მაშინ ასეთი დაყოფა სავსებით მიღებული გახლდათ და ამ ტრადიციიდან გადახვევა, ალბათ, არ ღირდა. აღტერნატიგა, რომელსაც დი-სერტანტი გვთავაზობს, არადამაჯერებელია. დაახლოებით ან-ალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. გ. ჟორდანია (2; 12).

სადისერტაციო ნაშრომი იმდროინდელი ისტორიოგრა-ფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენ-და. 1. დისერტანტმა აირჩია აქტუალური თემა, რომელიც ის-ტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი. 2. ის შეეცადა მოეცა ამ საკითხის ახლებური გადაწყვეტა, ის-ტორიის ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამიტომ კ. მეშველიანის ნაშრომი – „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ XV –XVI საუკუნეებში“ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმო-სავლეთ ევროპის ხალხების, სლავების ისტორიის საკანძო საკითხების შესწავლა მეცნიერულ იერს იძენს. ეს, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ცალმხრივ ხასიათს იღ-ებს და მყარდება ერთი, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგი-ის, მონოპოლია, დიქტატი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები მდგო-მარეობს შემდგომში: 1. ბულგარეთში თურქთა გაბატონების-თანავე ბულგარელი ხალხი იწყებს ბრძოლას თურქ დამ-პყრობელთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წლების განმავლობაში სულ უფრო ძლიერდებოდა და სხვადასხვა ფორმას ღებუ-ლობდა. 2. ბულგარელი ხალხის აუტანელი მდგომარეობა კი-დევ უფრო გაუარესდა თურქეთის იმპერიის კრიზისთან და-კავშირებით, რამაც ბიძგი მისცა ბულგარელი ხალხის ბრძო-ლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 3. მოგზაურთა ცნობები საშუ-

ალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ XV-XVI საუკუნეებში, ისევე როგორც მომდევნო საუკუნეებში, ბულგარელი ხალხი იბრძოდა თავისუფლებისათვის. ბულგარელი ხალხი განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდა რუსეთის სახელმწიფოზე.

4. თურქთა ბატონობის პირველი ორი საუკუნის მანძილზე, ისევე როგორც შემდეგ, ბულგარელი ხალხი სხვადასხვა ფორმით ებრძოდა თურქ დამპყრობლებს. ამ ბრძოლის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას ჰაიდუკური მოძრაობა წარმოადგენდა. მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან და მისი მხარდაჭერით და მფარველობით სარგებლობდა.

5. ეს იყო ბრძოლის ერთი, აქტუური ფორმა. იყო ბრძოლის სხვა ხერხებიც. პირველ რიგში, ეს იყო ჰასიური ბრძოლის ფორმები. ის უმთავრესად გამოიხატებოდა მოსახლეობის მიუვალ მთებში გახიზვნასა და საბოტაქში.

6. წყაროებზე დაყრდნობით ავტორი ასაბუთებს, რომ ამ ჰერიოდში ბულგარეთში არაერთხელ ჰქონდა ადგილი აჯანყებებს, მაგრამ ყველა ამ აჯანყებას დაქსაქსული, სტიქიური, ცუდად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და ამდენად, მას არ შეეძლო დადგებითი შედეგი მოეტანა.

7. XVI საუკუნის მიწურულიდან ბულგარელი ხალხის გამოსვლები თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ უფრო ორგანიზებულ ფორმას იღებს. 1598 წლის ტირნოვოს აჯანყება იყო პირველი ასეთი მძლავრი, ორგანიზებული გამოსვლა, რომელიც მიზნად ისახავდა ბულგარეთის დამოკიდებლობის აღდგენას.

8. დაპყრობთა წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის სწორედ ამ განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად თურქმა ასიმილატორებმა ვერ მოახერხეს ბულგარელი ხალხის დამონება და განადგურება (4). ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად მის საინტერესო ნაშრომს – „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დაპყრობლების წინააღმდეგ XV-XVI საუკუნეებში“ (5), რომელიც მისი სადისერტაციო ნაშრომის თავისებურ შეჯამებად გვევლინება. პოლემისტური ტონი ამ თემაზე მის მსჯელობას

კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ის ეკამათება იმ ისტორიკოსებს, რომლებსაც ამ საკითხებზე განსხვავებული აზრი გააჩნიათ და წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს, დააფუძნოს თავისი მსჯელობა.

უკრალლებას იპყრობს სადისერტაციო ნაშრომში მოცემული პერიოდიზაცია. ავტორი თურქეთის ასიმილატორულ პოლიტიკას ორ პერიოდად ყოფს. წყალგამყოფად მას ესახება XVI საუკუნის 20-იანი წლები, სახელდობრ, სელიმ I (1512-1520) და სულეიმან I (1520-1560) ზეობის ხანა. აქედან იღებს სათავეს ბულგარეთში თურქეთის ასიმილატორული პოლიტიკის ახალი ეტაპი. ამიერიდან თურქეთის ასიმილატორული პოლიტიკა კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს. (4: 11-12, 5: 157). პროფ. გ. ტივაძის მოსაზრებით, „სადისერტაციო ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ბულგარელი ხალხის დუხშირი მდგომარეობის ასახვისათვის ოსმალთა ბატონობის მეორე პერიოდში, ყოველმხრივ დასაბუთებულია და მეცნიერული თვალსაზრისით მოწონებას იმსახურებს. მაგრამ უფრო ადრინდელი პერიოდი მოითხოვს დამატებითი მასალის თავმოყრას. ვფიქრობთ, დისერტაციი თავის შემდგომ მუშაობაში ამ გარემოებას ჯეროვნად გაითვალისწინებს“ (2: 45).

სავსებით ვთანხმებით პროფ. გ. უორდანიას, რომ „როგორც ნაშრომის პირველ თავში, რომელიც მიძღვნილი აქვს წყაროების და ლიტერატურის ანალიზს, ისე მთელს ნაშრომში დისერტაციი სავსებით სამართლიანად ასაბუთებს ერთ ძირითად აზრს, სახელდობრ, რომ თურქთა დაპყრობამ და უღელმა დიდად გააუარესა ბულგარელი ხალხის მდგომარეობა და რომ თურქთა მიერ ბულგარეთის დაპყრობისთანავე იწყება სახალხო ანტითურქული გამათავისუფლებელი მოძრაობა. ამასთანავე, კარლო მეშვეობიანი საფუძვლიანად აკრიტიკებს საწინააღმდეგო აზრებს, გამოთქმულს ისტორიულ ლიტერატურაში“ (2; 11a). „სადისერტაციო ნაშრომში ახლებუ-

რადაა დაყენებული ბულგარეთში გაიღუკების მოძრაობის საკითხიც. თუ ბურჯუაზიული მკვლევარები ამ მოძრაობას ყაჩაღობას უწოდებდნენ ან არა და ზოგიერთი მკვლევარი გაიღუკების მოძრაობის ხანად თვლიდა უმთავრესად XVIII-XIX საუკუნეებს, სადისერტაციო შრომის ავტორი გაიღუკებს დაბეჯითებით ხალხურ მოძრაობად თვლის. მას განხილული აქვს მთელი რიგი მაგალითები იმისა, თუ როგორ ეხმარებოდა ხალხი გაიდუკობას, რომელთა ბრძოლა მიმართული იყო თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამასთან, ავტორის აზრით, გაიღუკური მოძრაობის დასაწყისი ბულგარეთში ემთხვევა XV საუკუნეებს“ (2: 40), – აღნიშნავს პროფ. გ. ტივაძე. ჰაიდუკური მოძრაობის გაიდეალება, რაც ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ მაშინ ამაზე კრინტსაც ვერ დაძრავდი. აქ უნდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება, რომელიც ეხება როგორც დისერტანტს, ისე ღრმად პატივცემულ ოპონენტს, ამ შემთხვევაში პროფ. გ. ტივაძეს. გაიღუკური რუსული ფორმა. ქართულად, ცხადია, უმჯობესი იქნებოდა ჰაიდუკური მოძრაობა. ამიტომ ჩვენ სწორედ ამ ფორმას ვარჩევთ.

დისერტანტმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის ბრძოლის ფორმები ერთგვაროვნი არასოდეს ყოფილა. ისინი მოითხოვდნენ ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს: აჯანყება, ყაჩაღად გავარდნა, საბოტაჟი, გახიზვნა. პროფ. გ. უორდანია ფიქრობს, რომ „სადისერტაციო ნაშრომში კარგად არის დახასიათებული ამ მოძრაობის სხვადასხვა ფორმები... (2; 13).“

პროფ. გ. უორდანიას აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ავტორი პარალელს გაავლებდა ბულგარეთსა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ - კითარებათა შორის XV – XVI საუკუნეებში“. (2; 15). ეს, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ცუდი, მაგრამ ეს საკითხი ჩვენ გვინდა ცოტა შევაძლუნოთ და სულ სხვა კუთხით დავსვათ. ვფიქრობთ, ეს გაცი-

ლებით საინტერესო და ორიგინალური იქნებოდა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. ჩვენი აზრით, ნაშრომი ძალიან ბევრს მოიგებდა, თუ მასში შედარებული იქნებოდა თურქეთის პოლიტიკა ბულგარეთის მიმართ და საქართველოს მიმართ. ასეთი ისტორიული შედარების მეთოდის მომარჯვება, აღნათ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს.

დისერტაციმა ოპონენტების ზოგიერთი მოსაზრება გაიზიარა, ხოლო მთელ რიგ შენიშვნებს დამაჯერებელი პასუხები გასცა (2: 73-79). ეს მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნულ საკითხში მის ჩახედულობას, რამაც დიდად შეუწყო ხელი სადისერტაციო ნაშრომის წარმატებას. სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ბ-ნ კარლო მეშვეობისათვის ძიებული ხარისხის მინიჭებას (2).

გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ დისერტაცია ამ ეპოქას, XV-XVI საუკუნეებს, სახელდობრ, 1453 წლის 29 მაისს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას, ხომ არ განიხილავდა, როგორც მიჯნას შუა საუკუნეების და ახალი დროის ბულგარეთის ისტორიას შორის, როგორც ეს მიღებული იყო საერთაშორისო სტანდარტებით? ცხადია, ეს აზრი ეზოპეს ენითაა გამოთქმული და, ჩვენი აზრით, არჩევანში უნდა ყოფილიყო ჩაღებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მათი არჩევანი, ესეც გამხდარიყო.

ამრიგად, ახალგაზრდა, დამწყებმა ისტორიკოსმა დაწერა საინტერესო ნაშრომი, სადაც საგანგებოდ შეისწავლა ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ XV-XVI საუკუნეებში. ეს ნაშრომი, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებას წარმოადგენდა. დღევანდელი გადასახედიდან მისი განსჯა უადგილოა. დისერ-

ტანტი ცდილობს დაუფლოს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს. ამ თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი აშკარად თვალშისაცემი ჩანს და ამას ერთსულოვნად ხაზს უსვამენ სპეციალისტები, პირველ რიგში კი ოფიციალური ოპონენტები. ეს ახალგაზრდა მკვლევარი ისტორიკოსის წარმატება იყო. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტულ აპკში გაახვია. ამ კომპრომისის გამო მისი განსჯა მართებული არ იქნებოდა. თუ ამ ნაშრომს ძალად თავ-სმოხვეულ მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაცილებთ, მასში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, მრავალფეროვანი პირველწყაროები საგულისხმოა და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიღვაჩნია. სწორედ, ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. (3; 6).

სადისერტაციო ნაშრომის მიმართ გამოთქმული შენიშვნები პირობით სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. ეს არის ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა ახალი წყაროები და ისტორიკოსებმა პრობლემას სრულიად სხვაგვარად შეხედეს, სულ სხვა აქცენტები დასვეს. 2. წმინდა მეცნიერული კამათი, აზრთა სხვადასხვაობა. დისერტანტი წყაროებზე დაყრდნობით ერთს ამტკიცებს, ხოლო ოპონენტები განსხვავებული აზრისანი არიან. 3. მოსაზრებები, რომელიც მიმართულია სადისერტაციო ნაშრომის შემდგომი დახვეწის, სრულყოფისკენ და ანგარიშგასაწევი უნდა ჩანდეს.

* * *

ეს იყო ერთი კარგი საქმე, რომელიც პროფ. კარლო მეშველიანმა ისტორიულ მეცნიერებაში გააკეთა. მეორე კარგი საქმე, რომელიც მის სახელს უკავშირდება, გახლავთ აღმოსავლეთ ევროპის, სლავების, შუა საუკუნეების და ახალი დროის ისტორიაში სახელმძღვანელოების დაწერა. ეს იმ-

დროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადად-გმული ნაბიჯი იყო. ამ თემაზე ქართულ ენაზე თითქმის არ-აფერი მოგვეპოვებოდა. ეს ურთულებდა სტუდენტებს ამ საგ-ნის შესწავლას. ამიტომ ბ-ნმა კარლომ გადაწყვიტა დაეწერა სახელმძღვანელო ამ საგანში. ეს იყო სწორი ნაბიჯი. სტუ-დენტებმა შშობლიურ ენაზე მიიღეს სახელმძღვანელო ამ სა-განში, რაც მათ გაუადვილებდა მის შესწავლას. სახელმძღვა-ნელობის შემცნებითი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომა-რობდა. მან თავისი წვლილი შეიტანა ამ ეპოქის აღმოსავ-ლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის სწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ის დიდი წნის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექ-ციების კურსს სლავების ისტორიაში. სახელმძღვანელოს შექმნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკურ დაგვირგვი-ნებად გვევლინება. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ სახელმძღვანელოს გარეშე ამ საგნის სწავლა მეტად გაძნელდებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა სახელ-მძღვანელო აღმოსავლეთ ევროპის ხალხების, სლავების, ის-ტორიაში. მისი შემცნებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარე-ობდა, რომ ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში სტუდენ-ტებს, გააცნობდა ამ რეგიონის ხალხების ისტორიას უძველე-სი დროიდან პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე 1918 წელს და საერთო წარმოდგენას შეუქმნიდა მათ წარსულზე. ეს სახელმძღვანელო აქმაყოფილებდა იმ დროის ისტორიული მეცნიერების საერთო დონეს. მასში გათვალისწინებული იყო მარქსისტული, საბჭოთა ისტორიოგრაფიის, თითქმის ყველა მიღწევა. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიჩუმათე-ბა, ვფიქრობთ, უმართებულო იქნებოდა.

სახელმძღვანელო მონაკვეთებადაა დაყოფილი. პირობით ორ ციკლს მოიცავს. პირველ ციკლს შეადგენს მისი სახელ-

მძღვანელო „სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია“ (7). ეს არის ერთი დიდი მონოლითი, ბლოკი, რომელიც მოიცავს ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს ძველი დროიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ეს არის შეუ საუკუნეების ისტორია და ახალი ისტორიის ერთი დიდი მონაკვეთი. სახელდობრ: ახალი ისტორიის შესავალი და ადრეული ახალი ისტორია. ამას მოჰყვა მეორე ციკლი, რომელიც სერიებადაა დაყოფილი. ეს არის აღმოსავლეთ ევროპის ხალხების, სლავების, ისტორია XIX საუკუნიდან პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე 1918 წელს. აქ ცალ-ცალკე არის მოთხრობილი ამ ეპოქის ბულგარეთის, სერბეთისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის, პოლონეთის ისტორია (8). ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებული ჩანდა და უმთავრესად ამ ეპოქაზე არსებული მდიდარი მასალით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ სახელმძღვანელოებმა თავისი როლი შეასრულა. მათზე აღიზარდა სტუდენტი ისტორიკოსთა არაერთი თაობა. მათში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაციის, უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის, მრავალფეროვანი პირველწყაროების გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. დღეს მას სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს.

იმ დროის ისტორიოგრაფიის ტრადიციულ სტილშია დაწერილი მისი ბორშურა – „რუმინეთი სოციალიზმის გზა-ზე“ (9). აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. იმუამინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე. ის გარკვეულ სიახლეს მოკლებული როდია. მან ხელი მოკიდა ისეთ თემას, რომელიც ისტორიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ იყო სათანადო შესწავლილი. რუმინელი ხალხის არჩევანის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი იყო და შეესატყვისებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს. ასეთი იყო პოლიტიკური დაკვეთა. ეს იყო მკაცრი რეალობა.

ყურადღებას იპყრობს მისი გამოკვლევა – „ბულგარეთის არქივებში დაცული დოკუმენტური წყაროები საქართველოს შესახებ“ (10). ქართული კონტექსტის ჩართვა საინტერესოა, კვლევითი ელემენტებით ამდიდრებს ნაშრომს და განსაზღვრავს მის მეცნიერულ ფასულობას. ამ ხაზის განვითარება საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ბატონი კარლო სხვაგვარად მოიქცა. ეს იყო მისი არჩევანი.

რა თქმა უნდა, მისი დაინტერესება ამით არ ამოიწურებოდა და მან თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. აქ, პირველ რიგში, ცხადია, ვგულისხმობთ მის ნაშრომს პარიზის 1413 წლის აჯანყებაზე (11).

ამრიგად, პროფ. კარლო მეშველიანმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, სლავების, ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. მან ერთი აგური მიიტანა საქართველოში ამ დარგის დაფუძნების და განვითარების საქმეში.

* * *

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ეპოქაში, პროფ. კარლო მეშველიანი ჩაერთო დასავლეთ ევროპის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან გაწმენდის საქმეში. ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფ. კარლო მეშველიანის გაკეთებულ კიდევ ერთ კარგ საქმეს წარმოადგენდა. მან სამი რამის გაკეთება შეძლო: 1. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია. 2. შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხი 3. მონაწილეობა მიიღო შუა საუკუნეების ახალი სახელმძღვანელოს დაწერაში. მიყვეთ თანმიმდევრობით. დავიწყოთ მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციით.

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის დროს ევროპულ-ამერიკულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიას შორის აზრთა

სხვადასხვაობა ყველაზე უფრო რელიეფურად მუდავნდება შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის საზღვრის დადგენის დროს. ევროპული და ამერიკული ისტორიოგრაფია ამ ორ ეპოქას შორის ნიშანსვეტად იღებს XV-XVI საუკუნეების მიჯნას: რენესანსს, კონსტანტინოპოლის დაცემას, 1453 წელს. 1492 წელს, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების და-საწყისს და 1517 წელს რეფორმაციის დასაწყისს. დიამეტრა-ლურად საპირისპირო პოზიციებზე იდგა საბჭოთა, მარქსის-ტული ისტორიოგრაფია. ის ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად რევოლუციას იღებდა. თავდაპირველად ეს იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია, XVIII საუკუნის მიწურულს, ხოლო შემ-დეგ, 50-იანი წლების შუა ხანებიდან, ინგლისის რევოლუცია XVII საუკუნის შუა ხანებში. ეს სქემა ფორმაციულ პრინ-ციპს და კლასობრივი ბრძოლის ფაქტორს ემყარებოდა. მსოფლიო ისტორიოგრაფიამ მარქსისტული პერიოდიზაცია მეტად ცივად მიიღო და არ გაიზიარა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბუნებრივია, დადგა მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის საკითხი. მედი-ევისტების დიდი ნაწილი კომპრომისულ პოზიციაზე იდგა და ეს გადასინჯვა უმთავრესად დეკლამაციურ ხასიათს ატარებ-და. ერთინი საუბრობდნენ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდზე XV საუკუნის მიწურულიდან საფრანგეთის დიდ რევოლუცი-ამდე XVIII საუკუნის ბოლოს, მეორენი კი ხაზს უსვამდნენ, რომ ეს იყო გვიანდელი ფეოდალიზმი ანუ ადრეული ახალი დრო. ასეთი მიღვომა არადამაჯერებელია. ხომ არ ვართუ-ლებთ საქმეს? ეს იყო ახალი ისტორია, რომელიც იყოფა ორ პერიოდად: ახალი ისტორიის შესავალი – XVII საუკუნ-ის შუა ხანებამდე და ადრეული ახალი ისტორია – XVIII საუკუნის ბოლომდე. პროფ. კარლო მეშველიანის დამსახურე-ბად გვევლინება ის გარემოება, რომ მან მსოფლიო ისტორი-ის პერიოდიზაციის საკითხში, მედიევისტებს შორის, ყველა-ზე სწორი პოზიცია დაიკავა. ეს იმით გამოიხატა, რომ ის

მიემსრო იმ ისტორიკოსებს, რომლებიც კატეგორიულად უგულებელყოფნენ მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციას და აღადგენდნენ ევროპულ მოდელს (12).

უდავოდ, ყურადღებას იმსახურებს პროფ. კარლო მეშველიანის საინტერესო ნაშრომი „იოპანა ჰაიზინგას „შუა საუკუნეების შემოდგომა“ (13). ის ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად სახელგანთქმული პოლანდიელი ისტორიკოსის შედევრზე პატარა რეცენზიას წარმოადგენს. მას თავისი შემეცნებითი დატვირთვა აქვს. აქ ის ცდილობს, ქართული საზოგადოება ჩაახედოს ევროპული მედიევასტიკის საგანმურში და გააცნობს მის საუკეთესო მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ან ვერ აღწევდა ჩვენამდე, ან თუ აღწევდა – ძალზე ცალმხრივი სახით, მარქსისტული ინტერპრეტაციით და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნიდა. აქ ის სულ სხვა ამპლუაში გვევლინება და პოპულარიზაციას უწევს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებს. ამით მან თავისი მოკრძალებული სიტყვა თქვა ამ თემატიკის პოპულარიზაციის საქმეში.

პროფ. კარლო მეშველიანი იყო შუა საუკუნეების ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თანაავტორი. მას დაწერილი აქვს ოთხი თავი: ჩრდილოეთ ევროპა IX-XI საუკუნეებში, შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა და ზრდა, სკანდინავიის ქვეყნები XI-XV საუკუნეებში და ინგლისი XV საუკუნეში. ვარდების ომი და ტიუდორები (14: 121-125. 162-178. 401-410. 328-334). ახალი სახელმძღვანელოს შექმნა ქართული მედიევასტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა და გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ყინული ნელ-ნელა, თანდათან დაიძრა. ამ კარგ საქმეში პროფ. კარლო მეშველიანის მცირე წვლილიცაა. ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას საჭიროებს. აქა-იქ, ძველი ინერციით, კვლავ გვხვდება მარქსისტული კლიშეები. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია შუა საუკუნეების ქალაქის ინტერ-

პრეტაცია. ის, პირველ რიგში, მოიაზრება, როგორც სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა, სადაც შრომობენ და მიმდინარეობს ბრძოლა. ყველაფერი დანარჩენი უკანა პლანზეა გადაწეული. ზოგიერთი საკითხისადმი მიღვომა საკამაოო შეიძლება იყოს. კულტურამდე საქმე არც მიღის. (14: 162-176). ინგლისის მეფის, რიჩარდ III (1483-1485) უარყოფითი შეფასება მოძველებულია და კორექტივების შეტანას საჭიროებს. (14: 332). ცნობილია, რომ ისტორიული რიჩარდი მკვეთრად განსხვავდებოდა სცენიურისაგან (15; 16).

ამრიგად, პროფ. კარლო მეშველიანმა თავისი წელილი შეიტანა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან გაწმენდის საქმეში, თუმცა ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნეს.

* * *

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: რა თქმა უნდა, მას გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, ამის პოტენციალი თითქოსდა არსებობდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რა იყო ამის მიზეზი, მნელი სათქმელია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ ამ თემაზე, მაგრამ ჭეშმარიტი მიზეზი, ალბათ, მის ადამიანურ ხასიათში უნდა ვეძებოთ.

ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. კარლო მეშველიანის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ:

1. მან საგანგებოდ, სპეციალურად შეისწავლა ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ XVI-XVII საუკუნეებში, რომელიც იმ დროს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად იყო დამუშავებული.
2. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაწერა სახელმძღვანელოები აღმოსავლეთ ევროპის ხალხების, სლავების, ისტორიაში. მან თავისი წელილი შეიტანა საქართველო-

ში აღმოსავლეთ ევროპის, სლავების, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. 3. 90-იან წლების შემდეგ პროფ. კარლო მეშველიანი ჩაება დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპებისაგან გაწმენდის პროცესში. მან სამი კარგი საქმე გააკეთა: ა) აქტიურად ჩაება და სწორი პოზიცია დაიკავა შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციის საკითხში. ბ) თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში. გ) იყო შუა საუკუნეების ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს თანავგორი. 4). ბ-ნი კარლოს მეცნიერული პოტენციალი კარგად იქნა რეალიზებული სამეცნიერო-ორგანიზაციულ ასპარეზზე. წლების მანძილზე ის იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოაღვილე, დეკანი, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე.

დამოწმებანი:

1. პროფ. კარლო მეშველიანის პირადი საქმე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, საქმე 5630.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471. ანაბეჭდი 19. საქმე 2576.
3. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 2011.
4. К. Мешвелиани, Борьба Болгарского народа против турецких захватчиков в XV – XVI вв. – реферат кандидатской диссертации. Тб., 1957.
5. К. Мешвелиани, Борьба Болгарского народа против турецких захватчиков в XV – XVI вв. – Труды

Тбилисского государственного университета. т. 63, Тб., 1956.

6. კალანდაძე მ., პროფესორი უშანგი სიღამონიძე, თბ., 2004.

7. მეშველიანი კ., სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია, თბ., 1965.

8. მეშველიანი კ., სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია, ჩეხეთ-სლოვაკეთი (XIX-XX სს. დასაწყისი). თბ., 1982. მეშველიანი კ., სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია, ბულგარეთი (XIX ს. – 1917 წ.). თბ., 1977. კ. მეშველიანი, სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია - სერბეთი (XIX ს. – 1917 წ.). თბ., 1985. კ. მეშველიანი, პოლონეთი, XIX საუკუნის მეორე ნახევარი, 1917 წ. ნაწ. I და II, თბ., 1979.

9. მეშველიანი კ., რუმინეთი სოციალიზმის გზაზე, თბ., 1957.

10. მეშველიანი კ., ბულგარეთში დაცული დოკუმენტები, წყარო საქართველოს შესახებ - თსუ-ს შრომები, ტ. 127. თბ., 1968.

11. მეშველიანი კ., პარიზის 1413 წლის აჯანყება, თსუ-ს შრომები, ტ. 87. თბ., 1960.

12. ანთაძე კ., კალანდაძე მ., მეშველიანი კ., ისტორიის პერიოდიზაციისათვის - მაცნე, ისტორიის სერია, №2. 1992. ანთაძე კ., მეშველიანი კ., კალანდაძე მ., მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის - ისტორია და გეოგრაფია სკოლაში № 1. 1992. ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.

13. მეშველიანი კ., იოპან ჰაიზინგას „შუა საუკუნეების შემოდგომა“ - კრ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 1. თბ., 1999.

14. შუა საუკუნეების ისტორია, გ. კუტალიას რედაქციით, თბ., 2004.

15. М. Барг, Шекспир и история, М., 1975.
16. კალანდაძე მ., რიჩარდ III – „დროშა“ №5-6. 1993. გალანდაძე ფილიპე დე კომინი და რიჩარდ III – „არტანუჯი“, №1. 1994. კალანდაძე მ., ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

Merab Kalandadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

PROFESSOR KARLO MESHVELIANI

RESUME

The given is of historiographic character and aims to study the life and works of a prominent historian Karlo Meshveliani (1927-2010). We will try to show his input in the historical science and identify his place in the Georgian historiography. The given is the first attempt to study his life and works.

In our opinion, the services of Prof. Karlo Meshveliani for the Georgian historiography are the following: 1. He has specially examined the struggle of the Bulgarian people against the Turk invaders in XV-XVI centuries, which was a significant novelty for the historiography of that time. 2. He has written the first textbook in the Georgian historiography about the history of the Eastern Europe and Slav. 3. In the 1990s, after the collapse of the Soviet Union, prof. Karlo Meshveliani has been actively involved in clearing the history of the middle age of the Western Europe from Marxist stereotypes and clichés. 4. His potential has been well realized in scientific – organizational field. He was a deputy Dean of the Faculty of History and a Dean of the faculty of History.

**თოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესიონალი**

**რამდენიმე საარქივო დოკუმენტი კრწანისის ბრძოლის
შემდეგ ქართლ-კახეთში შექმნილი ვითარების შესახებ**

კრწანისის ბრძოლა საქართველოს ისტორიაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი (5; 8) და მის ფართო განხილვას არ ვაპირებთ. გვინდა პირველწყაროთა და რამდენიმე საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით მკითხველს ის ვითარება და ჩვენეული ანალიზი შევთავაზოთ, რომელიც ამ ბრძოლის შემდეგ შეიქმნა ქვეყანაში.

კრწანისის ბრძოლამ დაგვანახა, ოომ

1) ერეკლე II-ის მიერ XVIII საუკუნის 70-იან წლებში თავდაცვის სფეროში გატარებული მრავალი ღონისძიებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა სტაბილური (თუ არ ჩავთვლით საარტილერიო რეფორმას, ისიც, ზარბაზან-მეზარბაზნებთან ერთად, აღა-მაჭად-ხანს ჩაუგარდა ხელში) და ირანის შაჰის 35 ათასიან ბრძოლის ერეკლე ფაქტიურად უჯაროდ დახვდა, თუმცა, შაჰის შემოსევის შესახებ რამდენიმე წლით ადრე იცოდა;

2) მიუხედავად მრავალწლიანი გამოცდილებისა, 80-იანი წლებიდან ერეკლემ საბოლოო არჩევანი რუსებზე გააკეთა და ბოლომდე პქონდა მათი იმედი. ამიტომ მისმა სწორხაზოვანმა პოლიტიკამ (მხოლოდ რუსეთზე ორიენტაციამ) ქვეყანა საბედისწერო შედეგებამდე მიიყვანა;

3) ცხადყო 1791 წელს მიღებული კანონის – „საუფლისწულოების შესახებ“ – მოუქნელობა და ქვეყანა კიდევ უფრო დაანაწევრა (ერეკლეს კრწანისის ველზე ყოფნისას

ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი სიღნაღმი იმყოფებოდა და ჯარის შესაკრებად მხოლოდ ზერელე ზომებს იღებდა ითანე ბატონიშვილმა, რომელსაც ქსანი ეჭირა, მხოლოდ 50 მებრძოლი მოიყვანა; ვახტანგ ბატონიშვილმა არაგვიდან – 300 კაცი და სხვ. (5: 158).

4) წინასწარ არ იყო სათანადო ზომები მიღებული მოსახლეობისა და მისი ქონების უსაფრთხოების მიზნით. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქართლში, კახეთში და მით უფრო, თბილისში – დახიზვნა ვერ მოასწრო და ქონება (მათ შორის – სამეფო გვირგვინები, მეტეხის, სვეტიცხოვლისა და სიონის სამკაულები და წმინდა ნაწილები) (5: 147) მთლიანად მტერს ჩაუკარდა ხელში;

5) წარმოაჩინა მმართველობით-ადმინისტრაციული აპარატის უნიათობა და უმოქმედობა, ხოლო რიგ შემთხვევებში – დანაშაულებრივი საქმიანობა. მეფეს მთიულეთში განიზვნიდან ერთი კვირის შემდეგაც კი არანაირი ცნობა არ ჰქონდა ქართლ-კახეთში შექმნილი ვითარებისა და ტყვედრა-ვარდნილთა რაოდენობის შესახებ (5: 159; 8: 239-240; 3: 540, დავთარი 6);

6) ზემოხსენებულის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ აღა-მაჰმად-ხანის ურდოებს გაქცეულ-დახიზნული მოსახლეობა ადგილობრივი მთიულების, იმერთა ლაშქრის ერთი ჯგუფისა და მეფის მოხელეთა ძალადობა-მტაცებლობის მსხვერპლი გახდა. როგორც ამ ამბების უშუალო თვითმხილველი – ითანე ქართველიშვილი წერს: „აწიოკებდნენ იასაულნი დაყენებულნი მეფისაგან და არა ანებებდნენ პატრონთა თვისთა უკანონობისა ძალით“ (4: 76);

7) დაადასტურა მონარქიული წყობილების ერთ-ერთი უარყოფითი სეგმენტი. მოხუცი მეფის ინდიფერენტულობა და სიფხიზლის მოდუნება მისი ასაკით უნდა აიხსნას. ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება, ახალგაზრდა ერეკლე შვილებსა და რუსებზე ეგზომ დამოკიდებული შეხვედროდა მოახლოებულ

საფრთხეს, როგორც ეს კრწანისთან მოხდა. თუნდაც ამ ამბებამდე ათი წლის წინ ხომ ომარ-ხანის 20 ათასიანი ურდოს თავდასხმა მეფემ მოხერხებული მანევრირებით ააცილა თბილის.

8) დაბოლოს, კრწანისთან მარცხის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, არსებული ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა იყო. ერეკლე მეორე, პირველ რიგში, „თვითმცყრობელი“ მეფე იყო. იგი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს ებრძოდა და არა მთლიან სისტემას. დიდ ფეოდალებს ძალაუფლებასა და მიწებს ართმევდა, სათავადოებს აუქმებდა, მაგრამ გათავისუფლებულ მიწებსა და გლეხებს ან სახასოდ (მეფის საკუთრებად) აცხადებდა, ან უფლისწულებს ურიგებდა. ეს ფაქტი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სულაც არ იყო არსებულ ზე უკეთესი. (1: 9).

როგორც ითქვა, კრწანისის ბრძოლის შემდეგ, ერეკლე ოჯახით ანანურს გაიხიზნა. ირკვევა, რომ ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგაც მეფე ინფორმაციის ნაკლებობას უჩიოდა. 17 სექტემბერს კახეთში მყოფ გიორგი ბატონიშვილს მამა სწერს: „...მერე რა ეს საქმე მოხდა (იგულისხმება კრწანისის ბრძოლა – ი. ა.), ორი-სამი წიგნი შენ მოგწერე და ორი წიგნი კახთათვის მიმიწერია. გაღმა, გამოღმა, ქვემოთ და ზემოთ არც წიგნი და არც კაცი არავინ მოვიდა მანდედამ, რომ თქვენი ამბავი შემეტყო და ან პასუხი მომსვლოდა. დღეს ერთი მთიული მოსულიყო და ეთქვა, რომ კახეთი აიყარაო და თიანეთისკენ ამოვიდნენო, თქვენგან ვერც ამისი გავიგონეთ რა.

...წიგნები დავწერეთ და ზვალ გიგზავნით. ისევ ყარა-მანს და ქაიხოსრო სუფრავს ვატანთ. ჯერ შორს ქვეყნიდან (რუსეთიდან – ი. ა.) ამბავი არა მოსულა რა. ეს წიგნი რომ მოგივიდეს შენი ამბავიც და კახეთის მდგომარეობა მომწერე. თუ გაღმითის ლეკების ამბავი იცოდე რამ, ისიც მაცოდინე. მანდაური საქმე არც საღმრთო კაცისაგან და არც საეროსაგ-

ან არა ვიცოდი რა, რომ პასუხი მომეწერაო“ (9: ფ. HD; საბ. 2087).

ერეკლე გაკვირვებას გამოთქვამს და შვილს ინერტულობის გამო საყვედურობს: „ეს როგორ არ უნდა ვიცოდე, რომ ამ ამბავზედან შენ რა ჰქენ და ან კახთ. ერთი თავადიშვილი რომ ყოფილიყო აქ იმისთვისაც უნდა შეგეტყობინებინათ და მე რატომ არ უნდა ვიცოდე. ეცადე და ოთხას-ხუთასი კაცი იშოვნე და ჩვენთან გამოგზავნე დაუგვიანებლად“ (9: ფ. HD; საბ. 2087).

ოთარ ამილახვრისადმი 1795 წლის 18 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდნ ჩანს, რომ მეფისათვის ქართლში შექმნილი ვითარებაც უცნობია: „მერე ომს უკან შენი (ოთარ ამილახვრის – ი. ა.) და მაგ მხარის ამბავი აღარა ვიციო“ და დიდ-მოხელეს მთიულეთში ხლებასა და სურსათით მომარაგებას ავალებს: „თქვენ უნდა რომ რომელიც ზემოქართლის თავადი და აზაურნი იმყოფებით, ვინც სახლში ორნი და სამნი იყვნეთ, ერთი ჩვენთან უნდა მოხვიდეთ და აქ სურსათზედ ნაკლებობა არის და რამდენსამე დღით სურსათი უნდა მოიტანოთ, რომელიც ჩვენი ერთგულია ახლა გამოჩნდებაო (3: 539/7648, დავთარი 6).

ცნობილია, რომ ერეკლემ ისე დატოვა მთიულეთი, რომ არც ამილახვარი უნახავს თვალით და არც გორგი ბატონიშვილს გაუგზავნია მისთვის ხუთასი კაცი.

როგორც ჩანს, მეფემ არც ტყვედჩავარდნილთა რაოდენობის შესახებ იცოდა რაიმე. 20 სექტემბერს ერეკლე სულხან თუმანიშვილს სწერს: „მერე შენი საათი და აზათხანისეული თვალი უთხოვნია იმ კაცს და ორიოდ აზრი სხვა არის. და ახლა ეგ საათი მზათ უნდა დაიჭირო და გამოგვიგზავნო, რომ უნდა გაუგზავნოთ (აღა-მაჟად-ხანს – ი. ა.). რაც იქ ტყვე არის იმას გვაძლევენ და ჩვენი მოქალაქეები გვწერენ იც ათასს სულს ნუ დაგვკარგავთო, ოცი ათასი რომ არ იყოს, თხუთმეტი ათასი ხომ იქნება და თუ ასეც არ არის ათი

ათასი სული ხომ იქნება და ისევ ამათ მოვატანინებ მაგის ფასსაო (9: ფ. HD; საბ. 11442).

ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მოსახლეობის ის ნაწილი, კინც დროული დახიზვნა ვერ მოასწრო. შაპის ბრძანებით, ტყველ მიჰყავდათ უფრო მეტად ქალები და მოზარდი ქალ-ვაჟები, მამაკაცებს კი ხოცავდნენ, რაღვან ტყვეთა დიდი მასის წაყვანა უჭირდათ. კრწანისის ბრძოლის შემდეგ თბილისის მოსახლეობა 20 ათასამდე შემცირებულა, აქედან 7 ათასი ქვრივი ყოფილა (5: 50-151).

სპარსელები მიტოვებულ ქალაქს დარევიან და სახლებისა და ეკლესიების საძირკვლების თხრა დაუწყიათ დამალული ქონების პოვნის იმედით (5: 143).

ვისაც წინდახედულობა გამოუჩნია და ქონება წინასწარ მთიულეთში დაუხიზნავს, არც ის ჩავარდნილა უკეთეს დღეში, რაღვან იგი ადგილობრივ ქურდ-მტაცებლებს ჩავარდნიათ ხელში.

1795 წლის სექტემბერ-ოქტომბერში (კრწანისის ბრძოლის შემდეგ) ქვეყანაში შექმნილი ვითარების სრულყოფილ სურათს იძლევა შიომშ თუმანიშვილის მიერ 1795 წლის 6 ოქტომბერს თავისი ბიძის – მანუჩარ თუმანიშვილისადმი მთიულეთიდან გორში მიწერილი ვრცელი წერილი.

თუმანიშვილებს საქონელი წინასწარ დუშეთში დაუხიზნავთ ვინმე ელიზბართან.

თვით შიომშ თუმანიშვილი კრწანისის ბრძოლის შემდეგ სოღანლულის გზიდან წამოსულა მელიქის აბანოს გასასვლელით, მაგრამ უწესრიგოდ უკანდახეული ჯარი ვიწროებში გაჟელილა და საცობები შექმნილა. როგორც თუმანიშვილი აღნიშნავს: „ასე გახდა ჩემი ცხენი, რომ ჰარაქათის იმედი არარა მქონდაო“. შიომშ გარეთუბნისკენ წასულა ავლაბრის გზით და სოლოლაკიდან ადეკვებდა თვალს ბრძოლის დასკვნითი ეტაპის ტრაგიკულ პერიპეტიებს – ხოცა-ულეტასა

და დატყვევებას. გამოქცეულთათვის ყიზილბაშებს დიღმის მინდვრებამდე უდევნიათ.

თუმანიშვილი მარტოდმარტო მისულა იმ დამით წილკანს. ღუშეთისაკენ აღარ გამგზავრებულა, რადგან გზაზე ძარცვა-თარეში და ხოცვა-ჟლეტა ყოფილა გაჩაღებული.

შიოში, შიშიანობის გამო, მხოლოდ მეორე დღეს მისულა დუშეთს, სადაც მრავალ ლტოლვილს მოეყარა თავი. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ წინა დღეებში გადაუდებელ წვიმებს გაუვალი ტალახი მოჰყოლია, რის გამოც გადაადგილება „დიდათ საზარელი“ გამხდარა.

თუმანიშვილს ელიზბარის ძებნა დაუწყია. აღმოჩნდა, რომ ელიზბარს თუმანიშვილების საქონელი წიწუაშვილთან გაუბარებია დუშეთში.

თუმანიშვილს ერეკლესაგან რამდენიმე დღით გათავისუფლება უთხოვია და ანანურიდან დუშეთში დაბრუნებულა, მაგრამ ყუთები დამტკრეული, ხოლო საქონელი აკლებული დახვედრია. შიოშს ორიოდ ქურდიც დაუჭერია. მათ მოპარული და დატაცებული ნივთები ორმოებში დაუფლავთ და ზედ წყალს უდენია. ისიც გამორკვეულა, რომ მიმპარებელი წიწუაშვილი თვითონ ყოფილა პირველი ქურდი. მას ამ საქმეში არღუთაშვილი ფარსადანა და პაპა შეუამზანაგებია.

როცა საქმე გამუღავნებულა, წიწუაშვილს გაპარვა მოუხერხებია, მაგრამ თუმანიშვილს მისი თანამზრახველები დაუჭერია და ზარალის ანაზღაურება მოუთხოვია. შიოშ თუმანიშვილი ბიძასთან იწერებოდა, რომ ბიძარებული ნივთების სია გამოეგზავნა, რადგან „ილაჯი გამიწყდა ჯერ ერთის ქურდის ლაპარაკი და მოკითხვა რა არის, რომ ასის ქურდი-სა რა იყოს. რაც გადამხდა თუ სულ დავსწერე ერთი დასტა ქაღალდი მოუნდებაო“ (3: 546/7648, დავთ. 6).

წერილში ასევე ხაზგასმულია ტყვედწაყვანილთა მძიმე ხედრის შესახებ: „თქვენი სიმამრი და მოყვარე სტეფანე ცოლით შვილის და რძლით დატყვევებულ იყო ურდოში, თითო

თითოდ დაეხსნა და წამოსულან თურმე გზად ორი ჯარისკაცი უკან დარჩომილა. შემოხვდნენ, მოიტაცეს კიდევ სოლომონის ცოლი და წაიყვანეს ...დავაბირე (შიოშ თუმანიშვილმა – ი. ა.) შვიდი რვა ცხენი მექირავნა და წამომეყვანა. ოპანეზზამ მითხრა, არ წამოვლენ, შიშვლები არიანო ...შეუთვალე თუ წამოხვალ, ცხენებს მოვაშველებ, თუ არა, რაც შეიძლება საშიშვლოს გამოგიგზავნიო.

...ქ. სხვა ვინმე ვინც შინ იყვნენ სულ დატყვევდა. ავეტიკა გამოპარული იყო ისევ შინ გავგზავნე, თუ რამ შენახული დარჩა, ეგების არ წაეღოსთ. ამით მაქვს იმედი, რომ ცეცხლი მალე მოჰკიდებია ჩვენს სახლს, იქნებ ვეღარ მიუდგნენ.

ქ. ბატონის სასახლე და მელიქისა და მილახვარისა თუ სხვა ჩინებული სახლები გადაუწვამთ. ბაზარი მთლათ გადაუწვამთ და ცუდი სახლიც კლდის უბნისაკენ თუ სხვაგან იშვიერ მორჩომილა.

მრავალი ტყვე გამოპარულა ...იქნება ჩვენიც მოსულიყვნენ, გიქუა მეღვინე ხუთ აბაზათ დაუხსნიათ, ვინც იხსნება, იაფად არის საღმე (3: 546-547/7648, დავთ. 6).

24 ოქტომბერს შიოში კვლავ უგზავნის სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს წერილს, რომელშიც კახეთში მეფის კარზე შექმნილ გითარებას აუწყებს. თუმანიშვილი ბიძას შეახსენებს, საკუთარ სახლსა და ქონებას მიხედოს: „ჩვენი რაც შევინახეთ კბილა ავეტიქამ მითხრა ცეცხლმა მიასწრო ეგების დარჩომილიყოს. კაცნი გავაგზავნეთ, იქნება ერთერთაც არის ვიპოვნოთ რამე ჭურჭელი, ანუ ფართალიო“ (3: 548-549/7648, დავთ. 6).

მმისწული ბიძებს შექმნილი მდგომარეობიდან სწორი დასკვნების გამოტანას სთხოვს, მომხდარის ძირითად მიზეზად ურთიერთქიშვის ასახელებს და მომავლის იმედს არ ჰყარგავს: „რაც დაიწვა ამასაც ჩვენის საცვლით და საჭმლით ყერათს გავსწევთ და საქმე შესრულდება თუ მშვიდო-

ბა არის სიყვარული და ერთობა. თუ ეს არ იქნება, კარგი მოხდა რომ მტერმა წა[ა]ხდინა თორებ მაინც წახდებოდა. ახლა უფრო დავტკბებით ყერათში შევალთ და თქვენს თავს ვიცნობ ღ[მერ]თ[მა]ნ სისრულე მისცეს“ (3: 544/7648, დავთ. 6)..

გორში დარჩენილ ბიძებს შიოში სთხოვს, რომ მომავალში სიფხიზლე გამოიჩინონ და გორის ციხეში ბინა წინასწარ დაიბეონ: „თქვენი ბინა გორი არის და ციხეშიაც რომ ბინა გქონდეს კარგი იქნება თუ აქამდეინ გამოუცდელნი ვიყავით, ახლა მაინც სიფრთხილით მოვიქცეთო“ (3: 548/7648, დავთ. 6).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მეფის მთიულეთში განიზვნის გამო, ქვეჭის ყველა კუთხეში ქაოსმა და უწესრიგობამ დაისადგურა. „უკეთუ რა გადარჩათ აუკლებელ და წაუღებელ ყიზილბაშთა და გამოეტანათ ვისმე რამე, იგიცა აიკლეს. გამოქცეულთა იმერთა და სხვათა აგრეთვე მეკობრეთა ქართველთა და მთის კაცთაო“, – ჩივის ამ ამბების მომსწრე იოანე ქართველიშვილი (4: 73).

ძარცვა-თარეში მხოლოდ რიგით ადამიანებს არ შეეხო. არც ერეკლე და მისი ოჯახი აღმოჩნდა უკეთეს დღეში. „აეკლოთ და წაელოთ ყოველივე არა თუ მარტო ჩემი, მეფის ძის იულიონისა. ყოველივე რაცა აქვნდა, ქათალიკოზისა ყოვლის შესამოსლით და სვეტის ცხოვლით სამკაულით“, – გადმოგცემს იულიონ ბატონიშვილის ქონების მდგომარეობის შესახებ იოანე ქართველიშვილი (4: 73).

დავით ბატონიშვილი უარეს დღეში აღმოჩნდა: „მე ხომ ასე დავიღუპე სულს აქეთ აღარა მაქვს რა, ათათ (სიც) ხუთასი ცხვარი, ორი გუთნეული, ოცი ჭაკი ცხენი, ას ორმოცდა ათი სული საქონელი, ორმოცდა ათი სული აქლემი, ოთხმოცდა ათი თუმანი თეთრი ჩემი ბეგო[რები], ორი თოფის კონდახი, სადაფის კრაოტი, სამი კომლი ყმა ტანთ ფეხთ, თოთხმეტი ლიტრა აბრეშუმი. დავრჩი ასე არ ვიცი საით გა-

დავარდე თუ აქ ვიყო რაღა ვსჭამო თუ არა რა ვქნაო“, – სწერდა საკუთარ ძმას – ბაგრატ ბატონიშვილს 20 სექტემბერს უსასოოდ დარჩენილი დავით გიორგის ძე (3: 541/7648, დავთ. 6).

შიოშ თუმანიშვილის სოლომონ და მანუჩარ თუმანიშვილებისადმი ზემოთ მოტანილი წერილის მიხედვით, თელავში დაბრუნებულ ერეკლეს „არც ერთი საფეხი და არც ერთი საცვალი არ გამოჰყა, კაბა ქისიყის მოურავისა ეცვა“ (3: 548/7648, დავთ. 6).

ფაქტი იყო, რომ ჯანმრთელობაშერყეული ერეკლე ქვეყნის მართვას დიდხანს ველარ შეძლებდა, ხოლო არსებული რეალობის პირობებში უფლისწული გიორგი ვერ ჩანდა იმ პიროვნებად, რომელიც უაღრესად გართულებულ საშინაო და საგარეო ვითარებაში ქვეყნას ჩიხიდან გამოიყვნდა, ამიტომ ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში სამეფო კარზე ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული დაჯგუფება. ერთს დედოფალი დარეჯანი მეთაურობდა თავისი შვილებით (იულონ, აღექქანდრე, ფარნაოზი, მირიანი, ვახტანგი) და მეორეს – გიორგი XII.

როგორც ჩანს, ქვეყნაში მომზადდა შეთქმულება, რომელიც სამეფო კარზე გარკვეულ საკადრო ცვლილებებს ისახავდა მიზნად, მაგრამ ეს შეთქმულება ერეკლეს კანცლერის – სოლომონ ლიონიძის წყალობით, მეფისათვის ცნობილი გახდა. თუმცა, სოლომონის მონაწილეობა ამ საქმეში ერეკლე II-მდე სხვაგვარად მიიტანეს.

შეთქმულება 1796 წლის აგვისტოში გამჟღავნდა. არსებობს აღნიშნული წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული ერთი დოკუმენტი. ესაა შიოშ თუმანიშვილის წერილი, მისი ძმის, მანუჩარისადმი მიწერილი, სადაც შიოში აღნიშნავს: „სხვა ამბის მოწერის გონება არ მაქს, თორემ მრავალი საკურველი საქმე გამოცხადდა სოლომონ მდივანბეგისაგან დაუფრო იმიტომ არ მოგახსენე, რომ არ გარდაწყვეტილაო“

(2: 130, დოკ. № 6). მომდევნო წერილში ლიონიძის სახელი უფრო ხშირად ისმის. სოლომონთან ერთად საქმეში ფიგური-რებენ ვინმე გოდერძი, იოსებ მისკარბაში (ბასატამაშვილი), გოგია ნაზარბეგიშვილი და სხვა „მოქალაქენი“. ჩვენ მხოლოდ ის ნაწილი მოგვყავს წერილიდან, სადაც შეთქმულების შესახებაა საუბარი: „აქაური ამბავი ეს არის“, – სწერს შიომში მანუჩარს: „ბატონმა (იგულისხმება ერეკლე II – ი. ა.) რომ მელიქი და მოქალაქენი დაიბარა, თურმე სოლომონ ან-დრია დეკანოზის შვილისაგან სხვადასხვა რიგის მანქანებით, მუხანათობით დაბეზღებულნი ყოფილიყვნენ. პირველად მთიულეთს მოახსენა თურმე ბატონს: (ბატონი გამორჩეული ჰყავთო, აღა მაპმად ხანთან კაცი გაგზავნილი ჰყავთო, წიგნ-საც სწერენ და თუ ამ სამს დღეზე შენს თავს არ უშველე, საქმე წასულიაო). მასუკან დუქნების საქმეზე მიშკარბაშს და სოლომონს რომ ჩხუბი მოსვლოდათ, გაჯავრებულს სოლომონს ბატონიშვილის გიორგის მაგიერ მეფესთან მისაწერად ერთი შავი გაეკეთებინა, რომ მრავლის საშინელის დაბეზღებით აევსო და უფრო ბასტამაშვილის საქმეზედ და უძლიერესი სიტყვები ეს ეწერა: მოქალაქები და მიშკარბაში ამბობენო, ჯერ რუსს უყუროთ და მერე აღა-მაპმად ხანს წიგნი მივსწეროთო. ბატონი კახეთს ბრძანდებოდეს და იქ იბატონოსო. ბასტამაშვილი ასე ჯანყურად მელაპარაკა, რომ ქვეყანას გაუკვირდაო და თუნდ თქვენი შვილიც არ ვიყო, რადგან თქვენი გამოგზავნილი ვარ, ამისთანა ურჩება რად უნდა მჭირდესო. ასე მოუნდომებია სოლომონს, რომ გიორგი ბატონიშვილს ესეები ბატონთან მოაწერინოს. შავი რომ მირთმეოდა გიორგი ბატონიშვილს, არ ეყაბულებინა. ჩუმათ გარდაეწერებინა, შავი შეენახა და თავისი წერილი ისევ მიეცა. ამაზედ ბატონიშვილი რომ ვერ აეყოლიებინა, მერე მწერლის შვილი გოდერძი ეშოვნა და ბატონისათვის მოეხსენებინა ეს ამბავი: მიშკარბაში იოსებ, ბასტამაშვილი და ნაზარბეგის შვილი გოგია ბატონიშვილთან მოვიდნენო და მოახსენეს

— დაიმც მამაშენი არ გვივლისო და დაგვლუპაო. შენ მაინც მოგვიარეო. მამაშენმა თავისი მამა რუსეთს გადაკარგა და იქ მოკლაო, რომ მაშინ შენზედ უფრო პატარა იყოო. მრავალი ავი სიტყვა არის სულ მოწერა არ იქნება. ეს ასე მოხსენებოდა შვილი-რვა თვის უწინ და გოდერძის დაეფიცებინა ბატონი — ნუ გამცემო. ესები ბატონმა გამოაცხადა, სოლომონ აშკარადა თქვა მოქალაქეების დამბიზღებლად და გოდერძის სახელს არ ბრძანებდა და მოხსენებულს სიტყვებს აცხადებდა და მომხსენებული თქვენ იპოვნეთო. მე ნაფიცი ვარო. როგორც მოხდა, ვიპოვეთ და დავიჭირეთ. მოვიდა და კიდევ როგორც დაებიზღებინა, წერილით მოართო და მოეხსენებინა: მართალი მომიხსენებია, სამართალში პირს დაუღვებიო. ...გაგზავნა ბატონმა ყოვლად სამღვდელონი, დარბაისელნი და მეც (შიოშ თუმანიშვილი — ი. ა.) ფიციო ჰკითხა თავის შვილს გიორგის — მართლა ამათგან ეს შენ გაგიგონიაო თუ არა. საშინელი ფიცი შემოუთვალა: ჩემთან არა უთქვამთრაო. და მაშინვე ფიცი ირწმუნა და ბატონი ხათრიჯამი შეიქმნა (დარწმუნდა ი. ა.). გოდერძი წამოდგა და სთქვა: ამ საქმეს ასე გავარჩევ, ყველანი გაშტერდეთო და წაიყვანეს დაჭერილი“ (2: 131-132, ღოკ. № 7)

როგორც ვხედავთ, შეთქმულების გეგმა „შავში“ სწერია, რომელსაც სოლომონი გიორგი ბატონიშვილს წარუდგენს. გიორგი სოლომონს ბოლომდე არ ენდობა და „შავის“ ერთ პირს იტოვს, რადგან არის რაღაც საკითხი, რომელზეც ბატონიშვილი „ყაბულს“ არ არის. რა არის ამ უნდობლობის მიზეზი, ქვემოთ ვიტყვით.

სოლომონის მთავარ მიზანს ის წარმოადგენს, რომ შეთქმულების ამბავი ერეკლემდე როგორმე მივიდეს. როდესაც გიორგი ბატონიშვილისაგან ამას ვერ აღწევს, იგი ერეკლესთან „მწერლის შვილს“ — გოდერძის აგზავნის.

შეთქმულების უკმაყოფილება იმითაა გამოწვეული, რომ ერეკლე „მათ არ უვლის“ და მისი „წყალობით დაიღუპნენ“.

ისინი კიდევ უფრო შორს მიდიან და ერეკლეს ოპონირებენ, თითქოს მან გაგზავნა და „გადაკარგა“ გიორგისთან შედარებით ახალგაზრდა მამა (იგულისხმება თეიმურაზ II) რუსეთში და „იქ მოკლა“.

უნდა ითქვას, რომ ნაზარბეგიშვილისა და ბასტამაშვილის ბრალდებები ერეკლეს მისამართით საკმაოდ მძიმეა და პირადი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას. ამიტომ ფაქტებსაც განგებ ამძიმებენ. მაგ. ჯერ ერთი, თეიმურაზ მეორის რუსეთში გამგზავრების მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია. მეფე ვარაუდობდა, რომ ჯარს გადმოიყვანდა ჩრდილოეთიდან, ან შესაბამის თანხას მიიღებდა, რითაც ლეკიანობის პრობლემას მოაგვარებდა. უფრო მეტიც, მეფე რუსებს სთავაზობდა, რომ ირანის ტახტზე რუსებისათვის სასურველ პირს დასვამდნენ, მაგრამ ეს ელჩობა ისევე უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ყველა სხვა წინამორბედი და, მეორეც, ოპონენტების სიტყვებიდან ჩანს, თითქოს რუსეთში წასული თეიმურაზი გიორგი ბატონიშვილზე ახალგაზრდაა. სინამდვილეში 1760 წლისათვის, როდესაც თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა, 60 წელს იყო მიღწეული (დაიბადა 1700 წელს), ხოლო 1796 წლისათვის გიორგი XII 50 წელს არ იყო გადაცილებული (დაიბადა 1746 წელს).

შეთქმულთა გეგმის მიხედვით, ერეკლე მხოლოდ კახეთის მეფობას უნდა დასჯერდეს. ქართლში ბატონობისათვის მათ „ბატონიც გამორჩეული ჰყავთ“. თუ ადგილობრივი ძალებით მიზანს ვერ მიაღწევენ, რუსის იმედი აქვთ და არც აღა-მაპმად-ხანთან კავშირს გამორიცხავენ.

წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ იგი წინა წერილის ახლო ხანებში, ანუ 1796 წლის აგვისტოს ბოლოს უნდა იყოს დაწერილი. შეთქმულება ჯერ კიდევ შვიდი-რვა თვის წინ, ანუ 1796 წლის დასაწყისში გამჟღავნებულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეთქმულები მანამ არ მოქმედებდნენ. შესაძლოა, ერეკლესათვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნო-

ბილი ამ ფაქტის შესახებ. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ სოლომონი ჯერ კიდევ კრწანისის ბრძოლაში დამარცხებულ და მთიულეთში გახიზნულ ერეკლეს აფრთხილებს შეთქმულების აღა-მაპმად-ხანთან კავშირის შესახებ და რომ „ბატონიც“ შერჩეული ჰყავთ. სოლომონი კატეგორიულია და მეფეს თავის გადასარჩენად მხოლოდ სამი დღის ვადას აძლევს.

იმ დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით, ეს „ბატონი“ გიორგი უფლისწული უნდა იყოს. ამის თქმის საფუძველს შემდეგი გარემოებები გვაძლევს:

პირველი: კრწანისის ომის დროს გიორგი ბატონიშვილი საოცარ გულგრილობას იჩნეს. ერეკლეს კრწანისის ველზე ყოფნისას ტახტის მეტყვიდრე ბატონიშვილი სიღნაღში იმყოფება და ჯარის შესაკრებად მხოლოდ ზერელე ზომებს იღებს (5: 158);

მეორე – შიოშ თუმანიშვილის მეორე წერილიდან ნათლად ჩანს, რომ სოლომონ ლიონიძის მცდელობის მიუხედავად, გიორგი ბატონიშვილი შეთქმულების შესახებ ერეკლეს გაფრთხილებისაგან (საქმის კურსში ჩაყენებისაგან) თავს იკავებს და ლიონიძე იძულებული ხდება, „მწერლის შვილ“ გოდერძის საშუალებით შეატყობინოს ერეკლეს შეთქმულების მზადების შესახებ;

მესამე – ფაქტია, რომ შვილსა თუ შვილებზე გულნაკლული ერეკლე კრწანისის შემდეგ მართლაც აღარ დაბრუნებულა დედაქალაქში და თელავში გაატარა სიცოცხლის დარჩენილი დღეები;

მეოთხე – დაშსახურების მიუხედავად, შეთქმულების გამომუდავნებისთანავე სოლომონ ლიონიძე ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან მოკვეთეს და იგი სოლომონ მეორესთან გადაიხვეწა. იმერეთის მეფემ კარგად იცოდა ლიონიძის ფასი და დიდი პატივითაც მიიღო. თუმცა, ერეკლე მალევე მიმხდარა თავის შეცდომას. 1798 წლის 11 იანვარს ერეკლეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ „მოთქმით

ტირილში“ ლიონიძე ასეთ ფრაზას ამბობს: „იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალაო“ (6: 27). ერეკლეს ერთგული და უსამართლოდ შერისხული მსახურისათვის ძველი მამულ-წყალობებიც სრულად განუახლებია (7: 54-55, დოკ. 37)

ზემოთქმული მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რაც ქვეყანაში კრწანისის ბრძოლის შემდეგ შეიქმნა, ხოლო ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ცოტას თუ ეპარქოდა ეჭვი, რომ ქართლ-კახეთის დღეები დათვლილი იყო.

დამოწმებანი:

1. ალიმბარაშვილი ს., აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2008.
2. ბერძნიშვილი მ., მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან, წიგნში: ქართული წყაროთმცოდნეობა, წიგნი I, თბ., 1965.
3. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გივი).
4. იოანე ქართველიშვილის მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952.
5. კაგბაძე ს., კრწანისის ომი, თბ., 1991.
6. კანდელაკი ნ., სოლომონ ლიონიძე, ქართული მჭერმეტყველების კლასიკოსი, თბ., 1962.
7. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, ტ. 2, ისტორიული დოკუმენტები, ტექსტი შენიშვნებითა და საბიექტებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1953.
8. ცინცაძე ი., აღა-მაჟად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969.
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Ioseb (Soso) Alimbarashvili

Gori State Teaching University, Assistant-Professor

**SOME DOCUMENT ABOUT THE SITUATION IN
KARTLI-KAKHETI AFTER THE KRTSANISI WAR
RESUME**

Article includes the situation in Kartli-Kakheti after “krtsanisi war” at the end of the 18-th century and discussing political - economical situation and its causes in the country.

The crisis of country was published by “krtsanisi war”. It has been revealed in the administrative and Feudal system. It was the reason for communities to prepare the overthrow of the Royal Court, which aim was to stay Erekle II only as a king of Kakheti.

Conspiracy was initiated by merchants and royal secretaries –Manuchar and Sulkhan Tumanishvili, Manuchar’s nephew – Shioshi and his father-in-law –Stefhan Ter-Shmovanov.

Conspiracy was revealed by Solomon Lionidze, he was chancellor of Erekle II, in spite of it Solomon Lionidze got on the list of traitors, but Erekle II found out the truth soon and restored old dignity to Solomon.

The article is also important, that in this archival materials publish first time for the readers.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი

გორის გარეგნული სახე ოსმალობის პერიოდის ოსმალურ
წყაროებში
(XVIII ს. 20-30-იანი წლები)

1728 წელს ოსმალო ხელისუფლებამ შეადგინა „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (2). ასევე დიდი მნიშვნელობისაა საოკუპაციო მოხელეების მიერ იმავე პერიოდში შედგენილი სამი დოკუმენტი, რომელშიც აისახა ოსმალო მოხელეების საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოში (12).

გორის წარსულის შესახწავლად თუ როგორ ძვირფას წყაროსთან გვაქვს საქმე, ამაში დავრწმუნდებით დასახელებულ დოკუმენტებზე თვალის ერთი გადავლებითაც კი. მათში აისახა ოსმალობის პერიოდის საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. ჩანს გორის ადმინისტრაციული მოწყობა, მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ოსმალების მიერ დაწესებული გადასახადების სახეობა და რაოდენობა, როგორი იყო ქალაქში განთავსებული საოკუპაციო ლაშქრის სახეობები, როგორ მარაგდებოდნენ ისინი, როგორი იყო მათი ყოველდღიური ულუფა და ჯამაგრი.

ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ იმ ცნობებს, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის 20-30-იანი წლების გორის გარეგნულ სახეზე.

1. **გორის ციხე.** ოსმალების გორისადმი ინტერესი და ისიც, რას ანიჭებდნენ ისინი მნიშვნელობას დაპყრობილ ქვეყანაში, კარგად გამოჩნდა 1728 წლის დავთრის იმ მონაკვე-

თის სახელწოდებაში, რომელიც გორს ეხება. მას ჰქვია „გო-
რის ციხე“.

დამპყრობლები გორის ციხეს მიიჩნევდნენ არა მხოლოდ
როგორც თავდაცვით ნაგებობას და შიდა ქართლში ბატონო-
ბის პლაცდარმს, არამედ იგი იმავდროულად იყო რეგიონის
მმართველობის ცენტრიც – იქ იყო განთავსებული საოკუპ-
აციო მმართველობა. იქვე იყო ქალაქისა და რეგიონის მუს-
ლიმანური სასულიერო ხელმძღვანელობაც.

ციხეში ჰქონდა თავისი სათადარიგო რეზიდენცია თბი-
ლისის ვილაიეთის მეთაურს ისპაკ (ისაყ) ფაშას (1723-
1735), სამცხის ათაბაგების გამუსლიმანებულ შთამომავალს,
ახალციხის ფაშას.

2. გორის უბნები და დასახლებები. მცირე და გან-
სხვავებული ცნობები გვაქვს გორის უბნების შესახებ. ყვე-
ლაზე ადრინდელი ცნობა, რომელშიც გორის „უბანია“ დასა-
ხლებული, არის 1579 წლის სვეტიცხოვლის მამულების
განახლების წიგნი. გორში იყო „ხარების საყდრის უბანი“
და „სუფრაჯიანთ უბანი“ (10: 547, №180). 1711 წლის ერთ
საბუთში არის გორის ადგილები – „დაბაბალა“ და „სულუზი“
(8: 158). 1660 წლის დოკუმენტში დასახლებულია „ჯლდის
უბანი“ (14: 528).

დავთრის მიხედვით შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯ-
ნოთ უბანი და დასახლება. უბანი ქალაქის გალავნის შიდა
ერთ-ერთი დანაყოფი იყო, რომელშიც მოსახლეობა თავს იყ-
რიდა სოციალური, ეთნიკური ან კონფესიური ნიშნის მიხედ-
ვით. ხოლო დასახლებები იყო ქალაქის გალავნის გარეთ და
ფეოდალური ხანის გორის თანამგზავრებს წარმოადგენდა.
მას ოსმალები, მთლიანად, რაბათს უწოდებდნენ.

რაბათი, გ. ფუთურიძის განმარტებით, არის „ციხის გა-
რეუბანი, რომელიც გალავნით იყო შემოზღუდული“ (5: 158).
ამ განმარტებაში ვერ ჯდება დავთარში მოცემული გორის
დასახლებები. იგი გორის დაყოფის განსხვავებულ სახეს

წარმოგვიდგენს. კლდოვანი ბორცვის ზედა ნაწილზე აღმართულია გორის ციხე. სამხრეთ ფერდობზე გაშენებულია გალავნით შემოზღუდული ქალაქი. ქალქის მოსახლეობა გარე სამყაროს უკავშირდება სამი ჭიშკრით – იმერეთის, მუხრანის და თურქეთის ჭიშკრებით. ის, რაც გორის გალავნის შიგნით, ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებები იყო, შეადგენდა გორის **რამათს**. როგორც ჩანს, ოსმალებმა აღწერის შემდეგ გორის ტერიტორია და მოსახლეობა თავიანთი შეხედულების მიხედვით, დასახლებებად დაყვეს და პირობითი სახელებიც მიანიჭეს:

გივის დასახლება. ალბათ, იგულისხმება XVIII ს. პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, საამილახვროს უფროსის, ზემო ქართლის სადროშოს სარდლის და გორის მოურავის, გივი ამილახვრის (1689-1654, 1657) სახელთან დაკავშირებული დასახლება.

გივი ამილახვარი დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა ოსმალებს (8: 20-24). 1727 წელს ოსმალებმა ქართლი ექვს მსხვილ ფეოდალს გაუნაწილეს. დავთრის შედგენის დროს გივი, დროებით, ოსმალებთან შერიგებული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც დამპყრობლებმა ზემო ქართლის გამგებლობა გივი ამილახვარს არგუნეს (9: 20-25). გივიმ, რომელსაც თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გორის მოურავობა ეკუთვნოდა, ოსმალებთან იმ წარმატებასაც მიაღწია, რომ გორის გარკვეულ ტერიტორიაზე საკუთრების და იქ დასახლების უფლება მოიპოვა. ამილახვრებს საუკუნეების განმავლობაში გორში, გორელების სასტიკი წინააღმდეგობის გამო, დასახლების უფლება არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქის მოურავის სახელო მათ ეკუთვნოდათ (7: 200-205)

გივი ამილახვრის ოსმალების წინაშე დამსახურებაზე ნათქვამია სულთან აჰმედ III-ის 1727 წელს ფირმანში. მას ებობა თბილისის სანჯაფსა და გორის ნაპიეში მდებარე სო-

ფელი სხილვანი 66 832 ახჩის შემოსავლით. ფირმანის მიხედვით, გივი ამილახვარმა ეს ჯილდო იმით დაიმსახურა, რომ ის ერთგულად ემსახურებოდა სულთანს (1: 296). სულთანმა გივი ამილახვარს გამოუყო ოთხი სოფელი: ტბეთი, ფხვენისი, ქორდი და ბიჯნისი 52 060 ახჩა შემოსავლით (1: 297). ტბეთი და ფხვენისი საამილახვროში იყო, ბიჯნისი – საციციანოში, ქორდი კი საერთოდ ნახსენები არ არის გორის ლივას სოფლების ნუსხაში.

დავთარი საკმაოდ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის გივი ამილახვრის ქონების შესახებ. მასში ნათქვამია, რომ „მეორე კუდულეთი ექვემდებარება გივი ამილახვარს, ექვემდებარება ხსენებულს“, ე. ი. საციციანოს (2: 223). ეს სოფელი სხვა მხრივაც არის საინტერესო. იქ ერთი სახლია და მასში ცხოვრობს 4 კაცი: ამელ ძე დათუნასი, როსტომ ძმა მისი, ავთანდილ ძმა მეორე, ფარსვან ძმა მეორე (უნდა იყოს ძმა მესამე) მუსლიმია (2: 223). როგორც ჩანს, გამუსლიმანების პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა, რომ იგი იჭრებოდა ისეთ მივარდნილ და მცირემოსახლეობიან სოფელშიც კი, როგორიც მეორე კუდულეთია.

ამილახვრის ნაპიეს მეთაურის მთავარი სიმდიდრე იყო „მამული ჭალა ამილახვრის შვილის გივეს მფლობელობაში ექვემდებარება ხსენებულს“. ჭალაში ცხოვრობენ გივი და მისი 12 ძმა თავიანთი ოჯახებით. ყველა ისინი ერთ სახლში ცხოვრობენ, აქვთ 20 დღიური სამეუფელ ველი, 5 დღიური სამეუფელ ვენახი. ისინი ერთობლივად იხდიან 3000 ახჩას (2: 407-408). გივი ამილახვრის სამფლობელოებში ყველა თავადი და აზნაური იხდიდა 8200 ფურუში ესედის გადასახადს.¹

XVIII ს. 20-იან წლებში, „ოსმალობის“ დროს, გივიმ იმას მიაღწია, რომ გორში სასახლე და ე. წ. ამილახვრების

¹ ფურუში ესედი – მონეტის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ოდენობა ცვალებადი იყო (12: 16).

ეკლესია ააშენა. მან იმასაც მიაღწია, რომ ქალაქის იმ ნაწილზე, სადაც მან სასახლე და საგვარეულო ეკლესია ააგო, ოსმალებმა განსაკუთრებული უფლებაც მიაიჰქეს.

როსთომის დასახლება – იგულისხმება როსტომ მეფის მიერ გაშენებული უბანი. როგორც ცნობილია, როსტომ მეფე (1633-1658) დიდი ყურადღება მიაქცია გორის აღდგენა-გალამაზებას. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „აქა... მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სა-ვარდითა, დიდი, ავაზანი დიდი-დიდი, შუენიერნი“ (16: 367). არ ჩანს, როსტომმა გორის რომელ მონაკვეთში აწარმოა შშენებლობა. საეჭვოა, რომ მან შშვენიერი სასახლე ქალაქის გალავნის გარეთ ააგო, რადგან განუწყვეტელი ომიანობის პე-რიოდში მისი დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. გალავნით შემოზღუდულ ქალაქის მცირე ტერიტორიაზე იმ-გვარი სამშენებლო სამუშაოების წარმოება, როგორზეც ვა-ხუშტი გადმოგვცემს, გამოიწვევდა სერიოზულ ცვლილებებს მის ძველ დაგეგმარებაში და შეცვლიდა მის ისტორიულ იერსახეს. როსტომ მეფის მიერ შექმნილ-გალამაზებულ უბანს დაერქმეოდა „როსთომის“ დასახლება.

შემდგომი პერიოდის ცნობილ წერილობით წყაროებში აღარაფერია „როსთომის“ დასახლებაზე, რაც შედეგი უნდა იყოს საომარი მოქმედებებისა, რომელთა შედეგად გორი უაღ-რესად დაზიანდა (7: 125-127). სავარაუდოა, ეს ის უბანი იყო, რომელსაც 1710 წლის ერთ-ერთ საბუთში „ნაწალკო-ტარი“ ჰქვია (4: 158, №2512).

ვარდისუბნის დასახლება. უნდა იგულისხმებოდეს გალავ-ნის შიგნით, ციხის ბორცვის სამხრეთი ფერდობის მოსახლე-ობა. იგი ერთ-ერთი უძველესი იყო გორის უბნებს შორის (16: №2). მას პირველად შევხვდი 1660 წლის 1 მაისის წყალობის წიგნში. იქიდან ვიგებთ, რომ „ვარდის უბანში სახლ-ბაღი და ყმის სახლები“ ჰქონდა ხუდადა ხოჯაშვილს.

ეს უბანი მდებარეობდა „ლიახვისკენ ციხის ძირზე“ (15: 528).

კირნაქის (კვერნაქის) დასახლება. იგი, სავარაუდოა, განფენილი იყო დღევანდელ კვერნაქის დასახლებაში. იგი ყველაზე პატარა და მცირემოსახლეობანი იყო.

ყოვლადწმინდას დასახლება. სავარაუდოა, იგი მდებარეობდა ამჟამინდელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოპირდაპირე სკვერში, ძველად სასწვრის მოედანი რომ ერქვა, იქ ქართლის დედოფალმა მარიამმა (როსტომ მეფის მეუღლე) ააგო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმინების ეკლესია, რომელიც 1802 წლის გორის გეგმაზე აღნიშნულია მეორე სახელითაც – მთავარანგელოზის ეკლესია. მარიამ დედოფალი ამ ტაძრის აშენების დროსა და მიზეზსაც გვამცნობს 1664 წლის სიგელში (3: №184). საფიქრალია, დასახელებული ტაძრის დიდი მნიშვნელობის გამო, ციხესა და ქალაქის გალავანს შორის დასახლებას მისი სახელი და-ერქვა.

ფარსაღანის დასახლება. წერილობით ძეგლებში არსად შემხვედრია ამგვარი ტოპონიმი. ამიტომ მიჰირს დაბეჯითებით რაიმეს თქმა მისი მდებარეობის შესახებ.

3. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები. დავ-თარში საინტერესო ცნობებს გნახულობთ გორის რაბათში¹ (2: 439-449) არსებულ საქალაქო ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტებზე.

საჭკვოა ოსმალების ბატონობის დროს გორში ქრისტიანული ეკლესიების ფუნქციონირება. ამას მაფიქრებინებს დავთარში აღნიშვნა იმისა, რომ: „წინანდელ ეკლესიაში ვაკუფია“ (2: 447). ან კიდევ არის ჩემთვის ბუნდოვანი ფრაზა: „ეკლესიის გუმბათის ოდენობა“ და არაფერია ნათქვამი თვით ეკლესიების შესახებ (2: 448). თუმცა უნდა აღინიშნოს

¹ რაბათი – გალავნით შემოზღიდული ციხის გარეუბანი.

მღვდლის ყოფნა ქალაქში. ეს იყო „თუმან მღვდელი“. იგი იმიტომ აღნიშნეს დავთარში, რომ მის ხელში იყო სამთვლიანი წისქვილი (2: 446).

ჭირს იმისი თქმა, კონკრეტულად რაიმე ანტიეპლესიური ღონისძიება გატარდა თუ არა ოსმალობის პერიოდის გორში, მაგრამ რაღაც ისეთი სერიოზული კი მოხდა, რომლის გასწორებას საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, 1757 წელს მეფე თავისი გამჩინებით ცდილობდა.

ამ ღონისძიებით მეფეს, როგორც ჩანს, საბატონო და საეკლესიო ყმების ექსპლოატაციის ნორმის გათანაბრება სურდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ოსმალობის დროს, როგორც ჩანს, ეკლესის (საეკლესიო ყმების) ქონებრივ მდგომარეობაში ცვლილება მოხდა გაუარესების მიმართულებით. სავარაუდოა, ეკლესიას ყმები და მათს მფლობელობაში არსებული საეკლესიო მიწები ჩამოართვეს და ამილახვრის ნაპიეს ანუ ოსმალურ საგადასახადო სისტემას დაუმორჩილეს.

სამაგიეროდ, დავთარში აღნიშნულია, რომ გორის ციხეში „ორი პატიოსანი ჯამე“¹. გასაგებია, რომ ჯამეების გარდა გორსა და მის რაბათში სხვა, მუდმივმოქმედი მუსლიმური სალოცავებიც იყო. ასევე საყურადღებოა და გარკვევას მოითხოვს დავთრის შემდეგი ადგილი: „ვაკუფი ჯამი შერიფისა გორის ციხეში, აშენებული წარჩინებულთა და უდიდებულესთა იუსუფ ბეგის დიდებული ვეზირის ისპაკ ფაშას მიერ“ (2: 449).

გორში ფაშას არსებობის ჩემთვის ცნობილი პირველი დოკუმენტი განეკუთვნება 1710 წელს (4: 211, №339). გვაქვს 1738 წლის ცნობაც, რომლის მიხედვითაც, აბანო გორის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო (3:

¹ ჯამე – საკრებულო მეჩეთი, რომელშიც საპარასკევო და სადღესასწაულო ღოცვა იმართებოდა. უბნების მცირე მეჩეთების მრევლი პარასკევობით ჯამეში იყრიდა თავს და იქ ღოცულობდა (5: 174).

№117). ადრე გამოვთქვი ვარაუდი, რომ გორში, რომელიც ქართლის მეფეთა რეზიდენცია იყო, ორი აბანო მაინც იქნებოდა, ერთი მეფის, მისი ოჯახისა და დიდებულებისათვის და მეორე საერთო სარგებლობისათვის (7: 145-146).

დავთრის მიხედვით გორში, მართლაც, 2 აბანო იყო: ერთი „აბანოს მფლობელი დიდებული იუსტიცია ბეგის ძეა, იგი დიდებული ვეზირ ისპაკ ფაშას ხელშია ერთი თვალი“. ეს აბანო ციხეში მდებარეობდა (2: 447-448). მეორე „აბანო გორის რაბათან, ერთი თვალი, იჯარით, სრული წლით, რაბათან“ (2: 449). დავთრის ეს ცნობები აბანოს შესახებ შესაძლებელს ხდის, დავაზუსტოთ გორში აბანოების რაოდენობა და მდებარეობა.

განსაკუთრებით საინტერესოა დავთრის ცნობა გორში „მტკვარზე გადებულ გადასასვლელ ხიდზე“, რომელზეც დაღგენილი იყო გადასახადი 2.000 ახა (2: 448). ამ ცნობის მნიშვნელობა ისაა, რომ აქამდე მხოლოდ ის ვიცოდით, XVII ს. დასაწყისში ტერტერამ რომ ხიდი აყარა და გორს მტრის თავდასხმა ააცილა. შემდგომ პერიოდში გორთან მტკვარზე ხიდის არსებობაზე არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. მტკვარზე ხიდი არ ჩანს გორის 1802 წლის გეგმაზე, სამაგიეროდ, არის 5 ხიდი მდ. ფშანსა და ლიახვზე (9: 15).

დავთარში აღნიშნულია გორში არსებული 126 დუქნის შესახებ („დუქნების თვალი 126“) (2: 447). ცალკეა აღნიშნული „გორის რაბათის დუქნები, თვალი 3, იჯარით (2: 448), ჯამი წელიწადში სრულად 1440“. ცალკეა დაწესებული ბაჟი გორის ძაბარზე, რაც შეადგენდა 1000 ახას (2: 449). მნიშვნელია დაღგენა იმისა, დუქნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა თუ ისინი ერთობლიობაში შეადგენდა გორის ბაზარს. ამგვარი ეჭვი ჩნდება XVII საუკუნიდან მოღწეული ცნობების განსხვავებულობის გამო. უან შარდენის მიხედვით, გორში აღიზით ნაშენები რამდენიმე ბაზარი არსებობდა (11: 63) ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით

ისე გამოდის, რომ გორში ერთი ბაზარი იყო (13: 243), ხოლო ი. კლაპროთის აღწერით, გორის ბაზარი ასამდე საწვრილმანო დუქნისაგან შედგებოდა (19: 328; 8: 137).

გორი, თავისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, უძველესი დროიდან გამოირჩეოდა წისქვილების სიმრავლით. დავთარი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ მათი რაოდენობა, ზოგიერთი მათგანის კუთვნილება და მდებარეობა:

თვალშისაცემია გორის წისქვილების სიმრავლე (35 თვალი), მაშინ, როდესაც ქალაქის მოსახლეობა 2-2,5 ათას სულს შორის არის სავარაუდო. გამოდის, რომ წისქვილები ახლომდებარე სოფლების მოსახლეობასაც ემსახურებოდა და მათს მფლობელებს სერიოზულ შემოსავალს აძლევდა (7: 147-148).

„გორის მცხოვრებთა XVIII ს. პირველი ათეულების დავთარი“ (17: 256-265), რომელიც თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის თითქმის თანადროულია, გორში ასახელებს ერთ სამღებროს, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელში ჩაწერილია „შემოსავალი სამღებროებიდან 600 (ახჩა)“ (17: 448), რაც ერთზე მეტ სამღებროზე მიგვანიშნებს.

დამოწმებანი:

1. აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი. „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბ., 1973.
2. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად., ს. ჯიქიაშ და პროფ. ნ. შენგელიამ, I-II, თბ., 2009.
3. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, №117, 184.

4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბაზონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). 6. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
5. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973.
6. კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო გუჯრები. იხ. ძველი საქართველო, II, ტფ., 1913.
7. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994.
8. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, II (1801-1921), გორი. 1999, გვ. 158.
9. მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, გორი, 1996.
10. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 547, №180.
11. უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოზე). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
12. სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732 წლები). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიძე, თბ., 2008.
13. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925.
14. ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.

15. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
16. „ცისკარი“, 1867, №2.
17. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძეგლები, I, თბ., 1975.
18. ჯიქა ს., XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი. თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962.
19. Klaproth I. Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808, II, Halle und Berlin, 1814.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University, Full Professor

**THE EXTERIOR OF GORI ACCORDING TO THE OTMAN REFERENCES
(THE 20-30S OF THE XVIII CENTURY)
RESUMÉ**

1. In 1728 after the conquest of Kartli, the Ottomans conducted an overall description of every settlement. Based on the description “The Great Book of Tbilisi Vilayet” was created. Another three documents drawn up by the occupation officials in 1630-1632 also acquire great importance. The documents have shown the Ottoman officials’ activities in eastern Georgia.
2. The above-mentioned documents have reflected almost every side of the urban and rural-agricultural lives in Kartli under the Ottoman rule.
3. There are certain valuable references which inform us about Shida Kartli and in particular the administrative structure of Gori, the number and ethnic composition of the population, the social and economic status, the sort and number of the taxes

imposed by the Ottoman authorities. Based on this information we can restore the city life in Kartli during the mentioned period.

4. The Ottomans' interest towards Gori and what they attached more importance to in the conquered country have well appeared in the section title of Tbilisi Vilayet Great Book of 1728 which concerns the town of Gori. It is called "The Gori Fortress". The conquerors considered the Gori fortress not only as a defensive structure and domination foothold in Shida Kartli but it was also the center of the region's occupation governance. There was also the Muslim religious leadership of the city and region as well.

5. The town of Gori and its surrounding areas – Rabat consisted of districts and settlements. There was "the Annunciation Church District", "the Suparjiant District", "the Rotten", "the Sulukhi" and "the Rock District" in Gori. Some important references give us the noteworthy information about the following settlements, such as: "Givi's Settlement" (after the name of Givi Amilakhvari), "Rostom's Settlement" (after the name of King Rostom), "The Vardisubani Settlement", "The Kirnaqi (Kvernaqi) Settlement", "The Virgin Settlement" and "Parsadan's Settlement". Under the Ottoman rule, there were no churches, but instead of them there were jamehs in the town of Gori as well as within the fortress. In addition to jamehs, there were other permanent Muslim chapels here as well.

There were two bath houses, one in the fortress, another in Rabat. There was the bridge over the river Mkvari; the local residents of Gori used to pay a special tax of 2000 "Akhchas" for the bridge. There were 126 "Dukanis" (canteens) in Gori, while in Rabat there were three of them. There was also a market, 35 mills and one dye-house.

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესიონალური

საციცავანოს დაარსების ისტორიიდან

ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგად წარმოშობილი სამეფო სამთავროებისა და სათავადოების ისტორია მეტად მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ისტორიის სიღრმისეულად შესწავლისათვის. ქართლის სათავადოებიდან ყველაზე მეტად საციცავანოს ისტორია დაუმუშავებელი და დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელი. ისტორიული წყაროების ნაკლებობით აიხსნება, რომ ფანასკერტელების ქართლში გადმოსვლასა და საციცავანოს დაარსების თაობაზე დღემდე ისტორიკოსებს შორის (დ. გვრიტიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინიშვილი, კ. გრიგოლია, დ. ბერძენიშვილი) აზრთა სხვადასხვაობაა.

ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულო სახლი ისტორიულ ტაოს უკავშირდება. IX-X საუკუნეებში ფანასკერტელები ტაოს მფლობელნი არიან და „ერისთავთერისთავებად“ იწოდებიან. საგვარეულოს სახელწოდება „ფანასკერტი“ ფანასკერტის ციხის მფლობელობის გამო ჰქონდათ მიღებული. ფანასკერტის ციხე ბაგრატ III დროს მეფის განკარგულებაშია და შემდგომ, სავარაუდოდ, დამსახურების გამო ებობათ ფანასკერტელებს.

პირველი ცნობები სამეფო ფანასკერტელთა საგვარეულო სახლის ურთიერთობის შესახებ თამარის მეფობის დროს ჩნდება. ტაოს მფლობელი გუზან აბულასანის ძე, რომელიც იმავდროულად კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელიცაა, მეფის მოღალატეთაგან პირველი მხარდამჭერია საქართველოში შემოჭრილი გიორგი რუსისა. 1191 წ. აჯანყების

დამარცხების შემდეგაც პატიების ნაცვლად „...გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰ-არმენისასა“ თამარის ანონიმი ისტორიკოსი პირველად ახსენებს მეფის ერთგულ ზაქარია ფანასკერტელს. „...ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი“ (16: 55). სწორედ ზაქარია ფანასკერტელის სარდლობით კოლის მთაზე შექმიან მრავალრიცხოვან მტერს, ხელთ უგდიათ მოღალატე გუზანის ცოლ-შვილი და შაჰ-არმენისათვის გადაცემული ციხეებიც დაუბრუნებიათ ქვეყნისთვის.

თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი, სამეფოს მონაპირეთა - „რომელნი იყვნეს, ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებლად“, ჩამოთვლისას ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარია ფანასკერტელის დამსახურებას და ერთგულებას სამეფო კარისადმი – „მავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო... გამოჩნდა ვინმე კაცი ასპაანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა... ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხვინა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა...იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“ (16: 130). ერთგულებისა და თავდადების სანაცვლოდ, ზაქარია ფანასკერტელის ხელში გადაღის მოღალატე გუზანის სამფლობელოები – ტაო, კლარჯეთი და შავშეთი, რომლის რეზიდენცია ფანასკერტია.

ამდენად, XII საუკუნეში ფანასკერტელები თამარის კარზე მონაპირე ერისთავთ-ერისთავები, საკმაოდ გავლენიანნი და თამარის ერთგულებით გამორჩეულნი არიან.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ფანასკერტელები თავიანთ გავლენას კარგავენ, რასაც 1259 წლის რკონის სიგელიც ადასტურებს. „...მე კახამან და ხათუთამან შვილი არ გუესვა და ვიყიდეთ ხოვლე თქუენთვის მემამულეთა აღბუღა-საგან... ხოვლესთან ნურცა რაი: ეგრე საქმე უც: და რა გინდა

ვალი ანუ დაჭირება დაემართოს: ჩემსა გუარის კაცსა, ვითა გიშელთა და ფანასკერტელთა მამულსა თანა“ (20: 135).

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ კარგავენ ფანასკერტელები მამულებს და თავიანთ გავლენას საკუთარ სამფლობელოებზე.

ამ პერიოდში ჯაყელთა საგვარეულოდან დაწინაურებულმა სარგის ჯაყელმა დავით ულუს ერთგულების სანაცვლოდ აღვილად შეძლო სამცხის სამთავროს მოქცევა თავისი გავლენის ქვეშ. დავით ულუს აჯანყების შემდგომ, ყაენმა 1266 წ. ხასინჯუდ „სარგის ჯაყელსა კარნუქალაქი და მიმდგომი მისი ქუეყანა უბოძა იერალიყითა“, რის გამოც ჩამოვარდა უსიამოვნება მეფესა და სარგის ჯაყელს შორის. სარგისის ძემ ბექამ საბოლოოდ „დაიპყრა ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისკევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანი, და მრავალი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბალას და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის“ (16: 312). როგორც ჩანს, მთელი ტაოს ხელში ჩაგდება ჯაყელებს მაინც ვერ მოუხერხებიათ, თუმცა „უმრავლესი ტაო“ კანონიერ მფლობელებს-ფანასკერტელებს დაუკარგავთ. სწორედ ამით აიხსნება რეონის სიგელში ფანასკერტელთა მამულის „დაჭირება“. გაორგულებულმა ქვეშევრდომმა სარგის ჯაყელმა ყაენის ქვეშევრდომბია ამჯობინა და მამული „ხასინჯუდ“ აქცია, რითაც მეფისაგან უფრო შეუვალი გახდა. განდგომილი ათაბაგი დიდი ძალისხმევით შეეცდებოდა „მთლიანი ტაო“ დაუსაკუთრებინა და საათაბაგოდან განედევნა მეფის ერთგული ფანასკერტელები, თუმცა, ფანასკერტელები, ათაბაგთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ტაოს მფლობელობას მაინც ინარჩუნებენ.

XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის პირველი ნახევრის ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიიდან განსა-

კუთრებით საყურადღებოა იერუსალიმის ჯვრის სვინაქსარის აღაპებში და ტიშენდორფისულ ნუსხაში მოხსენიებული გრიგოლ ფანასკერტელის პიროვნება. ელ. მეტრეველის მოსაზრებით „აღაპი განწესებულია XIII საუკუნის დამლევს, არა უგვიანეს XIV საუკუნის პირველი წლებისა“ (11: 19-23). მას დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩენია ჯვრის მონასტრისათვის წართმეული მამულების დასაბრუნებლად, რის გამოც მონასტრის კრებულმა სვინაქსარში ხუთი აღაპი გაუჩინა. როგორც ჩანს, სიცოცხლეში გაწეული შემოწირულებისათვის დაუმსახურებია აღაპის განწესების უფლება. №123 აღაპიდან ვგებულობთ, რომ: „მოსცა და შემოსწირა ჯუარისა მუნასტრებსა აქიას ადგილი, რვას დრაპენად ნასყიდი.... მამასვე დღეს შვდი ათასი თეთრი გავიყავით იტრუსალემს მყოფთა ქრისტიანეთა ქართველთა. მივეცით პატრიარქსა და მისთა მონასტრთა ორი ათასი თეთრი ამასვე დღეს.“ გრიგოლ ფანასტერტელს კვლავ გაუგზავნია დახმარება მურვანის ხელით: „მეორედ გამოეგზავნა მურვანის ჭელითა ოცდა ათჯერ ათასი და ვიყიდეთ აქაიას მამული ოცდაოთხი ათასად. და სხუად სალოცავად გავეცით“ (11: 90, 91). ამ დროს დრაპება უკვე ვერცხლის მონეტაა და იერუსალიმს გაგზავნილი ფულიც საკმაოდ დიდ თანხას შეაღდგენდა. მონასტრის არსებობის მატერიალური შეწირულობანის ისტორიისა (9: 48, 49) და გრიგოლ ფანასკერტელის გაწეული დახმარების მიხედვით, ჩანს, იგი დიდი სიძიდიდრის მფლობელი და საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა, რომელმაც იცოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა საქართველოსა და მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის.

ამდენად, გაჩნდა ინტერესი, ხომ არ იყო გრიგოლ ფანასკერტელი ფანასკერტელთა შტოდან გიორგი ბრწყინვალის სამეფო კარზე გადმოსული პირველი ფანასკერტელი.

კვლევითი მუშაობის მიუხედავად, მის შესახებ წერილობით წყაროებში ჯერ-ჯერობით დამატებითი ცნობები დღემდე ვერ მოვიძიეთ, რაც ფანასკერტელთა საგვარეულო სახლის XIV საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიას ნათელს მოჰყენდა.

ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ისტორიის-ათვის მეტად საინტერესო დოკუმენტია თაყა ფანასკერტელის სიგელი კათალიკოზ ელიოზისადმი (1399-1419 წ.). სიგელი შედგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1419 წელს, კათალიკოსის გარდაცვალებამდე. სიგელში მოხსენებული თაყა ფანასკერტელის და, სითიხათუნი უკვე დედოფლად არის მოხსენიებული. სითიხათუნზე ტახტის მემკვიდრის, ვახტანგ ალექსანდრეს ძის ქორწინება 1442 წელსაა მოხსენიებული „ქართლის ცხოვრებაში“ „...დასუა მეფე ქართლსა და იმერეთს პირველი შვილი ვახტანგ და შერთო ფანასკერტელის ქალი და დამთაყას ფანასკერტელისა დედოფალი სითიხათუნ“ (16: 475). „ქართლის ცხოვრებაში“ ქორწინების თარიღი მცდარია, რადგან ზემოთ აღნიშნული სიგელი მხოლოდ 1419 წლამდე, კათალიკოსის გარდაცვალებამდე შეიძლებოდა დაწერილიყო, რაც არსებითად ცვლის ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ისტორიას. სიგელი მრავალ საყურადღებო ცნობებს იძლევა: „...ქ კზსა ელიოზს... მოგახსენით სააღაპეთ პატრონისა ჩუწნისა დიდისა დედოფლისა სითიხათუნისათვის ატენს ლუს-მალაური მამული, ასე რომე ფერიცვალება-დღე პატრონისა ჩუწნისა დისა, დედოფლისა სითიხათუნისათვს გარდაიხდებოდეს კარგაღებული აღაპი და ფერისცვალების მეორე დღე - ჩემთვის...შემოგწირეთ მეფეთ-მეფე ალექსანდრეს ბრძანებითა და ნება-დართვთა ატენს ლუსმალაური მამული...მე ფანასკერტელმა თაყამან პატრონისა ჩუწნისა დისა სათიხათუნის სააღაპედ, ასე რომე მატანელთა არა-საქმე დააგდონ მას გუერც არა ყალანსა, არა კულუხსა თანა“. აღაპთა ნუსხაში ჩაწერილია: „ატენს ლუსუას მამული სააღაპოდ თაყასი“ (20: 223).

აღაპთა ნუსხის ამ ჩანაწერიდან ნათელია, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსუას, სააღაპე მამულის, მწირველადაა დადგენილი „მეფის ბრძანებითა და ნება-დართვითა“. შეა საუკუნეებში მწირველად დადგენის წესის მიხედვით (7: 321) ცნობილია, რომ მწირველი გველინება მისოვის ჩაბარებული სამწირველოს მეპატრონედ, მოურავად. შემწირველები მწირველებს თვითონვე ადგენდნენ. მწირველი, რომელსაც სამწირველო ჰქონდა ჩაბარებული, შეიძლებოდა სასულიერო პირი არ ყოფილიყო. შეწირულობის სიგელების მიხედვით, მწირველისაგან შემწირველი ძირითადად ერთგულებას ითხოვდა და მხოლოდ ერთგულებით გამორჩეულთ გადასცემდა, რადგან სამწირველო ყმა-მამული ეკლესია-მონასტრისთვის მხოლოდ პირობით გადაცემულ ქონებას წარმოადგენდა და არა მათ კერძო საკუთრებას. შემწირველი დაინტერესებული იყო, შეწირულების გარიგება შემდეგშიც არასდროს არ შეცვლილიყო, მონასტრის ინტერესებიდან გამომდინარე. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსმალაურის ყმა-მამულის მწირველია, ე. ი. შემოსავლის განმკარგველია და დაწესებულ წირვა-აღაპს იხდის. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მხოლოდ საკუთარი დის, დედოფალ სითხათუნის ნება-სურვილით არ მოუღიათ ეს გადაწყვეტილება. ეს გვაძლევს საფუძველს დაგასკნათ, რომ ჯერ კიდევ მეფე ალექსანდრეს მიერ 1412 წლის მცხეთისადმი შეწირული სააღაპე მამულების, „მრავალფერად ვალდადებულისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათვის სააღაპედ ატენს“ (4: 8) მწირველად, თაყა ფანასკერტელი ყოფილიყო. რადგან, თამარ მეფის დროიდან, მეფის სამწირველოში არსებობდა მწირველების დადგენის მემკვიდრეობის წესი, როცა სამწირველო ერთი და იმავე გვარის ხელში იყო. ამ წესის მიხედვით, მწირველის პატრონისათვის უმჯობესი იყო, შემდგომშიც სამწირველო ერთხელ დადგენილი პირველი მწირველის გვარის წევრთა ხელში ყოფილიყო.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მცხეთისადმი შეწირული 1414 წ. სიგელი და რკონის სიგელზე გვიანდელი მინაწერიც, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სამეფო კარის სააღაპედ გაცემულ მამულებს ტანასა და თემმის ხეობაში, მეუე ალექსანდრეს გამეფებისთანავე, პატრონობდა თაყაფანასკერტელი. „...მეფეთა მეფესა ალექსანდრეს და ძეთა ჩემთა: ვახტანგს და დემეტრეს და ჩემთა მმათა ბაგრატს და გიორგის...მოგვიხსენებია...რკონისა ღმრთისმობელისათვის ...ვნახეთ ხოვლისა სიგელი... ახლად ჩუენ შემოგვიწირავს სამლოცველოდ სულისა ჩუენისა და წარისამართებლად მეფობისა ჩუენისა... არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, სათათროს ულუფისაგან მეტი... არა გორიდაღმან და არა ატენით... აღაპი ჩემთვის გარდაიხდებოდეს ყოვლითურთ უნაკლოდ“ ე.ი. ტანასა და თემმის ხეობის სააღაპე მამულების მწირველს და მოურავს, ჩანს, ხოვლეს მამულისგან სათხოვარი და გამოსაღები დროთა განმავლობაში მაინც მოუთხოვია, რაზედაც მეორე მინაწერი მიგვანიშნებს: „...ჩუენ, აფხაზეთისა და ქართლის მეფეთა-მეფემან გიორგი ...მოგუიკსენებია... უამთა ვითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესრულიყო“ (19: 157). ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების 1392 წ. და 1447 წ. ნუსხების შედარებისას ირკვევა, რომ საეკლესიო მამულების რაოდენობა 1447 წლის ნუსხის მიხედვით, იმდენადაა შემცირებული, რომ ამ ხეობებიდან დარჩენიათ მხოლოდ „კუედურეთს რაცა ძუელითგან მცხეთისა ყოფილა და არის, სარკე მისითა შესავლითა... ატენის მხოლოდ წინუბნელი“ (18: 176, 187). ერთულებით მსახურება ყმა-მამულის და ქონების წყალობასაც გულისხმობდა და სამეფო კარის მხარდაჭერით, ვფიქრობთ, აღნიშნული მამულების მფლობელნი დროთა განმავლობაში ფანასკერტელები ხდებოდნენ.

წყაროთა მიხედვით, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე ფანასკერტელები საკმაოდ გავლენიანი თავადები არიან. ქარ-

თლის ძლიერ თავადებთან -ამილახვრებთან, გამრეკელ-ჯავა-ნიშვილებთან ნათესაურ კავშირში იმყოფებან. სამეფო კარის მხარდაჭერით იმდენად შეუვალნი ჩანან, რომ ქართლის უძლიერესი თავადები მათთან ნათესაურ კავშირს ამჯობინებენ. თაყა ფანასკერტელის მეორე და თაყა ამილახორის მეუღლეა, ხოლო გამრეკელ-ჯავახიშვილის ცოლი, გულსურაბ-ციციშვილების გვარიდანაა“ (1: 67). თაყა ფანასკერტელის სწრაფი დაწინაურებისა და აღზევების საფუძველი დემეტრე ალექსანდრეს ძის ასულთან ქორწინებით შეიძლება აიხსნას. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია მეფე დემეტრეს ასული რუსუდანი, თაყა ფანასკერტელის მეუღლედ. „...ხ რებად და დიდსა ხუთ შაბთსა გაგვჩენია რუსუდანესთ ს და თაყა ფ ნასკერტლის თს...დიდსა დაჭირბ სა შიგან დემ ტრე მ ფისა ას ლსა რუსუდნ ს და თაყა ფანასკერტელსა“. იქვე გარკვევით იკითხება აღაპი „რუსუდ ნისთ ს გ რდაიკლბ დეს შ ბთს“ და თაყასთვის კვირას (8: 15).

ამის თაობაზე განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამდა ს. კაკაბაძე (5: 11). ვფიქრობთ, მკვლევარს დაშვებული აქვს გარკვეული უზუსტობანი, როგორც დათარიღებაში, ასევე პირთა იდენტიფიკაციაში. 6. მარს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით თმოგველ-უჯარმელთა ასული მამქან, ყოფილი მარინე მიაჩნდა მეფე ალექსანდრეს თანამედროვე, თაყა ფანასკერტელის მეუღლედ: „მე ცოდვითა დაღონებ ულმ ნ და ყ თა მონაზონთა უნარჩევესმ ნ თმოგველ თა უჯარმელთა ასლმ ნ მამქან ყოფილმ ნ მარინე პელ-ვყავ და აღვაშენე ჯი ს პტი სნისა გალავნისა ბურჯი სამამოსაკენ და გამოვილე სამოცი ფლური ჩ ნისა ც დვილისა სლ ისა საქსრად. ჯრ თ პატი სნო შეიწყალე სული ფანასკერტელისა თაყასი და მისისა მეუღლისა მარინესი და მისისა მმისა როინისა და მისთა დედა-მ მთა“ (8: 53). ერთი შეხედვით, იმავე აზრს ადასტურებდა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის №193

სვინაქსარის მინაწერიც: „აწ სულსა სულკურთხეულსა ფანას-კერტელსა თაყასა შეუნდოს ღმერთმან. მათსა მეუღლესა მამ-ქანს შეუნდოს ღმერთმან. თმოგველ-უჯარმელსა თაყედინ-ყო-ფილსა თეოდოლეს შეუნდოს ღმერთმან, მათსა მეუღლეს ეს-ტანჯარ...“ (15: 330). მინაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVI საუკუნისაა. აღაპში მოხსენიებულ პირთა ვი-ნაობის დაზუსტება შესაძლებელი გახადა სინის მთის სულ-თა მატიანეში შეტანილმა მამქან-ყოფილი მარინეს მოსახსე-ნებელმა: „ციციშვილს ფარსადანს შ' ს ღ ნ ან...თანამეცხდრსა გულდამს შ' ს ღ ნ, ან კ' ნი და მათშა ძმასა ამილდაბარ შ' ს ღ ნ ან; და მათ რძალსა მამქან ყოფილსა მარინეს შ' ს ღ ნ...“ (25: 243, 241). მატიანით გაირკვა თაყა ფანასკერტელის ძმე-ბი, ფარსადან-თანამეცხდრე გულდამი და ამილდაბარ. გერგე-ტის სულთა მატიანის მოსახსენებელით და ამავე პერიოდის აღაპებით დადგინდა მამქან-ყოფილი მარინეს ძმის-როინის და მშობლების ვინაობა და მოღვაწეობის პერიოდი: „როინ არის ძე თაყიადინ უჯარმელის ძისა და ვახუშტის ასულის ნესტან-ჯარისა“ (22: 236, 206). ამრიგად, იერუსალიმის ჯვრის აღ-აპების, სინის მთის სულთა მატიანესა და გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებელთა შედარებით განისაზღვრა მათი მოღვაწეობის პერიოდი – XV საუკუნის მეორე ნახევარი და XVI საუკუნის პირველი ნახევარი.

მეფე ალექსანდრეს თანამედროვე თაყა ფანასკერტელი იმდენად აღზევებული და ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ჩანს სამეფო კარისათვის, რომ ფანასკერტელთა საგვარეულო სახლთან „დამოყვრებას“ არ თაკილობენ. ჩვენამდე მოღწეული არც ერთი წყარო არ აფასებს „უგვარო“ ქვეშვრდომზე ქორ-წინებად, მაშინ როცა მეფე კონსტანტინე მეორე ბარათაშვი-ლის ქალზე ქორწინებას დიდ ცოდვად მიიჩნევს: „ცოდვითა სიმრავლისა და სოფლის ვითარებისგან ცოდვისა საქმესა შე-ესწრა ჩუენი შვილი დავით და უხვედრი ბარათაშვილისა ასუ-ლი შეირთო“ (20: 306).

ამრიგად, ეს ქორწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს სამეფო ოჯახთან მათ განსაკუთრებულ სიახლოვეს და საბოლოოდ ამყარებს ვარაუდს, რომ ფანასკერტელები სამეფო ოჯახთან მჭიდრო კავშირში გაცილებით ადრე, ალექსანდრე დილის გამეფებამდე უნდა ყოფილიყვნენ.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ნ. ბერძენიშვილის მიერ გამქვეყნებული ღოკუმენტი (1: 40, 41), სადაც ვკითხულობთ: „გაუწყრა მეფე კონსტანტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს და ალექსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა წავიდა [და მამა] ჩემი თან წაჰყვა დარიბობასა. ხუთსა წელიწადსა დარიბობას იახლა. კონსტანტინე მეფემან ჩალალანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა... მაშინდელი აღარავინ ცოცხალა ზაქარიას მეტი და ზაქარიას პკითხეთ, როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს მამაჩემი. მერმე თაყაც/ამილახვარი/ მოიწიფა და ორნივე კამოლად ჰყვეს და მსახურებდეს ამავე ჩუნითა მკუიდრითა მამულითა. მერმე დაჯდა ვახტანგ ბატონად და ბიძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო და კელთა შეიპყრა ვახტანგ მეფემან...“ ღოკუმენტის შემდგენელი, ზევდგინისძე იმოწმებს ამ ამბების, თვითმხილველს და უშუალო მონაწილეს ზაქარიას, რადგან ღოკუმენტის დაწერისას მხოლოდ ზაქარია ყოფილა ცოცხალი. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით: „აქ მომთხოობელი იმოწმებს „ვინმე“ ზაქარიას, რომელიც თურმე „მაშინდელია“ და ახსოვს, თუ როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს, მამა მისი (ზევდგინ)“.

ავტორისეული ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, მიმაჩნია, ღოკუმენტში ნახსენები „ვინმე ზაქარია“ – ზაქარია ფანასკერტელია. თუ ზაქარიას ფანასკერტელად მივიწნევთ, ბუნდოვანი ამ ღოკუმენტიდან აღარაფერი რჩება. მისი შვილია ალექსანდრე დიდის თანამედროვე, თაყა ფანასკერტელი. ზემოთ განხილული ღოკუმენტების მიხედვით კი თაყა ფანასკერტელის ერთი და – სითიხათუნი მეფე ვახტანგის მეუღ-

ლეა, მეორე და თაყა ამილახორის მეუღლეა და ვახტანგ მეფის „ქუისლია“. პირველადი წყაროდან ჩანს – მეფე კონსტანტინეს დროს ზაქარია უკვე საკმაოდ გავლენიანია, სამეფო კარზე მეფესა და ტახტის მემკვიდრეს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მომსწრე და მომრიგებელია, რაც ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარიას დამსახურებას, მის გავლენას სამეფო კარზე მეფე კონსტანტინეს დროს (1407-1412 წწ.) და საბოლოოდ ამტკიცებს მოსაზრებას XIV ს. მეორე ნახევარში ფანასკერტელთა ქართლში გადმოსახლების შესახებ.

ვფიქრობთ, ზაქარიას ევალებოდა და განსაკუთრებულ მზრუნველობასაც იჩენდა უფლისწულისადმი, „ხუთსა წელიწადსა ღარიბობას“ ყოფნისას. არ გამოვრიცხავთ, უფლისწულ ალექსანდრესთვის თავისი შვილიც გაეყოლებინა საათაბაგოში, რადგან ისინი ჯერ კიდევ ტაოს ერისთავთ-ერისთავები, შავშეთსა და ტაოში მამულის მფლობელი არიან და სამცხე-საათაბაგოს კათალიკოზის სამწყსოში მოიხსენიებიან (18: 242). ვარაუდის საფუძველს სწორედ ის გვაძლევს, რომ ალექსანდრე დიდის ტახტზე ასვლისთანავე სწრაფად დაწინაურდნენ ფანასკერტელები და მოულოდნელიც აღარ არის მწიგონბართათვის, სამეფო ოჯახთან კავშირს დინასტიური ქორწინებით რომ ამყარებენ.

ეს პირველადი წყარო ნათელს ზაქარია ფანასკერტელის დიდ გავლენას, აღზევებას სამეფო კარზე XIV ს. მეორე ნახევარში და ითანე ბატონიშვილის ცნობის სანდოობასაც ადასტურებს. ბატონიშვილი პირველ ციციშვილს ბაგრატ მეფის (1360-1393) დროს მოსულად ასახელებს და ზაქარიას, ანუ ზაზას უწოდებს, მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროს არ უთითებს: „თავადი ციციშვილი. ამათნი წინაპარნი არიან ურიასტანიდგან მოსრულნი... უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღომი ზაქარია ფანასკერტელი, რომელსა უწოდნენ ზაზად და ამან უკნებდიდად მსახურა დროსა მოსვლისა ლანგ თემურისასა, რომელიცა

ბრძოლა მეფესა და ვინაიდგან იქმნა ზაზა ფანასკერტელი აიძულა მეფემან და გარდმოასახლა საქართველოსა შინა და მიუბოძა მძოვრეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფდა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი და დაასახლნა მუნ. შემდგომად ამისა მოკუდა რა ზაზა დაშთა ძე ციცით წოდებული...ჯილდოდ ამისა მეფემან /კონსტანტინემ/ უბოძა შვილთა ამისთა და თვით მას გუარად ციციშვილობა...“ (24: 3729).

ამილახვართა საგვარეულო გუჯრებიც ადასტურებს ამპერიოდში ფანასკერტელების ქართლში გადმოსვლას: „თურქები მალე გამოჩნდნენ ჭოროხის ხეობისაკენ. მიიბირეს სამცხე-საათაბაგოს მრავალი თავად-აზნაურნი, სამღვდელონი და ბოლოს თვით ათაბაგებიც. ხოლო ვინც არ დაემორჩილა, აიყარნენ და ქართლში ჩამოვიდნენ: ფანასკერტელ-ციციშვილები, დიასამიძნი, ავალისშვილები, კავკასიონები, ზევდგინისძენი და სხვ.“ (23: 102) გუჯრებში მოხსენიებული თავად-აზნაურები სამცხის თავადთა XVI საუკუნის პირველი ნახევრის ნუსხას ეყრდნობა. ამის შესახებ საინტერესოა ს. კაკაბაძის მოსაზრება: „ის ძველი სია სამცხისა და მესხეთის თავადებისა, რომელიც საფუძვლად უდევს საკათალიკოზო სამწყსო თავადების XVI საუკუნის ნუსხას, შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს 1356 წლისა და არა უგვიანეს 1443 წლისა“ (6: 11). შესაბამისად ამისა, შესაძლებლად მიგვაჩნია ამავე პერიოდში ფანასკერტელებთან ერთად სამცხის თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის ქართლში გადმოსვლა.

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, მეტად საყურადღებოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის №136 აღაპში მოხსენიებული ზაქარია ფანასკერტელი. „ამასვე დღესა გაუჩინეთ მე, ჯუარის მამან პიმენ მოძღუარმან, ოქროპირმან კანდელაკმან, ერთსულობით კრებულმან, აღაპი ფანასკერტელსა ზაქარიას და მისსა დასა მარისს საუკუნოი აღაპი, შეუნდვნეს ლმერთმან...“ (11: 92). აღაპში მოხსენებული ზაქარია ფანას-

კერტელი და მისი და მარის უკვე გარდაცვლილები არიან. მამა პიმენის მოღვაწეობის დათარიღება სინის მთის სულთა მატიანის ჯვრის მამათა მოსახსენებლითაც დასტურდება. (25: 245). „პიმენი იერუსალიმს მისულა 1400 წელს და ჯვრის მონასტრისთვის ცვილი და ზეთი შეუწირავს. პირველ ხანებში ის, როგორც ჩანს, რიგითი ბერი იყო, შემდეგ ჯვრის წინამძღვრად აურჩევიათ... აღაპებში მონასტრის წინამძღვრად მამა პიმენი უკვე XV საუკუნის დამდევიდან მოიხსენიება“ (10: 133). ეს კიდევ ერთი სანდო წყაროა, რომელიც ზაქარია ფანასკერტელს XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ ათარიღებს.

ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ამავე პერიოდზე მიგვანიშნებს 1467 წ. მეფე კონსტანტინე II-ის განახლებული სიგელი, სადაც კითხულობთ: „...სახლის ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, მას უამსა ოდეს ჩუენის სიყვარულისთვის შავშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასომეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით და ჩუენ მოგაწსენეთ კვედურეთს ორბოძლეულისეული მამული... ორბოძლეულისეული მამული მაშინაც თქვენ გმართებდა, ამად ორმე ორბოძლეულსა პაპისა თქუენისათვის ელალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღმიცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ, ამას გარეთ მოგაწსენეთ და დაგიმტკიცეთ სრუ... მამული ქვაჭრელი, უფლისციხე და კარალეთი... და ჩუენგან თქვენთვის სამკვიდროდ ბოძებულსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს და თუ ვინ დაგეცილოს მისი პირი და პასუხის გამცემი ჩუენ ვართ და გქონდეს თქვენ ჩუენსა ერთგულსა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, შვილიშვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა კვედურეთს ორბოძლეულისეული თქვენი ნასისხლი მამული, რაცა ხოსაშვილსა ბაღათარს, ანუ კვედურეთს ქო-

ნარა და ანუ კეხისჯუარს და ამა სიგელშიგა გოწერია, სრულად და უკლებლად (13: 64). სწორედ ამ მნიშვნელოვან სიგელზე და იოანე ბატონიშვილის დაუზუსტებელ ცნობაზე დაყრდნობით გამოითქვა პირველი ვარაუდი ფანასკერტელ-ციციშვილების ქართლში გადმოსახლების შესახებ, XIV საუკუნის მეორე ნახევარში (3: 121).

ისტორიული საბუთებიდან ცნობილია, რომ ორბოძლელები მართლაც ფლობდნენ მტკვრის გაღმა მხარის მიწაწყალს. დავით ულუს ორბოძლელისათვის მიუცია სვეტიცხოვლის მამულები, მათ რიცხვში ხვედურეთი, სამწევრისი, კეხიჯვარი, ზოვრეთი და სხვ. მეფე დავითს (1346-1360 წწ.) ეს მამულები 1355 წ. ორბოძლელისთვის გამოურთმევია და კვლავ მცხეთისათვის შეუწირავს „რაიც ჭუელურეთს და იმერკვეს მცხეთისად არის და ყოფილა ალაგები“ (20: 184, 196). ორბოძლელთა მამული ნასისხლად მოუღია ზაზა ფანასკერტელის პაპას ე. ი. თაყა ფანასკერტელის მამას, რაც მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლებოდა მომხდარიყო. მართლაც, აღნიშნული მამულები 1392 წ. მცხეთის საეკლესიო მამულების ნუსხაშია შეტანილი (18: 176).

ფანასკერტელების გადმოსვლა და დამკვიდრება მტკვრის მარჯვნა მხარეს, ზემო ქართლის თავადების, ჩიჟავაძეთა და ჯავახიშვილების შევიწროების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. თუმცა, წყალობის სახით ტანასა და თემმის ხეობაში თემურ-ლენგის ლაშქრობებისაგან გაუკაცრიებულ სოფლებს და „საკელო“ დაკარგულ ფეოდალთა მამულებსაც ღებულობდა. მაგალითად, მეფე გიორგის VII გარდაცვალებამდე (1393-1407 წ.) დაწერილ მცხეთისადმი შეწირულ სიგელში ვკითხულობთ: „მეფეთა-მეფეს გიორგის დამან ულუმბია და ჩემმა შვილმა საზუერელმან... შემოგწირეთ ჩიჟავაძის ამირეჯიბისა სულისა სააღაპოდ ხუედურეთს ბუკისძისეული მამული მისითა სამართლიანითა სამზღვრითა და თუ თქვენ კათალიკოზმან ელიოზ კაცი დაასახლოთ ამას ბუკისძისეულსა მამულსა ზედა, არავინ

იყოს შემცილე... და არავინ რად საქმე დაგიგდოს... და ვინ კაცი დაასახლოთ, მუშაობისაგან მეტი არა ეთხოვებოდეს...“ (20: 213). შემწირველნი პირობას დებენ, რომ თემურ-ლენგი-საგან აოხრებულ და დაუსახლებელ შეწირულ მიწებზე და-სახლების შემთხვევაში, მხოლოდ „მუშაობას“ (თითო დღე ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა) ითხოვენ და არა მიწის შემოსა-ვალს. დოკუმენტიდან ჩანს, კახაბერ ჩიჯავაძე გარდაცვლილია და მისი „საკულო“ ამირეჯიბობა XV საუკუნიდან გაბელისტე-თა (11: 140) საგვარეულოში მკვიდრდება. რაც შეეხება თო-რელთა საგვარეულოს, მათი ძირითადი შტო-კახა გამრეკე-ლებისა, შიდა ქართლში XIV საუკუნის დასაწყისიდან გადმო-სახლებულან ჯავახეთიდან და გამრეკელ-ჯავახიშვილები ხდე-ბიან (21: 45). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ძამის ცი-ხის მფლობელობა დაკარგეს ჯერ კიდევ, როცა „მძლავრობ-დენ ოვსნი ქართლს... უმძვინვარესად აოხრებდა ბაყათარ ქარ-თლსა და მეფე დავით ვერ წინააღმდეგებოდა... მაშინ ბაყათარ წარულო გამრეკელსა კახას ძესა, ციხე ძამისა“ (16: 317). გი-ორგი ბრწყინვალემ „განასხა ძლიერებითა თვისითა“ (20: 178). XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან ძამის ციხეს უკვე ფანას-კერტელ-ციციშვილები ფლობენ. ყოველივე ამის სანაცვლოდ მეფე ფანასკერტელებისაგან ერთგულებით მსახურებას მოით-ხოვდა. კერძოდ, ქართლის სამეფოს საზღვრისპირა მხარის მოვლა-პატრონობასა და დაცვას, ჯავახეთიდან და თრიალეთ-იდან შიდა ქართლისაკენ მომავალი გზების გაკონტულებას და მთავარ სავაჭრო მაგისტრალის საბაჟო გადასახადზე პასუ-ხისმებლობას“ (17: 225).

ალექსანდრე დიდის მეფობის ბოლო წლებში (1412-1442 წწ.) სამეფო კარზე შეინიშნება უთანწმოება. ჩანს, მეფე იძ-ულებულია, სამეფო საუფლისწულოებად დაუყოს და მისცეს მემკვიდრეებს. შესაძლებელია განდგომილ, სამცხე საათაბაგო-სა და სათავადოებად დაყოფილ, სეპარატისტულად განწყო-ბილ ქვეყანაში ამ გზით ფიქრობდა კიდეც ქვეყნის ერთიანობ-

ის შენარჩუნებას. ჩვენამდე მოღწეულ სიგელებში, (20: 241, 257) აღექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე დემეტრე მეფედ იხ-სენიება თავისი ძმების, ვახტანგისა და გიორგის გვერდით. (4: 15, 20, 28) დემეტრემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე, აღ-ექსანდრე დიდისაგან მიიღო სამეფო „დომენის“ მნიშვნელოვა-ნი ნაწილი – „მტკვრის გაღმა მხარის“ სრული ბატონ-პატ-რონობა. „შვილებისათვის მინებებული საგანმგებლოები დროთა განმავლობაში „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოებად გადა-იქცნენ, სადაც „ჯერეთ არ კურთხეული“ უკვე მეფებად მოგვევლინნებ“ (12: 113). ფანასკერტელ-ციციშვილები და ქართლის შსხვილ ფეოდალთა გარკვეული ნაწილი ჯგუფდება „პროვინციის“ მეფე-დემეტრესთან, რათა მისი მხარდაჭერით უზრუნველყონ ყმა-მამულების გაზრდა, უფლებრივი მდგომარე-ობის გაუმჯობესება და დაცვა.

ამრიგად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, „პროვინციის“ მეფის მხარდაჭერითა და თანადგომით „გაღმა მხარეში“, ცი-ხე-სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრის და ყმა-მამულების დაუფ-ლებით იწყება საციცავოს, როგორც სათავადოს ისტორია. ამ მოსაზრებას ამყარებს პალეოგრაფიული წარწერებიც (2: 98), რაც თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე კვლევის საკითხად მიმაჩნია.

XV საუკუნის პირველ ნახევარში მამულების მოურავ-ობიდან აღზევებულ ფანასკერტელთა ეკონომიკური და პო-ლიტიკური მდგომარეობა იმდენად გაზრდილია, რომ ვახტანგ მეფისაგან (1442-1446 წწ.) სრულიად შეუვალნი ხდებიან. ამ-ასთან დაკავშირებით საინტერესოა 6. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული XV საუკუნის დოკუმენტი თუმანიშვილების კოლექციიდან. დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია საციცა-ოს ისტორიისათვის, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტის მნიშ-ვნელოვანი ნაწილის გაცნობა. მემატიანე, მართალია, ტენდენ-ციურია საკუთარი გვარის დამსახურების წარმოჩინებისას და ფანასკერტელების საგვარეულო „ვალებისადმი“, მაგრამ მისი

ცნობები ისტორიულ რეალობას მოკლებული არაა და ამ პერიოდის წყაროთაგან სანდოობით გამოირჩევა.

„ვიკადრებთ პატრონსა თაყას და მისსა შვილსა ზაზას ჩუქუნგან ვალი სძეს. ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალსა იქით მისსა ძმასა პატრონსა დემეტრეს მიანება თაყას გარეთ და თაყა ამისთვის არა მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიუავასძისათვის უნდოდა და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოაკსენა პატრონსა დემეტრეს, ვითა: „წასაკდენლად უნდივარ და ჩემი თავი და მამული მისთვინ არა მოგანებაო. ამაზედან გამრეკელმან აზღომიანთა საქმე მოაკდუნვა, რომე მისი თავი და მამული ვახტანგისად შექმნა და თაყა პატრონსა დემეტრესად დაარჩუნვა და მოარჩინა წაკდენასა...“

მესამე ვალი ესე: პატრონი ბაგრატ მეფე ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა. გიორგი მეფესა დავეთხოვენით და არა გაგუშუნა და მისად უნდომად მამა ჩუქუნი და სამნივე ძმანი წავედით და ჩუქუნითა ლაშქრითა უშუელეთ. ერთსა დღესა შუიდვერ შევიძნით და დავაყრევინეთ მისისა მამულისა ალავი და კენელარა ჩუქუნითა ლაშქრითა გამრეკელი და სამნივე ძმანი შევექოცხნით თაყას გულისათვის და თუ არა, ჩემსა მამულსა შორს იახლნეს...

მეხუთე ვალი ესე: გიორგი მეფემა ატენისა მოურაობა მისცა გამრეკელსა და თაყამან ატენი სოხოვა მეფესა და მეფემან გამრეკელისა საკითხავად დაუდვა. ჰკიოთხა გამრეკელსა, ვითა: „თაყა ატენსა მოხოვს, მოურავი შენ ხარ და რას მივაზირებ, მივსცე თუ არაო, სიმაგრე სხუაცა აქუს და ამასცა კიდევე ითხოვსო. გამრეკელმან ფიცხლა მიცემა გაუპირა და ესე მოაკსენა, ვითა: „ატენსა მის უკეთესსა რას აქნევ, რომე მისთანა კაცი მოიმადლო“. თაყას გულისათვის მოურაობაცა დასთმო და მიცემასაცა გაუპირდა, თუმცა გამრეკელი არა, მეფე ატენსა თაყას არა მისცემდა, მაგრა მან აქნევინა და მეფე დიადალონდა ატენისა მიცემასა.

მექქუსე ვალი ესე: ვახტანგ მეფე თაყას ჭელთა შეპყრობასა აპირობდა. ბადაბეთს იდგეს. თაყა და ჩუენ მუდამად ერთ მე-სადგომენი ვიყვენით. თუით მეფესა ვახტანგს აბჯარი შეეცო და ზედ დასხმასა და ჭელთ შეპყრობასა აპირობდა. ზედა წი-თელაშვილი ივანე შემოესწრა და ასრუ მოაკსენა, ვითა: „რა საქნელია, რასაც აპირობთ: ჯავახიშვილი და იგი ერთად დგა-ნან და, თუ არ მათცა კიდე დაჭვოც, თაყას ჭელთ შესაპ-ყრობლად არ დაგანებებსო. გამრეკელისა ბედითა დაშალეს და ვერა გაბედეს ჭელთა შეპყრობა და თუ არა, შეიპყრობდეს ჭელთა და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს...“ (1: 50, 52).

ღოკუმენტი ნათელს ხდის ერთიანი საქართველოს დაშ-ლის პროცესს, თუმცა დასუსტებული ცენტრალური ხელი-სუფლება განაგრძობს არსებობას. ვახტანგ მეფემ ვერ შეძლო, გაორგულებული ფანასკერტელისთვის ყმა-მამულები და ციხე ჩამოერთმია და ჩიჟავაძისათვის გადაეცა. ჩიჟავაძეების მცდე-ლობა, ბრძოლით დაიბრუნონ XIV საუკუნის მეორე ნახევრი-დან დაკარგული მამულები, მარცხით მთავრდება. მეფეთ-მეფე ვერც ძალით ბედავს ქვეშევრდომის „ჭელთა შეპყრობას“, რადგან იცის, „შეიპყრობდეს ჭელთა და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს,“ ამიტომ იძულებულია მისი „მინებება“. უფრო მეტიც, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი ძმა, „პრო-ვინცის მეფე“ – დემეტრე და მისი სოციალური დასაყრდენი ძალა, ქართლის გავლენიანი თავადები: გამრეკელი, თუმანიშ-ვილები, ჯავახიშვილები, „წყლის იქითელნი დარბაზისერნი“ ფანასკერტელების შხარეს არიან.

„პროვინცის მეფისათვის“ ასეთი მნიშვნელოვანი სამ-ფლობელოს „მინებება“ არ უნდა იყოს შემთხვევითი და თუ ჩვენს მოსაზრებასაც გავითვალისწინებთ, რომ თაყა ფანას-კერტელი დემეტრეს სიძეა, მაშინ ასეთი კავშირი და ერთსუ-ლოვნება დემეტრესა და თაყას შორის ბუნებრივია.

ფანასკერტელები მეფე გიორგი VIII (1446-1465 წწ.) დროსაც ინარჩუნებენ ძლიერებასა და გავლენას. მეფე გიორგი,

როგორც ჩანს, შეეცადა ფანასკერტელებისათვის შეეზღუდა მამულების შეუვალობა. არ ეხმარება საკუთარ „ყმას“, როცა „ბაგრატ მეფე ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა“. თუმცა მეფის დახმარების გარეშეც ახერხებენ დამხმარე ძალების გამოყვანას და გამარჯვების მიღწევას. უფრო მეტიც, სათავადოს ძლიერების სიმბოლოდ ქცეული ატენის ციხე-სიმაგრის წართმევას ცდილობს, თანაც იძულებულია, ქვეშევდომებთან თავისი ქმედება გაამართლოს იმით, რომ „სიმაგრე სხუაცა აქუს“. მეფეს ატენის ციხის მოურავობა გამრე-კელისათვის სდომებია. გამრეკელისვე რჩევით, რაც მნელი დასაჯერებელია დოკუმენტის ავტორისგან, მეფეს ამიტომ აუღია განზრახვაზე ხელი. ფაქტია, მეფეს არ შესწევს ძალა, ციხის წართმევით დასაჯოს და სრულ მორჩილებაში იყოლიოს სათავადოს მფლობელი ფანასკერტელები. წყაროში პირდაპირი მინიშნებაა ფანასკერტელთა ძლიერებასა და შეუვალობაზე. მეფეს ისლა დარჩენია, „რომე მისთანა კაცი მოიმადლოს“, მიუხედავად იმისა, რომ „სიმაგრე სხუაცა აქუს და ... მეფე დია დაღონდა ატენისა მიცემასა“. მეფეს ისლა დარჩენია, სათავადოს სახელოს მნიშვნელოვანი ატრიბუტი – ატენის ციხე ფანასკერტელებს „მიანებოს“ და ასეთი „წყალობის“ გზით დაავალდებულოს მეფის ერთგულებით სამსახური. აშკარაა, რომ ფანასკერტელ-ციციშვილები უკვე სარგებლობენ სრული შეუვალობით (იმუნიტეტით) და თავიანთ მამულში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალნი ხდებიან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად გამოძინარეობს დასკვნა, რომ XV საუკუნის 50-იან წლებში სათავადო-საციციანო ჩამოყალიბებულია და ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ანგარიშგასაწევ ერთ-ერთ აქტიურ ძალად გვევლინება.

დამოწმებანი:

1. ბერძენიშვილი ნ. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1937.
2. ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960.
3. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
4. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები III, თბ., 1913.
5. კაკაბაძე ს., თორელთა გვარეულობის შესახებ, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფ., 1914.
6. კაკაბაძე ს., კვლევა-ძებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, მე-XIV-XVI საუკუნის მესხეთის თავადების სია, ტფ., 1920.
7. ლომინაძე ბ., სამწირველო XIII საუკუნეში, მიმომხილველი, თბ., 1949.
8. მარი ნიკო, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს. პეტერბურგი, 1914;
9. მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, თბ., 2002.
10. მამისთვალიშვილი ე.. ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998.
11. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962;
12. ნინიძე დ., ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, თბ., 2004;
13. საისტორიო არქივი, ფ. 1448, აღწ. 1; საქ. №64.
14. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909.
15. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, პ. კეპელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რედ. მეტრეველი ელ. ტ. 12, თბ., 1976

16. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიზედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
17. ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერთო საკანონ-მდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965.
18. ქართული სამართლის ძეგლები ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
19. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984.
20. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ფორდანიას მიერ, ტ. II, ტფ., 1897.
21. შოშიაშვილი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი, თბ., 1966.
22. შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
23. ძველი საქართველო, II, თბ., 1913.
24. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. S, №3729.
25. ჯავახიშვილი ივ.. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

Manana Michitashvili
Gori State Teaching University, Associate Professor
**FROM THE HISTORY OF ESTABLISHING
SATSITSIANO
SUMMARY**

From the history of Kartli, the history of Satsitsiano princely is less analyzed and monographically studied which can be explained by lack of historical sources. The paper, through the comparative analysis, sets the date for resettlement of the Panaskerteli in Kartli, in the second half of the 14th century.

The paper highlights the movement and settlement of the Panaskerteli on the right side of the Mtkvari river, in the gorges of the Tana and Tedzmi rivers that determined the historical and geographical area of establishment of princely.

The paper, on the bases of historical documents, analyzes how the Panaskerteli –Tsitsishvili with the support of “Province” kings become unapproachable by the side of “Kings of Kings”- the weakened central authority.

With the new interpretation of the important historical sources, the history of establishment of the princely in the mid 15th century is better clarified. From this period the Panaskerteli-Tsistishvili become one of the active and authoritative force in the political processes of the country.

გიორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სრული პროფესორი

**აუგუსტ ჰაქიტჰენი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის
შესახებ (XIX ს. I ნახევარი)**

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი გეგმიურად შეუდგა ქვეყნის კოლონიზაციას. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მოსპობა და რუსული მმართველობის დამყარება ცარიზმს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა, საქართველოში დიდი ხნის ოცნება აესრულებინა და უძველესი ისტორიის და კულტურის მქონე ქვეყანა რუსეთის გუბერნიად გადაექცია. რუსეთმა მყარად მოიღება ფეხი ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. 1783 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა გამოსცა მანიფესტი, რომლის თანახმადაც, რუსეთს შეუერთდა ტამანი, ფუბანი და ყირიმი (5: 141). XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთმა დამორჩილა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხები, მათ შორის: ჩერქეზები, ინგუშები, ოსები, ნოღაელები, ქისტები და სხვ. (2: 53, 61, 71, 73, 81, 113). გეორგიევსკის ტრაქტატმა რუსეთს ხელები გაუხსნა კავკასიაში თავისი დამპყრობლური პოლიტიკის წარსამართავად.

სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ საიმპერატორო კარმა ქვეყნის ეკონომიკური ათვისება დაიწყო და კავკასიაში სავაჭრო მონოპოლია დააწესა. აღსანიშნავია, რომ 1802 წელს გენ. კნორინგი პოლკოვნიკ დრენიანიკინს სწერდა წერილს, სადაც ის საქართველოს „შინაგანი მდგომარეობის“ დაწვრილებით შესწავლას ითხოვდა. რუს მოხელეებს უნდა შეესწავლათ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ქვეყნის საგაჭრო და ეკონომიკური ცხოვრება, ქალაქებსა და

სოფლებში არსებული ვითარება, ქვეყნის ფლორა და ფაუნა, სასარგებლო წიაღისეული და სხვ. (3: 384-385). XVIII სა-უკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XIX საუკუნის I ნა-ხევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უტყუარი სურა-თის აღსაღებნად ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდიან აღ-ნიშნულ პერიოდში საქართველოში ნამყოფი ევროპელი მოგ-ზაურები, რომელთაგან აღსანიშნავია: იოჰან ანტონ გიულდენ-შტედტი, იაკობ რაინეგსი, ელუარდ აიზვალდი, მორიც ვაგნე-რი. უცხოელი მკვლევრები ხშირ შემთხვევაში საიმპერატო-რო კარის დავალებით მოქმედებდნენ და ქვეყნის მეცნიერული შესწავლის მიზნის მიღმა რუსეთის ხელისუფლების საიდუმ-ლო დავალებები იმაღლეოდა, როგორიც იყო: მოსახლეობის პოლიტიკური განწყობა, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერ-ვა და სხვ. ყოველივე ეს ცხადად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის და იაკობ რაინეგსის მაგა-ლითზე. გიულდენშტედტი თავის მიმოწერებში ხშირად ასახ-ელებს საიმპერატორო აკადემიის საიდუმლო ინსტრუქციებს (2: 129), ხოლო იაკობ რაინეგსი პოტიომკინისადმი მიწე-რილ წერილში, რომელიც 1782 წლით არის დათარიღებუ-ლი, რუს მოხელეს აიმედებდა, რომ საქართველოს მოსახლე-ობაში ისეთ პოლიტიკურ განწყობას შეიტანდა, როგორიც რუსეთს სურდა (4: 16). რუსეთ-საქათველოს ურთიერთობის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები შემოგვინახა გერმანელ-მა მოგზაურმა აუგუსტ ჰაესტპაუზენმა. იგი კავკასიაში 1843 წელს იმყოფებოდა და თავისი შთაბეჭდილებები გადმოსცა ორნაწილიან ნაშრომში „ამიერკავკასია“. გერმანიის ერთ-ერთ პროვინციაში – ბოეკენდორფში დაბადებული ჰაესტპაუზენი თავდაპირველად გატაცებული ყოფილა ხალხური ზეპირსიტ-ყვიერების ნიმუშების შეგროვებით, თუმცა, შემდეგ მისი და-ინტერესების სფერო უფრო გაფართოვდა. იგი ერთი პერიოდი სამხედრო სამსახურით იყო დაკავებული, შემდეგ გოიტინგე-ნის უნივერსიტეტში სამართალი შეისწავლა. 1837 წელს

პრუსიულ ლატვიაში ყოფნისას მან რუსეთის საზღვრები გა-დაკვეთა და რუსეთის შესწავლის სურვილი გაუჩნდა. მან რუსეთში მოგზაურობა გადაწყვიტა, რასაც საიმპერატორო კარიც დათანხმდა. ნიკოლოზ I-მა მას 1500 მანეთი ჯამაგი-რიც დაუნიშნა (1: 11). რუსეთი თვლიდა, რომ მისი მოგზა-ურობა იმპერიას სარგებლობას მოუტანდა. ჰაქსტჰაუზენის დაინტერესების საგანს წარმოადგენდა გლეხთა მდგომარეობის შესწავლა რუსეთში. კერძოდ, საბატონო და სახაზინო გლეხთა იურიდიული ყოფა. ხელისუფლებამ მას თარჯიმა-ნიც გამოუყო, გერმანული ენის მცოდნე მოხელე – ადერკასი და სამეცნიერო კვლევისა თუ მოგზაურობისთვის ხელსაყრე-ლი პირობები შეუქმნა. მოგზაურს სამეცნიერო კვლევებისათ-ვის ექვსი თვე მიეცა. გერმანელმა მოგზაურმა სხვა რეგიონ-ებთან ერთად მოიარა კავკასიაც და, როგორც აღინიშნა, თა-ვისი შთაბეჭდილებები გადმოგვცა წიგნში „ამიერკავკასია“. ჰაქსტჰაუზენი საქართველოში იმყოფებოდა 1843 წლის 3 აგ-ვისტოდან 20 სექტემბრამდე. მან ქვეყნის არაერთი რეგიონი დაათვალიერა და საქართველოს შესახებ მრავალფეროვანი ცნობები დაგვიტოვა ჩვნი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკუ-რი და სოციალური ცხოვრების შესახებ. ჰაქსტჰაუზენის თხზულება ძვირფას ცნობებს შეიცავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბევრი დეტალის ირგვლივ. ჰაქსტჰაუზენის სა-ქართველოში მოგზაურობის დროს რუსეთს ხელთ ეპყრა შა-ვი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპირო ზაზი, სადაც სანა-პიროს დაცვის მიზნით ხელისუფლებას სპეციალური სიმაგ-რები ჰქონდა აგებული. მოგზაურის ცნობით, ამ სანაპირო დაცვის მეთვალყურეობა ხელისუფლებისაგან მინდობილი ჰქონდა გენერალ ფონ ბუდბერგს, რომელიც სანაპიროს სი-მაგრებს რეგულარულად (ყოველთვიურად) ამოწმებდა (1: 31). როგორც ჰაქსტჰაუზენი აღნიშნავს: „კავკასიის სანაპი-როს გასწვრივ მცირე აზიამდე რუსეთი ფლობს 20 გამაგრე-ბულ პუნქტს, რომელთა დასაცავად გამოყოფილია 15-18000

კაცი. ისინი არ წარმოადგენენ წესიერ სიმაგრეებს, მაგრამ საკმარისია ყაჩაღური თავდასხმების შესაკავებლად.“ (6: 31). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ამ დროისათვის თითქმის მოთავებული პქნედა კავკასიის დაპყრობა, მისი შენარჩუნება, კერძოდ, ჯარის გადაყვანა და სხვა სამხედრო ხარჯები საიმპერიატორო კარს მეტად ძვირი უჯდებოდა. გერმანელი მოგზაურის ცნობით, კავკასიელი მთიელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის ხელისუფლებას და იმისათვის, რომ იმპერიას თავისი პოზიციები გაემაგრებინა, მას დამატებითი ძალები ესაჭიროებოდა. თუმცა, პაქსტჰუზენის ცნობით, ამ დანახარჯების მიუხედავად, რუსეთისათვის ეს შხარე ძალზე ხელსაყრელი იყო: „ტრანსკავკასიის პროვინცია, რომელიც რუსეთისაგან გამოყოფილია თავისუფალი მებრძოლი ხალხებით დასახლებული მაღალი კავკასიონით და მასთან მხოლოდ სამხედრო გზითაა დაკავშირებული, ამჟამად კერ კიდევ დიდი ტვირთია. ამ მშვენიერი მხარიდან მიღებული მოგება ვერ ფარავს ხარჯებსა და დანაკარგებს. არმიის გარდა, რომლებიც მთიელებს მუდმივი მუქარის ქვეშ ჰყავდათ, ამ პროვინციის დასაჭიროა საჭიროა კიდევ 25-30000 კაციანი რუსული ძალა. ამტკიცებენ, რომ არმია დაძაბვისა და ავადმყოფობებისაგან წლიურად კარგავს თავისი შემადგენლობის 1/6-ს. ამ მხარის დაკავებით, დამორჩილებითა და კულტივირებით მთელი წინა აზიისათვის სრულდება კულტურული და სამომავლი მისია“ (1: 38). კავკასიაში ამ დროისათვის მდგომარეობა მეტად არახელსაყრელი იყო. საიმპერატორო კარის მიერ დაწესებული მოუქნელი მმართველობა და მოსახლეობისათვის მოუღებელი ბიუროკრატიული მექანიზმი არამარტო პოლიტიკური, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც ართულებდა სიტუაციას. ამის შესახებ კერ კიდევ 1829 წლის მოხსენებაში აღიარებდა გრაფი პასკევიჩი, რომელიც წერდა: „კეთილმოწყობილობის გარეგანი სახე მხოლოდ ფარავს მეტად მნიშვნელოვან უწესრიგობას

და ბოროტმოქმედებათ, რომლებიც უკვე დიდი ხანია რაც ფესვგადგმულია და რომელთა აღსაკვეთად დღემდე არ ყოფილა მიღებული არავითარი ღონისძიება. ბოროტების წყარო იმყოფება თვით სამოქალაქო ნაწილის მმართველობის სისტემაში“ (3: 435). რუსი მოხელეებისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიულობა და კორუუციული სიხარბე ხელს უშლიდა კავკასიაში ვაჭრობის განვითარებას, ამას პაქსტკაუზენიც შენიშვნავს: „რა უნდა გაკეთდეს, როცა მთავრობა რამდენიმე წელი წლიურად 100000 მანეთს კარგავს ამ ვაჭრობაში? ვის უნდა ჩააბარო ეს ვაჭრობა და მისი მართვა? რიგით რუს მედუქნეს, ჯარისკაცებს, კაზაკებს? ვაჭრობაში ესენი წარმოადგენენ უხეშ გაქნილებს; ისინი მოატყუებდნენ მთავრობასაც და ჩერქეზებსაც; მათ მობეზრდებოდათ მტკიცე საქმიანი ფასების დაწესება და ყოველთვის და ყველგან ეცდებიან სპეცულაციას! ალბათ, უფრო ჭკვიანური და შესაფერი იქნებოდა, მოძებნათ პატიოსანი გერმანელები, სახელდობრ, ტფილისთან მდებარე გერმანული კოლონიდან, რომლებიც ჩერქეზებთან ისედაც ვაჭრობენ ცხენებით. ამავე დროს, აქ ისინი უნდა წარმოსდგნენ, როგორც მთავრობის სამსახურში მყოფი (ჯამაგირიანი) გამყიდველები. ამ საქმის სათავეში კარგი იქნებოდა ისეთი კაცის დაყენება, როგორიცაა ტფილისელი კოლონისტი ზალცმანი, რომელიც აქ გავიცანი.“ (1: 39). პაქსტკაუზენი საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანას უწოდებს, რომლის მმართველობაც მხოლოდ სამხედრო ძალაზე იყო დამყარებული: „რუსულ არმიას ტრანსკავკასიაში (იმ ნაწილების ჩაუთვლელად, რომლებიც მთიელების წინააღმდეგ დგანან) განსხვავებული პოზიცია უკავია, ვიდრე საკუთრივ რუსეთში; ის მრავალი წელია უცვლელად გარნიზონის მდგომარეობაშია დაპყრობილ ქვეყანაში! მე ზემოთაც აღვნიშნე, რომ მთელი მმართველობა სამხედრო ძალას ემყარება, რის გამოც ქვეყანა ოხრავს, მაგრამ არმია, განსაკუთრებით კი ოფიცრები ჯიუტად იცავენ (ასრულებენ)

მას. ეს მათს ინტერესებშია! მე შევიტყვე, თუ როგორ უნდა დაპირისპირებოდა ამ ინტერესებს ბ-ნი ფონ ჰანის საორგანიზაციო გეგმა (პროექტი). (1: 99-100). ფონ ჰანის პროექტის განმარტებაში ჰაქსტჰენი აღნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მმართველობის გასამარტივებლად საქართველოში სენატორები გამოგზავნა, რომლებმაც, მოგზაურის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, ნახეს „დიდი სისაძაგლეები“. სენატორები, რომლებსაც მოგზაური არ ასახელებს, იყვნენ კუტაისოვი და მეჩნიკოვი, რომელთაც გარკვეული რევიზია უნდა მოეხდინათ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. მათ შემდეგ გამოიგზავნა მოგზაურის მიერ ნახსენები ბარონი განი (3: 439). როგორც პ. გუგუშვილი აღნიშნავს, სენატორთა რევიზიამ არამცოუ დაადასტურა ზემოხსენებული ბოროტებანი (იგულისხმება პასკევიჩის მოხსენებაში მითითებული რამდენიმე „ბოროტება“, რომლებიც იყო მიზეზი საქართველოში და, ზოგადად, კავკასიაში არსებული კრიზისისა – გ.ს), არამედ აღმოაჩინა, რომ ის სინამდვილეში ბევრად აღემატებოდა ყოველივე ცნობილსა და წარმოსადგენელსაც – კი.“ (3: 439). ჰაქსტჰენის ცნობით, ბარონ ფონ განის ჩამოსვლის მიუხედავად, თითქმის უცვლელი დარჩა ყველაფერი: „მაშინ გამოგზავნეს ბარონი ფონ ჰანი, მაგრამ როგორც ზემოთ ითქვა, არათური გამოუვიდა და ყოველივე ძველებურად დარჩა. მმართველ სამხედროთათვის ძალზე ტკბილი იყო ემართათ მილიონები განუკითხავად. შედეგები კი საკმაოდ სავალალოა: ნაყოფიერი საქართველო, მშვიდობის მიუხედავად, მიწათმოქმედების კულტურის მხრივ წინ არ მიდის – გლეხს მხოლოდ იმდენი პურეული მოჰყავს, რაც გამოსაკვებად ეყოფა, რადგან მეტი რომ მოიწიოს, წარმომევენ და მის მწვალებლებს გადააბარებენ! ამიტომაცაა, რომ ნიადაგის ნაყოფიერების მიუხედავად, არმიას რუსეთიდან შემოტანილი სურსათით ინახავენ!“ (1: 100). გერმანელ მკვლევარს კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე, კერძოდ, მმართველი წრეების

მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებასა და ძალადობაზე სხვა მოგზაურთა ცნობებშიც ამოუკითხავს, მაგრამ ის ამ საკითხებზე საუბარს ერიდება და აღნიშნავს: „ძველი და ახალი მოგზაურები ბევრს ლაპარაკობენ ტრანსკავკასიაში გაბატონებულ ბოროტმოქედებზე, მოსყიდვებზე, ძალადობაზე, ყოველგვარ ინტრიგებზე. მეც საკმაოდ მეს-მა ამის შესახებ, მაგრამ არც დრო, არც განწყობა, არც დავალება და მოწოდება არ მაქვს, რათა დავადგინო სინამდვილე; არ მინდა სხვისი ნათქვანის გამოერება გამომივიდეს...“ (I: 100-101). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამპერატორო კარს გარკვეული პრივილეგიები ჰქონდა დაწესებული იმ მოხელეთა მიმართ, რომლებიც კავკასიაში წამოვიდოდნენ სამუშაოდ. იმპერატორი მათ სამმაგ ჯამაგირს უნიშნავდა, „ამას-თან, ხუთი წლის შემდეგ კავკასიაში ხანგრძლივი წესიერი და პატიოსანი შრომისათვის სახელმწიფო სამსახურში მიეც-ემოდათ გაზრდილი ჯამაგირი, ხანდაზმულობისას უზრუნველყოფა, პენსია მეტკვიდრეებს (დარჩენილ ოჯახის წევრებს).“ (I: 98). მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ვითარებისა, ჰაქსტაუზენი ერთგან აღნიშნავს, რომ სახაზინო გლეხთა მდგომარეობა საქართველოში თანდათან უმჯობესდებოდა (I: 90). ჰაქსტაუზენი თავის თხზულებაში ჩერდება საქართველოში მყოფი რუსი ჯარისკაცების ყოფა—ცხოვრებაზე. როგორც მოგზაური აღწერს, უწინ თითქმის ყველა მძიმე სამუშაოს, როგორიც იყო გზების და ხიდების მშენებლობა ხელისუფლება რუს ჯარისკაცებს ასრულებინებდა. მაგრამ იმპერატორის დავალებით, რუს სამხედროებს ეს ვალდებულება მოუხსნეს. რუს ჯარისკაცებს ხელოსნების ნაკლებობის გამო სხვადასხვა ხელობაში წვრთნიდნენ და მათ მიერ გამომუშავებული თანხა შედიოდა ე.წ. პოლკის სალაროში, რომელსაც სამხედროები აკონტროლებდნენ. მოგზაურის ცნობით, რუსი სამხედროები ხანდახან 1000 ვერცხლის მანეთით ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ასეთივე ფულადი გამომუშავება

ჰქონდათ სამხედროების მეუღლეებს. ისინი სხვადასხვა ზელ-საქმით ფულს შოულობდნენ, რაც ასევე პოლკის სალაროში შედიოდა. რუსი სამხედრობისთვის არათუ ნებადართული, არ-ამედ სავალდებულოც ყოფილა დაოჯახება. სამხედრო სამსა-ხურის დამთავრების შემდეგ ჯარისკაცები სამხედრო ნაწი-ლის გვერდით სპეციალურად გამოყოფილ საცხოვრებლებში – კოლონიებში აგრძელებდნენ ცხოვრებას. ჯარისკაცებს სა-ხელმწიფო ხაზინის ხარჯით შეეძლოთ რუსეთიდან ოჯახის ჩამოყანა და პოლკის კოლონიაში დასახლება (1: 101), რაც ხელისუფლების ასევე გრძელვადიანი გეგმის ნაწილი იყო. კავკასიაში მყოფ რუსულ ჯარს ჰაქსტჰაუზენი რომაულ ლე-გიონებს ადარებს და დასძენს: „რუსული არმიების ცხოვრება და პოზიცია ერთგვარად წააგავს რომაულ ლეგიონებისას, რომლებიც მტრის თავდასხმის მოლოდინში მყოფ სასაზ-ლვრო მხარეებში იყვნენ განლაგებულნი.“ (1: 103). ჰაქს-ტჰაუზენი ვრცელ ადგილს უთმობს ცნობილი რუსი მოხე-ლის, ერმოლოვის მოღვაწეობაზე საუბარს. მისი თქმით, ერ-მოლოვმა დიდი როლი შეასრულა კავკასიაში წესრიგის დამ-ფარების თვალსაზრისით, თუმცა მოგზაური არც მისი სისას-ტიკის აღწერას ერიდება: „აქ მყოფი ყველა გენერალ-გუბერ-ნატორიდან ჯარისკაცებისა და თვით ხალხის მეხსიერებაში ყველაზე მეტად გენერალი ერმოლოვი დარჩა. ყველას შეუძ-ლია მის შესახებ რაიმე ამბავი მოგიყვეთ. დამოუკიდებელ მთიელებშიც კი უდიდესი აღიარება მოიპოვა, რადგან იცოდ-ნენ, რომ მასთან იპოვიდნენ ულმობელ და მიუკერძოებელ სა-მართალს. ყველა მისკენ მიემართებოდა საჩივრებით და ისიც, თუ შეეძლო, შველოდა. მაგრამ ერმოლოვი იყო შეუბრალებ-ლად მკაცრი. როცა მთელი სოფელი, ანდა მისი მცხოვრები რაიმეს ჩაიდენდა, იყაჩაღებდა, მაშინვე ეკლესის ანდა სამ-ლოცველოს წინ მოედანს შემოაკავებინებდა, აღამართინებდა სახრჩობელას და დამნაშავეს ჩამოჰკიდებდა. თვით მტრულ მხარეში, ჩერქეზებთან ასეთ მოედნებს დღესაც ზელუხლე-

ბელს ვხვდებით! თუკი მძიმე ყაჩაღობა ან ქურდობა იყო ჩა-დენილი, ხოლო დამნაშავე უმალ არ გამოვლინდებოდა, მა-შინ, მისი ბრძანებით, სოფელს ან მთელ მხარეს, რომელზეც ეჭვი ვრცელდებოდა (დამნაშავის იქიდან წარმომავლობის შე-სახებ), პასუხს აგებინებდნენ და ნავნებს ანაზღაურებინებ-დნენ. ამან ისე იმოქმედა, რო ყაჩაღობაზე არაფერი ისმოდა. ერმოლოვამდე ქართველები არ იყვნენ რუსული მთავრობის ერთგულნი. რუსეთმა აკრძალა ტყვეთა სყიდვა (რაც საქარ-თველოში გაბატონებული იყო); ყოველ შემთხვევაში, საფუძ-ველი ჩაუყარა კანონიერ მდგომარეობას და ერთგვარად ალ-აგმა თავად-აზნაურთა აღვირახსნილობა... ქართველებს გაუჩნ-დათ ზიზდი და გაბოროტება რუსების მიმართ, ნაცვლად იმ-ისა, რომ შეგნებულად შეეხედათ, თუ როგორ იცავდნენ რუსები თურქების, სპარსელებისა და ლეკების მხრივ განად-გურებისაგან. ერმოლოვმა გააღვიძა ხალხის მებრძოლი სუ-ლი, რომელიც წარსული მუდმივი ბრძოლისას, განსაკუთრე-ბით ერკლეს დროს, შეჩვეული იყო სათავგადასავლო ხიფა-თიან ცხოვრებას, ხოლო რუსთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში იძულებული იყო, მშვიდად მჯდარიყო. ერ-მოლოვმა ეს მებრძოლი სული მიმართა მთის ხალხების წინააღმდეგ და განაწყო ქართველები საბრძოლველად. მაგრამ ის შინაური საქმეებითაც იყო დაკავებული; 1823 წლის 8 ოქტომბრის „უკაზი“ ადასტურებს, თუ როგორ ცდილობდა ის ვაჭრობის განვითარებას.“ (1: 102).

ჰაქესტაუზენი დასავლეთ საქართველოში ყოფნისას მოგვითხრობს სამეგრელოს მთავრის – დადიანის შესახებ. მისი გადმოცემით, დადიანი დამოუკიდებელი სამთავროს ხელ-მძღვანელი იყო. დადიანს აღიარებული ჰქონდა რუსეთის უზ-ენაესობა: „მან დღემდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ხელმწიფის (ანუ მეფის) ტიტულიც კი მიიღო. მე მითხრეს, რომ რამდენიმე წლის წინ მას შეაძლიეს 2 1/2 მილიონი ვერცხლის მანეთი, რათა რუსულ მთავრობას ჩამოცლოდა,

მაგრამ დღემდე მას ეს არ გადაუწყვეტია. ამ საუკუნის და-საწყისში ქართლი და იმერეთი თავიანთი მეფების გადადგო-მის შემდეგ უშუალოდ შევიდნენ რუსეთის ფლობელობაში. აქ გავრცელებული იქნა რუსული კანონმდებლობა და მმართვე-ლობა. სამეგრელომ, აფხაზეთმა, სვანეთმა, მაჭმალიანურმა ავ-არიამ და ტარკიმ აღიარეს მხოლოდ რუსეთის უზენაესობა, მაგრამ შეინარჩუნეს თავიანთი მმართველები და საკუთარი კანონმდებლობა და მართვა, გარდა კრიმინალური სამართლი-სა, რომელიც თავიანთი მოსახლეობის დასაცავად დაუქვემდე-ბარეს რუსულ საიმპერიო ოურისდიქციას. (1: 43). ჰაქსტკა-უზენის ცნობით, რუსეთის მფარველობაში იყო შესული ასე-ვე გურიის სამთავრო. გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიელი თავისი ნებით შევიდა რუსეთის მფარველობაში. მი-სი გარდაცვალების შემდეგ, 1829 წელს გურიის მთავრის მეუღლე და მემკვიდრე ანატოლიაში გაიქცნენ. რუსეთი კი გურიას მართავდა „მცირეწლოვანი პრინცის სახელით“ (1: 201). დასავლეთ საქართველოში ყოფნისას გერმანელი მკვლევარი გასაუბრებია რუს მოხელეებს, რომლებიც ადგი-ლობრივ მოსახლეობას უაღრესად ნეგატიურად მოიხსენიებ-დნენ, თუმცა ჰაქსტკაუზენი ადგილობრივი მოსახლეობის აღ-წერისას საქებარ სიტყვებს არ იშურებს და წერს: „მანიც, ეს ხალხი ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერია დედამიწის ზურ-გზე თავისი დიდებული, მეტყველი, გაცისკროვნებული გა-რეგნობით! ამიტომ არ შემიძლია დავიკვერო, რომ ეს დაცე-მულობა საყოველთაოდ გავრცელებული იყოს“ (1: 51). სა-ქართველოს დედაქალაქზე საუბრისას მოგზაური აღნიშნავს, რომ თბილისი რუსული მმართველობის დროს წარმოუდგენ-ლად გაიზარდა, მაგრამ ქალაქი კიდევ უფრო განვითარდებო-და, რომ არ ყოფილიყო ხელისშემშლელი ფაქტორები, კერ-ძოდ, რუსეთის მიერ თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა, რის გამოც სავაჭრო საქონელი ტრაპიზონიდან თავრიზისკენ მიემ-ართებოდა და თბილისს სავაჭრო ფუნქცია ერთი პერიოდი

დაკარგული ჰქონდა (1: 62). როგორც ცნობილია, რუსეთმა ამიერკავკასიაში არსებული საგაჭრო შეზღუდვები 1821 წელს გააუქმა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვდა ფრანგ მოგზაურს უაკ ფრანსუა გამბას, რომელმაც რუსეთის ხელისუფლებას გამარტივებული საგაჭრო გეგმა შეუდგინა (6). რუსული მმართველობის დამყარებას ჰაქსტჰუზენი ბევრ სასიკეთო ძვრას მიაწერს, როგორიც იყო, მაგალითად: გზების გაყვანა, საფოსტო კავშირების დაარსება, სასულიერო ცხოვრების მოწესრიგება, კერძოდ, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობების აღდგენა, მათი სალოცავების განახლება და სხვ. (3: 83-84). მოგზაურის გადმოცემით, საიმპერატორო კარს დიდი წვლილი მიუძღვდა ასევე სწავლა-განათლების მზრუნველობის საქმეში: „ტფილისში, ნუხასა და შემახაში გატარდა ღონისძიებები ხორბლეულის, აბრეშუმისა და ღვინის უფრო სასარგებლო (მიზანმიმართული) მოყვანის-თვის. ყაზარმებში ასწავლიდნენ ახალი კულტურული ვითარების შესაბამის ხელისნებს. მრავალრიცხოვან და გაღარიბებულ თავად-აზნაურთა ვაჟებისთვის დააწესეს უფასო სწავლება პოლკის (სამხედრო) სკოლებში, ყველა საოლქო ქალაქში თავად-აზნაურთა, ვაჭართა და მაღალ მოქალაქეთათვის გაიხსნა სკოლები, აღჭურვილი დამხმარე საშუალებებით. გიმნაზია და მაღალი წრის ქალიშვილთა ინსტიტუტი („კეთილშობილ ქალთა“) პასუხობდა უმაღლესი განათლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამ სასწავლებლების საუკეთესო მოსწავლეებს აგზავნიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში ან პეტერბურგისა და მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებლებში. დამსახურებული პიროვნებების ვაჟებს იღებდნენ სახელმწიფო სამსახურში; თითქმის მთელი კორპუსი შედგებოდა მაპმადიან დიდებულთა ვაჟიშვილებისგან, რომლებსაც აქამდე არ გადაებიჯებინათ თავიანთი მშობლიური ქვეყნის საზღვრებისთვის. საგანგებოდ მათთვის პეტერბურგში გახსნილ სკოლებში ბევრმა აზიელმა საოცარ წარმატებას მიაღწია მეცნიერებასა

და ზოგად განათლებაში; თითქმის ყველა მათგანი დაბრუნდება სამშობლოში, მარძანებლის სიყვარულითა და მორჩილებით გამსჭვალული და დარწმუნებული ევროპული კულტურის უპირატესობაში.“ (1: 84). საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიაში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას ჰაქსტკაუზენი მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ იგი საჭიროდ თვლის მეტი განათლების შეტანას მოსახლეობაში და ამ საქმეში მას რუსეთის ეიმედება. მისი აზრით, სასულიერო ფენის მომზადებისათვის უნდა ყოფილიყო გახსნილი სასულიერო სკოლები, ხოლო საერო განათლების მისაღებად მოსწავლეები უნდა გაეგზავნათ გერმანიაში (1: 142). ნაშრომის დასკვნისათვის ისევ გერმანელი მოგზაურის სიტყვებს დავიმოწმებთ: „ქვეყანაში, სადაც მხოლოდ სამხედრო მმართველობაა, ამას მოჰყვება გაუთავებელი ბოროტმოქმედება და წვალება (იქმნება საფუძველი გაუთავებელი ბოროტმოქმედებისა და ტანჯვა-წვალებისა)!“ (1: 91).

ამრიგად, 1843 წელს საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაურის, აუგუსტ ჰაქსტკაუზენის ცნობები გვეხმარება, უკეთ წარმოვიდგინოთ რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში. სამწუხაროა, რომ ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწყებულ ძალადობას ჩვენი ქვეყნის მიმართ მეზობელი სახელმწიფო კვლავ აგრძელებს, მიზანი ერთია, ხოლო პოლიტიკის განხორციელების მეთოდები კი – უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი.

დამოწმებანი:

1. აუგუსტ ჰაქსტკაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესაცალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II თბ., 1964.

3. გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I თბ., 1949.
4. იაკობ რაინეგხი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული-დან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
5. კოპალიანი ე., რუსეთის ურთიერთობა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2000.
6. Sosiashvili G., French Traveller Jacques François Gamba on Russia-Georgia Relations in the 1st Quarter of the XIX Century, international konferens “art and saiens” Paris, 2012.

Giorgi Sosiashvili

Gori State Teaching University, Full Professor

**AUGUST HAKSTHAUZEN ABOUT THE RELATIONS
BETWEEN RUSSIA AND GEORGIA IN THE FIRST
HALF OF THE XIX CENTURY
RESUME**

The notes by the European traveler are of a great importance in the study of relations between Russia and Georgia. In the XVIII-XIX centuries there were many travelers in Georgia, among them was the German scientist August Haksthauzen, who traveled in Georgia in 1843 on behalf of the Russian Imperial and inherited us precious notes about the relations between Russia and Georgia. In his composition he showed Russia as a conqueror which tried to strengthen own policy in the Caucasus by the help of the military force. Haksthauzen's composition gives us opportunity to say that the ruling style established by Russia in the Caucasus was extremely unacceptable for the population.

დავით ჩოჩიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესიონალური

სკრის ხეობა ქართულ წერილობით წყაროებში

შიდა ქართლის, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა დაკავშირებულია დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის სახელთან. საციცავანოს აღწერას ვახუშტი ბატონიშვილი სკრის ხეობის აღწერით იწყებს და წერს: „დასავლით გორიჯურისა არს ხევი სკრისა, და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. ამ ხეობის დასავლით არს ხუდურეთის ხეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. და არიან ესე ორნი ხეობანი ვენახოვანი, ხილიანნი“. ვახუშტი წერს, რომ „აქაური ღვინო უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე თვინიერ, ჰაერი კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები ეგრეთნი, ვითარცა მთისანი დაგსწერენით, ნაყოფითა და პირუტყვითა“. შიდა ქართლის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს აქაური მიწის მოსავლიანობას. ატენის ხეობის პარალელური მდინარე მეძლებას (იგივე სკრა, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის დროსაც მას უკვე მეძლებას ეძახდნენ), ხეობა ასევე გამოირჩევა მიკროკლიმატით და აქაური ღვინო (ჩინურისა და გორული მწვანის ნაზავი) ნამდვილად არ ჩამოუვარდება ატენურს. მდინარე მეძლება სათავეს იღებს თრიალეთის მთათა განშტოებიდან, გომარეთისა და გალისხევის ქედების ვიწრო ხეობებში ჩამოსული ნაკადულებისაგან. რამდენიმე ხევის წყაროს წყალი ერთად გროვდება და ერთ კალაპოტში მოედინება. მდინარე როგორც კი გაიგავებს სო-

უფლ ქვემო რიეთთან, მთლიანად ვაკეზე მიედინება და მტკვარს ისე უერთდება. მდინარე წყალმარჩხია და ზაფხულობით მინდვრებისა და ბაღების მოსარწყავად არის დარიგებული. სამაგიეროდ, გაზაფხულის წვიმების დროს ისეთი მოვარდნა იცის, რომ ამ ხეობის მოსახლეობას ბევრჯერ უნახავს მისგან წაღებული ბაღ-ბოსტნები და ნახირიც კი. სათავისკენ ხეობა ძალიან ვიწროა და სოფელი კოშკები და მდინარის სათავისკენ მიმავალი გზები მთის კალთებზე მდებარეობს. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხეობა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა დასახლებული. არტქეფაქტები, რომლებიც ამ ხეობაში აღმოჩნდა, საკმაოდ ფასეულია და მოიცავს ქრონოლოგიურ პერიოდს ძვ. წ. II ათასწლეულიდან გვიანანტიკურ და ფეოდალურ პერიოდამდე. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს იმოგზაურა ამ ადგილებში, წერს: „ვიპოვნეთ ორი თიხის კუბო, გრეხილებით შემკობილი და საზოგადოდ ლამაზი ხელობისა... თიხის კუბოები მცხეთაშიც არის ნაპოვნი და ერთი მათგანი ეხლა ინახება კავკასიის მუზეუმში, მაგრამ სკრაში ნაპოვნი კუბონი ხელობით ბევრათ უფრო ლამაზი არიან მცხეთისაზე“. უაღრესად საინტერესოა, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ნამყოფი მეცნიერი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო ყველა სიძველე, სკრაში აღმოჩნდილ კუბოებს აღრის ქართლის დედაქალაქში აღმოჩენილებს და აშკარად საუბრობს მათ უპირატესობაზე. სკრის ხეობაში სხვადასხვა ძველი ნივთები ექვთიმეს მოგზაურობის შემდეგაც მრავლად აღმოჩნდა. ზოგიერთ მოსახლეს მიწაში აღმოჩენილი ქვევრი გადაურჩნია და დღესაც ხმარობს.

მტკვრის ხეობის ის ნაწილი, რომელიც ზემოთ აღნიშნული სამთავროების ტერიტორიაზე გადიოდა, მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო არტერია იყო, რომელიც უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. თავდაცვითი სისტემა მოიცავდა იმ სავაჭრო-სატრანზიტო

გზის მაკონტროლებელსაც, რომელიც ირანთან და ოსმალეთ-თან აკავშირებდა საქართველოს. ეს გზა გაივლიდა აზერბა-იჯანს, სომხეთს, შემდეგ თბილისი-გორი- სურამი-ახალციხე-არტანუჯი-არზრუმს. ეს სავაჭრო-სატრანზიტო გზა სხვადას-ხვა დროს სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი იყო. XIII სა-უკუნეში მან ორი მიმართულება შეიძინა: პირველი: გორი-ტი-ნისხიდი-ურბნისი-რუისი-არადეთი-მოხისი-ტაშისკარი; მეორე გზა მიემართებოდა შემდეგი მიმართულებით: გორი-სკრა-ქარე-ლი-სამწევრისი-წრომი-ცისი-ბრბონა-სატივე-ტაშისკარი-აწყუ-რი. გორი, როგორც ცენტრალური სავაჭრო-სატრანზიტო მა-გისტრალი, თრიალეთსა და ჯავახეთს ორი გზით უკავშირ-დებოდა: ცენტრალური გზა მიემართებოდა ტანას ხეობის გავლით, სადაც მდინარე ტანას მტკვრის შესართავთან მდე-ბარე ზიდი გორს აკავშირებდა მარჯვენა სანაპიროსთან, ხო-ლო მეორე გზა მიემართებოდა მდინარე მეძლებას ხეობით და შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. სამაგიეროდ, მეძლე-ბის ხეობიდან გზა გადადიოდა როგორც ტანას, ასევე ძამას ხეობაში. ეს ორივე ხეობა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალებს და მათი დამაკავშირე-ბელი მეძლების ხეობა მნიშვნელოვანი სტრატეგიული რგო-ლი უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული არეალის ეკონომიკურ ცხოვრებაში. გორის მიმდებარე ტერიტორიის მაკონტროლე-ბელი არა მხოლოდ გორის დედაციზე იყო, არამედ – გორის პირდაპირ მთაზე აღმართული გორივერის ციხე, რომელიც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე იყო მდინარე მტკვრის ხეობაში და აკონტროლებდა საამილახვროს მარჯვენა სანაპიროს.

XVI-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის ჩრდილო-და-სავლეთი ნაწილი მეორე სასპასეტოში შედიოდა. ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, როცა ისტორი-ული ზემო ქართლი (იგივე სამცხე-საათაბაგო) დიდი ხნის მანძილზე ჩამოშორდა ქართლის სამეფოს, მისი სახელწოდება გადავიდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე. XVII საუკ-

უნის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ზემო ქართლის სადროშოში შეძღვი სათავადოები და სამფლობელოები შედიოდა: საამილახვრო, სააბაშიძეო, საფალავანდიშვილო, საფავლენიშვილო, სამაჩაბლო, საავალიშვილო, დაგითაშვილების, ხიდირბეგაშვილების, ხერხეულიძების, ამირაჯიბების, მხეიძეების, დიასამიძეების, შალიკაშვილების, სიამარდაშვილების, თაქთაქიშვილების სათავადოები, ბატონიშვილის საუფლისწულო, ზედგენიძეთა სახლი, თუმანიანთ სახლი, მროველის, ურბნელის, მთავარეპისკოპოსის, სადედოფლო, სვეტიცხოვლის, იერუსალიმის ყმა-მამულები, თვალდამწვრიანების სამფლობელოები, ქავთარაძეები, თუხარელები, ტატიანი, წერეთლები, იტროს წინამძღვარი, აბაზაძეები, დამღაწაშვილები და იაღუზიშვილები.

ქართლის გაღმამხარი შეადგენდა მეოთხე ანუ მეუკანავე სადროშოს, სადაც გვიან შუასაუკუნეებში წარმოიქმნა საციციანო, საჯავახო და სათარხნო. სწორედ გაღმამხარში შედიოდა სკრაც, მაგრამ ის მაღლე შალიკაშვილების სამფლობელო გახდა, თუმცა აქ ყმები სხვა წარჩინებულთა გვარის წარმომადგენლებსაც ჰყავდათ. XVII საუკუნის საბუთით ერეკლე I სახლთუხუცეს ქაიხოსრო ციციშვილს ძველი სიგელის საფუძველზე უბოძებს სკრას, სამწევრისს, კარალეთსა და სადგერს. ციციშვილების საგვარეულო მამული ანუ საციციანო ერთ-ერთ ძირმველ და ძლიერ ფეოდალურ ოჯახს წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოში. მათი მოღვაწეობა, ქართული ისტორიული წყაროებით, სამცხე-საათაბაგოს უკავშირდება, ხოლო XV საუკუნეში შიდააშლილობისა და გარეშე მტრებისგან შევიწროებულნი ქართლში გადმოდიან. საბოლოოდ ციციშვილები გაღმა შხარში XV საუკუნეში მკვიდრდებიან. ისინი ავიწროებენ სხვა დიდგვაროვნებს. თავდაპირველად ისინი ფლობენ ორბოძლელისეულ მამულებს (ხვედურეთ-კეჩიჯვარი) და კარალეთს, უფლისციხეს, ქვახვრელს. შემდეგში ისინი აფართოებენ თავიანთი სათავადოს ფარ-

გლებს, რომელშიც შედიოდა გაღმამხარის დიდი ნაწილი. ამაში მათ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ისინი ზშირად იყვნენ მეოთხე სადროშოს სარდლები.

ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოში შემავალ შემდეგ თემებს აერთიანებდა: ხელურეთისა და ძამის ხევები, გვერდისძირი და გუჯარეთი. ეს იყო ზემო საციციანო. მის შემადგენლობაში მოითვლიდა ციციშვილების დანარჩენ ადგილ-მამულებს, მათ შორის იყო სკრის მამულებიც, რომლებიც უშუალოდ ეკვროდა ხელურეთის ხევს.

ციციშვილების ყმა-მამულის შესახებ ნაწილობრივი ცნობები დაუცავს შედარებით გვიანდელ, 1804 წლის კამერალურ აღწერას. ამ აღწერის მიხედვით, სხვა, საკმაოდ მრავალრიცხოვან ყმებთან ერთად, სკრაში ციციშვილებს ჰყოლიათ 14 კომლი ქართველი ყმა-ოჯახი.

როგორც ჩანს, საციაციანოს ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და მათ შორის კავშირი არა მხოლოდ მტკვრის გზით ხერხდებოდა, არამედ მთის, ანუ ე. წ. „თრიალეთური“ გზითაც, რომელიც სამი მიმართულებით მიემართებოდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ციციშვილები XV საუკუნიდან პრეტეზიებს აცხადებენ ტანას ხეობაზეც. მოგვიანებით კი ისინი ატენის მოურავები ხდებიან. ციციშვილები, რომლებიც ფლობენ თითქმის მთელ გაღმამხარს (საჯავახოსა და სათარხნოს გამოკლებით), რატი ბაღვაშის პოლიტიკურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ცენტრალური ხელისუფლების გავლენა გაღმამხარში უდავოა. წრომისა და ატენის ტაძრები ცენტრალური ხელისუფლების აგებული უნდა იყოს. გვიანი შუა საუკუნეების შიდა ქართლის ქალაქებისათვის საერთო ეკონომიკური დაღმავლობაა დამახასიათებელი. 1795 წელს, აღა მაჰმად ხანის შემოსევისა და თბილისის აოხრების შემდეგ, შედარებით დაწინაურდა გორი. სამხრეთით ოსმალების გაბატონებამ და

საქართველოს სამხრეთი მიწების დაკარგვამ თავისი გავლენა იქონია ქართლის ქალაქებზეც. დაკნინდა ატენი, მძოვრეთი, ახალქალაქი. სამაგიეროდ, დაწინაურდა ანანური, დუშეთი და ცხინვალი. სამხრეთ საქართველოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დაკარგვის შეძლება, ბუნებრივია, იმ ხეობებმაც განიცადა ეკონომიკური კრიზისი, სადაც იქით მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ სკრაზე უმნიშვნელოვანების გზა არ გადიოდა, შედარებით უსაფრთხო იყო და ყოველთვის სრული დატვირთვით მუშაობდა. ხოლო სამხრეთ საქართველოსთან კავშირების დაკარგვის შეძლება სკრის ხეობაც ეკონომიკურად სუსტდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ ისტორიულ ძეგლებს ემჩნევა, რომლებიც ხეობაშია შემორჩნილი. სკრის ხეობის გვიანი შეუა საუკუნეების ძეგლები ნაკლები გრანდიოზულობით, ღარიბი დეკორით და სადა მხატვრული ფორმებით გამოიჩინება.

1609 წელს, მეფე ლუარსაბ II დროს, საქართველოში ოსმალთა ჯარი შემოიჭრა. როგორც ცნობილია, ოსმალეთის სულთანს ბალდადის დაპყრობაში ყირიმელი თათრებიც ეხმარებოდნენ. ბალდადის აღების შეძლება ყირიმში დასაბრუნებლად მათ გზად საქართველოზე გამოიარეს და ნადავლისა და ტყვევების შოვნას მიეკეს ხელი. მათ აიკლეს მანგლისი, კველთა (სწორედ აქ შეიპყრეს და აწამეს ქვეწისა და მეფისთვის თავდადებული მღვდელი თევდორე, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა), ერთაწმინდა, ახალქალაქი. გორს მოახლოებულებმა გადაწყვიტეს, ქალაქი გაეძარცვათ, მაგრამ ერთ-ერთმა ტერტერამ, რომელმაც შემთხვევით დაინახა ურჯულოთა ლაშქარი, გორში გადასასვლელი ხიდის ფიცრები აყარა და ამით გორი აკლებას გადაურჩა. სამაგიეროდ, თათრებმა ჯავრი იმით იყარეს, რომ საციცანოში გადავიდნენ და იქაურობა საშინლად აიკლეს. (ქართლის ცხ. ტ. 4 გვ. 422).

ვინაიდან საციციანოსკენ გზა სწორედ სკრაზე გადიოდა, ამ-ჯერად სოფელი მტრის მიერ სასტიკად იქნებოდა დარბეული.

1633 წელს საქართველოში სპარსელთა დიდი ჯარით შემოვიდა როსტომ ხანი. ქართლის მეფე თეიმურაზი იძულებული გახდა, ქართლს გასცლოდა. როსტომი და მისი ჯარი გორის გარშემო დაბანაკდა. ჯარი იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ 15 ათასი კარავი გაუშლიათ ქალაქის კედლების გარშემო ისე, რომ ქალაქის რომელი მხრიდანაც არ უნდა გასულიყავი, საჭირო იყო გაგევლო მინიმუმ ოთხი მილი, რათა გასულიყავი ჯარისკაცების წრიდანო, – წერდა ამ ამბების თვითმხილველი ჯუსტო პრატო. როსტომმა გორში გარკვეული დრო დაჰყო. მის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გორის ციხის აღდგენა იყო. როსტომმა მხოლოდ 3000 ჯარისკაცი დაიტოვა, დანარჩენი ირანში დააბრუნა. ქალაქში ჩაყენებულ გარნიზონს თეიმურაზი ხშირად ავიწროებდა. 1635 წელს მოხდა დროებითი დაზავება როსტომსა და თეიმურაზს შორის, თუმცა მეფე ყოველშერივ ცდილობდა ყიზილბაშების შევიწროებას და გორიდან განდეგნას. ამაში მას განსაკუთრებული მონდომებით ეხმარებოდა ნოდარ ციციშვილი. როსტომი ამ დროისათვის უკვე თბილისში იჯდა. მან ჯარი გაგზავნა და აჯანყებული ციციშვილი დაამარცხა. ამის შემდეგ მარბიელი ჯარი შეუსია მის მამულსაც. ყიზილბაშთა ჯარმა სკრის ზემოთ საციციანო დაარბია. როგორც ჩანს, ამ დროს სკრა დარბევას გადაურჩა.

XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთს საშინელი საფრთხე დაემუქრა დაღესტნელი ფეოდალების შემოსევების სახით. მარბიელ ლაშქრობებზე გადასული დაღესტნელი ფეოდალები თავიანთი რაზმებით ელვის სისწრაფით შემოესეოდნენ ხოლმე ქართულ სოფლებს, მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაყვანა და წაღებაც შეიძლებოდა. განსაკუთრებული მონდომებით ისინი ადამიანების დატყვევებას ცდილობდნენ, ვინაიდან მათი გაყიდვით კარგი შემოსავალი შეიძლებოდა მი-

ეღოთ. შემოსევებმა და მარბიელმა ლაშქრობებმა იმდენად ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარი იძულებული იყო შეექმნა რეგულარული შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ყოველთვის მზად იქნებოდნენ შემოსეული მტრის მოსაგრიებლად. ოეიმურაზ II-ის ბრძნებით 1756 წელს შეიქმნა „მონაცვლე ჯარის“ დავთარი, რომლითაც განისაზღვრა, თუ რამდენი ყარაული უნდა გამოეყვანა თითოეულ თავადს, დიდსა და მცირე ქალაქს თუ სოფელს ერთი თვის სამყოფი სურსათით. ბრძანების მიხედვით, ზემო ქართლს (საამილაზვროს, საფალავანდიშვილოს) და ა. შ.) ყოველთვის უნდა გამოეყვანა 168 მებრძოლი, აქედან 84 ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი. ამ რეგულარული, ანუ „მორიგე ჯარის“ საერთო რიცხვი 1000 მეომარს შეადგენდა. ზოგიერთი ცნობით, მთიელი მტაცებლებისაგან ქვეყნის თავდასაცავად თეიმურაზს ყოველწლიურად 2 ათასამდე ცხენოსანი მიღიცა (ნოქარი) გამოჰყავდა, რომელსაც ფურაჟი ხაზინიდან ეძლეოდა, ხოლო ჯამაგირს თავიანთივე სოფლები აძლევდნენ, დაახლოებით 30-40 მანეთამდე წლიურად. ქართლ-კახეთში ლეკთა ინტენსიური შემოსევების მიმართულებები და, აქედან გამომდინარე, სამდევროს სოფლების ნუსხა განისაზღვრა. სამდევროების გეოგრაფია საკმაოდ მოხერხებულადაა მოფიქრებული და მოიცავს ტერიტორიას მდინარე ლეხურის წყლიდან-ალისწყლამდე და სამაჩაბლოდან გორ-ქარელამდე. 1756 წლის ივნისის თვეში ლეკის ჯარი სოფელ კარალეთს დაესხა, გალავანი აიღო და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიყვანა. ერეკლე მეფე ლეკებს სკრასთან წამოეწია, დაამარცხა ისინი და ნადავლი დააყრევინა.

1770 წელს, 12 აპრილს ერეკლე II მურავიოვს სწერდა, რომ კახეთის იმ ადგილებში, სადაც ლეკის ჯარის შემოსევის ყველაზე მეტი საფრთხე არსებობდა, ჯარი იდგა, რომელსაც ჯამაგირი ეძლეოდა. ჯამაგირი იმის მიხედვით იზრდებოდა, სტრატეგიულად რაც უფრო მნიშვნელოვან ადგილს

იცავდა ყარაული. ქარელისა და გვერძინეთის ყარაულებს ეძლეოდათ რვა მინალთუნი, მღვრიე წყლის ყარაულებს-ოთხი, ხოლო სკრის ხეობის ყარაულებს – ექვსი მინალთუნი. სკრის ხეობის ყარაულებისათვის შედარებით ნაკლები ჯამაგირი იმის გამო იყო დაწესებული, რომ ეს ხეობა შედარებით დაცული იყო იმ ინტენსიური შემოსევებისაგან, რომელსაც ქართლ-კახეთი განიცდიდა XVIII საუკუნის II ნახევარში.

ვახუშტი ბატონიშვილი, როცა საუბრობს საქართველოს წარჩინებულთა გვარებზე, სამცხის დიდებულებს შორის ჯაყელთა საგვარეულოს შემდეგ ახსენებს შალიკაშვილებს: „ხოლო სამცხეს: ჯაყელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა; შალიკაშვილი, თავდგირიძე...“ და სხვები. ვახუშტი ასევე აღნიშნავს, რომ ეს გვარი სწორედ სამცხიდან ჩამოვიდა: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხი-დამ“, ხოლო ცოტა ქვემოთ წერს: „შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან (ქართლში).“ შალიკაშვილების სამცხიდან წარმომავლობაზე მიუთითებს ექვთიმე თაყაიშვილი თავის „მოგზაურობაში“ და აღნიშნავს: „სკრის ხეობა წინეთ ეკუთვნოდათ თავადთ შალიკაშვილებს. შალიკაშვილები ძველი წარჩინებული გვარია სამცხე-საათაბაგონისა. საათაბაგოს გათათრების შემდეგ ერთი შტო შალიკაშვილებისა გადავიდა გურიაში, მეორე კახეთში და მესამე დასახლდა ქართლში და შეიქმნა პატრონი სკრის ხეობისა“.

XVI საუკუნიდან ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ იწყება შალიკაშვილების, ავალიშვილების, დიასამიძეთა და სხვა ფეოდალური საგვარეულოების გადმოსახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის, შიდა ქართლშიც. სხვა საგვარეულოებთან ერთად შალიკაშვილები მოხსენიებულნი არიან 1516 წელს შედგენილ მცხეთის საკათალიკოსოში შემავალ სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიაში. შალიკაშვილთა სათავადო ღირსება აღიარებულ იქნა

ქართლის მეფების ლუარსაბ II (1606-1615) და ვახტანგ VI (1703-1724) მიერ 1611 და 1724 წლებში გამოცემული სიგელებით. სამცხიდან მოსული ქართლის თავადები შალიკაშვილები იხსენებიან იმ თავად-აზნაურთა სიაშიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფები, ერეკლე მეორემ (1744-1798) 1783 წელს წარუდგინა რუსეთის საიმპერიო მთავრობას. შემორჩენილია შალიკაშვილების საგვარეულო გერბი. მის ცენტრში მოთავსებულ საბრძოლო ფარზე ზემოთა მხარეს ნახევარმთვარე და ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული, ხოლო ქვემოთ-მახვილის, შუბისა და ისრის კომბინაცია. ეს გერბი შეტანილია რუსი მკვლევრის, ვ. ციხინსკის ნაშრომშიც. გარდა აქ მოცემული გერბისა, არსებობს შალიკაშვილების საგვარეულო გერბის სხვა ვარიანტიც.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიისთვის მიერთების შემდეგ რუსეთის სენატმა სხვა ქართველ თავად-აზნაურთა გვერდით ოფიციალურად აღიარა შალიკოვების (შალიკაშვილების) სათავადო ღირსება, ხოლო მოგვიანებით, იმპერატორმა აღექსანდრე მეორემ კვლავ აღიარა ამ გვარის პატივი. შალიკაშვილების ერთი საგვარეულო შტო, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ თავადი ედიშერ ვახუშტის ძე და მისი შვილები – დიმიტრი და დავითი, 1724 წელს ვახტანგ მეექსეს გაჰყვნენ ემიგრაციაში და ასტრახანში დასახლდნენ.

შალიკაშვილების დიდებული გვარი შემდეგაც მრავალ ისტორიულ წყაროშია მოხსენებული. სამცხის თურქ-ოსმალთა დაპყრობის შემდეგ თავადებთან ერთად გლეხებიც ტოვებდნენ აქაურობას. ყოფილი მემამულები ზრუნავდნენ, რომ შეძლებისდაგვარად გადმოეყვანათ და ახალ სამფლობელოებში დაესახლებინათ ყოფილი ყები. XVIII საუკუნის დასაწყისში შალიკაშვილის ბოგანოები დასახლებულან ვარდან ფავლენიშვილის მამულში, სოფელ სხლათში, ხოლო 40-იან წლებში ვარდანის ძმისშვილის, ერეკლეს მამულში როჭიკა

შალიკაშვილის ყმები სახლობდნენ. თვითონ როჭიკა შალიკაშვილს ფხვენისში, სკრასა და ძევერაში ჰქონდა ყმა-მამული, რომელთა განსახლების სიგელი უწყალობა როსტომმა 1658 წელს და თამაზ და გიუნა ზედგენისძეების ნაქონ ადგილებში დასახლა. მემამულები ცდილობდნენ, რომ არა მარტო საკუთარი ყმები დაესახლებინათ ახალ მამულებში, არამედ მეზობლების ყმებიც მიესაკუთრებინათ.

პირველი ისტორიული დოკუმენტი სკრის შესახებ არის „განჩინება ლუარსაბ I-ისა გოფვარ და როინ ჯავახიშვილების გაყრის საქმეზე და თარიღდება 1527-1558 წლებით. ამ დოკუმენტში მოცემულია ორი დიდებულის გაყრის შედეგად თითოეულისათვის შეხვედრილ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომელთა შორის არიან სკრაში მოსახლე გლეხებიც. აზნაურ გოშვარ ჯავახიშვილს წილად ხვდა სკრაში მოსახლე შემდეგი გლეხები: „..ნიორასბე, მშეიდობასე შალვა და დავითაი მთელით მამულითა, მახატელაშვილი სულია ნახევარ მამულითა, თიბელაშვილი ოქროპირი მისით მამულითა, პეტრიაშვილი კუირიკა მისით მამულითა, სამსონაშვილი იმედა მისით მამულითა, ფუტურაული მამული, ორნი განაყოფნი ილარიშვილნი მათით მამულითა, მახარაშვილი ნახევარი იანაყმაურითა, თანდილა, არზანა მისით კერძით მამულითა, ზაქიტა ოსიაშვილი მისით მამულითა, იმარინდო მისით მამულითა, ჯანია მისით მამულითა, მამუჩა მისით კერძით მამულითა, ლიპარიტა ბაციცაშვილი მისით მამულითა, გულია დოლასძე მისით მამულითა, ცხადია საღაპოს გარეთ მისით მამულითა, დედისმამას ნაოხარი სააღაპოს გარეთ, მარკოზას ნაოხარი, კაგაშვილი გიორგი ბეშქენას მამულზედა, მამისასშვილი, თეგას ძე ნარიმნას მამულითა, ყაზანურის მამულზე და გიორგი“, ხოლო როინ ჯავახიშვილს და მის ბიძაშვილებს შეხვდათ: „იტყუილაშვილი მისით მამულითა, გორგამიჭის ძე ოქრუა ნახევარ მამულითა, დავითაშვილი მისით მამულითა, გიორგი სპანდიერაშვილი მისით კერძითა მამულითა და კარაპე-

ტის მამულითა, პეტრიაშვილი შოშია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ გვართაგან ზოგიერთი (კაკაშვილი, მშვიდობაძე, მახარაშვილი...) დღესაც ცხოვრობს სკრაში.

მომდევნო საბუთი ეკუთვნის ალიხანას და ალავერდას ყმის საქმეზე განჩინებას და თარიღდება 1645 წლით. ამ დოკუმენტში საუბარია ალავერდ და ალიხანა შალიკაშვილების ცილობაზე ერთი კომლის შესახებ. საბუთით დგინდება, რომ ალავერდა შალიკაშვილი ტყეულად ესარჩლებოდა ალიხანას.

ქართული სამართლის ძეგლებში მრავლადაა დადასტურებული შალიკაშვილების ფეოდალური სახლის წარმომადგენლები, რომლებიც გვევლინებიან მოსარჩლეებად, მოწმეებად და ასე შემდეგ. დოკუმენტების უმრავლესობა ეკუთვნის იმ პერიოდს, როცა შალიკაშვილების საგვარეულო ქართლშია დამკვიდრებული.

სკრისა და შალიკაშვილების შესახებ ქართული სამართლის ძეგლებში მომდევნო საბუთად 1751 წლის საბუთია, სადაც დავა როჭიკაშვილებისა და ბასტამაშვილების ყმის შესახება: „როჭიკასშვილები და ბასტამასშვილები სკრას ლამაბაშვილზე ლაპარაკობდნენ. მოკითხული ვქნით და ეს ლამაბასშვილი დიდიხნის სკრას დასახლებული ყოფილიყო და ბარათშიაც ჩაეგდოთ, როჭიკანი რომ გაყრილიყვნენ, და ზაალ როჭიკაშვილს რგებოდა. როჭიკანთ მოწმეებიც მოიყვანეს; მანამ სკრას სახლებულიყო ლამბალასშვილი, სულ როჭიკაანთათვის ემსახურებინა. ეს ლამაბასშვილი სამართლით როჭიკაანთ დარჩა. ბასტამაშვილებს ამასთან საქმე არ აქვსთ“.

XVIII საუკუნეში სკრის მამულები და ყმები ხშირად ხდება სადაც. ეს ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ დროს საქართველოს ისტორიაში შიშიანობის პერიოდია და ლეკების განუწყვეტელი თავდასხმები ხშირად შიდა ქართლსაც უწევდა, რაც ბუნებრივია, იწვევდა მოსახლეობის გადახიზენას, სხვა, უფრო უსაფრთხო ადგილას თავის შეფარე-

ბას და მათი ყოფილი თუ ახალი ბატონების მიერ მათი და-საკუთრების მცდელობას. ერთ-ერთი ასეთი სასამართლო და-ვა ზაქარია ციციშვილსა და დავით მირზაშვილს შორის ყო-ფილა და 1768 წლის 16 ივნისის განაჩენით დასრულებულა, რომლის მიხედვითაც, ვინმე ჯობინაშვილი, რომელიც ჯაგა-ხეთიდან გადმოხიზნულა და სკრას დასახლებულა, ორ ფე-ოდალურ ოჯახს შორის დავის საგანი გამხდარა; „... ეს ჯო-ბინაშვილი ჯაგახეთიდამ რომ გარდმოსულა, პეტრე ავალიშ-ვილს მოსვლია. ქალანთარი წაზდავებია, გამოურთმევია, სკრას დაუყენებია, მამაც იქ მოჰკომია. სკრა რომ დაცლი-ლა (...) ეს ჯობინაშვილები ტირმისის მისულან და იქ დამ-დგარან...“

ქართული სამართლის ძეგლებში მოცემულია სკრის ბა-ტონების, შალიკაშვილების სადავო განჩინებები ყმებსა და მა-მულებზე ცილობის თაობაზე მეზობელ თავადებთან – ციციშ-ვილებთან, ფავლენიშვილებთან... ერთ-ერთი ასეთი სახის გან-ჩინება ერეკლე მეფეს უბოძებია 1768 წლის 16 აგვისტოს, რომლითაც მამული შალიკაშვილების საბოლოო მფლობელო-ბაში გადავიდოდა, თუ ეს უკანასკნელი მოფიცრებით წარ-სდგებოდა სასამართლოს წინაშე. დავა იმით დასრულდა, რომ პაპუნა ფავლენიშვილმა მოფიცრები „სრულად იშოვნა“ და სადავო მამულებიც სამართლის ძალით ფავლენიშვილებს დარჩათ.

როგორც ცნობილია, შალიკაშვილების სათავადო მამუ-ლები ზემო ქართლის სადროში შედიოდა. მისი საზღვრები სხვადასხვა დროს იცვლებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახე-ვარში სადროში 15 სათავადოს ითვლიდა და ერთ-ერთი მათ-განი შალიკაშვილების სათავადოც იყო, რომელიც საუკუნის I ნახევარში ზემო ქართლის შემადგენლობაში არ შედიოდა. ეს სადროში, რომელსაც ამილახვრები მეთაურობდნენ, ასრუ-ლებდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ფუნქციას. სახელმწიფო-ში აღწერები და ჯარის მობილიზება სწორედ სადროშოების

მიხედვით ხდებოდა. მასში შემავალი სათავადოები ვალდებულნი იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში ჯარიც გამოეყვანათ და გადასახადებიც აეკრიფათ.

დამოწმებანი:

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები, თბ., 1990.
2. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.
3. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, თბ., 1964.
4. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ., 1, ტფ., 1907.
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძნიშვილის რედ., თბ., 1941.
6. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
7. ზაქარაია პ., სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1959, ტ. 20.
8. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I ნაწ., თბ., 1994.
9. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, II ნაწ., თბ., 1999.
10. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
11. ქს.ე. 2, თბ., 1977.
12. ქს.ე. 6, თბ., 1983.
13. ქს.ე. 9, თბ., 1985.
14. ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII ს), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
15. ჯავახიშვილი ნ., შალიკაშვილები, თბ., 2005.

16. ჩუბინაშვილი გ., სევეროვი ნ., ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 4, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1972.

Davit Chochishvili

Gori State Teaching University, Associate Professor

**SKRA GORGE IN GEORGIAN WRITTEN SOURCES
RESUME**

Skra Gorge is one of the important gorges in Shida Kartli, which was settled even in the Bronze Age. At different times this gorge used to be included in Satsitsiano. The part of the Mtkvari Gorge being at the area of Satsitsiano was the main trade and transit artery and at the same time being one of the most important transport line during all middle ages. It contained quite organized systems of accessory defenses. Furthermore, it was a kind of controlling way of those trade and transit road which connected Georgia to Iran and Ottoman Empire. This road went through Azerbaijan, Armenia, and later Tbilisi-Gori-Surami-Akhalsikhe-Artanuji-Arzrumi.

Gori, being the center of central trade and transit line in Shida Kartli was linked to Trialeti and Javakheti in two ways: the first it was the central road going through the Tana Gorge, and the second went through the river Medzleba Gorge and was less important. However, the road from Medzleba gorge went through Tana and Dzama gorges. Both these gorges were important strategic links. The controlling point of Gori area was not only Gori Castle but Gorijvari as well, which was an important castle in the river Mtkvari gorge. It was towered on

the mountain near Gori and controlled the right part of Saamilakhviro.

In Georgian historical sources Skra Gorge is mentioned in the late period of middle ages when it got other function after the loss of Samtskhe and after the Ossetian invasion. Georgian feudal families named Shalikashvili are settled in the Skra Gorge and they owned it till October Revolution.

თოარ ჯანელიძე

იღვიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესიონალი

**სპირიდონ კედიას არქივი - საქართველოს ისტორიის
მნიშვნელოვანი პირველწყარო**

ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქართული ემიგრაციის თემისადმი, რომელსაც, ისტორიკოსების გარდა, შეისწავლიან ფილოლოგები, პოლიტოლოგები, ხელოვნებათმცოდნები და სხვ. უკვე გამოქვეყნდა სოლიდური მონოგრაფიები, ნარკვევები, საუკრნალო და საგაზეთო პუბლიკციები. მათში ობიექტურად არის წარმოჩენილი მრავალი ადრე ტაბუდადებული ფაქტი თუ მოვლენა და ახლებურადაა გააზრებული არაერთი საკითხი, რომლებიც საბჭოურ პერიოდში ტენდენციურად შუქლებოდა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ მიმართებებით კვლევა დასრულებულია და დასამუშავებელი აღარაფერი დარჩა. როგორც იტყვიან, „სამკალი კვლავაც ფრიად არს“. მით უფრო, რომ დღეს მკვლევართათვის ხელმისწავდომი ხდება აქამდე უცნობი ბევრი პირველწყარო, დოკუმენტური მასალა, ემიგრანტული პრესა, მემუარული ლიტერატურა და მისთ. საქართველოში ბრუნდება მნიშვნელოვანი ეროვნული მემკვიდრეობა – ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების, მწერალთა, მეცნიერთა, სამხედროთა და სხვ. ოჯახებში შემორჩენილი საარქივო ფონდების სახით, რომლებმიც არსებული ცნობები ახალ შესაძლებლობას იძლევა, უფრო შთამბეჭდავად გავაცოცხლოთ გარდასული დღეები, სახიერად აღვბეჭდოთ იმ აღამიანთა პორტრეტები, ვინც განსაზღვრავდა ხსენებული ეპოქის მაჯისცემას.

„უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია“, - გვასწავლის ბრძენკაცი ილია ჭავჭავაძე (1: 187). ამიტომ, ვისაც სურს, მომავლის ნერგმა იხაროს, გამრავლდეს და გაძლიერდეს, იგი გულდასმით უნდა სწავლობდეს ნამყოს, ეძებდეს და წინაპართა გამოცდილების სახით საჭირო გაკეთილი გამოჰქონდეს ისტორიიდან.

ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია ქართული ემიგრაცია, მისი ნაღვაწ-ნაამაგარი თუ ნაზრევი, რომლის არათუ კვლევის, გაცნობის შესაძლებლობასაც კი დიდი ხნის განმავლობაში მოკლებული ვიყავით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ემიგრანტთა დიდი ნაკადი ევროპისაკენ საქართველოდან XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს დაიძრა. ეს მოვლენა განპირობებული იყო ბოლშევიკური რუსეთის უხეში ძალმომრეობით, რომლის წითელი არმიის ნაწილებმა 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია განახორციელეს. საქართველოში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, დამფუძნებელი კრების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე სამხედრო ელიტა და სხვ. დაპყრიბილ სამშობლოს გაეცალა და უცხოეთში გაიხიზნა. ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველთა ახალმა ტალღამ საზღვარგარეთს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხის შემდგომ მიაშურა. ასე აღმოჩნდა „უცხოეთის ცის ქვეშ“ ქართველი ერის წარმმართველი ნაწილი - მისი საზოგადოებრივი ელიტა, რომელიც თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა გარდა ქართული კულტურის, მეცნიერების, სიტყვაკაზმული მწერლობის, სამხედროთა თუ სხვა მრავალ ღირსეულ წარმომადგენელს აერთიანებდა. საზღვარგარეთ გაფანტული ამ ადამიანების რიცხვი სამი ათასს აღწევდა. საქართველოში ძალაუფლებას დაპატრონებული კომუნისტური ხელისუფლება ყველა ემიგრანტს სამშობლოს მოღა-

ლატედ აცხადებდა, ებრძოდა დასაშვები თუ დაუშვებელი მე-
თოდებით. ათასგვარი ცილისწამებით, უსაფუძვლო ხმების
დაყრითა და სხვა პროპაგანდისტული ხერხებით მათ თანამე-
მამულეთა თვალში სახელს უტეხდა და უმრუდებდა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, ძირითადად, საფ-
რანგეთში დამკიდრდა. ბოლშევიკური მარწუხებისაგან სა-
ქართველოს გამოხსნისათვის ბრძოლის ცენტრად პარიზი იქ-
ცა, სადაც, ემიგრირებული მთავრობის გარდა, ბინა დაიდო
სამშობლოდან დევნილი ქართული პოლიტიკური პარტიების
თითქმის ყველა ლიდერმა. მათ შორის იყო საქართველოს
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი
და პირველი თავმჯდომარე სპირიდონ კედია.

თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე სპირი-
დონ კედია გამორჩეული სახელია საქართველოს ახალ ის-
ტორიაში. იგი ერთი იმათვანია, ვინც მნიშვნელოვნად განსაზ-
ღვრავდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული
საზოგადოებრივი და ეროვნულ-პოლიტიკური აზრის სიმაღ-
ლეს.

სპირიდონ კედია „მამულის მსახურების“, საქართველოს
აღდგენა-გამოხსნის იმ გზის ღირსეული გამგრძელებელი იყო,
რომელსაც სათავე დიდმა ილია ჭავჭავაძემ და „ორგზალე-
ულებმა“ დაუდეს. ღრომ და ისტორიაში სპირიდონ კედიას
უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა. მას წილად ხვდა პა-
ტივი, დაეფუძნებინა და ეხელმძღვანელა იმ სახის პოლიტი-
კური ორგანიზაციისათვის, რომლის შესაქმნელად სიცოც-
ხლის ბოლო ჟამს გატაცებით იღვწოდა ერის სულიერი მოძ-
ღვარი ილია ჭავჭავაძე.

ზუგდიდში დაბადებული და ქუთაისის კლასიკურ გიმნა-
ზიაგავლილი სპირიდონ კედია უმაღლეს განათლებას ევროპა-
ში – სორბონის, ტულუზისა და მონპელიეს უნივერსიტეტებ-
ში დაეუფლა. პირველი მსოფლიო ომის წინ სამშობლოში
დაბრუნებული მომავალი პოლიტიკოსი 1915 წელს გაზეთ

„საქართველოს“ აარსებს, ხოლო შემდეგ ახერხებს ქუთაისსა და თბილისში ცალ-ცალკე მოღვაწე ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფების გაერთიანებას და ამ საფუძველზე ახალი პოლიტიკური ძალის – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებას. ამ მართლაც ეროვნულმა, იმხანად მოღვაწი სოციალისტური მსოფლმხედველობისაგან თავისუფალმა პირველმა ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ წარუშლელი კვალი დატოვა როგორც საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის, ისე საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში.

ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი სპირიდონ კედია, მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია ოპოზიციაში ედგა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას, აქტიურად იყო ჩართული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. იგი, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების დებუტატი, ქმედით მონაწილეობას იღებდა და ქვეყნის საკანონმდებლო საქმიანობაში, მათ შორის საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შექმნასა და დამტკიცებაში.

1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სპირიდონ კედია საქართველოდან გაასახლა, როგორც ახალ რეჟიმთან დაპირისპირებული და შეურიგებელი მოღვაწე. აქედან მოყოლებული გარდაცვალებამდე (1948 წლის მაისი) იგი ემიგრაციაში იმყოფებოდა, ცხოვრობდა საფრანგეთში. თავიდან შეუერთდა ნოე ჟორდანის დევნილ ხელისუფლებას, რომელიც ბოლშევკიკური ოკუპაციისაგან საქართველოს განთავისუფლების პოლიტიკურ თუ სხვა გზებს სახავდა და პრაქტიკული მოქმედებისათვის ემზადებოდა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამო, რომლის იდეასაც სპირიდონ კედია არ იზიარებდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას გაემიჯნა და მიზნად ურთიერთდაბირისპირებული ქართული ემიგრაციის გამთლიანება დაისახა.

სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უცხოეთში მებრძოლი ყველა პოლიტიკური ძალის ერთიან ეროვნულ ფრონტში გაერთიანება სპირიდონ კედიას მთავარ საზრუნავად იქცა. ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მის მიერ პარიზში 1925 წელს დაარსებული ურნალი „სამშობლოსათვის“ და 1932 წელს გამოცემული გაზეთი „საქართველოს გუშაგი“.

სპირიდონ კედიას კარგად იცნობდნენ, ენდობოდნენ და აფასებდნენ დასავლეთის ანტიკომუნისტურ წრეებში. პირადად შეხვედრია ბევრ გამოჩენილ უცხოელ პოლიტიკურ, სახელმწიფო, სამხედრო თუ სხვ. გავლენიან მოღვაწეს, რომლებთანაც ურთიერთობას საქართველოს საკეთილდღეოდ გეგმავდა და იყენებდა.

სპირიდონ კედია 1942 წელს გერმანელთა მიერ ბერლინში შექმნილი „ქართული ეროვნული კომიტეტის“ წევრი იყო. ამ კომიტეტის ძალისხმევაც საქართველოს განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული.

თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში (გარდაიცვალა 64 წლისა), სპირიდონ კედია ჩართული იყო მრავალ საქვეყნო, საზოგადო თუ პოლიტიკურ საქმეში, უშუალოდ მონაწილეობდა ან თვითმხილველი იყო საქართველოს ახლო წარსულის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენისა, რომლებიც შესულია და დარჩება ისტორიაში.

სწორედ ამ თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა წინამდებარე პუბლიკაციის ავტორის მონოგრაფია სახელწოდებით: „სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი“, რომელიც 2002 წელს თბილისში გამოიცა. წიგნი, ბუნებრივია, სპირიდონ კედიას ქალიშვილს, პარიზში მცხოვრებ თეო კედია-ჩიჯავაძესაც გავუგზავნე. ქალბატონი თეოსაგან ძალიან მაღე საყურადღებო წერილი მივიღე, რომელშიც აღნიშნული იყო: „გრძნობამორეული გეითხულობ თქვენს წიგნს, რომელიც გადმომცა თქვენი სა-

ხელით ბატონმა ჯანრი კაშიამ. ეს ჩემთვის უძვირფასესი საჩუქარია, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. თქვენის წყალობით უხვად ვეცნობი ძვირფასი მამაჩემის მოღვაწეობის ფართო სპექტრს, რომელიც ანათებს მის მსოფლმხედველობას. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, მაგრამ ასე რეალურად გადაშლილ სურათს დღემდე მოკლებული ვიყავი. პირნათლად ემსახურებით, ბატონო ოთარ, ისტორიის სიმართლეს, მის სინამდვილეს და ამისათვის არასა ზოგავთ. ამოდენა შრომა, ურიცხვი არხივების ხილვამ და საბოლოვოდ თქვენმა ცოდნამ ძირფესვიანად ამოკენჭა მამაჩემის გზა-ნაბიჯები, ამიტომაც ასე გულმოდგინედ ფეხდაფეხ მის-დევთ მის კვალს! მაწუხებს მხოლოდ, რომ ჩემს გვერდით ჩემი საყვარელი დედა ჩემთან ერთად ამ წიგნით ვერა სტკბება. კიდევ დიდი მადლობით გისურვებთ, ბატონო ოთარ, ყოველგვარ სიკეთეს: დღეგრძელობას და მრავალ მზიან დღეებს თქვენიანებთან ერთად ჩვენ ლამაზ საქართველოში, დროებით ... დაჩაგრულს.

საუკეთესო სურვილებით და ქართული სალმით თეო კედია-ჩიჯავაძე“.

ჩემი მომდევნო შეხმიანებისას ქალბატონ თეოსთან, დაიბადა აზრი, რომ სპირიდონ კედიას ოჯახში დაცული არქივი საქართველოში ჩამოგვეტანა. რაკი ამ დელიკატურ საკითხზე თანხმობა მივიღე, იმსანად უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელ ალექსანდრე ნონეშვილთან ერთად 2005 წლის აპრილში პარიზში გაემგზავრე. ქალბატონმა თეომ გულთბილად გვიმასპინძლა და მამამისის პირადი საქმეები, რომელსაც წლების განმავლობაში სათუთად უვლიდა და ინახავდა, თბილისში გამოგვატანა. შეხვედრისას შედგა ერთობ მნიშვნელოვანი დოკუმენტიც, რომელსაც აქვე დავიძოწმებ. ესაა ქალბატონი თეო კედია-ჩიჯავაძის ხელწერილი სპირიდონ კედიას არქივის გადმოცემის შესახებ:

„ბატონ თთარ ჯანელიძის თხოვნას დაუყოფნებლივ გამოვეხმაურე და დიდი სიამოვნებით გადავცი დღეს, 14 აპრილს 2005 წ. – ამ ჩემთვის ძალიან ძვირფას დღეს, რადგან დედაქემის დაბადებისაა – მთელი ასლი ოჯახის არხივებისა.

ეს საისტორიო მასალა ორ ნაწილადა მაქვს გაყოფილი: პირველი ჯგუფი წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა, მეორე შეიცავს პირად ოჯახურ წერილებს, ე.ი. განუწყვეტელ ძაფს ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, შემოვლებული 1923 წლიდან 1961 წლამდე. ჩემს შემდეგაც, ყველაფერი ეს ზემოთ მოხსენებული მასალა, უკვე ორიგინალი, მთლიანად ჩაბარდება იგივე ბატონ თთარ ჯანელიძეს.

პარიზი, 14 აპრილი, 2005 წ. თეო კედია-ჩიჯავაძე“.

მასალა, რომლის გაცნობა პარიზშივე დავიწყე, თბილისში გულდასმით შევისწავლეთ და დავამუშავეთ. ჩამოტანილი დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ მათი გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის და 2005 წლის მაისში ემიგრანტული არქივის ნიმუშები ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოვფინეთ. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო სპეციალისტთა შორის, არამედ საზოგადოლ. გვთხოვთნენ გაგვეგრძელებინა ექსპოზიცია და შეგვევსო იგი სხვა მასალებითაც. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ დაისახა არქივის წიგნად გამოცემის პერსპექტივა. და მართლაც, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის თანადგომით, 2007 წელს მოხერხდა, წიგნად შეგვეკრა და გამოგვეცა სპირიდონ კედიას არქივის ის ნაწილი, რომელსაც ეროვნულ-საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია და პირველწყაროთა რიგს განეკუთვნება. საქართველოში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური მოღვაწის პირად არქივში შემორჩენილი დოკუმენტური მასალები მკითხველმა წიგნის სახითაც მიიღო. ნაშ-

რომს ასე ჰქვია: „სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქი-
ვიდან.“

წიგნში შესული მასალა საქართველოს ახალი ისტორი-
ის საგულისხმო მატიანედ და მნიშვნელოვან პირველწყაროდ
წარმოგვიდგება. იგი ქრონოლოგიურად 1923-1948 წლებს
მოიცავს და ქართული ემიგრაციის ცხოვრება-მოღვაწეობის
მრავალ დღემდე უცნობ ფურცელს გადაგვიშლის.

სპირიდონ კედიას არქივი შეგვაზვედრებს ჩვენი ემიგრა-
ციის არაერთ გამორჩეულ მოღვაწეს, მათ შორის: ექვთიმე
თაყაიშვილს, ნოე ქორდანიას, გიორგი მაჩაბელს, რევაზ გა-
ბაშვილს, გრიგოლ ვეშაპელს, ალექსანდრე ასათიანს, ვიქტორ
ნოზაძეს, გიგო დიასამიძეს, ირაკლი ბატონიშვილს, ტიტე
მარგველაშვილს, ელისე პატარიძეს, გიორგი კვინიტაძესა თუ
გიორგი მაზნიაშვილს. აქვე ვეცნობით სპირიდონ კედიას ურ-
თიერთობას ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მიხაკო წერეთელ-
თან, რომლებთანაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლი-
დერს განსაკუთრებული სიახლოვე და მეგობრობა აკავშირებ-
და და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დოკუმენტური მასალა, რო-
მელიც აშუქებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის ემიგრაციაში საქმიანობის ისტორიას, წარმოაჩენს
ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წიაღში არსებულ წინააღმ-
დეგობებს, გვიჩვენებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის ემიგრირებულ მთავრობასა და მის ოპოზიციურ ძალ-
თა შორის არსებულ დაპირისპირებებს, გვაცნობს ბოლშევი-
კური უდლისგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ქარ-
თული ემიგრაციის ძალისხმევას, რომელიც მკაფიოდაა აღ-
ბეჭდილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზ-
ღვარგარეთის დელეგაციის სხდომათა ოქმებში, ასევე ქარ-
თველ ემიგრანტთა დამოკიდებულებას მეორე მსოფლიო ომ-
ისადმი და სხვა საინტერესო საკითხებს.

როგორც ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი არქივი არ შემოინახა (2: 12). ჩვენში ძალზე ცოტა რამ იყო ცნობილი 1921 წლის შემდეგ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ემიგრაციაში საქმიანობის შესახებ. არადა, თითქმის მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე პარიზში არსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი, მისი საფრანგეთსა თუ გერმანიაში მოქმედი ორგანიზაციები ეწეოდნენ პოლიტიკურ მუშაობას, მართავდნენ შეკრებებს, პოლიტიკურ აქციებს, გამოსცემდნენ პერიოდული პრესის ორგანოებს, ეძიებდნენ საქართველოს განთავისუფლების გზებსა და საშუალებებს. მართალია, ეროვნულ-დემოკრატებმა უცხოეთში ორგანიზაციული მთლიანობა ვერ შეინარჩუნეს და პარტია წვრილ ჯგუფებად დანაწევრდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი ცალკე ერთ საერთო საქმეს ემსახურებოდა. აქვე დავძინო, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დიდი შინაგანი სიმჭკიცითა და მონოლითურობით არც თავიდანვე გამოირჩეოდა. პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნებიდან წელიწადზე ოდნავ მეტი წელი საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის სახით, ხოლო შემდეგ მეორე ჯგუფიც ჩამოშორდა, რომელმაც დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული (იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული) პარტია ჩამოაყალიბა. მართალია, 1921 წლის იანვარში მოხერხდა განდგომილთა უკანვე დაბრუნება და ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთება კოტე აფხაზის უპარტიოთა კავშირის სახით, მაგრამ ბრძოლის უშუალო ასპარეზიდან მოწყვეტამ და ემიგრაციის მკაცრმა სინამდვილეში პარტიის სიღრმეში არსებული ბზარი ღრმა ნაპრალად გადააქცია, – ეროვნულ-დემოკრატთა ერთობა ამჯერად საბოლოოდ დაირღვა.

ერთიან პარტიას ემიგრაციაში პირველად გაზეთ „მამულიშვილის“ ორგვლივ შემოკრებილი რევაზ გაბაშვილი, შალ-

ვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, რაფიელ ინგილო და სხვ. დაუპირისპირდნენ. 1929 წელს ყველა ესენი ალექსანდრე ასათიანის ბანაკში გაერთიანდნენ, რომელიც ჟურნალ „სამშობლოს“ გამოსცემდა. მათვე შეუერთდა ელისე პატარიძე.

იოსებ დადიანი, ივანე ზურაბიშვილი, ახალგაზრდა თაობის დიდი ნაწილი, მათ შორის ალექსანდრე ცომაია, დიმიტრი სინჯიგაშვილი, გრიგოლ ცხაკაია, მიხეილ ქავთარაძე და სხვ. სპირიდონ კედიას მხარეზე დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ ბერლინში არსებულმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთელმა ორგანიზაციამ (ტიტე მარგველაშვილი, ნიკონაკაშიძე, კ. წომტარია და სხვ.) პარტიის პირველი თავმჯდომარისადმი ერთგულება შეინარჩუნა (3).

ცოტა მოგვიანებით პარტიას გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატთა გიორგი გვაზავას ჯგუფი (ივანე ზურაბიშვილი ამ უკანასკნელს მიემსრო. 1929-1935 წლებში გამოსცემდნენ გაზეთს „საქართველო“).

სპირიდონ კედიას არქივში დაცული მასალა უფრო ცხადად წარმოაჩენს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში შექმნილ მძიმე ვითარებას. პარტიის თავმჯდომარე თავის ერთოთ თანამოაზრისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: „ალბათ ბევრისთვის ხელსაყრელია ჩენს პარტიულ ემიგრაციაში არსებული ანარქია და დაშლილობა. დღეს, როდესაც არავინ არავის სცნობს, ყველას ერთნაირი უფლება გამოაჩნდა თავის თავს „პარტია“ უწოდოს. ... რომ ასე კიდევ ერთხანს გაგრძელდეს, საფლავის კარებამდე მივალთ“ (4: 189-190).

ირკვევა, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის დაქუცმაცების პროცესის შესაჩერებლად, პარტიის „გამოცოცხლებისა და მისი პოლიტიკური და ზნეობრივი პრესტიჟის სათანადო სიმაღლეზე ასაყვანად“ სპირიდონ კედია საჭიროდ მიიჩნევდა დაქსაქსული ჯგუფების კვლავ შერწყმას და საერთო ხელმძღვანელობისადმი დაქვემდებარებას, ერთობლივი ჟურნალის ან გაზეთის დარსებას და ამ საკითხების გადასაწყვეტად

პარტიის კონფერენციის დაუყოვნებლივ შეკრებას. „ჩვენი სამოქმედო პროგრამა სამი მომენტით აღისახება: პირველი მომენტია – ერთმოაზრე ორგანიზაციების გაერთიანება საერთო ხელმძღვანელი ცენტრის შექმნით; მეორე მომენტია – საკუთარი ბეჭდებითი ორგანოს გამოცემა და მესამე მომენტია – კონფერენციის მოწვევა“, – მიიჩნევდა სპირიდონ კედია (4: 191).

სპირიდონ კედიას არქივში შემოინახა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანების შემთხვევისთვის გათვალისწინებული ორი ახალი ფუძემდებლური დოკუმენტის პროექტი, რომლებიც შედგენილია თვით პარტიის თავმჯდომარის ხელით. ეს უაღრესად საყურადღებო მასალა ასეა დასათაურებული: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საემიგრაციო წესდება“ და „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საფრანგეთში მყოფ წევრთა ორგანიზაციის სტატუტი“ (4: 149-160).

არქივში დაცულია ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომათა ოქმები, პარტიის პარიზის ორგანიზაციის კრებათა ოქმები, ალექსანდრე ასათიანისა და ელისე პატარიძის წერილები სპირიდონ კედიასადმი, ამ უკანასკნელის ოფიციალური მიმართვები პარტიის სხვადასხვა ხელმძღვანელი სტრუქტურისადმი, მიმოწერა ორგანიზაციის ცალკეულ წევრებთან და სხვ. ეს მასალა სრულიად ახლებურად გვისურათებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ემიგრაციის პერიოდს, ფართოდ გვაცნობს პარტიის შიდა ვითარებას, წარმოაჩენს სპირიდონ კედიასა და მის თანამოაზრეთა ძალისხმევას შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად და სხვ.

სპირიდონ კედიას საარქივო ფონდში თავმოყრილი მასალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის მკვლევართათვისაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს ნოე ჟორდანიას 1932 წ. 19 აპრილით დათარიღებუ-

ლი წერილი ვლადიმერ ახმეტელისადმი, რომელიც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი იყო ბერლინში. მთავრობის თავმჯდომარე დაუშვებლად მიიჩნევდა „თანამდებობის პირის აზრისა და მოქმედების თავისუფლებას“, რაც გამოიხატა თითქოს ვ. ახმეტელის მიერ „ირაკლი წერეთლის მიმართულების“ გაზიარებასა და გერმანიაში ქართული კოლონიის თავმჯდომარის არჩევისას არა სოციალ-დემოკრატიის, არამედ „მემარჯვენეთა“ კანდიდატის მსარდაჭერაში, რისთვისაც მას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთულმა ბიურომ მანდატი გაუუქმა (4: 249; 254-255).

ვლადიმერ ახმეტელის პასუხში ადრესატისადმი, განსაკუთრებით კი წერილში თანაპარტიელ დავით შარაშიძისადმი კარგად ჩანს დაუმსახურებლად დასჯილი დიპლომატის მაღალი ზნეობრივი პოზიცია და თვალსაზრისი, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოდან დევნილი მთავრობის მოქმედება უცხოეთში, რას უნდა ითვალისწინებდეს და როგორ უნდა იქცეოდეს „ერის მეთაურობაზე“ პრეტენზიის მქონე პიროვნება თავის ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ. ვ. ახმეტელი აღნიშნავს: „ნოე ქორდანიას უნდა ეთამაშა სხვა როლი, როგორც მთავრობის სათავეში მყოფს. იურიდიულ უფლებადაკარგულს მას უნდა გაეძლიერებია ზნეობრივი, ეთიკური, სამართლიანობის სავსე გავლენა, რაც სრულიად მოსპობდა ჯავუფობრიობას და უაზრო შეხლა-შემოხლას. ამით დაამტკიცებდა ის მართლაც, რომ ერის ნაძღვილი მეთაურია და ხელმძღვანელი. ... ნოე ქორდანია ... არა ცდილობს ჰაერი განსწმინდოს ემიგრანტულ წრეებში, გააბატონოს სამართლიანობა, რიგიანობა, კეთილშობილება, გახდეს მართლაც ნამდვილი ეროვნული სიმბოლო, როგორც გვსურდა და გვჭირდა ჩვენ. ამ სიმბოლოს წინაშე ყველას უნდა მოწიწებით თავი მოეხარა, თაყვანი ეცა. ყველა ხალხს ჰყოლია ასეთი სიმ-

ბოლო, რატომ ჩვენ არ უნდა გაგვაჩნდეს?“ (4: 257-259) და სხვ.

ვლადიმერ ახმეტელის შეხედულება ნოე ჟორდანიაზე თითქმის უნისონშია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას თვალსაზრისთან და ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარის შეფასებასთან, რომელიც ასევე დაცულია ს. კედიას ხელნაწერებში (4: 297).

1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა და თავგანწირვის დიდად საგულისხმო მაგალითია. იგი ჩვენი ისტორიის ერთი ტრაგიკული, მაგრამ იმავდროულად ნათელი ფურცელია. ამ მოვლენას ბოლო 10-15 წლის განმავლობაში რამდენიმე მონოგრაფია, ბროშურა თუ სტატია მიეძღვნა. პუბლიკაციები მეტ-ნაკლები მოცულობით მათ ავტორთა მიერ მოძიებულ სხვადასხვა დოკუმენტურ მასალას ეფუძნება, მაგრამ დღემდე გამოქვეყნებულ არც ერთ ნაშრომში გამოყენებული არ არის სპირიდონ კედიას საარქივო ფონდის მონაცემები. აქ განსაკუთრებით ფასეულია აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, სოლომონ ზალდასტანიშვილის მოხსენება, რომლითაც იგი წარსდგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის საგანგებო სხდომაზე პარიზში, 1925 წ. 17 იანვარს (4: 210-218), აქვეა აჯანყების დღეებში გურიაში გამოსვლების პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზნით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ს მიერ მივლინებული კალექავთარაძის ანგარიში იმავე ორგანოსადმი (4: 219-229), ასევე – სამეცნიელოს რეგიონში შეიარაღებული აჯანყების მეთაურის, ეროვნულ-დემოკრატ დავით შეიძის მოხსენება (4: 230-233) და სხვ. ეს მასალა ნათელყოფს, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება მნიშვნელოვანი ტესტი აღმოჩნდა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებისა და მეთაური ბირთვისათვის. დასახელებული

მოხსენებების განხილვამ ბევრი მათგანის დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი მოვლენისაღმი უფრო მკაფიოდ და ცხადად წარმოაჩინა. ამიტომაც სპირიდონ კედიას არქივი დამატებით შტრიხებს სძენს ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელი წრე-ების წარმომადგენელთა მსოფლმხედველობრივ თუ პოლიტი-კურ პორტრეტებს.

ერთობ აქტუალურია საკითხი მეორე მსოფლიო ომის-ადმი ქართული ემიგრაციის დამოკიდებულების შესახებ, რო-მელმაც ბოლო პერიოდში ასევე მიიქცა მკვლევართა ყურად-ლება. ცნობილია, რომ ომის დაწყებას ჩვენი თანამემამულე ემიგრანტების სხვადასხვა წრე სხვადასხვაგვარად შეხვდა. ნაწილი ჰიტლერის მოწინააღმდეგე, ნაწილიც პროგერმანუ-ლად განწყობილ ბანაკებში გაერთიანდა. ამ უკანასკნელთ ომ-მა გარკვეული იმედი ჩაუსახა, რადგან გერმანია დაუპირის-პირდა იმ ძალას, რომლის „წაქცევაც აუცილებელი წინაპი-რობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის. ამოქმედდა პრინციპი: „ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარია.“ თუ გერმანულები კავკასიას დაუუფლებოდნენ, უმჯობესი იყო, ეს ჩვენი მონაწი-ლეობით მომხდარიყო, – ასე ფიქრობდნენ მაშინ ემიგრაცია-ში. „ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა და ანგარიში“ (5: 73).

სპირიდონ კედიას სიტყვით, „გამოცხადდა თუ არა რუ-სეთ-გერმანიის ომი, მთელი ემიგრაცია გერმანიისაკენ დაიძრა, რომ თავისი წვლილი შეეტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს იყო ნორმალური ქართული რეაქცია, ვინაიდან რუსეთთან ომის დაწყებით, გერმანია კვლავ გახდა ქართველი ხალხის ეროვნული მიზნების ბუნებრივი დამხმარე და პერსპექტივაში გამოგვესახა 1914-1918 წ.წ. გერმანულ-ქართული ურთიერთობის განმეორების შესაძლებლობა“ (4: 270).

სწორედ ამ განწყობასა და შეხედულებას დაემყარა სა-ქართველოს განთავისუფლების ქართულ-გერმანული გეგმა,

რომლის მსგავსი პროექტი გამოყენებულ იქნა პირველი მსოფლიო ომის დროსაც.

1942 წლის ზაფხულში ბერლინში ჩამოყალიბდა „ქართული ეროვნული კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარეობა მიხაკო წერეთელს მიენდო, წევრებად კი მიწვეული იყვნენ ზურაბ ავალიშვილი, გიორგი მაღალაშვილი და სპირიდონ კედია. კომიტეტს ბეჭდური გამოცემაც გააჩნდა უურნალ „ქართველი ერის“ სახით. ეროვნული კომიტეტი თავისი მოწოდებითა და დანიშნულებით უნდა ყოფილიყო „გამომსახველი საერთო ქართული ხელისუფლებისა და დამცველი საერთო ქართული ეროვნული მიზნებისა“ (4: 269). ამასთან, კომიტეტის წევრები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ მაშინდელი „უნივერსალური ნგრევის პროცესში საქართველოს თავისუფლების სუსტი იმედი გაზვეული იყო საქართველოს სრული აღგვის საშიშროებაში“ (4: 274). ნაცისტურ სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან თანამშრომლობა, თუნდაც კეთილშობილური განზრახვით, არ იყო მარტივი საქმე, რადგან მას თან ახლდა საკმაო რისკიცა და საფრთხეც. უმთვარო ღამეში ბეწვის სიდზე გავლას უდრიდა ემიგრანტ ქართველ პოლიტიკოსთა მოქმედება. რა პირობებში მოუხდა მუშაობა კომიტეტს, რას მიაღწია და რა ვერ შეძლო მან, როგორ და რატომ შეიცვალა ეროვნული კომიტეტი „ქართული საკასუხოდ ძალზე საინტერესო წყაროა სპირიდონ კედიას წერილები თავისი მეუღლისადმი, აგრეთვე მისი 1943 წლის 26 ივნისის მიმართვა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ წერეთლისადმი და სხვ. (4: 117-142; 269-274).

მრავალფეროვანი და ტევადი ინფორმაციის შემცველია სპირიდონ კედიას არქივში არსებული ეპისტოლური მასალა, რომელიც რამდენიმე ათეული წერილისაგან შედგება და 200-ზე მეტ ხელნაწერ გვერდს აერთიანებს. წერილები პარიზსა თუ მის მახლობლად მდებარე დაბა კლამარში მყოფ

კედიასადმი გაგზავნილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის სტამბოლიდან, რომიდან, ბერლინიდან, ნიუ-იორკიდან, თბილისიდან და სხვა.

ძალზე საინტერესოა მიხეილ წერეთლისა და სპირიდონ კედიას მიმოწერა, რომელიც 1928-1932 წლებს განეკუთვნება. ამ დროს საქართველოს თავისუფლებისათვის ცნობილი მებრძოლი და სწავლული მ. წერეთელი გერმანიაში, ბერლინში ცხოვრობდა და სანამ ბრიუსელის უნივერსიტეტში სამეცნიერო კათედრას ჩააბარებდნენ, დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. სპირიდონ კედია ერთი იმათგანი იყო, ვისაც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი მიხეილ წერეთელი თავის გაუსაძლის მდგომარეობას გაანდობდა და გულისტკივილს უზიარებდა. ეს წერილები შეულამაზებლად, სიმართლით ასახავენ ემიგრანტთა უმძიმეს ხვედრს, აგვიწერენ იმ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევა უხდებოდათ სამშობლოს მოწყვეტილ ჩვენს თანამემამულეებს; გვაცნობენ, რას გაუძლეს, რა გადაიტანეს, როგორ პირობებში ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ ისინი საქართველოს საკეთილდღეოდ.

ამავე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ქაქუცა ჩოლოფაშვილის წერილებიც სპირიდონ კედიასადმი, რომლებიც 1930 წლის იანვარ-მაისითაა დათარიღებული და საქართველოს ეროვნული გმირის სიცოცხლის ბოლო თვეებს შეხება. სავოის მთებში სამკურნალოდ მყოფი სნეული ქაქუცა ჩოლოფაშვილი, რომელსაც უკვე ფეხზე დგომაც კი უჭირდა, იმედს არ კარგავდა და თავის მეგობარ ს. კედიას სწერდა: „თუ გამოვრჩი როგორმე, სამშობლოსაც გამოვადგები, მეგობარსაც და ჩემ თავსაცო“ (4: 68). სარეცელს მიჯაჭვულ ქაქუცას სიცოცხლეს უხანგრძლივებდა და სულ სუმნევებდა სამშობლოდან ყოველი მცირე შეხმიანება, განსაკუთრებით იმის გაგება, რომ იგი კვლავ ახსოვდათ და ეიმედებოდათ საქართველოში.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთ-ერთი წელმოუწერელი კორესპონდენცია, რომელიც გასაბჭოებული საქართველოს სინამდვილეს შეეხება და ქაქუცა ჩოლოფაშვილს თელავის მაზრიდან მიუღია. მასში აღწერილი ამბების მნიშვნელობიდან გამომდინარე, წერილის შინაარსს ქაქუცა სპირიდონ კედიასაც გააცნობდა: „ამისთანა მომენტი არა დროს არა ყოფილაო. დიდალი ხალხი გავიდა ტყეში. მატყობინებს კიდე რამდენი მეთაური კომუნისტები დაუხოცნათ კახეთში, კოლხოზების სულის ჩამდგმელები. მეზვეწება რომ დაგვრუნდე, მთელი ჩვენი მხარე შენ გელისო, და იძახიან, ყველა დანაშაულს გავასწორებთ, ოღონდ ის ჩამოვიდესო“ და სხვ. (4: 63).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სპირიდონ კედიასა და გიორგი მაჩაბლის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის საილუსტრაციო მასალა, რომელიც ვრცლადაა წარმოდგენილი განსახილველ არქივში (4: 28-56).

გიორგი მაჩაბელს ჩვენი საზოგადოება იცნობს, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში აღმოცენებული განთავისუფლების კომიტეტის წევრსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თვალსაჩინო მებრძოლ პიროვნებას. კედია და მაჩაბელი სწორედ სამშობლოს თავისუფლებისათვის საერთო ბრძოლამ შეახვედრა ერთმანეთს. საქართველოს ბოლშევეკური ოკუპაციის შემდგომ ემიგრაციაში გატარებულმა წლებმა მათი მეგობრობა კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა. მოგვიანებით გიორგი მაჩაბელი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, ჩამოაყალიბა პაროგიუმერიის მწარმოებელი ფირმა „პრინცი მაჩაბელი“ და სურნელოვანი სუნამოებით სახელიც დიდად გაითქვა. სპირიდონ კედიას მინდობილი ჰქონდა ამ ფირმის წარმომადგენლობა საფრანგეთში.

გიორგი მაჩაბლის წერილები სპირიდონ კედიასადმი ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: პირველი დოკუმენტურად გვისურათებს, სამშობლოს სასარგებლო რა მიზნები, ამოცანები,

კონკრეტული გეგმები და პროექტები გააჩნდათ უცხოეთში გახიზნულ მეგობრებს. როგორ ცდილობდნენ ისინი დაკავშირებოდნენ ინგლისის, თურქეთის ან იტალიის მთავრობებსა და გავლენიან პოლიტიკურ წრეებს საქართველოს დასახსნელად ბოლშევიკური მარწუხებისაგან (4: 28-45). წერილების მეორე ნაწილი უფრო „პრინცი მაჩაბლის“ საქმიანობას ასახავს და მასთან დაკავშირებულ ისტორიას წარმოგვიჩენს (4: 46-56). აღსანიშნავია, რომ გიორგი მაჩაბელი თავის ბიზნეს-საქმიანობასაც დიდწილად საქართველოს სამომავლო ინტერესებს უკავშირებდა. ეს მკაფიოდ იყითხება მის ერთ-ერთ წერილში, რომელშიც ნათქვამია: „პოლიტიკურ პორიზონტზედ დიდი ამბებია მოსალოდნელი, ამიტომ ასე ტყავიდგან ვძვრები, რომ რაც შეიძლება ჩქარა ფული ვიშოვოთ, რომ ხელცარიელი არ ვიყოთ, როდესაც ჩვენი გამოსვლა იქნება საჭირო. ... ჩვენ ერთმანეთის გვესმის ულაპარაკოთაც. ერთნაირად განვიცდით იმ მწარე გრძნობებს, რომელნიც სულს გვიხუთავენ, მაგრამ ვეცადოთ, გმირულად გადავიტანით ყველა ეს ჩვენი გაჭირვებანი და გავმაგრდეთ იმ ბრძოლის მომენტის-თვის, რომელიც ჩვენ მოგველის და რომელსაც უნდა შევწირო მთელი ჩვენი არსებობა“ (4: 51-52).

გიორგი მაჩაბლის ხსენებული წერილები ქართული ემიგრაციის ისტორიის სხვა ბევრ უცნობ ფაქტსაც გვაცნობს და დოკუმენტურად გვისურათებს.

სპირიდონ კედიას ოჯახში მთლიანობაში 1500-მდე საქმეა დაცული. მათი უმრავლესობა დიდად ფასეულია ჩვენი ახლო წარსულის შესწავლისა და ობიექტურად გაშუქებისათვის. დასკვნა ასეთია: სპირიდონ კედიას პირადი არქივი არა მარტო ქართული ემიგრაციის, არამედ მთლიანად XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პირველწყაროდ შეგვიძლია ვიგულოთ.

დამოწმებანი:

1. ჭავჭავაძე ი., რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986.
2. ჯანელიძე ო., ნარკვევების საქართველოს ეროვნულ-დემოკ-რატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, საქ. 910, ფურც. 3.
4. კედია ს., მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერი-ლი, მენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
5. ქავთარაძე მ., მტერი მტერსა ვერას ავნებს..., ჟურნ. „ივ-ერია“, №34, პარიზი, 1990.

Otar Janelidze

Ilia State University, Professor

**ARCHIVE OF SPIRIDON KEDIA – A SIGNIFICANT
ORIGINAL SOURCE OF GEORGIAN HISTORY
SUMMARY**

Application of materials of emigration in the research of modern and contemporary Georgian History became possible only after the collapse of the Soviet Empire. Emigrant periodicals, memoirs of Georgian emigrants and other literature became overall accessible. Presented publication reveals materials preserved in a personal archive of a famous Georgian political figure, founder of Georgian National-Democratic Party and its president, Spiridon Kedia. This archive is an original source not only for the research of the past of Georgian emigration but for the history of Georgia of the first half of the XX century in general as well.

ნანა გონილაშვილი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

რუსთველური „მოყვრობის“ სამი უმთავრესი წესის ასახვა გმირთა ურთიერთობაში

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილი და განსახოვნებული მეგობრობა პოემის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მოტივია. რუსთაველი ამა თუ იმ იდეის გამოსახატავად, გამოკვეთილ დებულებებთან ერთად, პოემის ტექსტში გაშლილ თხრობასაც მიმართავს. პროლოგში მეგობრობის შესახებ დებულებანი არაა წარმოჩენილი, აյ მხოლოდ ორი ტაპი („მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“ და „სამთა ფერთა საქებულთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“) გვამცნობს, რომ პოემაში სამი გმირის მეგობრობა და მათი შესხმა იქნება აღწერილი. რუსთაველი მოყვრობა-მეგობრობის შესახებ თავის მსჯელობას პოემის ტექსტში გვაწვდის, რაც, ჩვენი აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია და არა უმთავრესი, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ვ. გოლცევი) აღნიშნავდა. თავად პოემაში მოყვრობის ერთგვარი კოდექსია წარმოდგენილი, რომელიც „სევდის მუფარახის“ და „გონიერთა დასტაქარის“ – ავთანდილის, სიტყვებშია გაცხადებული და ყველა ეპოქისა და ყველა ერის მსოფლგანცდის ამსახველია:

სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:

პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,

გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა (779).¹

საინტერესოა, როგორ ვლინდება რუსთველური მოყვრობის ერთგვარი კოდექსის კვალობაზე სამი ძირითადი დებულება გმირთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მათი ცხოვრების წესში. უპირველეს ყოვლისა, ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ მოყვრობის პირველი დებულება – „ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა“. პოემის ტექსტის განხილვა ორ შხარეს გამოკვეთს. ერთის მიხედვით, გმირები ერთმანეთს უშესელენ და არ ერიდებიან სიშორით გამოწვეული სულიერი ტანჯვის გაუსაძლისობის აღიარებას. მეორე შემთხვევაში – გმირი სხვათა წინაშე სიტყვით ამჟღავნებს მოყვარესთან სიშორის ტკივილს. განვიხილოთ თითოეული.

რუსთაველი გმირთა შეხვედრა-განშორებას ყოველთვის უდიდესი სიმბაფრით წარმოაჩენს. პოეტს სიხარულისა თუ ტკივილის განცდა უმაღლეს ხარისხში აჰყავს, რითაც მკითხველს გმირთა სულიერი ძვრების თანაზიარს ხდის. გმირთა ამგვარი მგრძნობელობა მათი სულიერი სინედლის მაჩვენებელია და ამავდროულად იმის გამომხატველიც, რომ უდიდესი ფიზიკური ძალის მქონენი ძალზე მგრძნობიარენი და გულჩილნი არიან.

პოემაში პირველად ტარიელისა და ფრიდონის გაყრით გამოწვეული ტკივილია გადმოცემული. ამ ეპიზოდის შესახებ ტარიელი ავთანდილს თავის განცდებს უზიარებს:

მე ფრიდონს ვუთხარ: „ესე დღე ვითა მესაზაროების,

ამისად მოწმედ ღმერთი მყავს, სათქმელად მეუცხოების...“ (646, 1-3).

ტარიელის გულისშემძვრელი გრძნობები გამოსათქმელად მნელია და ერთობ „უცხო“ (შდრ. „მნელად სათქმელი,

¹ შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966. შემდგომში ციტატები ამავე რედაქციიდან იქნება მოყვანილი.

საჭირო, გამოსაგები ენათა“¹. ამ კონტექსტით, რუსთაველი სიყვარულთან ერთად მეგობრობას უმაღლეს იდეათა რიგში განათავსებს); ამიტომ გმირი თავისი განცდების ჭეშმარიტების დამადასტურებლად ღმერთს იმოწმებს (უმაღლესი იდეალები დუმილში განიცდება). მოყვარესთან განშორებით გამოწვეული განცდის სახელდებისას რუსთველური აზრის სილამაზე იკვეთება – „უშენოდ მყოფსა დამე და დღეცა მესა-ლამოების“ (646, 1-3). განცდის ამგვარი გამოხატვა (დღისა და ღამის „საღამოდ“ აღქმა), რომელიც გამოკვეთილად არც ნათელია და არც ბნელი, ერთობ „უცხოა და საკვირველი“ და, ალბათ, გმირის სულში მუდმივი შეჭირვების წარმომაჩე-ნელი. რუსთაველისთვის თითქოს არაა საკმარისი „მოყვარე“-„მმათა“ გრძნობების გადმოცემა და მათს გაყრას „გაზრდილ-გამზრდელთა“ განშორებასაც ადარებს – „და გაზრდილ-გამ-ზრდელთა გაყრასა ჩვენ თავი დავადარენით (651, 1-2, 4), რითაც, ასკის მინიშნებასთან ერთად, მმობილთა ურთიერთო-ბას მშობლიური და „ტკბილი“ განცდებით ავსებს.

აღმატებული მგრძნობელობაა გამოვლენილი ტარიელისა და ავთანდილის პირველი გაყრის ეპიზოდში. ავთანდილის სიყვარულითა და თავდადებით შეძრულმა ტარიელმა მოყმეს უთხრა:

მან მიუგო: „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?
გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი;
რაგვარამცა დაგივიწყე! რაგვარამცა უკუმქარდი!
და ღმერთმა ქმნას და კვლაცა გნახო ალვა მორჩი, გა-
ნაზარდი“ (668).

ამ სტროფშიც მოყვარე-მოყვრობასთან დაკავშირებით იკვეთება „უცხო“, თუმცა სხვაგარი დატვირთვით. ტარიელ-ისათვის თითქოს „უცხოა“ „უცხო“ - უცნობი ავთანდილისა-გან გამოვლენილი ესოდენ დიდი სიყვარული, თუმცა თავადაც იმავე განცდითაა შეპყობილი. ამგვარი მიმართებით რუსთა-ველი გრძნობათა სიღრმით თანასწორ-„ერთ ფერ“ გმირთა

შინაგან სამყაროს წარმოაჩენს. პოეტი საოცარი სიფაქიზით, სულის ურთულესი ლაბირინთების წვდომით გაშლის თხრობას და „გულ-სადაგ“ ძმათა გაყრას მხოლოდ ერთი სტროფით არ ამოწურავს, თითქოს, თავადაც ეძნელება, შინაგანად სტკიგა მათი დამშვიდობება:

ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი, იაგუნდნი ქარვის ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი; შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყივ გულსა დაგნი, და მას დამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი (670).

ეს ერთი სტროფი თითქოს ყველაფერს იტევს, გმირთა ფიზიკურ („იაგუნდნი ქარვის-ფერნი) და სულიერ მდგომარეობას („სიტყვა-ბრძენნი, ცნობა შმაგნი“), მათს სიყვარულს და მოყვრობის ფიცით განმტკიცებას, მათი ურთიერთობის შშვენიერებას. ამავე დროს რუსთაველი მათს მსგავსებას – სულიერად და ხორციელად, გულითა და გონებით, ბრძნული სიტყვითა და გახელებული ცნობით – გამოკვეთს. მათი „მოყვრობა“, „მმად-ფიცობა“, „შვენიერი ამხანაგობა“ „გულ-სადაგია“, გულწრფელობითაა გაფლენთილი.

რუსთაველი ტარიელ-ავთანდილის განშორების აღწერას კიდევ ერთ სტროფს უთმობს:

ავთანდილცა მასევ თანა ტიროდა და ცრემლი ლგარა;
რა გათენდა, წამოვიდა, აკოცა და გაეყარა;
ტარიელს თუ ვით ეწყინა, რა ქმნას, ამას ვერ მიმ-
ნვდარა;

და ავთანდილცა ჩატიროდა, შამბი შიგან ჩაიარა (671).

რუსთაველი საოცარი უშუალობით ხატავს გმირთა გაყრის სურათს, „ტირილი და ცრემლთა ლვრა“ ბუნებრივად აღიქმება მოყვარეთა გაყრისას; მაგრამ ამ სტროფში ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს ის, თუ როგორაა გადმოცემული ტარიელის განცდები, თავად გმირისათვის გასაკვირია, „ცე-ხოა“ და ძნელად მისახვდრი, თუ „ვით ეწყინა“ ავთანდილ-

თან განშორება. ესეც „გულ-სადაგ“ გმირთა შინაგანი ბუნების კიდევ ერთი გამოვლენაა.

ჩვენ ვეღარ ვიგებთ მარტოდ დარჩენილი ტარიელის სულიერ მდგომარეობას, რადგან ავტორი „წამავალ“ ავთან-დილს „მიჰყება“, მის განცდებზე გვესაუბრება და ეს გან-ცდები ძალზე მძაფრი, გულისშემძვრელი და გაუსაძლისი ტკივილითაა აღბეჭდილი:

იგი მუნით წამოსრული სევდამანცა განა მოკლა!

პირსა იხოკს, ვარდსა აპობს, ხელი მისი გაამხოკლა;

სისხლსა მისგან დადენილსა მხეცი ყოვლი გაამლოკლა...

(674, 1-3)

მოყმეთა მეორე გაყრისას, როდესაც ავთანდილი ფრი-დონისაკენ მიემართება და როდესაც „ხვალე გაყრის გონება-მან სხვა მიკატა ჭირსა ჭირი“ (942, 4), ტარიელი ავთან-დილს შესჩივის – „უშენოდ მომზვდეს, რაღა ვქმნა, არ დია დღეთა გრძელობა!“ (941, 4). რუსთაველი მათი განშორების ტკივილს კიდევ ერთხელ უბრუნდება და მკითხველს მიმარ-თავს –

ლუქსთა მკითხველო, შენნიმცა თვალნი ცრემლისა მღვრე-ლია!

გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!

მოშორვება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია,

და ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე რაგვარ ძნელია (943).

გმირთა გაყრის გადმოცემისას რუსთაველი მკითხველი-საგან თანაგანცდას ითხოვს და თითქოს დარწმუნებულია კი-დეც, რომ იგიც გმირებთან ერთად „ცრემლს ღვრის“, რადგან გულის გულთან შელევა-გაყრა პოეტისათვის და, ზოგადად, ნებისმიერი მოყვარული ადამიანისათვის – „კაცისა მკვლე-ლია“. რუსთაველი აქვე სცემს პასუხს იმ მკითხველს, ვინც ვერ ხვდება განშორებისას გმირთა განცდების ასეთ სიმძაფ-

რეს; თითქოს სურს, მისი სულიც შესძრას, რათა ისიც ჩას-წვდეს და გაითავისოს გმირთა სულიერი მდგომარეობა – „მათ ლომთა, მიწყივ მზეც-ქმნილთა, თავნი მხეცთავე ალამ-ნეს“ (944, 4) და „ერთმანერთისა შორს ყოფნა იტირეს, იმ-გლოვარეს“ (946, 4). პოეტი კიდევ რამდენიმე სტროფს უძღვნის ცისკრის ხანს გაყრისას პირისპირ მდგომ გმირებს – „დიდხან დგანან შეჭედილნი, მკერდი მკერდსა შეარკი-ნეს“ (950, 4), და იქვე დასძენს, რომ მათი საუბრის მომ-სმენი „დადნეს“, იმდენად სულშიწამწვდომი იყო ძმობილთა „ტებილ-ქართული“. რუსთაველი მათს ყოველ ქმედებას, ყო-ველ უესტს, ყოველ მიმოხვრას, „აღმა-ჩალმა“ წასვლას აღ-წერს, მათს ტკივილით გაუღენთილ ხმასაც გვასმენინებს:

გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,
ერთი აღმა, ერთი ჩალმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით;
ვირე უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბლეჯით,
და იგი ნახნეს დაღრუჯილნი, მზე დაირღეჯს მისით ღრე-
ჯით (951).

რუსთაველი არა მხოლოდ მკითხველს განაცდევინებს გმირთა სულიერ ძვრას, ცრემლს აღვრევინებს მათს „გლოვა-ზე“ და მათი ნაუბარით „დაადნობს“, მთელ სამყაროს მოჰ-ფენს მათი სიყვარულის ტკივილს, ზეცამდე ააწვდებს – მა-თი შემყურე „მზეც დაიღრუჯს“. თითქოს მთელი სამყაროა ჩართული ადამიანური განცდის აღქმა-გაცნობიერებაში. ამასვე მოწმობს ტარიელს განშორებული ავთანდილის მოთქმა-გოდე-ბა –

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა ასწვდების, ა –,
ცამდის,

იტყვის, თუ: „ღვარი სისხლისა კვლაცა მდენია, კვლაცა
მდის;

აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა და-ც-ამდის,

და კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამ-
დის!“ (953)

ავთანდილის სისხლის ცრემლების ღვარი და ცამდე აწვდილი გულისშემძვრელი მოთქმა გამოკვეთს მთავარ სათქმელს, რომ ამგვარი სიყვარული, ძმობა და მოყვრობა ყველა ადამიანისთვის არაა მისაწვდომი, რადგან ყველა „კაცი“ არაა თანასწორი, დიდი და სხვადასხვა მანძილია ადამიანთა შორის, მათს ბუნებას, ცნობასა და გულს, მათს საქმეთა და ზრახვათ განსხვავებული სიღრმე და სიმაღლე აქვთ. შეუდარებელი ტარიელისგან („მისებრი მართ დაბადებით ვინწყა ყოფილა შობილი“ – 7, 2) განშორების ტკივილის ამგვარი ახსნა მხოლოდ ასეთივე ბუნებისა და მგრძნობელობის ავთანდილისგანაა შესაძლებლი.

შედარებით მსუბუქად და ლაკონურად აღწერს რუსთაველი ავთანდილისა და ფრიდონის გაყრის ეპიზოდს. ავთანდილს უჭირს, სიკვდილად მიაჩნია ფრიდონთან დამშვიდობება: „მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩს და მით თავსა ვევნები“ (1015, 2), ფრიდონის პასუხიც შესაბამისია: „მაგრა თქვი, თუ უშენობა ჩემგან ვითა დაითმობის?“ (1017, 4). ამ დიალოგს გმირთა გაყრა მოსდევს –

მოეხვივნეს ერთმანერთსა, გაამრავლნეს ცრემლთა ღვრანი,

აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წვანი,
გაიყარნეს გაუყრელნი ძმად-ფიცნი და ვითა ძმანი,

და ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა მკვლელი ტანი (1024).

რუსთაველი გმირთა გაყრის „მკვლელ“ ეპიზოდთა აღწერის საპირისპიროდ უდიდესი, „ცას მწვდომი“ სიხარულით აღსავსე მათს შეხვედრას გადმოგვცემს, რომელიც გმირთა თითოეულ ჟესტს, მოძრაობას, ბერას, ხმის ტებბრს იტევს. საოცარი ექსპრესით, ლაკონურობით და თვალნათელი, კადრებად მოწოდებული მოძრაობებითაა გადმოცემული ტარიელის ავთანდილთან შეხვედრა. ამ ერთ წინადადებაში ხუთივე სიტყვა ზმნაა, რაც დინამიკურობის განცდას აძლიერებს და,

ამავდროულად, სრულად ამოწურავს სათქმელს – ამირბარმა დაინახა რა ძმობილი, „შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკე მირბოდა, ხლტებოდა“ (1334, 4).

ხმალი გასტყორცა ტარიელ, მიჰმართა მისსა ძმობილსა.

ყმა ცხენისაგან გარდიჭრა, ჰგვანდა ეტლისა სწრობილსა.

მათ ერთმანერთსა აკოცეს, ჰგვანან ყელ-გარდაჭდობილსა,

და ხმა შაქრის-ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა (1335).

ძმობილთა ერთმანეთისკენ სწრაფვას რუსთაველი ციურ ეტლთა მოძრაობაზე აღმატებულად სახავს, ხოლო მათი ხმის ჟღერადობას შაქრის სიტყბოებით ავსებს და ახმოვანებს, რათა უფრო მეტად საგრძნობი გახდეს სიყვარულის, მონატრების, ერთად ყოფნის სიხარულის განცდა. ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, რუსთაველი აქაც არ კმაობს ტარიელ-ავთანდილის შეყრის ერთი სიტყვით გადმოცემას. თუ წინა განშორებისას მხოლოდ „წამავალი“ ავთანდილის გრძნობები იყო გადმოცემული, ამ შემთხვევაში რუსთაველი ტარიელის განცდებს, მის მძაფრ ემოციებს გადმოღვრის –

ტარიელ მოთქვა ტყირილით სიტყვა ნატიფი, მჭევრები:

– სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა ტევრები,

ალვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები, –

და „რათგან შენ გნახე, რა მგამა, პატიჟი მჭირდეს მევრები!“ (1336)

იმდენად დიდია ტარიელისათვის ავთანდილის ნახვით გამოწვეული სიხარული, რომ საკუთარ ტანჯვას არად მიიჩნევს და მას ბედისაგან ნარგუზებ ერთადერთ „სალხინოდ“ მიიჩნევს –

ტარიელ უთხრა: „ჰე ძმაო, კმა არს, დღეს რაცა მლხენია,

ყოველი ჩემი სალხინო მინახავს, – ნახვა შენია“ (1338, 1-2).

რუსთაველი ძმადნაფიცთა ერთმანეთისგან სიშორის მტკიცნეული განცდის და „სიახლის“ დაუოკებელი წყურვოლის მსგავსად აღწერს დობილთა, ნესტან-თინათინის, განშორების ეპიზოდს.¹ სიშორის დათმენა მათი შინაგანი წვისა და ლონბის გამომწვევ მიზეზად იქცევა:

ნესტან-დარეჯან თქვა: „ნეტამც ყოლა არ შემოგმცნებოდი,

შზისა გამყრელი გაყრითა აწ ასრე არ დავბნდებოდი.

ამბავსა სცნევდი, მაცნევდი, წიგნითა მეუბნებოდი,

და ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, აგრევ შენ ჩემთვის სდნებოდი“ (1570).

როგორც ამ სტროფიდან ჩანს, ნესტანისთვის თინათინთან განშორება მზე-ტარიელის გაყრაზე უფრო მტკიცნეულია. ანალოგიური განცდა ჩანს ტარიელ-ავთანდილის პირველი შეხვედრისას („იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“-300), როდესაც ავთანდილი გამოთქვამს მსგავს აზრს. თინათინიც ანალოგიური სიმბაფრით განიცდის დობილთან გაყრას და მას სიკვდილის ჭოლფასად აღიქვამს: „ღმრთისა-გან დღეთა თხოვისა ნაცვლად სიკვდილი ვინებო“ (1571). რუსთაველი ამ შემთხვევაშიც კოსმიურ სამყაროს ჩართავს და დობილთა განშორებას მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის გაყრას ადარებს; გარემომცველი სივრცე დამუხტულია ადამიანური გრძნობების სიმბაფრით, სევდა-მწუხარების განცდით. რუსთაველი, ჩვეული ხერხით, „მჭვრეტელთაც“ განაცდევინებს პერსონაჟთა სულიერი სამყაროს მთელ დრამატიზმს და მათში ადეკვატური სიმბაფრის ემოციურ განწყობას ბადებს: „.... მათთა მჭვრეტელთა გულნი-მცა ესხნეს

¹ იხ. ჩვენი ნაშრომი – „ვეფხსასტყაოსნის“ ასტრალური სიმბოლიკის ერთი ასპექტი (ნესტანისა და თინათინის სახეთა მიმართებით), რუსთველოლოგია, V, 2009

წდობილნი“ (1567), „და მათთა გამყრელთა ყოველთა სიცოცხლე არ იქადიან“ (1569), „და მათად საჭვრეტლად მჟვრეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა“ (1568).

ამ უკანასკნელ ტაქტან დაკავშირებით თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს:

„და თუ ნებავს ვისმე ჭვრეტა, მაშინ მათი დანახვა თუ შეუძლიან, რომ თავიანთი თავი ქედ გორათ გააკეთოს, ესე იგი ალბისა და ანუ კავკასიის მაღლის მწვერვალის სიმაღლეს ოდენი აიმაღლოს, მაშინ შეუძლებს დანახვასა. ამას ამისთვის იტყვის რუსთაველი, როგორათაც მთოვარეს ნათელს გაჰყრის დილა (თუმცა დილა არ არის ბოროტი რა მე), ეგრეთვე უამი და დრო მეგობართ რომ გაჰყრის, ის სწორეთ მთოვარის სინათლის უამიერს მოშორვებასა ჰგავს“ (1: 282).

რუსთაველის მიერ ფსიქოლოგიურად დატვირთული ზემოაღნიშნული პასაჟი საოცარი უმუალობითა და სინატიფითაა გადმოცემული. პოეტი გმირთა უკიდეგანო მწუხარების თანამონაწილე და თანაგანმცდელია. მისი სიტყვა ვერ იტევს განშორების ტრაგიზმს, უძლურია მოყვასის სიყვარულის ტკივილის გადმოსაცემად. იგი მხოლოდ სულიერებითაა საგრძნობი და გასათავისებელი. ამიტომაც რუსთაველი, აგიოგრაფთა თეორიული პრინციპის კვალობაზე, დასძენს, რომ თქმული მხოლოდ მეათედია, „ნაათალია“, რომ ნესტან-თინათინის განშორების აღწერა და გადმოცემა მისი დიდი სურვილიც რომ იყოს, შეუძლებელია – „რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნაათალნი“ (1572), – ამბობს პოეტი და ენითუთქმელ გრძნობათა წვდომას მკითხველის სულიერებას მიანდობს.

ამით სრულდება „ვეფხისტყაოსანში“ მოყმეთა შეყრა-განშორებისას გმირთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ „სიახლე“, „სიშორის“ განცდის ამსახველი ეპიზოდების გადმოცემა; განსაკუთრებით დიდი ექსპრესით, სულიერი ტკივილითა და ცრემლთა დენით, გაუსაძლისი ყოფით და სიკვდილს მიმსგავ-

სებული ტანჯვითაა გადმოცემული გაფრისას გმირთა შორის სიტყვითა და ქმედებით გაცხადებული სიშორის ვერთმენის განცდები.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ საკითხს სხვა მხარეც აქვს, კერძოდ, თავად გმირი სხვათა წინაშე სიტყვით გაცხადებს, ამჟღავნებს მოყვარესთან სიშორის ტკივილს. ამგვარი ეპიზოდები საკმაოდ ხშირია პოემაში, ძირითადად, ავთანდილთან დაკავშირებით.

არაბეთს მიბრუნებული ავთანდილი ტარიელის გარეშე ყოფის ამგვარად გადმოგვცემს – „აპა, მაქვსცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!“ (705, 4). ამ სიტყვებს იმეორებს ავთანდილის თხოვნით როსტევანთან სამოციქულოდ მისული ვაზირი, რომ სპასპეტი „უმისყმისოდ სოფელსა და საწუთოროსა მისთვის ფლიდობს“ (756, 4).

განსაკუთრებული სიმწვავითაა გადმოცემული ავთანდილის განცდები და „სასურველი“ ტარიელის სიშორის გამოწვეული ტკივილი ვაზირთან საუბრისას –

„მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მისისა მჭირს მწველისა;

მკლავს სურვილი და ვერ-ნახვა ჩემისა სასურველისა“ (735, 1-2)

და „მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,

მუნკე დარჩა, დათმობაცა მას თანავე დაება, და – ;

რათვან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაება-და...“ (736, 1-3).

ავთანდილის სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ტარიელის სიყვარულის ცეცხლით იწვის და მხოლოდ მისი ნახვა, მასთან შეხვედრაა მისი გულის წადილი, გულს ბადედ გარს რომ შემოხვევია, მთავარი საზრუნავი, მთელი მისი არსება რომ მოუცავს. ამგვარი განცდის მიზეზს თავად ავთანდილი აცხადებს, ეს „მზე“-ტარიელია, რომელიც თავის ირგვლივ მყოფი „დასწვავს“ თავისი ბრწყინვალებითა და სიდიადით.

ავთანდილს უკვირს ვაზირისგან მოყვრობისა და მოყვრის სიყვარულის ვერწვდომა, მიუხვედრელობა და ამიტომაც მი-მართავს –

„ჰე, ვაზირო, შეგეტყვების, სიყვარული არ თურ იცი,
ანუ სხვაცა არ გინახავს მოყვრობა და არცა ფიცი,
და თუ გინახავს, უმისობა ჩემი ლხინი ვით ამტკიცი?!“
(748, 2-4).

ავთანდილი ტარიელისათვის თავს გახელებულად მიიჩ-ნევს და, ამდენად, სხვა ყველა საქმისათვის – გამოუსადეგ-არად:

„მეფე ანუ მისნი სპანი, ნეტარ, ხელსა რასა მხდიან!
აწ ვითამცა უცნობოსა გაუწყვეტლად ცრემლი მდიან“
(750, 1-2)

და „რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს, გაცვილდეს, არ გა-ტინდეს;

ვერ გადვიხდი ცრემლთა მისთა, ჯეონიცა თვალთა მდინ-დეს...“ (751, 2-3).

რუსთაველი ავთანდილის ვაზირთან საუბარს დაწვრი-ლებით გადმოგვცემს, ძირითადად, აქ ვაზირის დარწმუნების მიზნითაა წარმოჩენილი ავთანდილის დამოკიდებულება ტარი-ელისადმი, რაც, ზოგადად, მოყვრისათვის თავდადების, მისი სიყვარულის, სიშორის ვერთმენის წარმოჩენისათვისაა გამიზ-ნული –

„უმისოდ მყოფი ვერ გავსძლებ ჯდომასა, ვერცა წოლასა,
მართ ნადირთაებრ გაჭრასა ვირჩევ, მათთანა რბოლასა;
ასრე გასრულსა რად მნუკევს მისთა მებრძოლთა ბრძოლა-სა?

და სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა“
(770).

ტარიელის მიმართ სულიერ შეჭირვებას და განშორე-ბის ტკივილს ავთანდილი შერმადინთან საუბრის დროსაც ამ-უღავნებს –

„მან არ იცის, რათა, ვინა და სულ-დგმული ვისგან ვინა;
ა;

უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა!
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმა ვისმცა შეარჩინა ?“
(777, 3-4)

და „გული, მისი უნახავი, ტირს და სულთქვამს, ვაებს,
უობს“ (778, 2).

მოხმობილი პასაჟებიდან გამომდინარე, შეიძლება ით-
ქვას, რომ რუსთაველის მოყვრობა-მეგობრობა მიჯნურობი-
სათვის სავალდებულო ნიშან-თვისებებით ხასიათდება, კერ-
ძოდ, მთელი არსებით „სასურველის“ შეყვარება, მის გამო
შეჭირვება და „წვა“, გახელება-გაჭრა, „გაუწყვეტლად
ცრემლთა დენა“, სიცოცხლის არდაშურება და ა.შ. საფიქრე-
ბელია, რომ გმირთაგან მეგობრის მიმართ სწორედ ამგვარი
დამოკიდებულება და მეგობრობის ამგვარი განცდა, რომელიც
სატროფოსა და, ზოგადად, მიჯნურობისათვისაა ნიშნეული,
წარმოაჩინა რუსთაველმა ამ ორი უმაღლესი გრძნობის ერთ
სიტყვად სახელდებაში – „მოყვარე“, რომელიც მიჯნურსაც
აღნიშნავს და მეგობარსაც.

ავთანდილის „ანდერძი“ მოყვრის უანგარო სიყვარულის,
მისთვის თავდადებისა და „რგების“ ცხადყოფაა, სიყვარულის
საგალობელია, განმწმებდელი და ამამაღლებელი, გულითა და
გონებით საგრძნობი და შესამეცნებელი. აქ კვლავაც ხმიან-
ობს მოყვრის სიშორით გამოწვეული ავთანდილის მწველი
განცდები:

„მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნე-
ბის“ (801, 4);

„კერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრი-
სად“ (790, 3)

და „ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თხებისა;
აწ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა;

და სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!“
(796, 2-4).

ავთანდილისათვის ცხოვრება „უმისყმისოდ“, რომელმაც
სიყვარულის ძალით „ტყვექმნა“ და ნასროლი „ვარდის კო-
ნით“, სიყვარულის მშვენიერებით, გული დაუწყლულა, წარ-
მოუდგენელია. ამიტომაც ავთანდილისათვის ტარიელის გარ-
და, სხვა მოყვარე „გაკიცხულა“ –

„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლუ-
ლა...“

მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,
და სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა“
(863, 1-2, 4).

ტარიელთან „სიახლის“ მწველი სურვილისა და „ვერ-
ხლების“ ვერთმენის ავთანდილისეულ განცდებს ფრიდონის
მოთქმაც უერთდება –

აწ ფრიდონ ოწვის სიტყვითა მის ყმისა ნაუბარითა;
ორნივე სწორად მოსთქმიდეს მოთქმითა საქებარითა,
გულ-ამოსკვნილნი გულითა ტირან ვერ-დამომობარითა,
და მუნ ვარდისა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა სა-
გუბარითა (1005).

ფრიდონი ტარიელთან გაყრის შემდეგ გამოწვეულ ტკი-
ვილზე, მოძულებულ სიცოცხლეზე, „სიშორის“ ჭირზე მოთ-
ქვამს და გულიდან ამოხეთქილი ამ განცდის ადრესატი უშუ-
ალოდ ტარიელია:

„რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მომზულვებია;
თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურვებია;
შენ უჩემობა ლხინად გიჩს, მე დია მიმჭირვებია,
და ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია!“
(1008)

ამ სტროფის მიხედვით, ფრიდონი ტარიელის მიმართ
ერთგავარ საყვედურს გამოთქვამს, თითქოს მის გარეშე ტა-
რიელი ილხენდა და მისთვის არ „ცალოდა“. ამგვარ დამო-

კიდებულებას იგი თავის განცდებს უპირისპირებს. რასაკვირველია, ფრიდონის ეს სიტყვები სიყვარულით ნათქვამი საყველურია, ამავდროულად იგი მისი აღმატებული, ღრმა განცდების წარმოჩენისკენაა მიმართული. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საყველურში გარკვეულწილად სიმართლეც მულავნდება და ამ სიმართლეს, მეორე მხრივ, საყვედურობს ავთანდილი ტარიელს –

ტარიელს ეტყვის ავთანდილ: „რუ გახმა ცრემლთა დენისა!

რად მოიშორვე შენ ფრიდონ, მომცემი მაგა ცხენისა?

მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა ლხენისა,

აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად-ფიცისა შენისა“ (947).

რუსთაველი ფრიდონის „მოთქმას“ „მშვენიერს“ უწოდებს. გ. ნადირამე ამ სტროფებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მეგობრობის გრძნობა არა მარტო განსახიერებულია მხატვრულად, არამედ გააზრებული არის ესთეტიკურად“ (3: 217).

ფრიდონის გულმდუღარე საუბრიდან ვიგებთ, რომ მას ტარიელი შვიდი წლის მანძილზე არ უნახავს –

ფრიდონ ტირს, მოსთქვამს ხმა-მაღლად, გაყრილი წლისა შვიდისა

უხანობა და სიცრუე, ვა, საწუთოსა ფლიდისა! (1015)

როგორც აღნიშნული ეპიზოდებიდან ჩანს, აქ, გარკვეულწილად, დარღვეულია რუსთაველის მოყვრისაგან გამოჩენის ერთი წესი – „ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა“. ფრიდონსა და ტარიელს, ძმადნაფიცებს, შვიდი წლის მანძილზე არ უნახავთ ერთმანეთი. ტარიელს, რომელიც „მხეცთა თანა იარებოდა“ და „სიკვდილს იყო მიახლებული“, ალბათ, ნაკლებად მოეთხოვებოდა მოყვარესთან ყოფნის მწველი სურვილი, მასზე გამუდმებული ფიქრი. თუმცა, ფრიდონი როგორც „ძმად-ფიცი“ მოვალე იყო ტარიელზე ეზრუნა და

მისთვის თავი გაეხელებინა. ავთანდილი მათს ძმობას შორის გაწყვეტილი „ჯაჭვის“ აღმდგენელია. რუსთაველი ამ ეპიზოდთა მოხმობით გვაჩვენებს, რომ ჭეშმარიტი ძმობა-ძოფრობა არ უნდა დაიკარგოს, რომ ყოველგვარი საშუალებით უნდა მოხდეს სხვადასხვა მიზეზით ერთხანს დარღვეული კავშირის აღდგენა, რათა ერთიანი ძალისხმევით მოპოვებული სულიერი მღვიმარება, რაინდული შემართება სიკეთისა და სიყვარულის „გზად და ხიდად“ გაიდოს, ნათლის სვეტით გასხივოსნდეს – „მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰქონია ნათლისა სვეტითა“ (1408, 2).

პოემის დასასრულს გმირები გაყრისას კვლავაც ერთმანეთის სიშორის ტკივილზე საუბრობენ. ტარიელი მიმართავს ავთანდილს – „მოგშორდები, საწუთომან ლხინი ჩემი დამიშურვა“ (1573, 4) და „ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცავით გავიხარეო?“ (იქვე, 1575, 2). პასუხად ავთანდილი მიუგებს: „არა ვიცი, მე უშენოდ ვით დავრჩები!“ (იქვე, 1576, 4)¹. საბოლოოდ –

ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა,
იგი ორნივე გაყრისა დაწვნა ცეცხლისა ალამა...
ავთანდილ იტყვის: „მომკლაო სოფლისა მე სამსალამა“ (იქვე, 1578, 1-2, 4).

რუსთაველი უყურადღებოდ არ ტოვებს ავთანდილისა და ფრიდონის დამშვიდობების სცენას –

ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი;
გზამან გაყარნა, წავიდეს თავის-თავ ანატირენი (იქვე, 1579, 1-2).

განშორებისას ტარიელი უუბნება ფრიდონს – „მე ნუ გამწირავ, მნახევდი, ადრე მობრუნდი გარეო“ (1575, 2).

¹ ციტატები თავიდან „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“ მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემიდან, ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროვებას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით.

ფრიდონის გამოსამშვიდობებელი სიტყვები ამგვარად ჟღერს

„სამსახურსა მიბრძანებდი, უზუცესი ვითა მრწემსა,

და შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემ-
სა“ (იქვე, 1574, 3-4).

აქვე უნდა გავიხსენოთ მსგავსი სიტყვები, რომლებიც
ავთანდილმა ასმათს უთხრა ტარიელთან დაკავშირებით –
„გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლი-
სად“ (856, 3).

ჩვენი აზრით, ამ ეპიზოდებში ფსალმუნის სიტყვების
მოხმობა რენესანსული სულის, რენესანსული აზროვნების
მაჩვენებელია. ღვთისადმი მიმართვა და ღვთის სიყვარულის
წყურვილი ამ შემთხვევებში მოყვარე-ძმისადმი გადმოიტანება
და ეს სიყვარული ღვთაებრიობისაკენ სწრაფვის, ღვთის სიყ-
ვარულის თანაზიარობის მაჩვენებელია, რომ ამქეყნიურობა-
ში, ადამიანთა სიყვარულში, ძმობა-მოყვრობაში „უფალი სუ-
ფევს, მშვენიერება შეიმოსა“. ყოველივე ეს ახალი ეპოქის
ახალი ადამიანის ხატვის რუსთველური მეთოდია.

გმირთა დამშვიდობების შესახებ ერთი რამ უნდა აღინ-
იშნოს, კერძოდ, პოემის დასასრულს გამარჯვებულ და მორ-
ჭმულ გმირთა გაყრა შედარებით ფერმკრთალადაა წარმოჩე-
ნილი და გმირთა მხრიდან ნაკლები ემოციურობითაა დატ-
ვირთული, რაც სრულიად განსხვავდება რუსთველური ხატ-
ვის პრინციპებისაგან, მკითხველი ამ ეპიზოდში გმირთაგან
გრძნობათა სიმბაფრეს, ცრემლს, შეჭირვებას, „დაღრეჯას“
ელის, როგორც ყოველთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში იმედი
უცრუვდება; თუნდაც, ტარიელისა და ავთანდილის გამოსამ-
შვიდობებელი სცენის რამდენიმე ჭაეპით წარმოჩენა, ტარი-
ელისაგან ძმობილთა ასე უბრალოდ გაშვება, გაცილების გა-
რეშე, როდესაც სხვა ეპიზოდებში „შამბ-შამბ“ მიჰყვებოდა და
გაუჩინარებამდე ადევნებდა თვალს და ხმას მიაწვდენდა, ერ-
თობ უცხოა რუსთაველის აღწერას შეჩვეული მკითხველი-

სათვის. ხომ არაა შესაძლებელი, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული გარემოებაც მიანიშნებდეს იმას, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ პოემის გაგრძელებას წარმოადგენს?

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით ცხადი ხდება, რომ რუსთაველს უაღრესი სიმბაფრით, იმავდროულად, საოცარი უშეალობითა და სიწრფელით აქვს გადმოცემული ძმადნაფიც გმირთა შეერისა და განშორებისას ადამიანურ განცდათა ამსახველი ეპიზოდები. პოემაში განსაკუთრებით დატვირთული და ტევადია ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა-დამშვიდობების ეპიზოდები. აქ ყოველი ნიუანსია წარმოჩენილი – გმირთა ქცევა, ნაკვთი, მოძრაობა, სიტყვა, ხმა, ღიმილი თუ ცრემლი. ყოველივე ეს მკითხველის გმირთა ემოციურ განწყობასთან თანაზიარობისკენაა მიმართული, რასაც თავად ავტორი აღნიშნავს; იმავდროულად, გმირთა ერთფერობის („სიტყვა-ბრძენი, ცნობა-შმაგნი“), გამორჩეულობის, ზეაღმატებული მგრძნობელობისა და ურთულესი სულიერი სამყაროს, ფსიქოლოგიური განწყობის მაჩვენებელია, ჭეშმარიტებად აღსაქმელი და საწვდომი.

ამდენად, რუსთაველი მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის ე.წ. პირველ წეს – „პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოომენა“ – პოემის მთელ თხრობაში გაშლის და ყველა კუთხით, ყველა შესაძლო ნიუანსით, გმირთა სიტყვითა და საქმით, სიხარულისა და ტკივილის წრფელი განცდით ცხადყოფს, რითაც მკითხველს მოყვრობის სიკეთეს, მის მშვენიერებას და მნიშვნელოვნებას წარმოუჩენს, უმოყვროდ ყოფნის სიძნელეს, „სიშორის“ ვერთმენა-გაუსაძლისობას და, ზოგადად, ღირსეული ცხოვრების წეს („სიყვარული გზად და ხიდად“), გულისა და „ცნობის“ ჰარმონიული მოქმედებისკენ სწრაფვას გვასწავლის და არჩევანის გაკეთებას მკითხველს მიანდობს.

მოყვრობის გრძნობა განსხვავებულ სიტუაციებსა და გარემოში და სხვადასხვა გამომსახველობით ვლინდება, თუმ-

ცა გმირთა ბუნების შესატყვისი ამ გრძნობის სიძლიერე და მისთვის გამოჩენილი სამსახური „ერთფერი“ და მსგავსია. ამ მიმართებით მოყვრობის წესებიდან ერთადერთი „გადასვლა“ ტარიელისა და ფრიდონის ძმობა-მოყვრობის რვაწელიანი კავშირის წყვეტაა, რომელიც ავთანდილის ძალისხმევით აღ-დგება და გმირებს კვლავაც მოყვრობის „ტყვეობის ჯაჭვე-ბით“ დაბორკავს. როგორც უკვე აღინიშნა, რუსთაველი, ჩვე-ნი აზრით, აღნიშნულსაც მიზანმიმართულად წარმოაჩენს, რა-თა თვალნათლივ გვიჩვენოს ე. წ. „დარღვეული“ ჰარმონიის აღდგინების აუცილებლობა, ძმობა-მოყვრობის შენარჩუნების-თვის ზრუნვა, რაც ცხოვრების სიკეთით აღვსების, ღვთის ნებითა და გმირთა „ცდით“ გამარჯვებების, ამქვეწიური ბედ-ნიერების მოპოვება-დამკვიდრების და „მას საუკუნოსა“ ღირ-სეულად და ლხენით „პირისპირ შეყრის“ განმსაზღვრელია.

რუსთველური მოყვრობის „გასრულების“ მეორე წესი გახლავთ – „მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა“. მოყმე-გმირები ამ პირობას მისდევენ და იცავენ. უპირველე-სად უნდა გავიხსენოთ ტარიელის შეუდარებელი, „უჩინო“ „შავი ცხენი“, რომელიც მას ფრიდონმა უსახსოვრა. ტარიე-ლი ავთანდილს უყვება ფრიდონთან შეხვედრის ამბავს, აღ-წერს გმირის ქცევას და დასტენს: „ზედა ჯდა შავსა ტაიჭისა, აწ ესე მე მითქს რომელი“ (597, 1) და „მერმე ფრიდონ მო-იყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი“ (650, 1). ავთანდილი ტა-რიელის შესახებ ფრიდონს აცნობებს, რომ „მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდახდების“ (1001, 2). ამ შავი ტაიჭის შესახებ ეხუმრება ფრიდონი ტარიელს ქაჯეთის აღ-ების თათბირზე –

ფრიდონ უთხრა: „შემიგნია, გამიგია, ვიცი მე რა:

მაგა ცხენსა ჩემეულსა წამოასწრებს კართა ვერა;

ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზე-რა,

და თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემიგითხრა სიძუნწე რა“
(1405).

ფრიდონი სიუხვესა და უშურველობას იჩენს ტარიელის
ძმადნაფიცის მიმართაც. მულლაზანზარში ავთანდილი ღირსე-
ულად მიიღეს და უმსპანძლეს –

მას დღე სვეს, ჭამეს, გარდახდა ნადიმი მსმელთა დასისა.
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლსისა,
შესამოსელი შეპმოსეს დრაპკნისა ბევრ-ათასისა,
და შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუდებელი ფასისა
(1013).

ნესტანის საძებნელად მიმავალ ავთანდილს ფრიდონი
უხვად ასაჩუქრებს –

მოასხნა ოთხი მონანი, მისანდობელნი გულითა,
სრული აბჯარი საკაცო ქაფითა, საბარკულითა,
სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ-ნაკლულითა,
და ერთი ტაიჭი უებრო მით უნაგირით სრულითა
(1028).

ტარიელმა და ავთანდილმა ფრიდონს დევთა გამოქვა-
ბულში ნაპოვნი კიდობნიდან წამოღებული აბჯარი მიართვეს
და ერთგვარად მოუბოდიშეს –

უთხრეს: „ჯერთ უამად არა გვაქვს სხვა შენთვის არმა-
ლანია,

მაგრა ტურფანი მრავალნი ქვე სამე გვისხენ სხვანია“.
მან დასდავა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია:
და „ჩემთვის ამისა ბოძება არს თქვენი შესაგვანია“
(1383).

თავის მხრივ, ფრიდონი („პურად კარგისა, არ მასპინ-
ძლისა წბილისა“) საფერ ხელგაშლილობას იჩენს ძმობილთა
მიმართ –

გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა;
აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა,
დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა,

და თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა (1384).

ძლვენ-საჩუქართა ბოძებით განსაკუთრებულადაა დატ-
ვირთული ფრიდონისაგან ნესტანისა და ტარიელის ქორწილი

—
მოიღეს ძლვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატისა,
ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატი-
სა,

კვლა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა,
და მას წინა ღამით ძალ-ედვის მხატვარსა ზატვა ზატი-
სა (1464) და სხვ.

ასეთივე სიუხვე გამოიჩინა ფრიდონმა ავთანდილის მი-
მართაც —

კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭირავი ზელისა,
და ავთანდილისთვის ლომისა ძლვენი ფრიდონის ქვე-
ლისა (1465, 3-4)

და ავთანდილს უძღვნა ყველაი არა სიტყვითა წბილითა
(1466, 2).

ქაჯეთის ციხიდან ქვაბს შემოქცეულ ძმობილებს ტარი-
ელი მთელი გულით მასპინძლობს, უშურველად გაიღებს სა-
ბოძვარს — „უბოძა ტურფა მრავალი მათ-მათი შესადარები“
(1498, 1), ფრიდონის „გარდახედელ ვალს“ განსაკუთრებუ-
ლი მადლიერებითა და სიუხვით იხდის —

„აქ საჭურჭლე რაზომიცა აქა ძეს და ან იდების,
და შენი იყოს ყველაკაი, შენ წაიღე, ვითა გზვდების“
(1499, 3-4).

ასეთსავე სიუხვეს იჩენს ტარიელი „ერთგული, ნაერ-
თგულევი“ ასმათის მიმართ.

„რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა
ზრდილსა;

აქ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა,

ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა“ (1583, 2-4) – მიმართავს ტარიელი ასმათს თავის ქორწილში.

ამდენად, რუსთაველი თავისი გმირების ყოფაში ერთმანეთისათვის თავდადებასთან ერთად, გამოკვეთს მათს „ჩუქების არ მოწყენას“, უზომო სიუხვის გამოჩენას; „გულ-სადაგნი“ გმირები სიხარულით აღასრულებენ ძლვნობას და, საინტერესო ისაა, რომ საჩუქართა მიმღები უდიდესი ღირსებით, სიყვარულითა და მადლიერებით იღებენ მოყვრისაგან ნაბოძებს. ერთადერთი ავთანდილია, თუ არ ვცდებით, ვისგანაც არ არიან „ძმად-ფიცები“ დაჯილდოვებულნი. რუსთაველი ამ შემთხვევაში, ცხადად გამოკვეთს იმ აზრს, რომ „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართულის“ მიერ უშურველად გაღებული „ბრძენი გული“, დაუშრომელი ღვწა მოყვარე-ძმათა ბედნიერებისათვის, მისი სულიერი შემართება და ბრძოლა სიკეთის გამარჯვებისათვის აღარ საჭიროებს სხვა, მატერიალურ ძლვენს, ავთანდილია მათი ცხოვრების საუნჯე, მოპოვებული განძი. ამ აზრს ერთგვარად ცხადყოფს პოემის ერთი ეპიზოდი; გავიხსენოთ, არაბეთში გმირთა გამარჯვებით დაბრუნებისას, ტარიელის მიმართვა როსტევანისადმი:

ძლვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია ოდენ ძრვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია (1492).

მართლაც, ყარიბობიდან ავთანდილის გამარჯვებით დაბრუნება, უცხო მოყმესა და მის მიჯნურთან ერთად, თავად იყო საჩუქარი არა მარტო როსტევანის, არამედ – თინათინისთვისაც. ამისდა კვალობაზე, „ცნობიერთა დასტაქარი“ და „სევდის მუფარაზი“ ავთანდილი ძმად-ფიცებითვის და, ზოგადად, ქვექნიერებისათვის გახლდათ „ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარი და სრული ლალი“ (695, 3).

რუსთველური მოყვრობის გამოჩენის მესამე აუცილებელი წესი და მოყვრის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა –

„გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“. მოყვრისათვის დამახასიათებელი ეს ქმედება ყველაზე მასშტაბურად და ყოვლისმომცველი თვალსაზრისითაა წარმოდგენილი პოემაში.

ტექსტის მიხედვით, პირველად ავთანდილის სიტყვებში ისახება „გახელება“ და „გაჭრა“ უცხო მოყმისათვის, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ მისი მოყვარე არაა, მაგრამ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს დახმარება სჭირდება; თინათინის დავალების აღსრულებისათვის გაჭრილი სპასპეტის მოგალეობას, ვითარცა მიჯნურისა და მოყმისა, ზოგადად, ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად. ავთანდილი ასმათს უცხო მოყმის შესახებ უბნება „ქვაბშიგან“:

„მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე,

მისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე“ (252, 1-2).

ასმათიც ავთანდილს „ხელ“ მოყმეს უწოდებს, რომელ-საც ტარიელის საშველად თავი აქვს გადადებული: „ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაგების...“ (303, 3). ტარიელიც გაკვირვებულია ავთანდილის „გულის სიმზურვალით“ („მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალების!“ - 301, 2) და, წესისამებრ, მიჯნურისგან მიჯნურის „შებრალებით“ ხსნის არაბი მოყმისაგან სიკვდიმდე ხლების სურვილს. თავის მხრივ, ტარიელი ამავე მიზეზით („მაგრა წესია მიჯნური მიჯნურსა შეებრალების“ - 305, 3) და „მოყვარეთა“ შეყრის დიდი სურვილით, „ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა“ სრულად დასაწველად თავს გადადებს და საკუთარ ამბავს მოუთხრობს უცხო მოყმეს, რომელიც მისთვის უკვე მმაღაა შერაცხილი:

ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,

ხამსო მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაპრიდოს;

ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს!

და შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცდა გინდა წამეკიდოს“ (308).

სწორედ აქ იკვეთება ის უმთავრესი პრინციპი, რომელიც რუსთველური ძმობა-ძმყვრობის განმსაზღვრელია — ძმყვარე-ძმისათვის არა მარტო „გავლენა“, „ძოხმარება“ და „ველად გაჭრა“, არამედ მისთვის თავის გაწირვა, მისი სიყვარულისათვის სიცოცხლის სამსხვერპლოდ მიტანაა აუცილებელი, რასაც აღასრულებს ტარიელი. აქ ჭეშმარიტი ძმყმისა და ძმყვარე-ძმის სიტყვა და საქმე ერთიანია, მისი „ფერი“ და შესატყვისაა; „ლხინად მიჩის შეყრა ძმყვრისა მის, შენგან შეუყრელისა“, — ეუბნება ამირბარი ავთანდილს (504, 3) და მისი სიყვარულისათვის სიცოცხლის არდაშურება დიდი ლხენაა — ესაა მნიშვნელოვანი. თუ აგიოგრაფიაში ძოწამის ძოლვაწეობის უმთავრესი მიზანი და უდიდესი სიხარული უფლის სიყვარულისათვის სისხლის დათხევა და მსხვერპლად გაღებული სიცოცხლეა, წამება-დამოწმებაა, „ვეფხისტყაოსანში“ ძმყვარე-ძმათა ურთიერთობაშია დასახული ამგვარი გზა და მიზანი, რომელიც სულის „ლხენას“ უკავშირდება; ძმყვრის სიყვარულის ამ სიმაღლემდე გაცხადებას, რასაკვირველია, ქრისტიანული მრწამსი, ქართული მმადნაფიცობის ტრადიციები და რაინდული ეთიკის პრინციპები უდევს საფუძვლად და, უმთავრესად, იმ ეპოქის სულისკვეთება, დიდი პუმანიზმი, განმსაზღვრელი ყოფისა და აზროვნებისა.

ტარიელის თავგანწირვას („შენ ყველაკად გაამე მე ვერ-სა ვერ ამებულმან; გიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან...“ — 662, 2-3) ავთანდილი მთელი გულითა და გონებით აცნობიერებს და, თავის მხრივ, „ძმად-ფიცს“ შესაფერ სიყვარულს „მიაშუქებს“ და სიცოცხლეს არ იშურებს მისი ბედნიერების მოსაპოვებლად. არაბეთს „შემოქცეული“ სპასპე-

ტი თინათინთან საუბრისას უპირველესად ტარიელისგან მის-
თვის „თავის დადგებას“ ასახელებს:

ემა ეტყვის: „ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?

მან ჩემთვის დაწვა თავისა დადვა, არ-დასაწვავისა;

დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქამს დადგება თავისა,

და მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა“

(704).

თინათინი იწონებს სასახეტის გადაწყვეტილებას და,
თავის მხრივ, დასძენს – „ხამს გასრულება მოყვრისა სიყვა-
რულისა მტკიცისა“ (708, 2).

ავთანდილის ქმედებას ტარიელის „რგებად“ იგივე მი-
ზეზი („დაწვა თავისა დადვა“) უდევს საფუძვლად, რასაც
ცხადყოფს მისი სიტყვები ვაზირთან საუბრისას:

„მას ჩემთვის სულნი არ ჰშურდეს, შეზღვა ხამს შეუზ-
ღველისა;

და ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“

(735, 3-4)

და „ვერ გადვიხდი ცრემლთა მისთა, ჯეონიცა თვალთა
მდინდეს...“ (555, 3).

ტარიელსიგან უშურველად გაღებული სოცოცხლე
სპასპეტს ანალოგიური ქმედებისკენ წარმართავს და ამირბა-
რის სამსახური, „თავის დადგება“, მისი ცხოვრების მიზნად
იქცევა („შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო“ – 667, 3). მმის
სიყვარულის „გადახდა-“, „შეზღვა“ და ჭეშმარიტი მოქმე-მიჯ-
ნურის პიროვნული ღირსებების გამჟღავნებაა ავთანდილის
ცხოვრების წესი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრი-
დად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხი-
დად;

კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დი-
დად,

და აპა, მაქვსცა უმისობა ლხინი არმად, თავი ფლიდად!“
(705).

ავთანდილის სიტყვებში მიჯნურისაგან მიჯნურის გასა-
ჭირში თანაგრძნობა-თანადგომასთან ერთად, „გახელებულის“
„გახელებულთან“ თანაზიარობაც იგვეთება –

„ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,
და რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელ-
სა!“ (738, 3-4).

ამდენად, ავთანდილისათვის მოყვარე-ძმისათვის ფიცის
გაუტეხლობასთან ერთად, ტარიელის სულიერ მდგომარეობ-
ასთან, მიჯნურობასა და გახელებასთან, თანაზიარობა შნიშ-
ვნელოვან როლს ასრულებს. არაბეთში მყოფი ავთანდილი
საკუთარ ყოფას „უგულოდ“ მიიჩნევს, რადგან მისი გული
ტარიელთან დარჩა და, ამდენად, გახელებული ვერც მეფეს
და ვერც სამეფოს ვერ გამოადგება –

„თუ რას ვარგებ, პირველ ხოლე თვით სახელი თქვენ
მოგხვდების:

და ვერსა ვარგებ, გულსა დავდებ, ჩემი ფიცი არ
გატყდების“ (741, 3-4).

ამდენად, ავთანდილისთვის მთავარია ცდა, მთელი ძა-
ლისხმევით მოყვრისათვის „რგება“ და ფიცის აღსრულება,
და თუ მისმა „გავლენამ“ შედეგი არ გამოილო, მთავარი აღ-
სრულებული იქნება – მოყვრობა ღირსეულად „გასრულებუ-
ლი“, გული სრულად „გაღებული“ და „ძმად-ფიცის“ პირობა
დაურღვეველი.

მოყვარე-ძმისათვის „რგების“, მისი სიყვარულისთვის
წუთისოფლის დათმობის და „თამაშითა“ და „მღერით“ სიკვ-
დილის მზაობისათვის საოცარი შემართება იხილვება ავთან-
დილის სიტყვებში –

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვჰკრევ კიტრად ბე-
რად,

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიმიჩს მღე-რად“ (788, 1-2).

ორივე ძმად-ფიცს ერთმანეთისათვის თავის დადება-სიკვდილი ლხენად მიაჩნია; ტარიელისათვის სიხარულია, რომ მისი ნაამბობი მოყვარეთა შეჰქორის („ლხინად მიჩს შეჟ-რა მოყვრისა მის, შენგან შეუყრელისა“), ავთანდილისგანაც მოყვრისათვის სიცოცხლის გაღება „თამაშად“ და „მღერად“ მიიჩნევა. ეს მოყმეთა სულიერი მხედრობის, მოყვასის უშურ-ველი სიყვარულის უმაღლესი ცხადყოფა.

მოყვარე-ძმის სიყვარულის, მისი ერთგულების, მისთვის „რგებისა“ და „გავლენა“-, „მოხმარების“ და, ზოგადად, ჭეშმა-რიტი მოყვრობის გამოჩენის ერთგვარი დებულებებია გამოკ-ვეთილი ავთანდილის ანდერძში, რომელიც სულგრძელი მე-ფე-პატრონისათვის მოყვრის სიყვარულის გაცხადებისა და სიტყვის საქმედეცევის დამოწმების მიზნით დაიწერა, სპასპე-ტის მალული წასვლის განზრახვის შესაგრძნობლად და შე-საცნობად („ცან, ცნობანი მიაფერენ“). თთოქმის მთელი ან-დერძი მოყვარული მოყვრის, „მზიანი ხელმწიფისათვის“ სიყ-ვარულის აღსრულების საფუძველთა ახსნა-განმარტებების წყებებითაა გაჯერებული – „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“ (791, 2), „სიცორუე და ორპირობა აგნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (791, 4), „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!“ (792, 3), „წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა“ (797, 3), „არ-და-ვიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ (800, 1), „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“ (801, 4), „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ (802, 4), „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი!“ (802, 1), „სცოტების და სცოტების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“ (803, 2) და ა.შ.

ავთანდილის ანდერძი რწმენის, ზნეობრივი ცხოვრების, სიკვდილისა და სიცოცხლის, ღირსეული მოყმეობის, სულიე-

რი და ხორციელი თავგანწირვის, სულის უანგაროდ გაღების, „დაშვრომისაკენ“ სწრაფვის, „სოფლის დათმობის“, გულითა და გონებით განსაზღვრული მოქმედების ფილოსოფიაა, ყოველი ეპოქის ადამიანისათვის სანიმუშო, გასათავისებელი და ყოფაში დასანერგი.

ს. ჩიქოვანი ავთანდილის ანდერძის განხილვისას აღნიშნავს, რომ „მეგობრობა საზოგადოებაში წესრიგის არსებობის მაჩვენებელია და ამ წყობაში მეგობრობის გრძნობის განსწავლით შეიძლება შესვლა. განსაკუთრებული სწავლის მეშვეობით მიღებული სიბრძნე ხალხს სჭირია მეგობრობის განსამტკიცებლად და სულიერი სიფაქიზის აღსადგენად. მეგობრობის გრძნობის გაღვივება აუცილებელია მოყმისათვის, როგორც სიბრძნის შეთვისება და როგორც მიჯნურისათვის თავდადება. მეგობრობა არა უბრალო სიახლოვეა ერთი პიროვნებისა მეორე პიროვნებასთან, არამედ საფუძველია მიწიერი ცხოვრების ამაღლებისა და მისი ღვთაებრიობისა. მეგობრობა რუსთველის ცხოვრების ფილოსოფიაა...“ (6: 30).

ავთანდილის საფიცარი-ანდერძი, ჭეშმარიტი მოყვრობის დამადასტურებელი, ზოგადადამიანური იდეალებისა და პრინციპების, ამქვეყნად ღირსეული ყოფის დამკვიდრებისათვის მოწოდებული სწავლებაა, „ტრუფობის მთაზე შადგომის“ მაძიებელთათვის ერთიანად გადმოღვრილი ცოდნის საუნჯეა.

ავთანდილი ამ საუნჯეს არა მხოლოდ ფლობს, „გულითა ბრძნითა“ უშურველად და მოყმეობის ღირსებით აღჭურვილი განკარგავს. რუსთაველი არაერთგზის ასხამს ხოტბას ავთანდილის ზნესრულობას, აღფრთოვანებული ავთანდილის „სიკეთით“, ქებას აღუვლენს მოყმეს, რომლის სიტყვა და საქმე მისი პიროვნების შესატყვისი იყო, უპირველეს ყოვლისა, აქ მოყვრისა და მმის მიმართ „გავლენა“ და „მოხმარებაა“ უმთავრესი —

„მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი;

ასრე უნდა მოხმარება, გაპვიდოდეს ვისცა ვისი.
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა მმა და თვისი“
(775).

ავთანდილი გასაჭირში ჩავარდნილ ტარიელს, გახელებულ მიჯნურს, მუდამ მმურ დახმარებას უწეს. როდესაც სასომიხდილი ტარიელი „სიკვდილის პირას ჯდა“ და „სოფლით გაღმა გაებიჯა“, ავთანდილი მოევლინა მხსნელად და მისი დიდი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი გმირის ამქვეყნად მობრუნება, მის წყლულთა „წამლის“ ძებნაც მან იდო თავს („შემებრალნეს და გავშმაგდი, გავხე გულითა ხელითა, მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა და ხმელითა“ – უბნება ფრიდონს, 1002, 2-3); „შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, მმა მმისა უნდა მმობილი!“ (935, 4) – მიმართავს ავთანდილი ტარიელს და მისთვის ველად გაჭრილი, დიდი შეჭირვებითა და ძალისხმევით, თავდაუზოგავად აღასრულებს ძმაღფიცის მოვალეობას და სასომიხდილი მოყვრის სანუკვარ ოცნებას ხორცს შეასხამს. ავთანდილი მოყვრისა და მოყვრობის გამოჩენის ნიმუშია. სწორედ ავთანდილის მოწადინებით მოხდა ფრიდონისა და ტარიელის ძმობის კავშირის ერთგვარი განახლება და შემდგომ ფრიდონის ძმობის „გამოჩენა“. ნესტანის ადგილსამყოფლის გაგების შემდეგ ავთანდილი ფრიდონს შეუთვლის – „ადრე მოვალთ მხარულნი, ჩვენი ნახვა, გაიხარე, ამის მეტი რაღა გყადრო, ძმასა ძმურად მოეხმარე“ (1322, 3-4). ფრიდონი ხდება ქაჯეთს მიმავალი გმირების გზის გამკვალავი და უჩინრად მისვლის გეგმის დამსახავი. გმირთა ძალისხმევითა და ფრიდონის სამასი მეომრის თავდადებით ბოროტების ციხე-სიმაგრე განადგურდა და სიკეთით იძლია.

ტარიელი ძმობილი ავთანდილის თავდადებას ოდენ ღვთისაგან „ვალის შეზღვით“ მიიჩნევს შესაძლებლად – „რაცა შენ ჩემთვის გიქმნია, ღმერთი მზღველია ვალისა“ (927, 2) და ტარიელი შემდგომშიც იჩენს ზრუნვას ძმობილის მი-

მართ. მულდაზანზარში გამართულ ქორწილში ტარიელი ფრიდონს ეუბნება —

„ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,

აწ მე მაქეს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება: ...

და ვითა დამივსო სახმილი, ეგრე მისიცა კმა დება“

(1469, 1-2, 4)

და უთხარ: „ძმაო, რა გადიხდის შენგან ჩემსა ჭირ-ნა-
ხულსა!

ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!

თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის გაზრახულსა,

და არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულ-
სა“ (1470).

ტარიელი მთელი გულით სურვილობს ძმობილის მოხ-
მარებას, მისთვის სამსახურის გაწევას. იგი, ერთგვარად, ავ-
თანდილის „მოვალედ“ მიიჩნევს თავს და ცდილობს „შეუზ-
ღველის შეზღვას“, მისთვის თავის დადებას. იგი ფრიდონს
ეუბნება — „ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისა-
ნი, ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი!“
(1479, 3-4). მას საკუთარი ბედინერება გასრულებულად არ
მიაჩნია, თუ ავთანდილსაც თინათინის გვერდით ვერ ნახავს,
ამიტომაც ფრიდონის პირით შეუთვლის — „თუ შენ შენს
ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები“ (1471, 4). ამ-
ირბარი თავის გადაწყვეტილებას აღასრულებს, როსტევან მე-
ფისაგან ავთანდილისთვის თინათინის ხელს ითხოვს, მისი
დიდი მცდელობით მიჯნურები ქორწინდებიან და არაბეთის
ტახტზე „სვიანი“ და „მორჭმული“ წყვილი იხილვება.

ტარიელის დიდი „გავლენა“ ვლინდება გასაჭირში ჩა-
ვარდნილი ფრიდონის მიმართაც. ამირბარი აღასრულებს ჭეშ-
მარიტი მოქმის მოვალეობას, თავის პირად სატკივარსა და
მწუხარებას დროებით ეთხოვება და ბიძაშვილთაგან შეჭირვე-
ბულ მულდაზანზარის მეფეს მმურ დახმარებას უწევს.

სრულიად განსაკუთრებულია ასმათის „გავლენა“ და „მოხმარება“ მისი პატრონებისათვის. ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის მოციქული, თანამდგომი, მათი სიყვარულის მოზიარე, შემდგომ ტარიელის უერთგულესი თანმხლები, მისი ჭირის თავსმდები და მგლოვარე, მასთან ერთად გაჭრილი დობილი ხდება მისი „ცეცხლთა სახმილის“ დაშრეტისათვის „წამლის“ მაძიებელი და ავთანდილისა და ტარიელის შემყრელი, მათი დაძმობილების საფუძვლის დამდები.

ამდენად, გმირთა მოყვრობის გამოჩენა, ერთმანეთისთვის „გავლენა“ და მოხმარება“, სულის არდაშურება, გახელება და „კელთა რბენა“ სიკეთის გამარჯვების, სიყვარულის „გასრულების“, დაკარგული პარმონის აღდგენის საფუძველია, ხოლო ყოველივეს საფუძველთა საფუძველი სიყვარულია, მოყვარეთა ცხოვრების საზრისი, ამოსავალი და წარმართველი მათი აზროვნებისა და ქმედებისა, ის დიდი ადამიანური სიყვარული პოემის გმირებს ცხოვრების წესად რომ გაუხდიათ და მისი „გასრულებისათვის“ წუთისოფელსაც რომ თმობენ, მოყვრისათვის სიკვდილი „თამაშად და მღერად“ რომ დაუსახავთ. ამიტომაც ამბობს რუსთაველი მათ შესახებ პოემის პროლოგში – „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირო ერთმანერთის მონება“ და „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“.:

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის მიერ მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის დებულებებად ჩამონაკვთული სამი განმსაზღვრელი და უმთავრესი მახასიათებელი სრულადაა წარმოჩენილი და გახსნილი პოემის გმირთა ურთიერთობაში და მათი ცხოვრების ფილოსოფიაში.

ტექსტის მიხედვით, განსაკუთრებით დიდი ფურადლება ეთმობა მოყვარეთაგან „სიახლის ნდომას“, „სიშორის ვერ მოთქნას“ და „გავლენა“, „მოხმარებას“. რაც შეეხება „ჩუქების არ მოწყენას“ და უშურველობას, რუსთაველი მას შედა-

რებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს, თუმცა აღწერილი და გადმოცემული სრულიად საკმარისია გმირთა სიუხვის, უშურველი ძლინობის წარმოსაჩენად და ამ მიმართებით, მათი ბუნების შესაცნობად.

მოყვრობის გრძნობა განსხვავებულ სიტუაციებსა და გარემოში და სხვადასხვა გამომსახველობით ვლინდება, თუმცა გმირთა ბუნების შესატყვისი ამ გრძნობის სიძლიერე და მისთვის გამოჩენილი სამსახური „ერთფერი“ და მსგავსია.

დამოწმებანი:

1. თეიმურაზ ბაგრატიონი, „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, საქ.სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1960.
2. გონჯილაშვილი ნ., „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სიმბლინების ერთი ასპექტი (ნესტანისა და თინათინის სახეთა მიმართებით), რუსთველოლოგია, V, 2009.
3. ნადირაძე გ., „რუსთაველის ესთეტიკა“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1958.
4. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.
5. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“. ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966.
6. ჩიქოვანი ს., „სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის სიმღერა“, თხზულებათა ოთხტომეული, ტ. III, წერილები, გამომც. „მერანი“, თბ., 1983.

Nana Gonjilashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Doctor of Philology, Associate Professor

**REPRESENTATION OF THREE MOST PRINCIPLE
RULES OF “FRIENDSHIP” AT RUSTAVELI
IN RELATIONSHIP OF THE HEROES
RESUME**

On the basis of consideration of the “Knight in Tiger’s Skin” it might be concluded that the three main tenets of expressing of friendship from a friend by Rustaveli has been completely represented in relationship of the heroes of the Poem, in philosophy of their life. Rustaveli has transmitted with ultimate sharpness and astonishing sincerity the episodes expressing the human feelings of meeting and parting of sworn brothers, heroes. Here are represented all nuances, behavior, speech, voice, smile or tears. All this is directed towards the co-sharing of the reader by the emotional spirit of heroes. At the same time it is the indicator of resemblance, distinctiveness, superexceeding feeling of heroes and of their spiritual world, psychological attitude. Rustaveli allots special attention to “desire of novelty”, “inability to be patient to distance” and “influence”-“help” from friends. As for “Not to be tired to make gifts” and non-envioucity, Rustaveli pays to it relatively less attention, though the described one is quite sufficient for cognize the nature of the heroes for showing their abundance, non-envious presenting.

ლელა თოვოშვილი
კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესიონალი

**ტრადიცია – საზოგადოების კულტურის მნიშვნელოვანი
მხარე**

ადამიანური მოღვაწეობა და მისი შედეგი - ნივთი თუ სულიერი შემოქმედების ნაწარმოები - კულტურად მაშინ გადაიქცევა, როდესაც მათ საზოგადოება აღიარებს და მისი კუთხით განვითარება განვითარება. კულტურის მოვლენათა გავრცელება, თაობიდან თაობისათვის გადაცემა ტრადიციად აქცევს მათ. სიტყვა „ტრადიცია“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „გადაცემას“ (I: 690). ყოველ ერს საკუთარი ტრადიცია გააჩნია. ჩვენმა წინაპრებმა ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქარ-ცეცხლში გამოატარეს და ჩამოაყალიბეს ისეთი უნიკალური ტრადიციები, რომლითაც სრულიად სამართლიანად ვამაყობთ ჩვენ – ქართველები, ხოლო სხვა ერებში ისინი აღტაცებას იწვევენ. ქართულმა წერილობითმა წყაროებმა მრავლად შემოგვინახა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდნენ ტრადიციებს ჩვენი მეფეები, კანონმდებლები, ღვთისმსახურები, ხევისბერები... მათ, დროთა განმავლობაში, წეს-ჩვეულებებში სათანადო კორექტივებიც კი შეჰქონდათ. ქართული წეს-ჩვეულებების მეცნიერულად შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს მე-18-19 სს. ქართველმა მეცნიერებმა: ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონებმა, პლატონ იოსელიანმა, დიმიტრი ბაქრაძემ, მოსე ჯანაშვილმა, თედო უორდანიამ, ალექსანდრე ხახანაშვილმა და სხვ. თავის პუბლიცისტურ წერილებში ზნე-ჩვეულებებს კრიტიკული თვალსაზრისით მიმოიხილავენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. მე-19 ს. 70-იანი წლების მიწურულს საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ტრადიციათა პრობლემის სამეცნიერო-საკონდინაციო ცენტრმა გამოსცა ბროშურების სერია სათაურით „ტრადიცია და თანამედროვეობა“, სადაც მნიშვნელოვანი წერილები გამოაქვეყნეს გ. ნადარეიშვილმა, ჯ. ხეცურიანმა, ვ. ჩიქოვანმა, ალ. რობაქიძემ, მ. ბეჭაამ, მ. კეკელიამ, გ. ყორანაშვილმა, ვ. ახვლედიანმა, ა. სოხაძემ, თ. ოჩიაურმა, ი. ჩინჩალაძემ, ა. ხინთიძემ, გ. მარუაშვილმა და სხვ. (2: 5). ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს თავისი ტრადიციები ახასიათებს. ღროთა განმავლობაში ყველა მათგანში დგება კულტურული ტრადიციისა და სიახლის ურთიერთობის საკითხი. ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-5 ს. საბერძნეთში სოფისტებმა უარყვეს ზნე-ჩვეულებათა, ზნეობის პრინციპების, პოლიტიკური წყობის, კულტურის მარადიულობა. რაც ერთ ქვეყანაში, ერთი ხალხისათვის, ერთ ეპოქაში გამართლებულია, ის სხვა ქვეყანაში, სხვა ხალხში, სხვა ეპოქაში შეიძლება მიუღებელი იყოს. სოფისტები ცვალებადობის მომენტს უსვამდნენ ხაზს და აღნიშნავდნენ, რომ კულტურის ცვალებადობასთან ერთად იცვლება ადამიანიც (3: 50). სიტყვა „ტრადიცია“ უფრო ვიწრო აზრითაც იხმარება და ამ შემთხვევაში ის აღნიშნავს ადამიანთა ყოფა-ცხოვრების მეტად თუ ნაკლებად მყარ წესებსა და ფორმებს, რომლებიც აწესრიგებნ ადამიანთა უშუალო ურთიერთობებს, მათ დამოკიდებულებას ისეთი მოვლენებისადმი, როგორიცაა: დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება, სტუმარმასპინძლობა; ტრადიციულ ფორმას იღებს ურთიერთობა მამაკაცებსა და ქალებს, უფროსებსა და უმცროსებს შორის, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობები და სხვ. მათი მეშვეობით ადამიანს გარკვეული რიტმი შეაქვს თავის ცხოვრებაში, რითაც მას იწესრიგებს. ერთ-ერთი საშუალება ყოველდღიურ ცხოვრებაში წესრიგის შესატანად უხსოვარი ღროიდან დაწესებული დღესასწაულებიც არის. ერთფეროვანი ცხოვრება ადამიანისათვის მნელი ასატანია და ამიტომაც გამოჰყოფს ის საგანგებოდ სა-

ზეიმო დღეებს. ეს კარგად არის გამოთქმული ქართული სიტყვით „დღესასწაული“. ტრადიციების აღიარებით ადამიანი იზიარებს იმ საზოგადოების, იმ ხალხის კულტურას, რომლის ნაწილსაც ის შეადგენს. მათ შესაბამისად რომ იქცევა, ამით ადამიანი პატივს სცემს თავის წინაპრებს, რომელთაც ეს ტრადიციები შექმნეს, და თანამედროვეებს, რომელებსაც ისინი ეკუთვნის. გარდა ამისა, ტრადიციები ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებას პასუხობს. ტრადიციებს რომ ვიზიარებთ, ამით თავს ვგრძნობთ გარკვეული ერის ნაწილად, რადგან ტრადიციები ერის კულტურის, თვით მისი არსებობის ნაწილია. მათში ხალხის ხასიათი და მსოფლმხედველობაა გამოხატული. ერის საგანმურს მისი კულტურული ტრადიციებიც მიეკუთვნება. მათდამი უდიერი დამოკიდებულება, დაუფიქრებლად და განუსჯელად მათზე უარის თქმისათვის მზადყოფნა ეროვნული თვითშეგნების დასუსტების მაჩვენებელია. ტრადიციებს მაშინ ეკიდებიან განურჩევლად, როცა ადამიანებში ბატონდება სარგებლიანობისა და გამორჩნის სულისკვეთება და როცა ცხოვრების შეფასების მთავარი საზომი კომფორტი ხდება. ეს კარგად არის ნაჩვენები ვ. რასპუტინის მოთხოვნაში „მატიორასთან დამშვიდობება“. დიდ მშენებლობასთან დაკავშირებით უნდა დაიტბოროს კუნძული და იქ მცხოვრებლები სხვაგან უნდა გადაასახლონ; ამ ვითარებისადმი ადამიანები სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ოჩნენ: ისინი, ვინც მხოლოდ კომფორტზე ფიქრობს, დაუფიქრებლად გამოთქვამენ სიხარულს, ხოლო ვისაც არ დაუკარგავს ბუნებისადმი გრძნობა და მამა-პაპისადმი პატივისცემა, მათთვის ეს პროცესი მტკივნეულია.

ტრადიციები გამოხატავს ერის კულტურას, მის ხასიათსა და თავისებურებებს. ამიტომ მათი დაცვა ყოველ ადამიანს თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია. ტრადიციებს ვინც ზერელებ ეპყრობა, ის, აღბათ, ერის ინტერესებსაც ადვილად დაივიწყებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ერის ცხოვრებასთან

ერთად ტრადიციებიც არ შეიძლება არ იცვლებოდეს. იცვლება ადამიანთა ცხოვრება და მათთან ერთად ის ტრადიციებიც, რომლებიც მას განაგებენ. გავიჩსენოთ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი გახშამი და დედოფლის სიტყვები: „ოდეს ყოფილ არს აქმომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (4: 8) და როგორ ჰკრა ხელი გამოწვდილ ჭიქას, „პირსა შეალეწა და ღვნოდ იგი დაითხია“ (4: 8). პიტიახში მიუხვდა ნათქეამის აზრს და გამბვინვარებულმა ხელი აღმართა მამა-პაპის წესის ერთგულ დამცველზე. მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი წესებით „მამათა და დედათ“ „პურის ერთად ჭამა“ სულაც არ ეკრძალებათ. ეს ტრადიცია წარსულს ჩაბარდა, ისევე როგორც წარსულს ბარდება სისხლის აღების და სხვა ტრადიციები.

კულტურა ტრადიციების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ტრადიციების ბრძა მორჩილება ისტორიის დაფასება კი არ არის, არამედ მისი უგულებელყოფაა. ტრადიციები რომ არ შეცვლილიყო, საზოგადოების განვითარება შეწყდებოდა. იმ ტრადიციებთან ერთად, რომლებიც ერის მაღალ სულიერ თვისებებს, მისი კულტურის მიღწევებს გამოხატავს, ისეთებიც არსებობს, რომლებიც ცხოვრების უკულმართ პირობებს ან საზოგადოების განვლილ საფეხურს შეესატყვისებოდა და მათი უცვლელად დატოვებისათვის თავგამოდება ერისა და ქვეყნის განვითარებისათვის იქნებოდა ხელშემშლელი. ადამიანის ცხოვრებაში უარყოფით მოვლენებზე როცა მსჯელობენ, ჩვეულებრივ, მათ წარმოადგენენ ხოლმე, როგორც ცალკეულ ნაკლოვანებებს. მათი ურთიერთკავშირი და ღრმა საფუძველი კი ჩრდილში რჩება და ამით ის მთავარი ზიანიც, რაც მათ ადამიანებისათვის მოაქვთ (5: 25).

ადამიანის დამოკიდებულება ტრადიციისადმი, კულტურის მოვლენისადმი უნდა იყოს ღირებულებით – შეფასებითი. ადამიანმა არა მხოლოდ უნდა გაარკვიოს ამა თუ იმ მოვლენის არსი და გააცნობიეროს იგი, არამედ შეფასება მისცეს

მას. ადამიანს რაღაც მოსწონს ან არ მოსწონს, ამა თუ იმ მოვლენისადმი, ტრადიციისადმი დადებითად ან უარყოფითადაა განწყობილი. შესაბამისად, მისი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ადამიანმა უნდა გამოხატოს თავისი სუბიექტური დამოკიდებულება და მოვლენას მისცეს შეფასება. შეფასებისას ადამიანი ემყარება შესაბამის ღირებულებებს. ღირებულება კი გამოხატვას არა იმას, რაც არის, არამედ იმას, რაც უნდა იყოს (6: 303). ძველ ღირებულებათა ახლით შეცვლის ან მათი გადაფასების პროცესი, თუნდაც მას რადიკალური ხასიათი ჰქონდეს, სავსებით ბუნებრივი და ნორმალური მოვლენა საზოგადოების განვითარებაში. თანამედროვე ეტაპზე საქართველო დგას დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზაზე. მას თან მოაქვს ახალი იდეალები და ღირებულებები. სწორედ თანამედროვე ეპოქამ წარმოქმნა სამოქალაქო საზოგადოება. თანამედროვე ეპოქაში ევროპასთან ინტეგრაცია ჩევნი ქვეყნის ფუნდამენტურ არჩევანს წარმოადგენს. ეს პროცესი კი უკავშირდება გარკვეული ცვლილებების გატარების აუცილებლობას (7).

ტრადიციათა ფორმირებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ჩამოყალიბებული სამეურნეო - კულტურული ტიპი. ეთნოლოგიური კვლევები ცხადხყოფს, რომ ხალხებს, რომლებიც ისტორიულად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და სხვადასხვა ეთნიკურ და ლინგვისტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მეურნეობასა და კულტურაში მსგავსი მოვლენები უვითარდებათ. ეს, როგორც წესი, განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთი და იმავე დონით და მსგავსი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო პირობებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეურნეო-კულტურული ტიპების განსაზღვრაში კულტურის განვითარების დონეს შედარებით მეორეხარისხოვანი როლი უკავია და წინა პლანზე წამოწეულია მისი ძირითადი მსაზღვრელი – მეურნეობა (8: 84). ცნობილია, რომ ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგუ-

ლება ახასიათებდა აღმოსავლურ კულტურებს – ჩინეთს, იაპონიას... და ეს მათს განვითარებას აფერხებდა (თუმცა, არც ტრადიციებისადმი პატივისცემის დადგბითი მნიშვნელობის უგულებელყოფა შეიძლება). ინდოეთის საზოგადოებისათვის არ შეიძლება შემაჯერხებელი არ ყოფილიყო კასტური წყობილება და მისი შესაბამისი ტრადიციები. ამგვარი ტრადიციები ყოველი ხალხისა და ქვეყნის კულტურაში გვხვდება. არსებობს ისეთი ტრადიციებიც, რომლებიც თავისთავად არც რაიმე დადებით ღირებულებას გამოხატავენ და არც მავნე ჩვეულებას მიეკუთვნებიან. ასეთებია უმთავრესად ტრადიციების გარეგნული ფორმები: მისალმების წესები, ჩატმულობა და სხვა. ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად, ამგვარი გარეგნული ფორმები ტრადიციებისა სულ უფრო ნაკლებად განსხვავებული ხდება. ეროვნული ტანსაცმელი ხშირად მხოლოდ ეთნოგრაფიულ მუზეუმებშიღაა შემონახული, ხოლო ტრადიციული ადათ-წესები-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში.

ტრადიცია რადგან წარმოიშვა, მას აქვს ტენდენცია, მაშინაც განაგრძოს არსებობა, როცა მისი წარმომშობი საფუძველი გაქრა. ტრადიცია ჩვევად გადაიქცევა და მასზე უარის თქმა უფრო ძნელი ჩანს, ვიდრე მისი შესრულება. ასეთ შემთხვევაში ის კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს და მისგან მხოლოდ გარეგნული, საზრისს მოკლებული რიტუალი რჩება. ტრადიციისადმი ამგვარი ერთგულება სიტყვისა და საქმის დაშორებას და ამით ზნეობის დაცემას უწყობს ხელს. „ადამიანები, – ამბობდა მონტენი, – სინდისს საროსკიპოებში ისტუმრებენ, მაგრამ გარეგნულად წესიერებას იცავენ... ყველანი უკანასკნელ ადამიანამდე, გამცემებისა და მკვლელების ჩათვლით - წმინდად მისდევენ ზრდილობის წესებს და თავიანთ მოვალეობად ოვლიან განუხრელად დაიცვან ისინი“.

ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებას უშუალოდ გამოხატავს სტუმარმასპინძლობის ტრადიცია. მისი პუმანური

ბუნება იმაში მეღლავნდება, რომ, როგორც წესი, ის ადამიანებს ავალებს, პატივი სცეს მასთან მოსულს, ვინც არ უნდა იყოს ის. სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ყოველთვის ადამიანის პატივისცემას როდი გამოხატავდა. ამ ტრადიციაშიც, როგორც სხვებში, ყოველი საზოგადოების თავისებურება, მისი დადებითი და უარყოფითი აისახებოდა. ფეოდალურ საზოგადოებაში სტუმრისადმი პატივისცემა ხშირად მასპინძლის სიმღიდრის გამომზეურებას ისახავდა მძინად და მისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ასევე „სტუმარს“ „მტრის შესაშინებლად“ იყენებდნენ. დღევანდელ საზოგადოებაში ფართოვდება კონტაქტები ადამიანებს შორის, თუმცა კონტაქტების სიხშირე ყოველთვის არ მოასწავებს ადამიანთა შორის პიროვნული ურთიერთობის გაღრმავებას. პენრი თორო, რომლის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივი ადამიანთა შორის ნამდვილად ადამიანური ურთიერთობის დამყარებაზე ზრუნვა იყო, წერდა: „ჩვენ ძალზე ხშირად ვწვდებით ერთმანეთს, ისე, რომ ვერ ვასწრებთ ერთმანეთის-თვის ახალი ღირებულების შეძენას... იმისათვის, რომ ასატანი გავხადოთ ეს ჩვენი შეხვედრები, იძულებული გავხდით შევთანხმებულიყავით გარკვეულ წესებზე, რომლებსაც ზრდილობასა და ეტიკეტს ვუწოდებთ და რომლებიც ხელს გვიშლიან ერთმანეთთან ბრძოლაში ჩავებათ... ნამდვილად მნიშვნელოვანი და გულითადი ურთიერთობისათვის ასეთი სიხშირე საჭირო არ არის...“. ადამიანის ღირებულება მის ტყავში როდია, რომ მასზე ვეღლასუნოთ“. სტუმარ-მასპინძლობა, თუკი ის მხოლოდ „დროის მოსაკლავად“ იმართება, ადამიანთა ნამდვილი შეხვედრა ვერ იქნება. თუ ადამიანს თავის თავთან სწყინდება, ის სხვისთვისაც ვერ იქნება საინტერესო. ამგვარი ადამიანების შესახებ ციცერონი ამბობდა: „მათ სხვებთან საუბარი ისწავლეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ესაუბრებიან“. პენრი თორო ამბობდა: „მე სასარგებლოდ ვთვლი დროის უდიდესი ნაწილი მარტოობაში გავატარო, საუკეთესო საზო

გადოებაც კი ჩქარა მღლის და სერიოზული ფიქრისაგან მწყვეტს. მიყვარს მარტოდ დარჩენა. არავისთან არ არის ისე სასიამოვნო ურთიერთობა, როგორც სიმარტოვესთან“. ადამინთა უბრალოდ ერთად ყოფნა ჯერ კიდევ პიროვნული ურთიერთობა არ არის. ასეთი ურთიერთობისათვის საჭიროა, რომ მათ საერთო ინტერესები ჰქონდეთ, რაღაც საერთო აღელვებდეთ. ადამიანებს ესმით ერთმანეთის, როდესაც აერთიანებთ საერთო იდეა. არსებობს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები: ეწ. ზერელე კომუნიკაცია და ღრმა თანაცხოვრება, არსებობს კომუნიკაციები გონის სფეროში. ზოგი მათგანი გამოიყენება „საქმეში“ და სწორედ საქმეა მათი არსებობა-არარსებობის კრიტერიუმი. მაგრამ სულ სხვაგვარია კომუნიკაცია, რომელ-საც კარლ იასპერსი „ექსისტენციურს“ უწოდებს. შეიძლება ადამიანმა ისე განვლოს ცხოვრების გზა, რომ ერთხელაც არ ეზიაროს ექსისტენციას. განსხვავებით „სოციალური კომუნიკაციისაგან“, ექსისტენციალური კომუნიკაცია არის უანგარო, მაგრამ იმავდროულად რისკის შემცველი, ვინაიდან მოითხოვს „ღიაობას“. აქ „სხვა“ არის ჩემი პიროვნების გადაწყვეტილების შედეგი, ჩემი არჩევანი. ეს არჩევანი მოითხოვს „ღიაობას“. ჩვენმა გულწრფელობამ, გულახდილობამ შეიძლება დაგვაზარალოს, მაგარმ ამის გარეშე ექსისტენციალური კომუნიკაცია ვერ განხორციელდება. მაშასადამე, თუ გვსურს ჭეშმარიტად ადამინური წესით ცხოვრება, რისკზეც უნდა წავიდეთ. ვინც „ღიაობას“ გაურბის, თავს უფრთხილდება, ის ვერ ამაღლდება ექსისტენციის დონეზე. „ღიად ყოფნაში“, – წერს იასპერსი, – მე ვკარგავ თავს, რათა მოვიპოვო ჩემი თავი, დაფარულობაში მე ვინარჩუნებ თავს, მაგრამ ვკარგავ ჩემს თავს“ (3: 50); „ჩვენ მთელი მკერდით მხოლოდ მაშინ ვსუნთქავთ, – წერდა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი, – როდესაც ჩვენ მმებთან ვართ დაკავშირებული და საერთო მიზანი გვაქვს; და ჩვენ ვიცით გამოცდილებიდან: სიყვარული იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ვუყუროთ, სიყვარული ერთი

მიმართულებით ცქერას ნიშნავს. „თუ ადამიანებს საკუთარი „მე“ და საკუთარი კეთილდღეობა აღელვებთ მხოლოდ, მაშინ ისინი ერთმანეთისათვის „ლია“ არ იქნებიან, მათ შორის საუბარი არ შედგება, თუნდაც რამდენიმე დღე გადაბმულად უსხდენენ სუფრას. ოთარ იოსელიანის ფილმში „პასტორალი“ გმირები ცდილობენ, ანგარიშიან გარიგებას სტუმრობის იერი მისცენ: დამქირავებლებს სტუმრებს უწოდებენ, ეპატიუ-ებიან სუფრაზე... მაგრამ გათავდა სტუმრობა და მასპინძელი საქმიანად ანგარიშობს „სტუმრისათვის“ მირთმეულ თითოე-ულ სულგუნს. სტუმარმასპინძლობა აქ ისევე „გაკეთებუ-ლია“, როგორც სტუმრისათვის შეთავაზებული ღვინო. ასეთ დროს დაკარგულია ადამიანური ურთიერთობის ნამდვილი ღირებულება.

ადამიანთა საზოგადოების დროიდან ერთ-ერთი უმნიშ-ვნელოვანები იყო ქორწინების ტრადიცია. ეს ტრადიციაც საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავდა და მასთან ერთად იც-ვლებოდა. ქორწინების ფორმები საზოგადოებისა და ადამიან-თა ინტერესებს შეესაბამებოდა. საქორწინო ტრადიციის, ისე-ვე როგორც სხვა ტრადიციების სრულქმნის მთავარი და გა-დამწყვეტი საშუალებაა ადამიანთა კულტურის ამაღლება (9: 57). თავისი ტრადიციები და რიტუალები აქვს ადამიანის სიკვდილის გამო გლოვას და გარდაცვლილის ხსოვნის აღ-ნიშვნას. სიკვდილზე ბევრი დაფიქრებულა. ძველ მოაზროვნეს უთქვამს, რომ ფილოსოფოსობა სიკვდილისათვის მომზადება არისო, ხოლო ფილოსოფოსობა, ძველებისავე გაგებით, ყოვე-ლი ადამიანის ვალი ყოფილა, რადგან ის სიბრძნის სიყვა-რულს ნიშნავდა. არაერთს უკითხავს, რა იქნებოდა ადამიანი სიკვდილის შიშის გარეშე, შექმნიდა ის რაიმე ღირებულს? „აბა, გადახედეთ ადამიანის განვითარების გრძელ გზას, – წერდა დიმიტრი უზნაძე, ან კიდევ კულტურის აღმავალ სა-ფეხურებს, – ყველაფერი ეს ბრძოლამ წარმოშვა, ბრძოლამ არსებობის შენარჩუნებისათვის, ანუ ბრძოლამ სიკვდილთან.

სიკვდილი ამიტომ, როგორც იდეა, უდიდესი ბოროტება კი არა, „უდიდესი სიკეთეა". (10: 240). „ცხოვრება... ნიშნავს მარადიულ ჯანყს, ამბოხს; სწორედ ეს ჯანყი ანიჭებს ღირებულებას, სიღიადეს ცხოვრებას... თვალახელილი კაცისათვის, – წერს ალბერ კამიუ, – არაფერია იმ სანახაობაზე მშვენიერი, თუ როგორ ერკინება გონება რეალობას, რომელიც მას აღემატება. არაფერი სჯობს ადამიანური სიამაყის ამ გრძნობას..." (3: 60).

ტრადიციების საფუძველი ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებაა. მათი შესრულების ღროს ადამიანი თანაგრძნობას და მხარდაჭერას მოელის სხვებისაგან, მაგრამ ამ მოთხოვნასაც სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს. ტრადიციულ იაპონიაში ასეთი ჩვეულებაც ყოფილა – თავისი უბედურების შესახებ იაპონელი სხვას ღიმილით ატყობინებს, რათა შეამსუბუქოს თავისი ნათქვამით გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილება. ტრადიცია ჩვენს წარმოდგენაში სიძველესთან არის დაკავშირებული. ამიტომ გამოთქმა „ახალი ტრადიცია“ უჩვეულოდ უღერს. მაგრამ შეიძლება ახალი ტრადიციების შექმნაზეც ვილაპარაკოთ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ უბრალოდ დღესასწაულის დაწესებითა და სხვა „სცენარის“ დაწერით ტრადიცია ვერ შეიქმნება. ამისათვის საჭიროა, ტრადიციის აზრი ხალხისათვის გასაგები იყოს. „ახალი ტრადიციების“ საქმეში დაუფიქრებლობა, ფორმალური მიღვომა ხელს შეუშლის ტრადიციისადმი სწორი დამოკიდებულების დამყარებას.

კულტურის განვითარებასთან ერთად ადამიანთა ურთიერთობის ფორმები იცვლება; თვითონ კულტურასთან ურთიერთობა, კულტურის ათვისება უფრო ინდივიდუალური და დიფერენცირებული ხდება. კულტურის ათვისების დღევანდელ ფორმებს თავისი უარყოფითი მხარეები აქვს – მათში ხშირად პასიური ფორმები სჭარბობს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარება ჩვენს ყოფაში კულტურის

ათვისების უფრო ფართო შესაძლებლობებს ქმნის, მაგრამ, ამავე დროს, ხელს უწყობს კულტურისადმი პასიური დამოკიდებულების გამომუშავებას. პასიურობის ტენდენციის გადასალასავად შესაფერის საშუალებებს უნდა მივმართოთ. მაგრამ ამისათვის არაა აუცილებელი ძველი რიტუალების რეანიმაცია. კულტურის ათვისების აქტიურ ფორმებს ხელს შეუწყობს სასწავლო დაწესებულებებში ესთეტიკური აღზრდის გაძლიერება.

ტრადიცია საზოგადოების კულტურის მნიშვნელოვანი მხარეა და მას საზოგადოებაში ეძლევა აზრი. ტრადიციების-ადმი დამოკიდებულება, მათი პატივისცემა და უარყოფაც შეიძლება იყოს ბარბაროსულიცა და ადამიანურიც. არ შეიძლება ტრადიციის გამართლება სიძველით, მაგრამ სიძველე არც მისი უარყოფის საფუძვლად გამოდგება. „ტრადიციის უარყოფაც ტრადიციაა“, – ამბობდა ა. ბლოკი (11: 58). ტრადიცია შეიძლება იყოს რაინდობაცა და ყაჩალობაც, სტუმარ-მასპინძლობაც და ადამიანებზე ნადირობაც. ამიტომ ტრადიციისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს შერჩევითი: საზოგადოებამ მათი ადამიანური შინაარსი უნდა შეინარჩუნოს, უკუაღლოს მათში ყოველგვარი არაადამიანური. მიხეილ კეკელია თავის ნაშრომში „ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის“ წერს: „ჩვეულებები და ტრადიციები ჯაგშანს წარმოადგენს ეროვნული ორგანიზმისათვის; არაფერი ისე არ აღვივებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, როგორც ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები. ისინი სტაბილიზატორის როლს ასრულებენ ეროვნულსა და მოდას შორის...“ (2: 9).

კულტურა არ არსებობს ტრადიციების გარეშე. ტრადიციებში ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიაა ასახული, მათში ჩვენი წინაპრების აზრები და გრძნობებია ჩაქსოვილი და მათი პატივისცემა ისტორიის წსოვნა არის. ადამიანის განსაზღვრებათა შორის ასეთიც არის: ადამიანი არის ისტორიის გრძნობის მქონე არსება. ილიას კი არაერთხელ უთქვამს,

რომ ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. მაგრამ საზოგადოება, რომელიც ბრძად მისდევს წარსულს, ერთხელ შექმნილ კულტურულ ტრადიციებზეა მიჯაჭვული, ერთ წერტილზე გასაყინად არის განწირული. კულტურის წარსული მთლიანად ვარდისფერი არასდროს არის. უწყინარი და უცოდველი ცივილიზაცია მხოლოდ იმათ ცნობიერებაში არსებობს, ვინც მას ცუდად იცნობს. ნეგატიური ყოველთვის არსებობს და გულმოდგინე ძიებისას ის ყოველთვის მოინახება. ცხოვრება ხშირად აყენებს ადამიანს არჩევანის წინაშე, როდესაც მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ ინტერესს მიანიჭოს უპირატესობა. პიროვნების კულტურა საზოგადოების მიერ მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების უბრალო შეთვისება კი არ არის, არამედ იმის უნარი, რომ ამ ცოდნასა და გამოცდილებაზე დამყარებით ადამიანმა თვითონ განსაჯოს ვითარება, განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება და ქცევა. კულტურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა განავითაროს ადამიანის უნარები, მისი გონება და გრძნობები, რაც მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს თავისი ნამდვილი ინტერესები და მოვალეობები და მათ შესატყვისად მოიქცეს.

დამოწმებანი:

1. ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1983., გვ. 690.
2. რაზმაძე ბ., შევინარჩუნოთ ჯანსაღი ქართული ტრადიციები, თბ., 2009.
3. ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003.
4. იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ძველი ქართული ლიტერატურა, ქრესტომათია, IX კლასის სახელმძღვანელო, აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1994.
5. მენაბდე ა., პროტექციონიზმი და მასთან ბრძოლა, თბ., 1977.

6. ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
7. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - საქართველოს მთავრობის განკარგულება №84, 2004, 18 ოქტ., თბილისი.
8. სონღულაშვილი ა., კაზაკები საქართველოში, თბ., 2003.
9. ბარათაშვილი ლ., „მზითვის წიგნი“, თბ., 1977.
10. უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, თბ., 1964.
11. ჯოლევი ო., ქულტურა და ადამიანის ცხოვრება, თბ., 1985.

Lela Togoshvili

Gori State Teaching University, Associate Professor

**TRADITION – IMPORTANT PART OF THE SOCIETY
CULTURE
RESUME**

Cultural events, distribution, generation after generation for the transmission of tradition makes them. There is no culture without a tradition, But the traditions that do not change, stop the development of society. Along with the traditions of the nation's highest spiritual qualities, his Cultural achievements expressed, there are those of the past and their level of relevance to leave unchanged the nation and prevent the development of the country. People should express their subjective perception and evaluation of an event. Evaluating people based on their respective values. Value is related to the goal and ideal of. Replace the old value or the revaluation process, even if it is to have a radical character, it is quite natural and normal development of society. Advanced stage on the road to democracy and market economy in Georgia. It brings new ideals and values. The emergence of civil society in the modern epoch. The modern era of European integration is a fundamental choice to

represent our country. This process is associated with certain changes are needed. The tradition of our presentation of antiquity is, Why the expression "new tradition" an unusual sound. But we can also talk about the creation of a new tradition. Often causes a person to choose life when he must decide what to give priority to the interest. Culture - one of the major functions and develop human skills, his mind and feelings, which will enable him to determine his real interests and relevant to their responsibilities and behave.

თამილა კოშორიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდორია პირველწოდებულის
სახ. ქართული უნივერსიტეტი,
ეთნოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

„შვიდმაისობა“ ქართლში

ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში სასოფლო დღეობა-დღე-
სასწაულების კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგიერ-
თი დღეობის არსი ავლენს საინტერესო ისტორიულ დანაშ-
რევებს და რელიგიური სისტემის ცვალებადობის ეტაპებს.
„შვიდმაისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით რამდენიმე
ეტაპი იკვეთება. საქმე გვაქვს წინაქრისტიანული რწმენა-
წარმოდგენების ზოგიერთი ელემენტისა და ქრისტიანული
სარწმუნოებრივი სისტემის რწმენა-წარმოდგენების საინტერე-
სო შერწყმასთან.

ცნობილია, ხალხურ დღეობათა კალენდარში დაფიქსი-
რებული ზოგიერთი ელემენტი წინარექრისტიანული სარწმუ-
ნოებრივი სისტემიდან არის მომდინარე. ს. მაკალათიას დაკ-
ვირვებით, ადამიანის რწმენა და მისი რელიგიური შემცენება
დროთა ვითარებაში განიცდიდა ცვლილებას. ამის გამო ყოვე-
ლი სარწმუნოებრივი მოძღვრება თავისი დოგმატიკის შექ-
მნით ცდილობდა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან
შეგუება-შეზრდას. მაგრამ რელიგიის განყენებული დოგმა-
ტიკა ხალხისათვის მუდამ გაუგებარი იყო, მისი გამოსახუ-
ლების რიტუალი კი უფრო თვალსაჩინო და მისაწვდომი
ხდებოდა. ამიტომ ერთხელ შეთვისებულ რიტუალურ წესებს
ხალხი ძნელად ივიწყებდა, ახალს კი ძველთან შეადალებებდა
და ორივეს ერთად ასრულებდა. ამით აიხსნება რიტუალური
წესების ხანგრძლივობა, რომლის ერთგული დარაჯი იყო
ხალხი და სასულიერო წოდება. მართალია, რიტუალური წე-

სების პირვანდელი გაგება წალხში მივიწყებულია და გაუგებარი, მაგრამ მახვილ თვალს და განსწავლულ გონებას შეუძლია მათი რაობის ჭეშმარიტი გაგება (6: 360).

„შვიდმაისობის“ დღეობა, კალენდარულად, საგაზაფხულო ციკლის დღესასწაულია. დღეობა ქართლის სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. კვლევის ამ ეტაპზე მოძიებული მასალის მიხედვით, ქართლში 7 მაისს (ახალი სტილით 20 მაისს) დღეობა იმართებოდა შემდეგ სოფლებში: ხიდისთავი, ბობნევი, ბითი, აღაიანი, ფიცესი, კეხვი. აღსანიშნავია, რომ ამ დღესთან დაკავშირებული გარკვეული საწესო ქმედებანი თითქმის მთელ საქართველოში სრულდებოდა.

შვიდი მაისი ჯვრის დღესასწაულია. კანონიკური კალენდრით ეს დღე „ჯვრის გამოჩინების“ დღედ არის მიჩნეული. იგი ლიტურგიულ პრაქტიკაში დამკვიდრდა 351 წლიდან და დაკავშირებულია კირილე იერუსალიმელის სახელთან. ცნობილია, როდესაც ბიზანტიაში მეტად გაძლიერდა არიანობა და მისი მიმდევარი გახდა კონსტანტინე დიდის ვაჟი – კონსტანტინე, კირილე იერუსალიმელმა კონსტანტინე დიდის ვაჟს წერილი მისწერა. წერილი შეიცავდა მოწოდებას: არიანობის დატევებას და ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან დაბრუნებას. კირილე იერუსალიმელის ქადაგების დროს, 7 მაისს, იერუსალიმში ცაზე სასწაულებრივად გამოჩნდა ჯვარი და მისი ხილვის გამო იერუსალიმში მრავალი ურწმუნო მოინათლა. ასე დამკვიდრდა ეს დღესასწაული (5: 148). იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჯვრის აღმართვა-გამოჩინების სხვა დღესასწაულიც არსებობს – 14 (ახალი სტილით 27) სექტემბერი, რომელიც დაკავშირებულია კონსტანტინე დიდის დედის, ელენეს მიერ იერუსალიმში IV საუკუნეში აღმოჩენილ და აღმართულ ჯვართან. ხშირად ეს ორი დღესასწაული ერთმანეთშია აღრეული, თუმცა მათი აღნიშვნა სხვადასხვა დროს და განსხვავებულად ხდება.

7 (20) მაისი ჯვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე-სასწაულია. დღეობა ქართულ ხალხურ ტრადიციაში დაუკავ-შირდა წლიურ სამეურნეო კალენდარს. ნ. ღამბაშიძის აზ-რით, ეს დღე ცხოველმყოფელი წვიმისადმი მიძღვნილი ერ-თადერთი უძრავი დღესასწაულია, რომელიც აუცილებლად გულისხმობს „ავი ავდრის“ ანუ სეტყვა-კოხის საწინააღმდე-გოდ მიმართულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს, რომლებ-შიც გარკვეულწილად ეკლესია და მისი მსახურებიც მონაწი-ლეობდნენ. წვიმის გამოსათხოვი და კოხის საწინააღმდეგო აგრარული დღესასწაული მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა ჯვრის ქრისტიანულ დღესასწაულს. კოხინჯრობის, კოხიჯ-ვრობის დღესასწაული ფიქსირებული დღე – 7 (20) მაისი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო მოძრაო-ბა (12: 67). ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ის სოფლები, რომ-ლებიც შვიდმაისობას აღნიშნავდნენ. მიუხედავად საერთო სა-წყისისა, ამ სასოფლო დღეობებმა სხვადასხვა სახელით მო-აღწია დღემდე. შვიდმაისობასთან დაკავშირებულმა სასოფლო დღესასწაულებმა თავის თავში გააქრთიანა ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოს – ჯვრის თაყვანისცემისა და ტაროს-თან დაკავშირებული აღორძინების ძალის მქონე საგაზაფხუ-ლო რიტუალების მთელი კომპლექსი.

ეთნოგრაფიული მასალის სიუხვით გამოირჩევა შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფლის – ხიდისთავის – ტრადიციული ყოფა. ყოველი წლის 20 (7) მაისს ხიდისთა-ვის მოსახლეობა აღნიშნავს დღეობას – ახალჯვრობას. საერ-თოდ, ადგილობრივი საზოგადოებისათვის დღეობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეობა იყო სოფლის შემკვრელი სა-შუალება და მეზობელ სოფლებს შორის ურთიერთობის ერ-თგვარი ფორმა. ამავე დროს, დღეობა წარმოადგენდა პირადი შესაძლებლობების – სიჩაუქის, ცეკვა-თამაშის, სიმღერის გა-მოვლინების არენას. დღეობის აუცილებელი ელემენტი იყო

სამხედრო-საწესო ასპარეზობანი: ჭიდაობა, საჯილდაო ქვის აწევა და სხვ. ხშირად დღეობებზევე იმართებოდა ბაზრობები.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდში დაცულია კოტე ზაქარიას ძე კოშორიძის (დაბ. 1889 წ.) ნა-ამბობი ხიდისთავის დღეობის „ახალჯვრობის“ მომზადება-ჩა-ტარების შესახებ, მასალა ჩაწერილია 1962 წელს სოფ. ხი-დისთავში. ვფიქრობთ, ჩანაწერი საკმაოდ საინტერესოა და მოვიყვანთ სრულად: „ახალჯვრობა ყველას უყვარდა, რადგან ის სოფლის და საეკლესიო დღესასწაულად ითვლებოდა. ახ-ალჯვრობა მოდის წელიწადში ერთხელ ძველზედ 7 მაისს, ახალზედ 20 მაისია. გლეხები მთელი წლის მანძილზედ ვეგ-ზადებოდით. მაგალითად, შემოდგომიდანვე სარიტას (ეკონომიას) ვეწეოდით სტუმრების შესახვედრათ. ვინახავდით თითო-ეული ოჯახი საახალჯვრო პურს – სულ ცოტას ერთი კოდს. საკლავს მოზვერს ან დეკეულს ეხლანდელი ფულით 100 მა-ნეთი; გოჭს – 1 ც. 25; ინდოურს 2 ან სამს - 16; ვარიებს - 5 მაინც; დედლებს - 2 მაინც; კვერცხებს - 30 მაინც; ღვი-ნოს 4 კოკას - 400; სხვადასხვას - 5 მანეთი მაინც. ამაში შედიოდა ახალი თევზი დოში ან ზურგიელი. სულ - 653 მა-ნეთი. ამას გარდა ფულიც უნდა ქონიყო სტუმრების შესაქ-ცევათ ზურნის ან სხვა საკრავისათვის. დღეობაში ნათესაობას ვპატიჟებდით. გათხოვილ დებს თავიანთი სრული ოჯახით და ნათესაობით. ძმისშვილებს და ყველას, ვინც კი ჩვენი ნა-თესავები იყვენ. ნათესავები მოდიოდნენ ურმებით ჩარდახიან-ებით და ცხენებით. ისე, რომ დაწყობილი 5 მაისიდან 7 მა-ისამდე მოდიოდნენ თანდათანობით. ჩვენი სახლი რომ გენა-ხათ - ტევა აღარ იყო. მლოცველებიც ხომ ბევრი იყო. დილა ადრიანათ სოფლის შარაგზები სამსე იყო მოშსვლელი სტუმ-რებით. დღეობა იწყებოდა 6 მაისს საღამოდან. გძელდებოდა ხან მთელ კვირას. დღეობაზე მოდიოდნენ თავადები, აზნაურ-ები ურმებით, საკლავებით, ცხენებით. ჯერ ესწრებოდნენ ეკ-ლესიაში წირვას, წირვა რომ გათავდებოდა ეწყობოდა ჭიდა-

ობა. ცეკვა ლეკური კი 6 მაისს საღამოდან დაწყობილი, მთელ კვირას გძელდებოდა. დიდ ინტერესს წარმოადგენდა ჭიდაობა, რომელიც ყველას უყვარდა. მოუსავლიანობის შემთხვევაში, მევახშებისგან ვიღებდით ვალებს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 653 მანეთს. ურიისგან რომ ვალს ავიღებდით, შემოდგომით პროცენტებში სარგებელში ერთი ამდენი უნდა მიგვეცა. თუ კიდევ მოუსავლიანობა განმეორდებოდა ფულს ვერ გადავინდიდით, მაშინ ვექსილს სასამართლოში წარადგენდა და ვენახს ან სახლს გაგვიყიდიდნენ“ (14).

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალიდან რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობაზე შევჩერდებით. კერძოდ, დასაწყისში მთხოვნელი ხაზგასმით ამბობს, რომ ახალჯვრობა როგორც სოფლის, ასევე საეკლესიო დღესასწაულია. როგორც ჩანს, მას კარგად აქვს გათავისებული „შვიდმაისობის“ ნამდვილი არსი.

მასალის ანალიზისას მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, სოფლის რომელ ეკლესიაში აღევლინებოდა სადღესასწაულო წირვა-ლოცვა და ხალხური დღეობა..

ძველად ხიდისთავში ორი ეკლესია ყოფილა: ახალჯვრისა და წმ. გიორგის. ორივე მათგანი დანგრეულა 1920 წელს გორში მომზდარი მიწისძვრის დროს, საბოლოოდ კი მათი კვალი იმავე ოციან წლებში ახალი რეჟიმის მსახურთ წაუშლიათ ისე, რომ დღეს მხოლოდ ქვის გუმბათის მოტეხილი ნაწილია შემორჩენილი და ხალხიც მასთან ლოცულობს. ცნობას იმის შესახებ, თუ როდის აიგო ხიდისთავის ახალიჯვრის ეკლესია, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ, თუმცა შესაძლებელია გარკვეული ვარაუდის გამოთქმა. ზემოთ ვახსენეთ, რომ შვიდმაისობას დღესასწაულობენ სოფლებში – ბობნევსა და ბიისში. სწორედ ბობნევშია ეკლესია „თავახალჯვარი“, როგორც მას ს. მაკალათია უწოდებს. „ახალჯვრის ეკლესია აშენებულია მაღალ მთის წვერზე, ტანას მარცხნა მხარეზე. იგი თლილი ქვითაა ნაგები, დაზიანებულია. დღეობა

იციან 7 მაისს და სალოცავად მოდიან სხვადასხვა მხრიდან, ათენებენ ღამეს, მოჰყავთ ზვარაკი, მოაქვთ საზედაშე და სხვ. ამ ხეობაში ეს ხატი ითვლება ყველაზე ძლიერ ხატად. იგი დაზიანებულია გორის (1920 წ.) მიწისძვრის დროს“. (8: 88-89). ვახუშტი ბატონიშვილი ტანას ხეობის აღწერისას იმავე ეკლესიაზე საუბრობს: „მთასა შინა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა ახალი-ჯუარი, სასწაულმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუხშველნი და მცველნი არაოდეს. ვერ შევალს მპარავნი, და ვერცა ნადირნი“. (1: 343) ეკლესის აგების თარიღი აქაც უცნობია. ეს ეკლესია ხიდისთავის ახალჯვარზე ადრე უნდა იყოს აგებული. ამას გვიდასტურებს ს. მაკალათიას ცნობა ხიდისთავის რამოდენიმე გვარის შესახებ: აქაური გვარები გადმოსახლებულნი არიან სხვადასხვა მხარეებიდან. ჯერიაშვილი გადმოსულა ბობნევიდან, გამოქცევია ლეკებს. სალოცავად მიდიან ბობნევის თავაზალჯვარში. გიუაშვილიც გადმოსულა ბობნევიდან და სალოცავად მიდიან ბობნევის ახალჯვარში. კოშორიძეც გადმოსულა ბობნევიდან (8: 117). (ბობნევში კოშორიძენი მესხეთიდან უნდა მოსულიყვნენ. თ. კ.). სწორედ ბობნევიდან ჩამოსახლებულ გვარებს უნდა აეგოთ ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესია. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის ბოლოს ჩვენ აქ ვხდავთ გამართულ ეკლესის თავისი მღვდელმსახურით. ითანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოხსენიებულია ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესის დეკანოზი გიორგი კოშორიძე: „პირველად მივიღნენ ხიდისთავსა. ნახეს მუნ კოშორიძე მღვდელი. დიაკვანმა ჰყითხა ზურაბს, ეს ვინ არისო. ზურაბმა ახალჯვრის დეკანოზიაო“ (2: 18.) საინტერესოა თვითონ ეკლესის სახელი – ახალჯვარი. გასაგებია, რომ ის ჯვრის განახლებას უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა, რომელ ახალ ჯვარზეა საუბარი, ცოტა ბუნდოვანია. მისი კონკრეტული განმარტების მოძიებაც გამნელდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეკლესისა და სოფლის

დღეობის სახელი დაკავშირებულია ჯვრის გამოცხადება-განახლების საეკლესიო ტრადიციასთან.

ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოს – ჯვარის აღმართვასთან არის დაკავშირებული აღაიანის სასოფლო დღეობა. ყოველი წლის 20 მაისს (ძელი სტილით 7 მაისს) აქაურები აღნიშნავენ თხოთის ჯვრის დღეს – ნინობას. ეს დღე-სასწაულიც დაკავშირებულია ჯვრის აღმართვასთან, მაგრამ ცნობილია, რომ თხოთის ჯვრის დღე 14 (27) მაისია. გადმოცემით, ეს ჯვარიც იმავე ხიდან გამოთალეს, რაც მცხეთისა. (აღმართვის დღეც ხომ 7 (20) მაისია). როგორც ჩანს, ეს დღესასწაული დაკავშირებულია საქართველოს მოქცევასთან. საქართველოს ეკლესია ამ დღეს ჯვრის სასწაულთან ერთად ცამეტ ასურელ მამას მოიხსენიებს. კახეთში 7 (20) მაისს ძელიცხოვლობას უწოდებენ და ამ დღეს ანდრია პირველწოდებულს უკავშირებენ (12: 67).

7 (20) მაისს საორბისის (სოფელი ფიცესი) ეკლესიის დღესასწაულიც იყო. აქ ხატობა სცოდნიათ 7 მაისს (გიორგობა) და ბევრი მლოცავი მოდიოდა თურმე ქართლის ყველა მხრიდან. მოჰყავდათ საკლავები: კურატები, ცხვრები და აგრეთვე „ზვარა“ (მამლები). მლოცავი დგებოდა ღამისთევად. ასევე მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და ბნელიანები, რომლებსაც ალოცებდნენ საორბისის წმიდა გიორგის. დღეობის დასასრულს იმართებოდა ჭიდაობა, ბურთაობა, ცხენის ჯირითი და სხვა (7: 36). როგორც ჩანს, საორბისის ეკლესია ფსიქო-ნერვული დაავადებების მკურნალად ითვლებოდა. ცნობილია, ტრადიციულ ქართულ ყოფაში სულის დაავადებების გამომწვევ მიზეზად ავი სულები ითვლებოდნენ (ფსიქო-ნერვულ დაავადებებში, რა თქმა უნდა, დამიზეზებულს, ხატისა-გან თუ სალოცავისაგან არჩეულს არ ვგულისხმობთ) და მათთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად ქრისტიანობაში ჯვარი ითვლება (12: 67). მიუხედავად იმისა, რომ საორბის-

ში ამ დღეობას სხვა სახელი ეწოდება, ვფიქრობთ, რომ იგი ჯვრის დღესასწაულია.

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. კეხვის მოსახლეობაც „შვიდმაისობას“ დღესასწაულობდა. სალოცავად მოდიოდნენ დღდალვთისას ნიშტი. სამწუხაროდ, კეხვის მოსახლეობას დღეს ამისი საშუალება არა აქვს, მაგრამ დღეობას მაინც აღნიშნავენ იქ, სადაც ჩასახლებული არიან. ვფიქრობ, აქაური დღეობა უფრო მისადაგებულია დარ-ავირის გამოწვევ ხალხურ სარიტუალო პრაქტიკასთან და მიმართულია წვიმისა და სეტყვის საწინააღმდეგოდ. საერთოდ, ტაროსთან და-კავშირებულ საგაზაფხულო და საზაფხულო რიტუალებში იკვეთება აგრარული ნაყოფიერების ღვთაება ლაზარე, რომელიც ამაღლობინებელი მოკვდავი ღვთაების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ქართლში ლაზარობა შვიდ მაისსაც სცოდნიათ და მას ხშირად „სამღვთოობასაც“ უწოდებდნენ. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ „დროების“ კორესპონდენტის ცნობა სოფ. სამთავისში შვიდ მაისს გამართული ლაზარობის შესახებ. რიტუალის შესრულების შემდეგ ერთ კვირას გამუდმებული წვიმა ყოფილა (13: №54).

ქართული ტრადიციით, შვიდი მაისის წვიმა განსაკუთრებული უნარის მქონე ძალად არის მიჩნეული და ეს ძალა უშუალოდ ნაყოფიერებისათვის არის განკუთვნილი, რასაც ნათელს ჰყენს ქართლში სხვადასხვა დროს დადასტურებული მასალა. შვიდი მაისის ნამს ოჯახის უფროსი სახაშეში ჩაუშვებდა: ღმერთო, ბარაქა დაადე ჩვენს მოსავალსო. ყანა არ მოცდებოდა, თუ „შვიდი მაისის ნამი დეცააო“ (9: 199). ისევე, როგორც სხვა არაერთ რიტუალში, აქაც წინაქრისტიანულ ხალხურ აგრარულ გამოცდილებას აძლიერებს ჯვრის დღესასწაულის საეკლესიო რწმენის დანაშრევი.

ხალხური ტრადიციით, შვიდმაისის წვიმა ანაყოფიერებდა ყველაფერს, რასაც შეეხებოდა. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფოლკლორული ნიმუშები:

„შვიდიმაისის წვიმაო, თმა კოჭებამდინაო.
შვიდიმაისის წვიმაო, თავზე დამედინაო,
შვიდ-შვიდი ნაწნავი თმა თავზე დამეფინაო.
ან: შვიდიმაისის წვიმაო,

თავზე დამედინაო
შვიდმარცვალი ბეწვი მქონდა,
შვიდათასად მექცაო“ (11: 260).

შვიდმაისის წვიმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯან-მრთელობისათვისაც. ამ დღეს სცოდნიათ ახალმოკრეფილი ყველანაირი ბალაზებითა და მცენარეთა ფოთლებით შეზავებული და გამობარი წყლის გამოყენება როგორც თმის, ასევე სხეულის დასაბანად. „წვიმის წყალში ჩავდებდით ყველანაირ ბალახსა, ფოთოლს და ყვავილს. ასეთი წყლით დავიძანდით თმასაც და ტანსაც. იგი თმას გაზრდიდა, კანს გაალამაზებდა, ჯანმრთელობისათვის იყო კარგი“. სცოდნიათ შვიდი სახის ბალახ-ყვავილის მოგროვებაც. ასეთი სახის ნამზადი წყალი გამოიყენებოდა ქალური და რევმატიული დაავადებების სამკურნალოდ (11: 260). აღსანიშნავია, რომ შვიდ მაისს სამკურნალო მცენარების მოკრეფის და შენახვის გარკვეული წესი არსებობდა. მათ კრეფდნენ უმთავრესად მაშინ, როდე-საც ცაზე ჯვრის გამოჩენის დროს წვიმა მოვიდოდა, რომელიც ნაკურთხად მიაჩნდათ. ამ წყლით მცენარეებს სამკურნალო თვისებები უძლიერდებოდათ.

შვიდ მაისს ყვავილების და ფოთლების დაკრეფა და საცხოვრებლის იატაკზე მოფენა სცოდნიათ სამეგრელოშიც. ამ დღეს აქ „ბაიობას“ უწოდებდნენ.

ქართლში შვიდი მაისის წვიმასთან დაკავშირებით საყურადღებოა თედო სახოკიას მოსაზრება: „მაისის შხაპუნა წვიმა, ჩვენი ხალხის დაკვირვებით, ჭირნახულისათვის მეტად მარგებლად ითვლებოდა. მათივე აზრით, ამ წვიმის მოსვლა, თითქოს ემთხვეოდა მაისის შვიდს, როცა საქართველოში სხვადასხვა დღეობები იცოდნენ. მაგ. თეთრგიორგობა, დიდ-

გორობა, იოანე ზედაზნელობა (ზედაზენში), შიომღვიმლობა, თვით შვიდმაისობა (ხიდისთავში). ამიტომ, ქალები, ვისაც გრძელი თმა ენატრებოდა თავზე, შვიდმაისს ზეცით წამოსულ წვიმას შიშველ თავს შეუშერდნენ და სანამ ერთიანად არ გაიწუწებოდნენ, არ მოეშებოდნენ. ამაზედაცაა გამოთქმული ლექსი, რომლის თანახმად, შვიდმაისის წვიმას თვისება ჰქონდა, ვინც მას მიმართავდა შემწეობისათვის, მთხოვნელს თმა კოჭებამდე გაეზრდებოდა. შვიდმაისობას სოფლის მეწამლე დედაკაცები დილაადრიანად მინდვრად გავლენ ბალახების მოსათხრელად, რადგან მათი რწმენით, ამ დღეს მოთხრილ ბალახს ძალა აქვს და ავადმყოფის მოსარჩენად მისი ძალა უტყუარია (10: 75).

როგორც ირკვევა, შვიდმაისის წვიმას არა მარტო თმის გაზრდა-გამსხვილება შეეძლო, არამედ ზოგად-სამკურნალო, გამანაყოფიერებელი თვისებაც გააჩნდა. „იგი ხელს უმართავდა ყოველსავეს რაც დედამიწიდან აღმოცენდებოდაო“ (10: 75).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შვიდმაისობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წვიმა ყოველთვის მოდიოდა.

ქართულ ხალხურ პოეზიაზე საუბრისას ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქართლში, კახეთში ამ უკანასკნელ დრომდე შემორჩენილია დღესასწაული „შვიდმაისობა“, როდესაც ქალ-ვაჟნი მინდვრად გადიოდნენ, სიმღერა-თამაშით ფერხულს აბამდნენ და პლასტიკური გამომეტყველება-მოძრაობით გაიძახოდნენ: „შვიდი მაისის წვიმა თმა კოჭებამდინაო“. ამ დღეს გვირგვინის დაწვნაც იცოდნენ, ე.წ. ქართული ფორჩიანი გვირგვინის მსგავსად“ (4: 350). ხალხური ნიმუშების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ ლექსი „შვიდმაისის წვიმა“ უჟღველად ძველი საგაზაფხულო დღეობის ნაშთს წარმოადგენს (იქვე).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ეს დღეობა დამოწმებულია ახალგორის რაიონის სოფლებში – ქურთასა და

კორინთაში, სოფელ დიღომში, ასევე ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. მას, როგორც აღვნიშნეთ, სამეგრელოშიც დღესასწაულობდნენ. ამ დღეს იმართებოდა ხატობა ცხავატის თემშიც და მას „ცეცხლიჯვარი“ ეწოდებოდა.

ბუნებრივია, გაზაფხულის წვიმებს თან ახლავს სეტყვა. სეტყვის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იცოდნენ დღეობები: კოხიჯვრობა ან კოხინარობა. ეს დღე ორნაირად უქმედ ითვლებოდა: პირველი იმიტომ, რომ შვიდი მაისი იყო (ე.ი. ქრისტიანული დღესასწაული) და მეორე კი კოხის საწინააღმდევოდ შეწირულ დღედ ითვლებოდა დაბლა ლეჩხუმში. ამიტომაც ორბელის თემი ამ დღეს უქმობდა მხოლოდ კოხის შიშით; ისე ლოცვის ან განსაკუთრებული წესები ამ დღეს არ იცოდნენ (3: 35).

განსხვავებულად ტარდებოდა შვიდმაისობა ანუ დიდგორობა სოფელ დიღომში. ამ დღეს ახალგაზრდები თავიანთ ცხენებს კუდებში ვარდებს ჩააწნავდნენ და მათ ჯერ სოფელში არბენინებდნენ, შემდეგ დიდგორში მიდიოდნენ და დოღს მართავდნენ. ხალხის რწმენით, დღეობის დღეს მცირე წვიმა მაინც იყო მოსალოდნელი.

შვიდმაისობის დღესასწაულში სხვადასხვა ისტორიული ფაქტების დაფენებამ განაპირობა მასთან დაკავშირებული რიტუალების ნაირფერობა. ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებული „შვიდმაისობა“ ქრისტიანულ სარწმუნოებაში მიჩნეულია ჯვრის გამოჩინების დღედ და მასთან არის დაკავშირებული არაერთი საეკლესიო დღესასწაული. ამავე დროს, სადღეობო რიტუალი შეიცავს წინარექრისტიანული უნივერსალური მოტივებისა და რთული ისტორიული მოვლენების დანაშრევებს. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ამ დღეს მოსულ წვიმას. ხალხის რწმენით, ის ითვლებოდა ნაკურთხად და გააჩნდა სამკურნალო, გამანაყოფიერებელი თვისებები. ტრადიციული რწმენით, წვიმას უკავშირებდნენ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ბარაქიან და უხვ

მოსავალს, ხოლო ამ მოსავლის ავი დარის – სეტყვისაგან გადასარჩენადაც მიმართავდნენ სპეციალურ საწესო-სარიტუალო ქმედებებს.

დამოწმებანი:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა კალმასობა, წიგნი I, თბ., 1990.
3. გარდაფხაძე-ქიქოძე ფ., ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995.
4. კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961.
5. მგალობლოშვილი თ., კლარჯული ოთხთავი, თბ., 1991.
6. მაკალათია ს., სამეცნიელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006.
7. მაკალათია ს., თემის ხეობა, თბ., 1959.
8. მაკალათია ს., ატენის ხეობა, 1948.
9. რუხაძე ჯ., ბუნების აღორძინების ვეგეტაციური დღესასწაული და მისი ქრისტიანული ტრანსფორმაცია, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2001.
10. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1961.
11. სიხარულიძე ქ., ხალხური ჰიგიენის წესები (7 მაისის წვიმის წყალი), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIV, თბ., 2001.
12. ღამბაშიძე ნ., 7 მაისის დღესასწაული საქართველოში, ანალები №2, თბ., 1999.
13. ჭალელი პ., შვიდმაისობის დღესასწაული საქართველოში, გაზ. „დროება“ 1875, №54.

14. გიუმ 8408, კოტე ზაქროს ძე კოშორიძის ნაამბობი წილისთავის დღეობის „ახალჯვრობის“ მომზადება-ჩატარების შესახებ.

Tamila Koshoridze

*St. Andrew the First Called Georgian University of
Patriarchate of Georgia, PhD Student*

**THE SEVENTH OF MAY DAY IN KARTLI
RESUME**

“The Seventh of May Day” (20 May A.D) is a holiday of spring cycle of an agricultural festival and took place in a several villages of Kartli (Khidistavi, Bobnevi, Biisi,Pitsesi, Aghaiani, Kekhvi). Religious sistem and several stages of changing faith are shown in this festival. Meanwhile it is closely connected with an annual agricultural calender and the retuals occurred on that day areconsidered as the strenght of regeneration. To join Cross Holiday it gained the function of recovering several illnesses.Raing weather on that day was considared as the special feature of revival and health.

რეზო მარნაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პუბლიცისტული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: გურამ კუტაშვილი,
ისტ. მუცნ. დოქტორი, პროფესორი

დე ბუას ეპისტოლე ქართველთა ხლათის ქვეყანასა და
იერუსალიმში შესაძლო ლაშქრობის შესახებ¹

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დასრულების შემდეგ რომის პაპმა ინოკენტი III დაიწყო ფიქრი უკვე V ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებაზე, რომელიც მხოლოდდამხოლოდ იერუსალიმის განთავისუფლებით უნდა დამთავრებულიყო, თუმცა ამ ლაშქრობას იგი ვერ მოესწრო. წერილები, რომლებსაც პაპი უგზავნიდა დასავლეთის ქრისტიანებს, იმის იმედს იძლეოდა, რომ ყველა მათგანს მიუტევებდნენ უმძიმეს ცოდვებსაც კი, უკლებლივ ყველას, ვინც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას მიღებდა. ყველა ეკლესიაში სალარო დაწესეს ჯვაროსნული ლაშქრობისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად, მაგრამ ეს სალაროები დროულად ვერ ივსებოდა, ხალხი ფულს საიმედოდ ინახავდა ცოდვებთან ერთად. რომის პაპმა მაპმადიან სულტენებსაც გაუგზავნა წერილები კაიროსა და დამასკოში. ამცნობდა მათ, რომ ჯვაროსნები მალე აისხამენ იარაღს ქრისტეს საფლავის დასახსნელად და არწმუნებდა, მშვიდობიანად დაეთმოთ იერუსალიმი.

¹ ნაშრომი წაკითხულია 2013 წლის 8 თებერვალს ჩატარებულ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე

ინოკენტი III ხედავდა, რომ მაპმადიანებში ძლიერდებოდა ჯიპადის – წმინდა ომის – მიღრეკილება, ჯვაროსანთა სიმტკიცე კი ევროპაში სუსტდებოდა. აღმოსავლეთში მტრის წინაშე დარჩენილი ფრანგებისათვის დადგა განსაცდელის დრო. რა ბედი ეწეოდა ამასობაში ევროპელ ჯვაროსანთა სამხედრო ახალშენებს და ციხე-ქალაქებს, რომლებიც გაძლიერებულ მაპმადიანებს წინ უდგნენ? საიდან მოელოდნენ დახმარებას? ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა საფრანგეთში ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსს ზღვის გაღმიდან მოუვიდა არაჩვეულებრივი ეპისტოლე, ლათინურ ენაზე შედგენილი ფრანგი რაინდის (დე ბუას) მიერ:

„ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ამედეს, ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ... დე ბუა, მდაბალი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ ნებითა ღვთისითა, მე და მეუღლე ჩემი ჯანმრთელად და უკნებლად ვიმყოფებით.

აღთქმის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან შეძღვი განვიზრახე მოკლედ აღმენიშნა - სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მაინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოზებთან; ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი დევნა განიცადა ხან ბაბილონის სულტნისაგან, ხან სომხეთის მეფისაგან, ხანგრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულტანთან.

აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე და საქმის სიჰეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გეორგიანებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარებით ძალითა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და აღდეს რა უკვე სამასი ციხე და ცხრა დიდი ქალაქი, მა-

გარნი დაიპყრნეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან წარჩინებული ყოფილა და დიდი. იმ ქალაქის პატრონი ბაბილონის სულტნის შვილი იყო; და ზემოთ ნათქვამ ქრისტიანთაგან ტყველ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.

კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულნი წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, აღექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედამისის, დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდგა და შვილსა თვისისა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ. მან კი დედის თხოვნათა ყერადმდებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიერ“... (4: 97-98) (დე ბუას წერილის ლათინური დედანი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იგი გამოაქვეყნა გერმანელმა მეცნიერმა რ. რორისტმა. ქართულ ენაზე თარგმნა ზ. აგალიშვილმა).

ქართველთა რომელი ომი არის ნაგულისხმევი ფრანგი რაინდის დაუთარიღებელ ეპისტოლეში? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელია დე ბუას წერილში მოცემული ინფორმაციის დეტალური ანალიზი. დადგენილია, რომ წერილის ადრესატი - ამადე დე ტრემლე ბეზანსონის არქეპისკოპისად იყო 1195-1220 წლებში (სხვა ცნობის თანახმად, 1208-1220 წლებში).

გ. დე ბუას ეპისტოლეში გადმოცემულია სირია-პალესტინის მნიშვნელოვანი მოვლენები, „ადგილობრივი ინფორმაცია“, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება გადატანილია „გარეშე ინფორმაციაზე“ რომელიც ეხება საქართველოს. ქართველები

ეომებიან „ბაბილონის“ სულტნის ძეს, რომელსაც ეკუთვნის „ქალაქი, ევფრატზე მდებარე“. არაა მითითებული ქალაქის სახელწოდება, მიუხედავად ამისა, დე ბუას მინიშნება ადვილი მისახველრია, ვინაიდან საქართველოსა და აიუბიანთა უშეალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი - თავად ხლათი. სხვა ასპარეზი კონფლიქტისა ამ ორ სახელმწიფოს შორის ისტორიამ არ იცის.

შეეძლო თუ არა დე ბუას მოეხსენებინა ხლათი, როგორც „ქალაქი ევფრატზე მდებარე?“ ცნობილია, რომ მდ. ევფრატი სათავეს იღებს არზრუმის მიდამოებში, მაგრამ არ-სებობს მეორე ევფრატიც, რომელსაც ფრანგი მეცნიერის, სენ-მარტენის სიტყვით, თურქები უწოდებენ მურად-ჩაის, ხოლო სომხები - „ჭეშმარიტ ევფრატს“. სენ-მარტენი აღნიშნავს, რომ ევფრატი ანუ მურად-ჩაი მიედინება სომხეთის შუაგულიდან დასავლეთისაკენ და ერთგის არზრუმიდან მომავალ ევფრატს. დღევანდელი მურად-სუ ისტორიულ რუკებზე აღნიშნულია, როგორც აღმოსავლეთის ევფრატი. სწორედ ეს დიდი მდინარე, რომელსაც „ჭეშმარიტ ევფრატს“ უწოდებენ სომხები, ჩაივლის ქალაქ ხლათის სიახლოვეს. ადვილი და-საშვებია, რომ მისთვის ცნობილ მდინარეზე მდებარედ მიერნია ფრანგ რაინდს არანაკლებ ცნობილი ქალაქი. (6: 49-50)

შეესაბამება თუ არა ხლათს დე ბუას სიტყვები: „ყველა წარმართოა ქალაქთაგან წარჩინებული ყოფილა და დიდი?“ ზაქარია ალ-ყაზვინი და იაკუთი წერენ, რომ ხლათი იყო ცნობილი და აყვავებული ქალაქი. XIII საუკუნის სპარსული გეოგრაფიული თხზულების მიხედვით, ხლათში მრავლად იყო ბაზრები, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა საქონელი მთელი მსოფლიოდან. იმავე საუკუნის დამლევს აბულ-ფიდა აყვავებულ ქალაქად მოიხსენიებდა ხლათს და ადარებდა და-მასკოს. (6: 50) ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ „საქართველოს ისტორიის საკითხებში“ ვკითხულობთ: „XIII საუკ-

უნის 20-იანი წლებისათვის საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ამიერკავკასიის საზღვრებს სცილდებოდა. უშეალოდ თუ ყმადნაფიცთა მეშვეობით საქართველო დვინ-არზრუმისა და დარუბანდ-შამახის სავაჭრო გზათა ექსპლოატაციას ეწეოდა. შემდგომ აგრძესის მიზანს არჭეშ-ხლათის სასულტნოების (და აქ გამავალ სავაჭრო გზის ერანიდან ლევანტი-საკენ) დაყრობა შეადგენდა“.⁽²⁾ (2: 54) ამ ფაქტების გათვალისწინებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ხლათის მიმართ განაპირობებდა ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები, კერძოდ, საქართველოს სამეფო კარი მიზნად ისახავდა მთავარ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე გაბატონებას. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, როგორ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ქალაქს აიუბიანები ჯერ კიდევ მათი ფუძემდებლის, სალადინის დროიდან, ადვილი საფიქრებელია, რომ სირია-პალესტინიდან დაშორებულ ხლათს ასეთივე შეფასება დაემსახურებინა ჯვაროსანთა შორის. აიუბიანთა გარდა აზერბაიჯანის ათაბაგთა და რუმის სულტანთა თვალიც იყო მიპყრობილი ხლათზე, რომელიც მესოპოტამიასა და არაქსის ველს შორის კომუნიკაციების ხაზზე მდებარე საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა.⁽⁶⁾ (6: 50)

არაბულ წყაროებში აღნიშნულია სალადინის „ლტოლვა“ ხლათის დასაპყრობად, აგრეთვე ორი წარუმატებელი გალაშქრება ხლათისაკენ (ერთი მათგანი თვით სალადინის სარდლობით). ინ ალ-ასირი გადმოგვცემს: „სანამ ავად გახდებოდა, 1193 წელს სალადინმა იხმო თავისი ძმა ალ-ადილი და რჩევა ჰქითხა: „ჩვენ გავანადგურეთ ფრანგები და აღარავინ არის ამ ქვეყანაში (იგულისხმება სირია-პალესტინა), ვისაც შეეძლოს მისი დაპყრობა. ახლა რომელ მხარეს გავწიოთ?“ ალ-ადილმა ურჩია ლაშქრობა ხლათზე. მაშინ სალადინმა უბრძანა: „წაიყვანე ჩემი შვილი და ლაშქრის ნაწილი. დაიძარ ხლათისაკენ, ბოლოს მოვულებთ რუმს და მეც თქვენ-

თან ერთად მოვალ. ხლათიდან შევიჭრებით აზერბაიჯანში, მივაღწევთ სპარსთა ქვეყნას და იქ არავინ არის, რომ შეძლოს ჩვენი მოგერიება.“ (6: 50-51)

სალადინს არ დასცალდა თავისი მიზნების განხორციელება, მაგრამ ექსპანსიას ხლათისაკენ განაგრძობენ მისი მემკვიდრეები და საბოლოოდ წარმატებას აღწევს სალადინის მმისწული ალ-აუჰადი, გამგებელი მაიაფარიკინისა. ხლათის დაუფლებაში ალ-აუჰადს აქტიურ დახმარებას უწევდნენ მისი მმა ალ-აშრაფი და მამა - აიუბიანთა სულტანი ალ-ადილი. (6: 51)

ზემოთ მოტანილი ფაქტები აიუბიანთა მისწრაფებისა, დაეკყროთ ხლათი, ცხადად ამტკიცებს მის მნიშვნელობას და გვაფიქრებინებს, რომ ფრანგი რაინდის წერილში აღნიშნული ქალაქი სწორედ ხლათი უნდა იყოს.

ალ-აუჰადი ხლათს დაეპატრონა 604 (1207/8) წ. და ამით საქართველოს გაცილებით საშიში მეტოქე გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, არ შეწყვეტილა XIII საუკუნის დამდევიდან დაწყებული ომები ხლათის ქვეყნისა და მეზობელი სომხური ტერიტორიების შემომტკიცებისათვის. ქართველთა თავდასხმები ხლათის ქვეყნაზე გრძელდებოდა. იბნ ალ-ასირის ცნობით, 605 (1208/9)წ. ქართველებმა აიღეს ქალაქი არჭეში და ააოხრეს. ალ-აუჰადი ხლათში იყო დღიდ ლაშქრით, მაგრამ ვერ გაბედა გამოსვლა მტრის წინააღმდეგ და ქართველები დაბრუნდნენ თავის ქვეყნაში მშვიდობით და უვნებლად. ალ-აუჰადი დაუინებით ითხოვდა მამისაგან დახმარებას ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ალ-ადილმა გადაწყვიტა ჩარევა და დაიძრა ქვეშევრდომთა გაერთიანებული ლაშქრით ხლათისაკენ 1209 წლის ზაფხულში, მაგრამ მესოპოტამიის მაპმადიან მფლობელებთან ურთიერთობის მოწესრიგებამ დააყოვნა, ალფა შემოარტყა ქალაქ სინჯარს და ხლათამდე არ მიუღწევია. ქართველებსაც უკვე მიეტოვებინათ ხლათის ქვეყნა. (6: 51-52)

საქართველოსა და აიუბიანთა შორის კონფლიქტის კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს ქართველთა მორიგი ლაშქრობა ხლათის ქვეყანაში და უშუალოდ ხლათის გარემოცვა, რაც სათანადოდ აისახა თითქმის ყველა თანადროულ არაბულ წყაროში. იგივე ეპიზოდი უნდა იყოს ასახული დებუას წერილში. არაბული წყაროების თანახმად, ხლათის გარემოცვის უტყუარ თარიღს წარმოადგენს 607 (1210/11) წ. უნდა ითქვას, რომ ხლათის გარემოცვის შედეგები ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ამას ამტკიცებს უცხოელ მკვლევართა მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება. მაგალითად, ჰ. გიბი წერს: „ქართველები სასტიკად დაამარცხა (1210 წ.) ალ-აუჰადმა და აიძულა დაედოთ ოცდათწლიანი ზავი“. შეუძლებელია ვილაპარაკოთ სასტიკ დამარცხებაზე, როცა ყველა წყარო ერთხმად გვაუწყებს, რომ ალყაშემორტყმული ხლათი ქართველთა ხელში გადასვლას გადაურჩა მხოლოდდამხოლოდ იმის გამო, რომ ქართველთა სარდალი ივანე მხარგრძელი, ცნობილი ორიენტალისტის, ვ. მინორსკის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „მოულოდნელად შეიქნა მსხვერპლი თავისი უანგარიშო მამაკობისა“. (6: 52)

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს: „ქართველები გაემართნენ ხლათის წინააღმდეგ და ალყა შემოარტყებს მას... ივანემ, ქართველთა მალიქმა, დალია ღვინო და აცდუნა იგი სიმთვრალემ ამხედრებულიყო და წასულიყო ხლათისაკენ ოცი მხედრის თანხლებით. ცხენმა გადმოაგდო ძირს და დატყვევეს მუსლიმებმა თანამებრძოლებთან ერთად და მიჰვარეს ალ-მალიქ ალ-აუჰადს“. (6: 52)

ეს ამბავი მომხდარა 1210 წლის 10 ოქტომბერს. ივანე მხარგრძელის დატყვევება იყო ძლევამოსილი სამხედრო კამპანიის მარცხიანი ფინალი, რომელმაც მკვეთრად შეატრიალა ხლათის ბედი და დაპყრობას გადაარჩინა ქალაქი. ქართველებს ხელიდან გაუსხლტათ გამარჯვება, მაგრამ დამარცხება-

ზე და მით უმეტეს, სასტიკ დამარცხებაზე ლაპარაკიც ზედ-მეტია.

კირაკოზ განძაკელი მოგვითხრობს, რომ ხლათელებმა ივანეს შეკყრობა ამცნეს სულტანს ალ-ადილს, რომელმაც ლიდი კმაყოფილება გამოოქვება და ბრძანა, მასთან ჩაეყანათ ტყვე. როდესაც ეს ამბავი შეიტყო საქართველოს ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა, ხლათელებს მუქარა შეუთვალა: გამოუშვით ჩემი ძმა, თორებ დაღუპვა არ აგცდებათ, თქვენი ქვეყნის მიწას საქართველოში წავაღებინებ და აქაურობას გაგაუდაბურებო. შეშინებულ ხლათელებს აღარ გაუგზავნიათ ივანე აიუბიან სულტანთან. (6: 53) ივანეს განთავი-სუფლებამდე ქართველებს ფეხი არ მოუცვლიათ ხლათიდან, ხლათელებმა ძვირფასი მძევალი იგდეს წელთ, მაგრამ ალყა-შემორტყმული ქალაქი ვერ დაიტრაბახებდა გამარჯვებას. ხლათის გარემოცვა გაგრძელდა 1211 წლის დამდეგამდე. (6: 54)

ივანემ გაათავისუფლა 5 000 მაჰმადიანი ტყვე, დაუბრუნა ალ-აუჰადს მრავალი ციხე, გადაუხადა 100 000 დინარი და შეპპირდა, რომ ცოლად მიათხოვებდა თავის ასულს. და ბოლოს დაიდო ოცდაათწლიანი ზავი. 5 000 ტყვისა და მრავალი ციხის დაბრუნება იმას მეტყველებს, რომ სანამ ხლათს ალყაში მოაქცევდნენ, ქართველებს დიდი წარმატება მოუპოვებიათ. (6: 53)

„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ვკითხულობთ: „...ქართველებმა მართალია ხლათი ვერ აიღეს, მაგრამ ხანგრძლივი დროით 30 წლით ზავი დადეს და ამით „დასრულდა ქართველთა განმათავისუფლებელი ლაშქრობა სომხეთში, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი მანასკერტამდე და ცახკანცის მთებამდე გაიწინდა სელჩუკებისაგან. ჩრ. სომხეთი, კერძოდ ანისი, ტაშირ-ძორაგეთისა და სიუნიკის ყოფილი სამეფოები შევიდა საქართველოს შემადგენლობაში“. (5: 336)

კირაკოზ განძაკელი არაბულ წყაროებში მოხსენიებული საზავო პირობებიდან აღნიშნავს ხლათის მფლობელის დაქორწინებას ივანე მხარგრძელის ასულზე და გვაუწყებს, რომ სულტანთა სამფლობელოებში ქრისტიანთა ხვედრი შემსუბუქდა. ხლათსა და ტარონის მხარეში არსებული მონასტრები გაათავისუფლეს გადასახადისაგან, ნაწილი სანახევროდ, ნაწილი მთლიანად. ებრძანა სულტნის ყველა ქვეშევრდომს, რომ პატივით მოპყრობოდნენ იერუსალიმს სალოცავად მიმავალ ქართველებს. ისინი არ იხდიდნენ გადასახადს აიუბიანთა ქალაქებში და თვით იერუსალიმშიც. „დამყარდა მშვიდობა და მეგობრობა საქართველოს სამეფოსა და სულტანთა სახელმწიფოს შორის“, - დაასკვნის სომეხი მემატიანე. (6: 53)

ჩამოთვლილი პრივილეგიები, ცხადია, წარმოადგენს ოცდათწლიანი ზავის პირობებს. კიდევ ერთი საზავო პირობა აღნიშნულია ეგროპულ წყაროში. ფრანგი ისტორიკოსი უაკ დე ვიტრი წერს, რომ ქართველები შემოდიან იერუსალიმში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარჯს. მისივე სიტყვით, სარკინოზები ვერ ბედავენ იერუსალიმს ჩამოსული ქართველების შეწუხებას, ვინაიდან მათ შეუძლიათ, თავის მეზობელ სარკინოზებზე შური იძიონო. (6: 53) უაკ დე ვიტრის ცნობაში საქართველოს „მეზობელ სარკინოზებად“ აშკარად ნაგულისხმევია ხლათში გაბატონებული აიუბიანები, ხოლო ქართველთა საპატიო უფლება იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლაზე წარმოადგენს ხლათში დადებული ოცდათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობას (უაკ დე ვიტრი აღწერილ მოვლენათა თანამედროვეა, იგი იყო ქალაქ აკრას ეპისკოპოსი. უაკ დე ვიტრის ცნობას თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ მომდევნო ხანის ევროპელი ავტორები). (6: 54)

კიდევ ერთ საზავო პირობას გვამცნობს იბნ ალ-ასირი. მისი სიტყვით, ხლათელები იძულებული შეიქნენ, ხლათის ციხეში აეშენებინათ ქართველებისათვის ეკლესია, სადაც რეკავდა ზარი. სხვა არაბული წყაროს ცნობით, ხლათში გათ-

ხოვილი თამთა, ასული ივანესი, ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. ესეც ზავის ერთ-ერთ პირობად უნდა ჩაითვალოს. (6: 54) ხლათში დადებული საზავო ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა საქართველოს სამეფოსა და ხლათის ქრისტიანულ მოსახლეობას, ერთადერთი გამოსავალი იყო აღ-აუკადისთვის. სამაგიეროდ, ოცდაათწლიანი ზავი ხლათის მფლობელს აღუთქვამდა უშიშროებას საქართველოს მხრიდან. ქართველებს დამარცხებამ კი არ უკარნახა ზავის დადება, არამედ სარდლის შემთხვევითი დატყვევების შედეგად შექმნილმა ვითარებამ. ივანე მხარგრძელის სიცოცხლემ საქართველოს თვალში გადაწონა საბოლოო გამარჯვების წყურვილი და სომხური პროვინციების განთავისუფლების გეგმა. (6: 54) ყოველივე ზემოთქმული აქარწყლებს ხლათზე ლაშქრობის ცალმხრივ შეფასებას და კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ვარაუდს, რომ ფრანგი რაინდის ფანტაზიით შეფერადებულ სურათს უნდა ასაზრდოებდეს ხლათის გარემოცვის ამბები.

კირაკოზ განძაკელის, უაკ დე ვიტრისა და იბნ აღ-ასირის მიერ აღნიშნული საზავო პირობების გაცნობის შემდეგ გასაგები ხდება ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის სიტყვებიც: „შემოიხვეწა ხლათელი და ძლევა-შემოსილმან მას ზედა მისცნა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებლობასა შინა წყობისანი“ (1: 370) (შესაძლოა, ქართულსა და სომხურ წყაროშიც ცალმხრივად იყოს გაშუქებული ოცდაათწლიანი ზავი, მაგრამ იგივე ბრალდება უნდა წავუყენოთ არაბულ წყაროთა უმრავლესობას).

თუ გავითვალისწინებთ კირაკოზ განძაკელის, იბნ აღ-ასირისა და ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობებს, აღარ უნდა გაგვიკვირდეს დე ბუას წერილის შინაარსიც. ფრანგი რაინდი აღნიშნავს 300 ციხისა და 9 დიდი ქალაქის აღებას. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ციხე აიღეს ქართველებმა ხლათის ქვეყანაში. სამაგიეროდ, ის ვიცით, რომ დაზავებისას

ალ-აუჰადს დაუბრუნეს მრავალი ციხე. ხლათის ქვეყანა მოიცავდა დაახლოებით 70 ქალაქს და შესაძლოა, 9 დიდი ქალაქის აღებაც არ იყოს გადაჭარბება.

ძნელი დასაშვებია, რომ ფრანგი რაინდის ინფორმაცია ქართველთა ლაშქრობაზე მხოლოდამხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს. თუ ეჭვს არ მივიტანთ, რომ მას სინამდვილეში მომხდარი მოვლენები აქვს აღებული წერილის წყაროდ, მაშინ იმ ერთადერთ ნამდვილ საქმედ, რომლის გამობაზილს შეიძლება წარმოადგენდეს დე ბუას წერილში მოთხრობილი ამბავი, უნდა ვიგულისხმოთ ქართველთა ლაშქრობა ხლათზე 1210 წელს.

დე ბუას წერილში აღნიშნულია ასევე, „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება ქართველთა მიერ და სიკვდილით დასჯა. ეს ცნობა უნდა გაჩენილიყო ალ-ადილის ძის, ხლათის მფლობელ ალ-აუჰადის გარდაცვალების შედეგად. ხლათის გარემოცვას და ოცდაათწლიან ზავს თითქმის მაშინვე მოჰყვა ალ-აუჰადის სიკვდილი. კირაკოზ განძაკელის მიხედვით, ივანე მხარგრძელის ასული თამთა საზავო ხელშეკრულების საფუძველზე შეირთო ალ-აუჰადმა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ძმამ – ალ-აშრაფმა, მაგრამ ზოგიერთ წყაროში ვკითხულობთ, რომ ხლათში ჩასულ თამთას უკვე ალ-აშრაფი დახვდა ბაბილონის სულტნად და სწორედ მან შეირთო თამთა. არაბული წყაროების თანახმად, ალ-აშრაფი ძმის გარდაცვალებისას ხლათში იმყოფებოდა, მომაკვდავმა ალ-აუჰადმა თვითონ უანდერდა თავისი სამფლობელო ალ-აშრაფს. (6: 56-57) ძნელი სათქმელია, თვითონ შეთხა ფრანგმა რაინდმა ალ-აუჰადის სიკვდილით დასჯის ამბავი, თუ მართლაც ასეთი იყო სირია-პალესტინაში ჩასული ხმები. არც ერთია წარმოუდგენელი და არც მეორე. ხლათის მფლობელის უეცარი სიკვდილი ძალაუნებურად უკავშირდებოდა ხლათის ბრძოლებსა და გარემოცვას. ყოველ შემთხვევაში, დე ბუას მიერ მოთხრობილი ქართველთა ძლევამოსილება

სწორედ ასეთ შტრიხს მოითხოვდა. „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება და თავის მოკვეთა ორგანულად ერწყმის წერილის პათოსს. (6: 57)

ფრანგი რაინდის წერილში მოცემული ინფორმაციიდან ყველაზე რთული ასახსნელია თამარის ანდერძი იერუსალიმში მისი ნეშტის დაკრძალვის თაობაზე და ლაშა-გიორგის განზრახვა - შეესრულებინა დედის ანდერძი. წერილში მოხსენიებული ცნობები მეტ-ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს და დასტურდება სხვა წყაროებითაც, მაგრამ თამარის ზემოხსენებული ანდერძის შესახებ ყველა წყარო დუმს. ამ წერილის გამომცემელმა ზ. ავალიშვილმა წერილში მოყვანილი ფაქტები ფანტაზიად მიიჩნია. (7: 127) შ. ბადრიძე წერს: „მასში ბევრი რამ ლეგენდარული იერითაა წარმოჩენილი. მაგალითად, მეფის მიერ მისი დედის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების ისტორია“. (3: 34) პროფ. ს. კაკაბაძემაც გამოთქვა მოსაზრება ამ საკითხზე და დაასკვნა, რომ ლაშა-გიორგი უსათუოდ შეასრულებდა დედის ანდერძს. (7: 127)

„წარმართთა ნებით თუ უნებლიერდ?“ ვინ იცის, იქნებოცდათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობად ქართველებმა შეიტანეს უფლება თამარის დაკრძალვისა იერუსალიმში...

ქართული წყაროების მიხედვით, თამარი დაუკრძალავთ გელათში. გელათში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელთა მიზანი სწორედ თამარის საფლავის დადგენა იყო, მაგრამ აკლდამაში ნეშტი ვერ აღმოაჩინეს. ერთი მხრივ, ამ ფაქტის გათვალისწინებით და მეორე მხრივ, დე ბუას წერილის საფუძველზე შ. ამირანაშვილმა მხარი დაუჭირა თამარის იერუსალიმში დასაფლავების ვერსიას და, ამდენად, ლაშას იერუსალიმის სამხედრო ექსპანსია სინამდვილედ მიიჩნია. იგი წერს: „გიორგი-ლაშამ განახორციელა დედის უკანასკნელი წადილი, მან უთუოდ შეარჩია დრო, ქართული მხედრობის დახმარებით მიიტანა დედის ცხედარი იერუსალიმში და დაკრძალა იგი ქრისტეს საფლავთან, ვინაიდან ქართველ ბაგ-

რატიონთა საგვარეულო გადმოცემაში, რომელსაც თვით ბერძნები, დიდი კონსტანტინე პორფიროგენეტი იზიარებდა, ქართველი ბაგრატიონები თავისი წარმოშობით და სისხლით დავით წინასწარმეტყველსა და თვით მაცხოვარს ენათესავებოდნენ“: (7: 127)

შ. ამირანაშვილის ამ მოსაზრებას არ იზიარებს დ. გვრიტიშვილი, იგი ამბობს: „ჩვენ პირდაპირი და უტყუარი ცნობა გვაქვს ლაშას სამზადისის შესახებ იერუსალიმში, რომელიც არ განხორციელდა იმის გამო, რომ მონღოლების გამოჩენამ შეუშალა ხელი. 1223 წ. რუსუდანი ატყობინებდა რომის პაპ ჰონორიუსს: „ძმა ჩემი, ქართველთა მეფე, მიცვალა და მისი სამეფო მე მერგო... დამიეტში მყოფი თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა ქრისტიანების შესაწევნელად წასულიყო. ისიც ამ ზრაზვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყვეთ“. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ თამარი 1213 წელს გარდაიცვალა. მონღოლთა შემოსევა XIII საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. 1223 წელს ლაშა-გიორგი გარდაიცვალა, როგორც ჩანს, მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გამო. მაშინ, თუ ლაშამ დედის ნეშტი იერუსალიმში წასვენა, ეს უნდა მომხდარიყო 1214-1220 წლებს შორის. იბადება კითხვა: თუ მართლა ლაშა-გიორგი იერუსალიმში გაემგზავრა „ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით... ფრიად აღჭურვილი“, რომლებმაც „აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს“, ნუთუ ამას რუსუდანი დამალავდა და რომის პაპს არ შეატყობინებდა? ევროპელი ჯვაროსნის ცნობა ხომ არ არის 1210 წლის ქართველთა სპარსეთში ლაშქრობის გამოძახილი? ამრიგად, როცა ვამტკიცებთ ლაშას მიერ თამარის ნეშტის იერუსალიმში წასვენებას, ჯერ ზემოთ დასმულ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ, მაგრამ ევროპე-

ლი ჯვაროსნის ცნობაში იმდენი დეტალია მოცემული, რომ არ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს, მით უმეტეს, რომ ის აღწერილი მოვლენის თანამედროვეა. მიუხედავად ყოველივე ამისა ჩემთვის ეს საკითხი მაინც ღიად რჩება“. (7: 128)

განუხორციელებელი დარჩა თუ არა ჯვაროსნებისადმი ქართველთა დახმარება ან კიდევ თამარის ნეშტის გადასვენება იქრუსალიმში, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის ფაქტია, რომ ჯვაროსნებს დიდი იმედი ჰქონდათ ქართველებისა – „მებრძოლი ქრისტიანი ხალხისა“ (ევროპულ წყაროებში ხმირად გვხვდება ასეთი გამოთქმა), რომლებიც დახმარებას გაუწივდნენ მათ სარკინოზებზე შესატევად ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

რას უნდა გამოეწვია ნამდვილად მომხდარი ამბების გაზვადება და გადასხვაფერება ფრანგი რაინდის ეპისტოლები? ხლათზე ლაშქრობის კარგი დასაწყისი და თვით ხლათის გარემოცვა კიდევ უფრო გააღვივებდა ჯვაროსანთა იმედებს. შ. ბადრიძე აღნიშნავს, „წერილი კარგად გვიჩვენებს, თუ რა დიდი წარმოდგენისა იყვნენ ჯვაროსნები ქართველთა მიმართ და როგორი ენთუზიზმით ელოდნენ დახმარებას ამ უკანასკნელებისაგან“. (3: 34-35)

შორეული მოკავშირის გამოჩენით აღმრული აღტაცება ბადებს მომხიბლავ ოცნებას, რომ საქართველოს ურიცხვი მხედრობა დაიხსნის იერუსალიმს „ბაბილონის სულტნის“ ხელთაგან და მთელ მაპმალიანურ სამყაროს დაიმორჩილებს. წარმოქმნილ ოცნებას ეხმაინება „დედოფლის, უძლიერესის თამარის“ ანდერძი, რომლის შესრულებას („წარმართა ნებით თუ უნებლიერ“) ესწრაფვის მისი ძე და მემკვიდრე - აღექსანდრე მაკედონელის ბადალი ჭაბუკი მეფე. ეს ნახევრად ზღაპრული ოცნება სინამდვილის ელფერით იმოსება, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, იმდროინდელი საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი და მეორე მხრივ, სასო-

წარკვეთილ ჯვაროსანთა სულისკვეთება. მოსალოდნელი დახ-
მარებით აღფრთოვანებული ფრანგი რაინდი დაუყოვნებლივ
გზავნის წერილს თავის სამშობლოში, თუმცა გაგონილ ამ-
ბავს აზვიადებს, დიდი იმედი რომ აღუძრას ადრესატს.

ამრიგად, დე ბუას წერილს პროპაგანდისტული დანიშ-
ნულება გააჩნია, მაგრამ იმავდროულად წერილში საკმაოდ
ბევრია ისტორიული სინამდვილის ამსახველი ცნობები.

დამოწმებანი:

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ I, თბ.,
1955.
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.
II, თბ., 1965.
3. ბადრიძე შ., ჯვაროსნები და საქართველო, თბ., 1973.
4. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ზ.ანჩაბაძის
და ვ. გუჩუას რედაქციით, თბ., 1979.
6. ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978.
7. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან
(XIII-XIVს.ს.), თბ., 1962.

Rezo Marnadze

The Forth Year Bachelor at the Faculty of Humanities,

Gori State Teaching University

Instructor: Doctor of Historical Sciences,

Professor Guram Kutalia

**THE EPISTLE OF DE BOIS IN THE SULTANATE OF
KHLATI AND THE PROBABLE INVASION
IN JERUSALEM
RESUME**

The epistle of the French knight De Bois sent to the archbishop of Bezançon is considered to be extremely valuable. The epistle shows that the Georgians invaded the sultanate of Khlati in 1210. But it is hard to believe as if Lasha-Giorgi fulfilled his mother's will to be buried in Jerusalem. Such pathos of the epistle can be explained, on the one hand, by the fact that Georgia of that time had great international prestige and on the other hand the desperate crusaders hoped for help from Georgia. De Bois apparently exaggerates the heard story and the purpose of his writing is propaganda. However, there is a lot of information reflecting the historical reality.

თინათინ მასათაძე
გორის სახლმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ოსებ ალიმბარაშვილი,
ასისტენტ-პროფესორი

ქვიშხეთის ისტორიდან¹

ქვიშხეთი მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 730 მ-ზე, ხაშურიდან დაშორებულია 10 კილომეტრით.

ვახუშტი ბატონიშვილი ქვიშხეთის შესახებ აღნიშნავს: „შოლის პირს დასავლეთით, შოლისავე კიდეზედ, არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, მშენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო ... ქვიშხეთის სამხრეთით არს, მთის ძირს, მტკურის ახლო დაბა ტაშისკარ“. (7: 378)

თ. ლაცაბიძის მოსაზრებით, ქვიშხეთის სახელწოდება, ისევე როგორც ბევრი დასახლებული პუნქტის სახელი, მისი ადგილმდებარეობიდან მომდინარეობს: „....ძველად ქვიშხეთის ადგილზე დაინარე შოლის კალაპოტი ყოფილა. მთიდან საუკუნეთა მანძილზე ჩამომდინარე მდინარე ქვიშასა და ღორღს აგროვებდა. აქ დროთა განმავლობაში იმდენად ბევრი ქვიშა დაგროვდა, რომ სოფლის სახელი თავდაპირველად გამოითქმებოდა, როგორც „ქვიშეთი“, შემდეგ იგი „ქვიშხეთად“ შეიცვალა. (6: 118)

¹ ნაშრომი წაკითხულია 2013 წლის 8 თებერვალს ჩატარებულ გორის სახლმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე

უძველესი დროიდან ქვიშეთზე გადიოდა აღმოსავლეთი-დან სამხრეთისაკენ სამცხეში მიმავალი გზა (ამ გზას „დიდ გზას“ ეძახდნენ). დასავლეთ საქართველოში ქვიშეთიდან ლი-ნის მთაზე გადიოდა უმოკლესი გზა სოფელ ციხისძირიდან (ბულბულისციხე). როგორც ცნობილია, 1632 წელს შაპ-სე-ფიმ ქართლის მეფედ (ვალად) როსტომი დანიშნა და უზარ-მაზარი ლაშქრით საქართველოში გამოუშვა. თეიმურაზმა ეს ამბავი გორში შეიტყო: „ირანის ლაშქარი აღჯაყალას შემო-ვიდაო ...ამიტომ გორით აიყარა და ქვიშეთს მივიდა, რომ და-სავლეთ საქართველოში სწორედ ამ გზით გადასულიყო“. (2: 28-29)

ასევე ქვიშეთიდან იწყებოდა ფეოდალური ეპოქის ე.წ. „აბაშიძეების გზა“, რომელიც ქვიშეთიდან ბორჯომის თავზე გავლით მიდიოდა ახალციხისკენ. ამ გზით ოსმალეთში გაპ-ყავდათ ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, რომლებსაც სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ჰყიდდნენ.

ქვიშეთი მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლე-ბით, აქ მდებარეობს ციხე თავისი სასახლითა და კარის ეკლე-სიით, კოშკი (XVII), აქედან აბაშიძეების ციხე-სიმაგრემდე გვირაბი იყო გაყვანილი. აღდგომის ეკლესია, უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი ყიფიანის მიერაა აშენებული, რაღან თვითონ ძა-ლიან მორწმუნე იყო და სურდა, გლეხებსაც მისცემოდა ლოცვის საშუალება. მთაწმინდის წმ. გიორგის (ორივე თარიღდება XIX საუკუნით), წმ. მარინეს (ორი), ფერიცვალებისა და წმ. ელიას ეკლესიები (ორივე გვიანთვეოდალური ხანისაა).

ქვიშეთი ხშირად მოიხსნიება ქართულ საისტორიო მწერლობაში, ისტორიული თუ ეკონომიკური ხასიათის დოკუ-მენტებში.

იგი ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად ჟამთა-აღმწერელთან გხვდება, როდესაც მემატიანე აღწერს XIII ს-ის 60-იან წლებში მონღოლთა ბატონობასთან დაკავშირებულ მოვ-

ლენებს, აღნიშნავს, რომ „...დაზარალებული წარმოვიდა მეფე და მოვიდა ქვიშხეთის (იგულისხმება დავით ულუ - თ. მ.) ბოლოსა და სურამსა შეუდადება ...“. (6: 117)

XV-XVI სს-დან ქვიშხეთი თანდათან გადაიქცა ქართლის სააბაშიოს ცენტრად. XV ს-ში ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეების სათავადო. აბაშიძეების ერთი შტო ზემო ქართლში სახლობდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამული იმერეთსა და ქართლსა ...“ (7: 507)

XVI ს-ში აბაშიძეები ქვიშხეთში აგებენ ციხე-სიმაგრეს. ეს იყო ოთხველოლიანი, საკმაოდ გამაგრებული დედო-ციხე. ორი გოდოლის ნაშთი ახლაც არის სამხრეთით, რომლებსაც ერთი მთლიანი კედელი აერთებს.

XVI ს-ის ბოლოს და XVII ს-ის დასაწყისში აბაშიძეთა მძლავრი წარმომადგენელია ღოღენა აბაშიძე. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნახვეტრებზე გამართულ ომში 1609 წელს. 1626 წელს ბაზალეთის ომში იგი გიორგი სააკაძის მხარდამხარ იბრძოდა. პირისპირ შეხვდა თეიმურაზ - I, შეებრძოლა და დაჭრა კიდეც.

ღოღენას შვილიშვილი – პაატა უძეოდ გარდაიცვალა და მისი მამული ვახტანგ მეექვსემ ვახუშტი აბაშიძეს მისცა. 1712 წელს ვახუშტიმ ვახტანგ VI-ის ასული – ანუკა შეირთო ცოლად.

სოფელმა დიდი ზარალი განიცადა ქართლში ოსმალთა და ყიზილბაშთა შემოსევის დროს, XVIII ს-ის 20-იან და 30-იან წლებში, განსაკუთრებით გივი ამილახვრის აჯანყების დროს ირანელთა წინააღმდეგ. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, შემორიგების მიზნით, თეიმურაზ II-მ გივი ამილახვარს ქართლის ერთ-ერთი ძლიერი თავადი ვახუშტი აბაშიძე და თარხნიშვილი მიუგზავნა: „...გაისტუმრა მეფემ ამილახორთან ვახუშტი

აბაშიძე და თარხანი ლუარსაბი სურამს, დაპირდა დიდს წყალობას და ხელმწიფისაგან დანაშაულის მოტევებასა...“ (3: 88)

1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში ქვიშხეთიდან 26 კომლია: ავალიშვილი, სამადაშვილი, მუსტაფაშვილი, ბლუაშვილი, ჩიტაძე, ქლიბაძე, არსენასძე და სხვა. იმდროინდელი გვარებიდან დღეს ცხოვრობენ: ლაცაბიძეები, ბლუაშვილები და ჩიტაძეები.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში ნათქვა-მია, რომ ქვიშხეთი ახლოსაა ტაშისკარის დასახლებასთან, აქ კომლთა რაოდენობა არის 137. მათ შორის თავადის წოდების ერთი კომლია, ვახუშტი ძე ლევანისა (აბაშიძე), აზნაურის წოდებისა 5 კომლია. აქვეა მიწის ნაკვეთები, რომელთაც მართებთ გადასახადის გადახდა 100 და 120 ახჩის ოდენობით. ველზე დაწესებული გადასახადი შეადგენს 40 ახჩას. წარმოდგენილია ვენახები, რომლის მფლობელებიც არიან ავალიშვილები. არის სახასო ვენახიც. აქვეა ჩამოთვლილი ოსმალური გადასახადები, როგორიცაა: ისფერჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ვენახზე, ერბოზე, სკაზე, ცხვარზე და სხვა. ქვიშხეთში გამართული ყოფილა 12 თვალი წისქვილი, რომელზეც დაწესებულია გადასახადი 1440 ახჩის ოდენობით. საერთო ოსმალური გადასახადების რაოდენობა 65 770 ახჩაა. (1: 253-255)

XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის ძირითადი „სატკივარი“ ლეკების შემოსევები იყო. ისინი ქვიშხეთში ახალციხის საფაშოდან გადმოდიოდნენ სოფელ ვახნის გავლით. სან დიდ ჯგუფებად ესხმოდნენ სოფელს, სან ღამით ქურდულად იპარებოდნენ და იტაცებდნენ მოსახლეობას, რომელიც ახალციხის ტყვეთა ბაზარზე გაჰყავდათ. ლეკთა თავდასხმები იმდენად მოულოდნელი, ხშირი და აუტანელი იყო, რომ მოსახლეობამ მათგან თავდაცვის მიზნით აბაშიძეების ციხესიმაგრის ზემოთ,

გორაკზე კოშკი ააგო და საფრთხეს იგრძნობდნენ თუ არა, თავს აბაშიძეების ციხესიმაგრეს და ახლადაშეუბულ კოშკს აფარებდნენ. გადმოცემის თანახმად, კოშკიდან აბაშიძეების ციხესიმაგრემდე გვირაბიც ყოფილა, რისი ნაშთებიც დღემდეა შემორჩენილი.

XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან ქვიშხეთი არაერთგზის ქცეულა ლეკთა თავდასხმების ობიექტად. 1731 წ. ივლისში ლეკები ჯავახეთის აკლების შემდეგ ქვიშხეთში გადმოვიდნენ და აიკლეს. (4: 60) 1732 წ. 21 ივლისს, იტრია-ჩუმათელეთის აკლების შემდეგ, ლეკის ჯარი ქვიშხეთს შემოადგა (4: 62), მაგრამ ციხეში გამაგრებული მედვრად დაუხვდნენ მომხდეურთ და უკუკუიეს.

განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა ქვიშხეთმა 1748 წელს. ლეკთა დიდი რაზმი მოუღლოდნელად მოადგა აბაშიძეთა ციხეს, მეციხოვნები ამოხოცეს და თუ სადმე ვინმე მოიხელოთს, ტყვედ წაიყვანეს. პაპუნა ორბელიანის თქმით: „მოვიდა ჯარი ლეკისა, სულ ცხენოსანი... მიადგნენ აბაშიძის ქვიშხეთის ციხესა, აიღეს ისიც და წამოიღეს უთვალავი ტყვე ანუ საქონელი ურიცხვი...“ (3: 146-147) მანამდე კი აიკლეს ამილახორის სახლთუხუცესი ქარუმი და მოკლეს. ამ თავდასხმის შედეგად სოფელი თითქმის დაცარიელდა. უარეს დღეში ჩავარდა სოფელი შოლისპირი, რომელიც XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ნასოფლარად იქცა.

ლეკების მორიგი თავდასხმა ქვიშხეთზე განხორციელდა 1757 წ. სოფელ ქვიშხეთსა და მის შემოგარენს ლეკების 1000-კაციანი რაზმი შეესია, დაარბიეს ავალიშვილების მამული და გაიქცნენ. (4: 105)

ხშირი თავდასხმები მნიშვნელოვნად აზარალებდა სოფელს, რაც უარყოფითად აისახებოდა აქ მაცხოვრებელთა რაოდენობაზე.

XIX საუკუნის დასაწყისში იწყება ქვიშხეთის ხელახალი დასახლება. სოფელში ბრუნდებიან ლეკიანობის მიზეზით ადრე გაქცეული გლეხები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იყვნენ დასახლებულნი: ლაცაბიძეები, ბლუაშვილები და სხვა (იმერეთი), გომარლები, გიგიტაშვილები და სხვა (ქართლი), გურგენიძეები, რობაქიძეები (მესხეთი).

ქვიშხეთმა და მისმა რეგიონმა დიდი აოხრება განიცადა ქართლში „ყიზილბაშობის“ პერიოდში, 1735-1744 წლებში. განსაკუთრებით მძიმე იყო 1742-1745 წ.წ., როცა ქართლში ყიზილბაშების წინააღმდეგ მიმდინარეობდა აჯანყება გივი ამილახორის ხელმძღვანელობით. 1744 წელს ქვიშხეთში აბაშიძის ქალზე იქორწინა ერეკლე მეფე.

თეომურაზ II დროს ზემო ქართლის მორიგე ლაშქარში ქვიშხეთიდან სავალდებულოდ ითვლებოდა აბაშიძეების მიერ ლაშქარში გლეხების გაყვანა. ცხენოსანი (9), ქვეითი 3 (6), სულ 15. (6: 118)

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ქვიშხეთში მკვიდრდებიან სუმბათაშვილები. კ. სუთიაშვილის მიხედვით, 1846 წელს შედგენილი ერთი დოკუმენტით მტკიცდება, რომ სუმბათაშვილებმა ქვიშხეთში მიწები მემკვიდრეობით მიიღეს.

თავად ქაიხოსრო აბაშიძის ქონება კანონის ძალით მისმა დამ, ქნეინა ეკატერინა მეხრან-ბაგრატიონისამ მიიღო, ეკატერინემ კი გადასცა თავის შვილს – სოფიოს, რომელიც გათხოვილი იყო სუმბათაშვილზე. სწორედ აქედან მკვიდრდებიან ამ გვარის წარმომადგენლები ქვიშხეთში.

1865 წელს ქვიშხეთში 45 კომლი ცხოვრობდა. ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო სოფელი სწრაფად იზრდება და უკვე 20 წელიწადში 100 კომლს აღწევს. XIX საუკუნის ბოლოს ქვიშხეთის დასახლება ინტენსიურ სასიათს ღებულობს. XX საუკუნის დასაწყისში ქვიშხეთში 145-მდე კომლია, აქედან

ორი თავადი: სუმბათაშვილი ქვიშხეთში და განძიელი ტაშისკარში. აზნაურები კი 35 ოჯახამდე. მიწების დიდი ნაწილი მათ ხელში იყო. გლეხების უმრავლესობა საშინელ სიღუხჭირეში ცხოვრობდა. მიზეზი, ერთი მხრივ, უმიწობა იყო, მეორე მხრივ კი აუტ-ანელი გადასახადები, ამას ემატებოდა მოხეელეების და თავადებისაგან ძალადობა და განუკითხაობა.

გლეხი იხდიდა სკოლის, მამასახლისის, მწერლის, კანცელარიის, მღვდლის და სხვა სახელმწიფო გადასახადს, საღალო გადასახადს და კულუხს. გარდა ამისა, ხელისუფლების განუკითხაობასთან ერთად ადგილობრივ მემამულეთა მიერ დაქირავებული მცველების ძალადობაც ემატებოდა. როგორც კლიმენტი სუთიაშვილი გადმოგვცემს: „მებატონებს დაუყენებიათ თავისი ადგილ-მამულების მცველებად, ოსი, ჩაჩნები, რომლებიც შეიარაღებულნი თავიდან ფეხებამდის, დათარეშობენ და შიშის ზარსა ჰგვრიან ბედისაგან დაჩაგრულ გლეხკაცობას“. (5: 74-75) ქვიშხეთში თავისი სიმკაცრით და სისასტიკით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვასილ და გიორგი სუმბათაშვილები. ეს უკანასკნელი იმდენად სტულდა გლეხობას, რომ განრისხებულებმა მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს, გაუგონარი სისატიკით მოკლეს სრულიად უცოდველი ოთხი წლის ბავშვი, რომელიც ერთ-ერთმა ადგილობრივმა გლეხმა გაგუდა. არსებობს ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე მოსახრება. ადგილობრივი მკვლევრის, ქ. სუთიაშვილის აზრით, ეს ადგილობრივმა გლეხებმა ჩაიდინეს, ხოლო ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ისინი იყვნენ არსენა ოძელაშვილის მებრძოლები.

ქვიშხეთმა არაერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე გაუზარდა სამშობლოს, მათგან გამორჩეული ადგილი უკავია დიმიტრი ყიფიანს. მისი ღვაწლი ქართველი ერისადმი ფასდაუდებელია. თავადი მარტო კალმით არ იბრძოდა ქართული ენის დასაცავად და ქართველთა გასანათლებლად. იყო ქართველთა შორის წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავკაცი, სულისჩამ-დგმელი და მისი პირველი თავმჯდომარე, ასევე იყო ქართული ბანკის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. დიმიტრი ყიფიანი სამშობლოს სიცარულსა და მისი ღირსების დაცვას შეეწირა. მან პავლე ეგზარქოსაც არ მისცა ქართველი ერის შეურაცხყოფის უფლება, ეგზარქოსთან დაპირისპირების გამო, იგი გადასახლეს სტავროპოლიში, სადაც 1887 წ. 24 ოქტომბერს ჯალათებმა სიცოცხლეს გამოასალებს. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე პფიქრობდა თავზე დაანთხიეს ...იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ზელები დააკრეფინეს“, წერდა აკაკი წერეთელი. (8: 10) ეს იყო კაცი, რომელიც სხვისი ბედნიერების-თვის იღვწოდა. მან ქართველ ხალხს დაუტოვა შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ ქართული თარგმანი და არაერთი მეტუარული თუ პუბლიცისტური ნაშრომები.

ასეთია სოფელ ქვიშხეთის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და, დემოგრაფიული ცხოვრების ზოგიერთი საგულისხმო მომენტი, რაც ჩემი, როგორც მშობლიური კუთხის კვლევა-ძიების სურვილს კიდევ უფრო ზრდის და დამატებით მოტივაციას მაძლევს.

დამოწმებანი:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 2009.
2. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1976.
3. ორბელიანი პ., ამბავი ქართლისანი, თბ., 1981.
4. ალიმბარაშვილი ი., ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.
5. სუთიაშვილი კ., ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთი, თბ., 2007.

6. ლაცაბიძე თ., ზაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, ზაშური, 2010.
7. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
8. ყიფიანი დ., მემუარები, რედ. ქ. მარქანია, თბ., 1990.

Tinatin Makhatadze

*The Second Year Bachelor at the Faculty of Humanities,
Gori State Teaching University*

Instructor: Assistant Professor Ioseb (Soso) Alimbarashvili

**FROM THE HISTORY OF KVISHKHETI
RESUME**

The article describes the history of Kvishkheti, one of the historic villages in Kartli including its origin, material and cultural monuments, ethnic and social composition of the population, taxes and common surnames.

With respect to the village, the article makes the analysis of such famous historical documents as “Tbilisi Vilayet Great Book of 1728” and “The Book of Ruisi Parish”. It describes the damage to the village which has suffered over the centuries by various invaders, especially Dagestanian raids.

Particular attention is paid to the well-known public figure Dimitri Kipiani’s contribution to the nation and the country who was also a resident of this village.